ჰარუკი მურაკამი

სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით

თარგმანი ჟანრი და ლუიზა ლოდეშვილებისა

წინასიტყვეობა

Dans la mémoire de JLL

თანამედროვე იაპონელი მწერლებიდან ჰარუკი მურაკამი ალბათ ყველაზე პოპულარული მწერალია. მურაკამის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია რეალური სამყაროს გვერდით ირეალური სამყაროსა და პერსონაჟების არსებობა.

რა გრძნობა შეიძლება დატოვოს თორმეტი წლის გოგოსა და ბიჭის ათწამიანი ხელის მოჭერამ და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მათ ცხოვრებაზე, თუ კი ათწლეულებია, რაც მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ? მურაკამიმ ამ თემაზე ორი რომანი დაწერა, ჯერ ''სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით'' და მერე ''19Q4''.

რომანი ''სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით'' პირველად 1992 წელს გამოქვეყნდა. ეს რომანი ცოტათი ჰგავს მისსავე გახმაურებულ რომანს ''ნორვეგიული ტყე.'' ორივე სასიყვარულო თემაზე დაწერილი რომანია და არც ერთში არ გვხდება ირეალური პერსონაჟები. თუმც ეს მხოლოდ ილუზიაა, და რომანის ყურადღებით წაკითხვის მერე დამეთანხმებით, რომ ის აშკარად არ ჯდება რეალისტურ ნაწარმოებთა ჩარჩოში. ამასთან ირეალურის შემჩნევა ამ რომანში საკმაოდ ძნელია, რადგან ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი, ხოლო მთარგმელთა დაკვირვებით, მთხრობელი ხშირად ვერ ერკვევა, თუ რა ხდება მის თავს.

მურაკამის სხვა რომანთა მსგავსად, ამ ნაწარმოების გმირებიც ხშირად უსმენენ და საუბრობენ ამა თუ იმ მუსიკალურ ნაწარმოებზე. უფრო მეტიც ''ნორვეგიული ტყის'' არ იყოს, ამ რომანის სათაურიც, ერთ-დროს პოპულარული სიმღერის სახელიდანაა აღებული. ლაპარაკია 1939 წელს აჟღერებულ სიმღერაზე ''South of the border'', რომელსაც ბევრი ცნობილი შემსრულებელი მღეროდა მათ შორის ფრანკ სინატრაც. უცნაური ისაა, რომ რომანის გმირები ათწლეულების მანძილზე უსმენენ ნათანგ კინგ კოულის სიმღერათა ალბომს, რომელშიც კოული მღერის ამ სიმღერასაც. არადა კოულს არასდროს უმღერია ''South of the border''. ეს არარსებული ალბომი ფატალურ როლს თამაშობს რომანში.

ჩვენი დაკვირვებით, ჰაჯიმეს ზოგჯერ ერთმანეთში ერევა ქალები, და რომ გაიგოთ თუ სინამდვილეში ვინ, ვინაა ყურადღება მიაქციეთ რა ფერები მოსწონთ ამ ქალებს, და როგორ არიან ისინი ჩაცმულნი.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანი ეძღვნება ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის ხსოვნას. იმედი გვაქვს, რომ ის მაშინვე გაახსენდება ყველას, ვინც მას იცნობდა და ამ თარგმანს გაეცნობა.

ჟანრი და ლუიზა ლოდეშვილები,

სტრასბურგი,

2012 წელი.

თავი პირველი

დავბადებულვარ 1951 წლის 4 იანვარს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პირველი წლის, პირველსავე კვირაში. ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ამაში იყო რაღაც დასამახსოვრებელი და ჰაჯიმე დამარქვეს, რაც ”დასაწყისს” ნიშნავს. სხვა მხრივ კი არაფრით გამოირჩეოდა ჩემი დაბადება. მამა დიდ საბროკერო ბირჟაში მუშაობდა, ხოლო დედა დიასახლისობდა. მამა სტუდენტი იყო, როცა საომრად გამოიძახეს და სინგაპურს გაამგზავრეს. ომის დამთავრების მერე, იქ ერთხანს ტყვეთა ბანაკში ჰყავდათ გამომწყვდეული. სახლი სადაც დედა ცხოვრობდა 1945 წელში BB-29-ით დაბომბვის შემდეგ დანგრეულა. მათი თაობა ალბათ ყველაზე მეტად დაზარალდა ომისგან.

მე როცა გავჩნდი, ვეღარც კი იფიქრებდით, ომი ოდესმე თუკი ყოფილა. არც გადამწვარი ნანგრევები ჩანდა ირგვლივ და აღარც საოკუპაციო ჯარი იდგა. ფირმამ მამას საცხოვრებელად სახლი მისცა ერთ პატარა მყუდრო ქალაქში. სახლი ომამდე იყო აშენებული, ცოტა მოძველებული კი იყო, მაგრამ საკმაოდ დიდი ფართი ჰქონდა. ეზოში ნაძვები ხარობდნენ, ქვაში ჩადგმული რამდენიმე შუქურა და პატარა გუბურაც კი გვქონდა.

ქალაქის შემოგარენში ვცხოვრობდით, იქ სადაც ძირითადად საშუალო კლასი ბინადრობდა. ჩემი სკოლელებიც ასეთივე ცალკე სახლებში ცხოვრობდნენ, ზოგიერთნი ცოტათი უფრო დიდშიაც კი, მაგრამ ყველას ერთნაირი მთავარი შესასვლელი და ნაძვნარი ეზო ჰქონდა. ჩემი ამხანების მამები, კომპანიების თანამშრომელნი, ანდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იყვნენ. არცერთი ჩემი ამხანაგის დედა არ მუშაობდა. ყველას სახლში ჰყავდა ძაღლი ან კატა. რამდენადაც ვიცოდი, არავინ ცხოვრობდა არც მრავალბინიან სახლში და არც აპარტამენტებში. მოგვიანებით ქალაქის სხვა უბანში გადავედით საცხოვრებლად, მაგრამ იქაურობაც გარეგნულად ისევე გამოიყურებოდა. ასე, რომ სანამ ტოკიოს ერთ-ერთ უნივერსიტეტში არ გადავედი სასწავლებლად, მეგონა ადამიანები ძირითადად საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ, ეზოში ნაძვნარი ედგათ, შინაური ცხოველები ჰყავდათ და სამსახურში კოსტუმში გამოწყობილნი დადიოდნენ. სხვა სტილის ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

იმ ქალაქში, სადაც მე ვიზრდებოდი, ოჯახებში ჩვეულებრივ ორი, ან სამი შვილი ჰყავდათ. ბავშვობის დროინდელი ჩემი ამხანაგებიც სწორედ ასეთი ოჯახიშვილები იყვნენ. თუ ოჯახი ორშვილიანი არ იყო, მაშინ მათ სამი შვილი ჰყავდათ და პირიქით, თუ ოჯახი სამშვილიანი არ იყო, მაშინ მათ ორი შვილი უნდა ჰყოლოდათ. ექვს, ან შვიდშვილიანი ოჯახები მართლაც ძალიან დიდი იშვიათობა იყო, მაგრამ კიდევ უფრო დიდი იშვიათობა ერთშვილიანი ოჯახი გახლდათ.

ისე მოხდა, რომ ჩვენ უიშვიათეს ოჯახთა რიცხს მივეკუთვნებოდით, რადგან მე დედისერთა ვიყავი. ამის გამო თავს დიდხანს არასრულფასოვნად ვთვლიდი, თითქოს სხვებისგან განსხვავებული ვყოფილიყავი, მოკლებული იმას, რაც ყველას ჰქონდა.

არ მსიამოვნებდა სიტყვა *“დედისერთა”*. ყოველთვის როცა კი მესმოდა ეს სიტყვა, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა თითქოს მახსენებდნენ, რომ ჩემს პიროვნებას რაღაცა აკლდა—თითქოს სრულყოფილი ადამიანი არ ვყოფილიყავ და თითქოს ამ სიტყვის წარმომთქმელი თითს ჩემსკენ ბრალმდებელივით იშვერდა.

იმ გარემოში სადაც ვიზრდებოდი, ყველა დარწმუნებული იყო, დედისერთები მშობლების მიერ ზედმეტად განებივრებულნი, თავნებანი და ჭირვეულები არიანო. ეს ისითივე ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, როგორც ის, რომ მაღლა ასვლისას წნევა ვარდება, ანდა ძროხები რძეს, რომ იძლევიან. ამიტომ იყო, რომ ჭირის დღესავით მეჯავრებოდა, როცა ვინმე მეკითხებოდა, თუ რამდენი და, ან ძმა მყავდა. როგორც კი ჩემს პასუხს მოისმენდნენ, რომ არც ერთი არ მყავდა, ინსტიქტურად გაიფიქრებდნენ *"აჰ, დედისერთაა? განებივრებული და თავნება იქნება!"* მათი ასეთი რეაქცია ტკივილს მაყენებდა და ცუდ ხასიათზე ვდგებოდი, მაგრამ უფრო მეტად მტკივნეული იყო და კიდევ უფრო ცუდ ხასიათზე მაყენებდა, იმის შეგრძნება, რომ რასაც ისინი ჩემზე ფიქრობდნენ, სრული სიმართალე გახლდათ.

დაწყებით სკოლაში, ექვსი კლასის მანძილზე, მე მხოლოდ ერთ დედისერთას შევხდი. ის გოგონა დღესაც კარგად მახსოვს, დავუმეგობრდი და მასთან ათას რამეზე ვლაპარაკობდი. ჩვენ კარგად ვუგებდით ერთმანეთს და არ შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ მიყვარდა კიდეც.

შიმამოტო ერქვა. ახალდაბადებული პოლიომიელიტით დაავადებულოყო და მარცხენა ფეხი ოდნავ უფრო მძიმედ მიჰქონდა. ამას დაემატა ისიც, რომ ჩვენს სკოლაში მეხუთე კლასის ბოლოს გადმოვიდა სხვა სკოლიდან, ამიტომ ჩემთან შედარებით, ის ბევრად უფრო მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იყო და ჩემი პრობლემები, მის ფონზე ბევრად უფრო მსუბუქი ჩანდა. ფსიქოლოგიურმა სტრესმა ეს პატარა, დედისერთა გოგონა, გააძლიერა და იმაზე უფრო თავდაჭერილი გახადა ვიდრე მე როდისმე ვყოფილვარ. არასდროს წუწუნებდა და არავის უჩიოდა. ვერ მიხვდებოდით თუ რა ულხინდა. რაც არ უნდა მომხდარიყო მის თავს, მას ყოველთვის შეეძლო გაეღიმა და თუ უარესი ხდებოდა მის თავს, მისი ღიმილი კიდევ უფრო ფართო ხდებოდა. მე მიზიდავდა მისი ღიმილი, ის მაწყნარებდა და მამშვიდებდა. *"ყველაფერი კარგად იქნება, ესეც მოითმინე და მალე ყველა ტკივილი გაგივლის"* თითქოს მეუბნებოდა მისი ღიმილი. წლების მერეც, როცა მასზე ვფიქრობ, პირველი რაც მახსენდება, მისი ღიმილია.

შიმამოტო ყველასთან თავაზიანი იყო და მასაც ყველა პატივს სცემდა. ამით ჩვენ ერთმანეთისგან დიდად განვსხავდებოდით, თუმც ორივე დედისიერთები ვიყავით. ეს რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა, რომ ის ძალიან მოსწონდათ. არა, უბრალოდ, არ აბეზრებდნენ და არ დასცინოდნენ. მეგობრობით კი, ჩემს მეტი ნამდვილი მეგობარი მას არ ჰყოლია.

სხვა ბავშვები მას მეტისმეტად ცივ და ზედმეტად თავდაჭერილად სთვლიდნენ. მე კი შევამჩნიე, რომ ის მეტად სათუთი, ნაზი და მიმნდობი ბუნებისა იყო. დამალობანას თამაშის მსგავსად, მისი ნამდვილი ბუნება უნდა გამოგეცნო და დაგენახა, რადგან ის ღრმად ჩამალულიყო, სამშვინველის სიღრმეში და პირველ აღმომჩენს ელოდებოდა.

მამამისს სამსახური სხვადასხვა ადგილას აგზავნიდა, რის გამოც შიმამოტოს უკვე რამდენიმე სკოლის გამოცვლა მოესწრო. აღარ მახსოვს მამამისს რა ევალებოდა, თუმც ერთხელ ამიხსნა, თუ რას საქმიანობდა ის, მაგრამ როგორც ბავშვების უმეტესობას ახასიათებთ, მეც ეს ამბავი ერთი ყურიდან იმიტომ შევუშვი, მეორედან რომ გამოსულიყო. ბუნდოვნად მახსენდება, რომ ის ბანკის, ან საგადასახადოს, ანდა რაღაც ასეთის, პროფესიული მოხელე იყო. ისინი კომპანიის კუთვნილ

სახლში ცხოვრობდნენ, სახლი ჩვეულებრივზე უფრო დიდი იყო, დასავლურ ყაიდაზე აშენებული, გარშემორტყმული დაბალი, ქვიანი კედლით. კედლის ზევით კი მარადმწვანე ბუჩქნარი, ღობესავით შემოვლებოდა და მასში, აქა-იქ დარჩენილი სიცარიელედან ილანდებოდა ლამაზი ბაღი, დიდი მწვანე მოლით.

შიმამოტო მაღალი გოგო იყო, თითქმის ჩემსიმაღლე, გამოკვეთილი სახის ნაკვთებით. ასეთი გარეგნობა კი იმის საწინდარი იყო, რომ რამდენიმე წელში ულამაზეს ქალად იქცეოდა. პირველად როცა შევხდი, მის სხეულს ჯერ კიდევ არ მიეღო, ის ფორმა, რაც მის ხასიათს უნდა შესაბამებოდა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სხეულის გამო, ის ბევრს მიმზიდველადაც კი არ მიაჩნდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ბავშური ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა, რაც დისჰარმონიაში იყო, უკვე ქალიშვილობაში შესულ მის სხეულთან. ამ დისჰარმონიის გამო შიმამოტოს ბევრი უხერხულობა ექმნებოდა.

ჩვენ სკოლაში მიღებული იყო, რომ ახალ მოსწავლეზე ზრუნვა, მისსავე მეზობლად მცხოვრებ მოსწავლისთვის მიენდოთ და რადგან ჩვენი სახლები გვერდიგვერდ იდგა, ის სკოლაში მოსვლისთანვე, დროებით ჩემს გვერდით დასვეს. ახალმოსულს ვუხსნიდი სკოლური ცხოვრების თავისებურებებს: თუ რა სახელმძღვანელოები დასჭირდებოდა, რა საკონტროლოები ექნებოდა კვირის მანძილზე დასაწერი, გაკვეთილებზე რა უნდა მოეტანა, თვითეული სახელმძღვანელოდან რა მასალა უნდა ესწავლა, კლასი როგორ უნდა დაგველაგებინა და სასადილოში როდის მოუწევდა მორიგეობა. მასწავლებელმა საგანგებოდ მთხოვა, რომ შიმამოტოს, კოჭლობის გამო განსაკუთებულად მოვფრთხილებოდი.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საპირისპირო სქესის თერთმეტი-თორმეტი წლის ასაკის ბავშვებში, ჩვენც დასაწყისში გვიჭირდა საერთო ენის გამონახვა, მაგრამ როგორც კი გავიგეთ რომ ორივე დედისერთები ვიყავით, უხერხულობა გაქრა. აქამდე ხომ არავინ გვენახა სხვა დედისერთა. ორივეს დედმამიშვილის უქონლობით გამოწვეული განცდები გვტანჯავდა და ამის გამო უამრავი სათქმელი დაგვგროვებოდა. სახლში ძალიან ხშირად ერთად ვბრუნდებოდით. გზად კილომეტრი მაინც უნდა გაგვევლო და მისი დაზიანებული ფეხის გამო ნელა მოვდიოდით. დრო უამრავ რამეზე საუბრით გაგვყავდა. რაც მეტს ვსაუბრობდით, მით მეტად ვრწმუნდებოდით, რომ ძალიან ბევრი რამ გვქონდა საერთო, დაწყებული წიგნებისა თუ მუსიკის სიყვარულით და კატებთან თამაშით დამთავრებული. ორივეს გვიჭირდა სხვებთან ჩვენი გრძნობების გამჟღავნება. ორივეს საჭმელთა გრძელი ჩამონათვალი გვქონდა, რომელთა მიღებაც არაფრით არ გვსურდა. რაც შეეხებოდა სასკოლო საგნებს, არანაირი პრობლემა არ გვქონდა, იმ საგნებში რომლებიც მოგვწონდა, მაგრამ იყო საგნებიც, რაც არ მოგვწონდა და მათი მომზადება ჭირის დღესავით გვეჯავრებოდა. ოღონდ ერთი არსებითი განსხვავება იყო ჩვენს შორის: ჩემგან განსხვავებით შიმამოტო ცდილობდა ესწავლა ის საგნებიც, რაც არ მოსწონდა. ამას ის მთელი შეგნებით აკეთებდა და დიდი წარმატებითაც. მას ყველაფერში კარგი ნიშნები ჰქონდა. როცა სკოლის სასადილოში, იმ კერძს სთავაზობდნენ, რაც არ მოსწონდა, ის მაინც სჭამდა. სხვა სიტყვებით, მას ჩემზე ბევრად მაღალი, დამცავი კედელი შემოევლო, თუმცა ის, რაც კედლის შიგნით იყო, საოცრად მაგონებდა საკუთარ თავს.

შიმამოტოსთან ყოფნის დროს სიმშვიდე მეუფლებოდა. ასეთი რამ, ადრე არც ერთ სხვა გოგონასთან არ მიგრძვნია. მსიამოვნებდა მასთან ერთად სკოლიდან დაბრუნება, გვერდით ოდნავ მძიმედ რომ მომყვებოდა. ხშირად შუაგზაზე სკამზე ჩამოჯდებოდა და ისვენებდა, ეს მე არ მაწუხებდა. სიმართლე გითხრათ, მსიამოვნებდა კიდეც, რადგან უფრო მეტ ხანს ვიქნებოდით ერთად. მალე

ერთმანეთის გვერდით, უფრო და უფრო მეტ დროს ვატარებდით. არ მახსენდება ამის გამო ვინმეს რომ გამოეჯავრა ჩვენთვის. ეს ამბავი მაშინ არ მაოცებდა, ეხლა კი უცნაურად მეჩვენება, რადგან იმ ასაკის ბავშვებისთვის ნიშანდობლივია, დასცინონ ადრეულად დაახლოებულ წყვილებს. ამის მიზეზი ალბათ შიმამოტოს მტკიცე ხასიათი იყო. მის გვერდით სხვები ხომ შეზღუდულად გრძნობდნენ თავს და ამჯობინებდენ ამ გოგოსთან სისულელე არ წამოეროშათ. ზოგჯერ მეჩვენებოდა მასწავლებლებიც კი იძაბებოდნენ მის გვერდით, რაც შეიძლება მისი ფიზიკური ნაკლით იყო გამოწვეული. ასე იყო თუ ისე, ბევრნი ფიქრობდნენ შიმამოტოს გამოჯავრება არ შეიძლებაო, რაც მე ძალიან მაწყობდა.

სპორტის გაკვეთილების დროს მაყურბელთა ადგილას იჯდა, ხოლო როცა ჩვენი კლასი მთის დასალაშქრავად მიჰყავდათ, ის სახლში რჩებოდა. ასევე იქცეოდა მაშინაც, როცა საცურაოდ მივყავდით. ყოველწლიური სპორტული შეჯიბრების დღეებში, თავს ალბათ ვერ გრძნობდა კარგად, მაგრამ თუ არ ჩავთვლით, ამ რამდენიმე დღეს, მისი სასკოლო ცხოვრება, სხვათაგან არ გამოირჩეოდა. არ მახსენდება, როდისმე რაიმე ეთქვას, ფეხთან დაკავშირებულ პრობლემაზე. ყოველ შემთხვევაში, მე არც ერთი საუბარი არ მახსენდება. სკოლიდან წამოსულებს, არასდროს მოუბოდიშებია, მის გამო რომ ვყოვნდებოდით. არც სახეზე შემიმჩნევია, თუ სწუხდა ამის გამო, ოღონდ მშვენივრად ვხდებოდი, რომ ყოველთვის თავის ფეხზე ფიქრობდა და სწორედ ამის გამო მასზე არასდროს ლაპარაკობდა. არ უყვარდა სხვა ბავშთა სახლებში სტუმრობა, რადგან იაპონური წესისამებრ, მას შესასვლელშივე ფეხსაცმელი უნდა გაეხადა, არადა ქუსლებს ერთნაირი სიმაღლე არ ჰქონდათ. და ფეხსაცმლებიც ერთნაირად არ გამოიყურებოდნენ, ეს კი სულაც არ უნდოდა, სხვებს რომ შეემჩნიათ. ფეხსაცმელს ეტყობოდა სპეციალური შეკვეთით უმზადებდნენ. სახლში მისული პირველი რასაც აკეთებდა, ის იყო, რომ ფეხსაცმელს იხდიდა და სასწრაფოდ კარადაში აწყობდა.

შიმამოტოს სახლში, საცხოვრებელ ოთახში, სრულიად ახალი სტერეო ფირსაკრავი იდო და მე იქ ხშირად შევდიოდი მუსიკას მოსასმენად. სტერეო ფირსაკრავი მართლაც, რომ საუცხოო ხარისხის იყო, რასაც ვერ იტყოდით, მამამისის მიერ ნაყიდ გრამფირფიტებზე. სულ თხუთმეტიოდე გრამფირფიტა თუ ექნებოდათ, მსუბუქი მუსიკის იაფი კოლექცია. თხუთმეტივე მათგანისთვის, ათასჯერ მაინც მოგვესმინა, ეხლაც კი მახსოვს ის მუსიკა, არც ერთი ნოტი არ დამვიწყებია.

საკრავ მოწყობილობას ყოველთვის შიმამოტო დასტრიალებდა. დისკს ფრთხილად იღებდა კონვერტიდან და სათუთად სდებდა დასაკრავად, ამასთან ცდილობდა გრამფირფიტის საკრავ ნაწილს თითებით არ შეხებოდა. ნემს გრამფირფიტაზე მხოლოდ მაშინ დებდა, როცა დარწუნდებოდა რომ ის მტვრისგან თავისუფალი იყო. ჩანაწერის მოსმენის მერე გრამფირფიტას ჯერ სულს შეუბერდა, მერე ნაჭრით დადაწმენდა, კონვერტში აბრუნებდა და თაროზე შემოდებდა ხოლმე, სადაც ყველა გრამფირფიტას თავისი ადგილი ჰქონდა. ეტყობოდა ეს პროცედურა მამას ესწავლებინა მისთვის და ისიც, მას მთელი სერიოზულობით ასრულებდა, რაც მის სახეზეც აისახებოდა, თვალები უვიწროვდებოდა და დაძაბულობისგან სუნთქვა ეკვროდა. იმ დროს, სავარძელში მჯდომარე, მის ყველა მოძრაობას ვუთვალთვალებდი. ის კი, მხოლოდ მას მერე, როცა დარწმუნდებოდა, რომ გრამფირფიტა თაროს უვნებლად დაბრუნებულიყო, ჩემსკენ მობრუნდებოდა და ოდნავ გამიღიმებდა. ამ დროს ყოველთვის ერთი და იგივე ფიქრი გამიელავდა: ის, რასაც ასე ელოლიავებოდა, გრამფირფიტა კი არ იყო, არამედ ჭურჭელში გამომწყვდეული მისი სამშვინველი.

სახლში, ჩვენ არც გრამფირფიტები გვქონდა და არც სტერეო ფირსაკრავი. ჩემს მშობლებს მუსიკა სულაც არ აინტერესებდათ. მე კი მუსიკას პატარა, პლასტმასის რადიოთი ვუსმენდი, რომელიც მარტო საშუალო ტალღებს იჭერდა. როკენროლი ყველაზე მეტად მომწონდა, მაგრამ მალე

შიმამოტოსთან მოსმენილ კლასიკურ მუსიკასაც გავუგე გემო. ის იყო სულ სხვა სამყაროდან მოსული მუსიკა და თავისი განუმეორებელი მიზიდულობა ჰქონდა, ოღონდ მე ის მუსიკა იმის გამო უფრო მიყვარდა, რომ "ის" ნაწილი იყო იმ სამყაროსი. კვირაში ერთხელ, ან ორჯერ მაინც, მე და შიმამოტო სავარძლებში მოკალათებულნი, ვსვამდით დედამისის მიერ ჩვენთვის დაყენებულ ჩაის და ვუსმენდით როსინის უვერტურას, ბეთჰოვენის "პასტორალს", ანდა სულაც "პერ გიუნტ" სუიტას. დედამისს მოსწონდა ხშირად რომ ვსტუმრობდი, სიამოვნებდა ახალ სკოლაში გადასულ მის ქალიშვილს, ასე მალე მეგობარი რომ გაეჩინა. დარწმუნებული ვარ, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იმ დღეებისთვის, საგანგებოდ ვიყავი ხოლმე გამოწყობილი. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება იმის თქმა, რომ დედამისი მეც მომწონდაო. არა, არანაირი საგანგებო მიზეზი მის შესაძულებლად არ მქონია, დედამისი ხომ ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ, მაგრამ რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ მის ხმაში გაღიზიანებული ადამიანის ტონმა გაიჟღერა და ამის შემდეგ თავს იქ მოუსვენრად ვგრძნობდი ხოლმე.

მამამისის ყველა გრამფირფიტადან, ერთი გამორჩეულად მომწონდა. მასზე იყო ჩაწერილი ლისტის საფორტეპიანო კონცერტები, თითო კონცერტი გრამფირფიტის თითოეულ მხარეს. ეს გრამფირფიტა ორი რამის გამო მომწონდა, ჯერ ერთი, ის ძალიან ლამაზ კონვერტში იდო. მეორეც, რამდენადაც ვიცოდი, ჩემი ნაცნობებიდან არავის, რა თქმა უნდა შიმამოტოს თუ არ ჩავთვლით, ლისტის საფორტეპიანო კონცერტები არასდროს არ მოესმინა. ამ ფაქტის მარტო წარმოდგენაც კი მაამაყებდა. მე ხომ ისეთ სამყაროში შევაბიჯე, სადაც ჩემი ნაცნობები არასდროს ყოფილან, თითქოს საიდუმლო ბაღი ყოფილიყოს, სადაც შესვლის ნება მხოლოდ მე დამრთეს. ვუსმენდი და ვგრძნობდი, ზევით როგორ ვიწეოდი, როგორ ავდიოდი არსებობის ახალ დონეზე.

რა თქმა უნდა, მუსიკაც თავისთავად მომაჯადოებელი იყო. თავიდან ის გაზვიადებული, ხელოვნური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილებისგან შედგენილი მეჩვენებოდა, მაგრამ ნელნელა, თანდათანობით, ხშირი მოსმენის შემდეგ, ჩემს წარმოდგენაში, ჯერ ბუნდოვანი, ხოლო შემდეგ ჩამოყალიბებული და გააზრებული ფორმა მიიღო. როცა თვალდახუჭული, მუსიკას გულისყურით ვუსმენდი, ამ ბგერების ფონზე, მორევს ვხედავდი. ჯერ კიდევ ახალ გაჩენილ წყლის ჭავლს, მეორე უფრო მაღალი ჭავლი მოსდევდა, ხოლო მას მალევე მესამე. დღევანდელი გადასახედითან ცხადია, რომ მორევები და წყლის ჭავლები განყენებული, აბსტრაქციების გამოხატულებანი იყვნენ. მახსოვს, შიმამოტოსთან, მაშინ ყველაზე მეტად, მათზე მინდოდა მესაუბრა, მაგრამ სალაპარაკო ენა უძლური იყო საამისოდ, საჭირო იყო სრულიად ახალი სიტყვები, რომ გამომეთქვა ის, რასაც განვიცდიდი. მაშინ წარმოდგენაც კი არ შემეძლო, ასეთი სიტყვები თუ არსებობდნენ, თანაც არ ვიყავი დარწმუნებული, საერთოდ თუ ღირდა იმ შეგრძნების სიტყვებით გადმოცემა. სამწუხაროდ მახსოვრობამ ვერ შემომინახა, იმ პიანისტის გვარი. რაც კარგად მახსოვს ეს არის იმ დისკის ლამაზი, ფერადი კონვერტი და თვითონ გრამფირფიტის წონა, ის სრულიად გაუგებარ მიზეზთა გამო, საგრძნობლად მძიმე და ზედმეტად მასიური იყო.

მისი სახლის გრამფირფიტების კოლექციაში იყო ნათ კინგ კოულის და ბინ კროსბის თითო დისკი. ორივეს ხშირად ვუსმენდით. კროსბის დისკზე საშობაო სიმღერები იყო ჩაწერილი, მაგრამ მას წლის ყველა დროს ვუკრავდით. საოცარია, როგორ შეგვეძლო ასეთი სიმღერების გაუთავებლად მოსმენა.

შობა უკვე მოახლოებულიყო, როცა გვიანი დეკემბრის ერთ დღეს, შიმამოტო და მე სავარძელში ჩვეულებისამებრ მოვეწყეთ და გრამფირფიტებს ვუსმენდით. დედამისი რაღაც საქმეზე იყო სახლიდან გასული და ჩვენ მარტონი ვიყავით. ზამთრის მოღრუბლული და მოქუფრული დღე იდგა.

მზის სხივები ძლივს არღვევდნენ მძიმე ღრუბლებს და ჰაერში ირიბ ნათელ ზოლებს სტოვებდნენ. ირგვლივ სიბნელე და უღიმღამობა სუფევდა. შებინდდა. ოთახი სულ ჩამობნელდა, თითქოს უკუნი ღამე ყოფილიყოს. მხოლოდ პარაფინის გამათბობელი გამოსცემდა მკრთალ შუქს. ნათ კინგ კოული მღეროდა " Pretend" . რა თქმა უნდა მაშინ წარმოდგენა არ გვქონდა სიმღერის შინაარსზე და მას როგორც სასიამოვნო მელოდიას აღვიქვამდით. სიმღერა საკმაოდ მომწონდა და იმდენჯერ მქონდა მოსმენილი რომ შემეძლო მისი დასაწყისი სიტყვების წამღერება:

Pretend you're happy when you're blue,

It isn't very hard to do.

ეს სიმღერა მუდამ მომღიმარ შიმამოტოს სახეს მახსენებს და ამიტომაც ორივე ერთმანეთთან დაკავშირებულ მოგონებად მექცა. როგორც ვხდებოდი, სიმღერა ცხოვრების მიმართ თავისებურ დამოკიდებულებას გვთავაზობდა, ოღონდ მაშინ, ამ წესით ცხოვრება შეუძლებლად მეჩვენებოდა.

შიმამოტოს ყელთან მრგვლად ამოჭრილი ლურჯი სვიტერი ეცვა. კარგად მახსოვს რამდენიმე ასეთი სვიტერი ჰქონდა. ეტყობოდა ლურჯი ფერი ძალიან მოსწონდა, თუმც შეიძლება მათ სულაც იმიტომ იცვამდა, რომ ისინი უხდებოდნენ მის მუქ-ლურჯ პალტოს, რომლითაც სკოლაში დადიოდა. სვიტერიდან თეთრი საყელო მოუჩანდა. ამ ყველაფერს კი ამშვენებდა კუბოკრული ბოლოკაბა და თეთრი ბამბის წინდები. მსუბუქი, ოდნავ შემოჭიმული სვიტერი, შესამჩნევს ხდიდა მის ახლად ამოზნექილ მკერდს. შიმამოტომ ფეხები შემოიკეცა და სავარძელში მოკალათდა. სავარძლის ზურგს მიყრდნობილი, სადღაც შორს იყურებოდა და მუსიკას ისე უსმენდდა.

“როგორ ფიქრობ, მართალნი არიან როცა ფიქრობენ, რომ დედისერთა ბავშვთა მშობლები ერთმანეთში არც ისე კარგად არიანო?” შეკითხვით მომმართა.

დავფიქრდი ერთხანს, მაგრამ ერთმანეთთან მიზეზობრივი კავშირი ვერ დავინახე, ვერც შესაძლო ეფექტი წარმოვიდგინე. “ეს სადღა მოისმინე?” იქით დავუბრუნე კითხვა.

“დიდი ხნის წინათ ნაცნობმა მითხრა: როცა ცოლ-ქმარი კარგად ვერ ეწყობიან ერთმანეთს, ისინი ერთი ბავშვით კმაყოფილდებიანო. მაშინ ამის მოსმენამ ძალიან დამაღონა.”

გაოცებისგან უცნაური ბგერები ამოვუშვი.

“შენი დედ-მამა ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ?”

მე უცბად ვერ ვუპასუხე. ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ.

“დედა ფიზიკურად სუსტია” ვუპასუხე. “არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ მგონია რომ მეორე ბავშვი, მისთვის მეტისმეტად ძნელი იქნებოდა”.

“დაფიქრებულხარ თუ რა მოხდებოდა და, ან ძმა რომ გყოლოდა?”

“არა”.

“კი მაგრამ რატომ? რატომ არ დაფიქრებულხარ?”

კონვერტი ავიღე რაშიც დისკი იდო, იმდენად ბნელოდა, რომ შეუძლებელი იყო მასზე წარწერის გარჩევა. კონვერტი უკანვე დავდე და თვალები მაჯით რამდენჯერმე მოვისრისე. ერთხელ დედამ

უკვე დამისვა იგივე შეკითხვა. მაშინ ჩემმა პასუხმა, ის არც გაახარა და არც დაანაღვლინა. მას უბრალოდ გაუკვირდა. არადა სრულიად გულახდილად ვუპასუხე და რაც მთავრია, საკუთარ თავთან მართალი ვიყავი. მაშინ რისი თქმაც მინდოდა, ვერ მოვახეხერხე წესიერად ამეხსნა, რადგან შესაფერისი სიტყვების ვერ ვიპოვე. არადა მინდოდა მეთქვა, რომ მე და-ძმის გარეშე გავიზარდე და ასეთად უკვე ჩამოვყალიბდი. თუ და, ან ძმა მეყოლებოდა, მე უკვე ის არ ვიქნებოდი, რაც ეხლა ვარ, ამიტომ არაბუნებრიავია, ვიფიქრო იმაზე, თუ რა მოხდებოდა, ისინი რომ მყოლოდა. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვა, მომეჩვენა, რომ დედის შეკითხვა, აზრს მოკლებულიყო.

იგივე პასუხი გავეცი შიმამოტოსაც. სანამ ვლაპარაკობდი, დაჟინებით, თვალმოუწყვეტლივ მიყურებდა. სახის გამომეტყველებაში, რაღაც ჰქონდა ისეთი, რაც ხალხს იზიდავდა. დიდი ხნის შემდეგღა მივხდი, რომ როგორც ვარდის ყვავილს, სათითაო ფოთოლს რომ გააცლიან ხოლმე, შიმამოტოც ისე, ფენა-ფენად, აცლიდა იმ უფაქიზეს გარს, რაშიაც ადამიანის გულია გახვეული. სახის გამომეტყველების ყოველ ცვლილებას, ტუჩების ოდნავი მოძრაობით გამოხატავდა. ძლივს შევძელი, მის თვალთა სიღრმეში გაელვებული შუქის შემჩნევა, რომელიც ვიწრო ოთახში, მოციმციმე პაწია სანთელს უფრო ჰგავდა.

“ ვფიქრობ მიგიხვდი რისი თქმაც გსურდა.” მითხრა წყნარი ხმით.

“მართლა?”

“აჰა! ამ ქვეყნად ზოგი რამის შეცვლა შესაძლებელია და ზოგისა კი არა. დრო კი ისეთია, რასაც უკან ვერ დააბრუნებ. მოხდა რაღაც და მორჩა! ვეღარაფერს იზავ. განა, ასე არაა”?

დავეთანხმე.

“გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მომხდარი უკვე სიმყარეს იძენს, აი ისე, ცემენტი რომ მაგრდება ხოლმე და ამიტომ მომხდარს ვეღარ შეცვლი. შენ იმის თქმა გინდოდა, რომ ცემენტი, რომლითაც შენ ხარ შექმნილი, უკვე გამყარდა და შენ უკვე, შენ ხარ და სხვა ვეღარ იქნები.”

“მგონია მართლაც მაგის თქმა მინდოდა.” გაუბევად მივუგე მე.

შიმამოტო ერთხანს ხელებს დაჰყურებდა.

“იცი? ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, თუ როგორი ვიქნები, როცა გავიზრდები და გავთხოვდები, ან როგორ სახლში ვიცხოვრებ, ანდა რას ვისაქმიანებ და კიდევ რამდენი შვილი მეყოლება.”

“ ვაუ!!!”

“შენ? შენ თუ როდისმე გიფიქრია ამაზე?”

თავი გავაქნიე უარის ნიშნათ. განა ბიჭები 12 წლის ასაკში ასეთ რამეებზე ფიქრობენ?

“და რამდენი შვილი გინდა რომ გყავდეს?”

აქამდე ხელი სავარძლის ზურგზე ედო და ეხლა კი მუხლზე დაიდო. დაბნეული ვუყურებდი, თუ თითს როგორ ამოძრავებდა ბოლოკაბის უჯრედების გასწვრივ. რაღაც ძალიან საგულისხმო ხდებოდა, თითქოს მისი თითებიდან გამოსული უხილავი ძაფები, ერთმანეთში იბურდებოდნენ და ერთი ძველი მითისა არ იყოს, სრულიად ახალ დროს ჰქმნიდნენ. თვალები დავხუჭე და სიბნელეში, ჩემს თვალწინ მორევთა ნაკადი გამოჩნდა. უთვალავი მორევი, გამოჩენისთანვე

უჩუმრად გაქრა. სადღაც შორს, ნათ კინგ კოული მღეროდა “ South of the Border”. მექსიკაზე მღეროდა, მაგრამ მაშინ ამაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. სიტყვები South of the Border ჩემთვის უცნაურად მიმზიდავად ჟღერდა. დარწმუნებული ვიყავ, რაღაც მიმზიდველი, მართლაც რომ იდო სამხრეთით, საზღვრის მიღმა. თვალები როცა გავახილე, შიმამოტო თითებს ისევ ისე ამოძრავებდა უჯრედების გასწვრივ. სადღაც შიგნით, სიღრმეში მოტკბო-მომწარე ტკივილი ვიგრძენი.

“უცნაურია, მაგრამ როცა ბავშვებზე ვფიქრობ ერთზე მეტი ვერაფრის დიდებით ვერ წამომიდგენია. შვილი რომ მყავდეს, ეს ადვილი წარმოსადგენია! აი, ვითომ დედა ვარ და ბავშვი მყავს! ეს უპრობლემოდ შემიძლია წარმოვიდგენო, მაგრამ ვერ წამომიდგენია ბავშვს ან და, ან ძმა რომ ჰყავდეს. ის ჩემს წარმოდგენაში აუცილებლად დედისერთაა”.

ეჭვსგარეშეა ნაადრევად დაქალიშვილებულიყო. დარწმუნებული ვარ, მოვწონდი კიდეც, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენელი და რაღა თქმა უნდა პირიქითაც, მეც ის ძალიან მომწონდა, მაგრამ იმ ასაკში ვიყავი, რომ წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ რა უნდა მექნა ამ გრძნობებისთვის. ვგონებ ეს არც შიმამოტომ იცოდა. ჩვენი ხელები მხოლოდ ერთხელ შეეხნენ ერთმანეთს. ერთხელ სადღაც მიმიძღოდა და ხელში ჩამავლო, თითქოს უნდოდა ეთქვა "აქეთკენ, სწრაფად!" ჩვენი ხელები სულ ათიოდე წამით შეერთდნენ, მაგრამ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ნახევარი საათი მაინც გასულიყოს. როცა ხელი შემიშვა, მაშინვე მოვეშვი. ყველაფერი ძალიან ბუნებრივად გამოუვიდა, ხელი თითქოს სრულიად შემთხვევით მომკიდა, მაგრამ ვგრძნობდი, კვდებოდა, ისე მოუნდა შემხებოდა.

გრძნობას, რაც მისი ხელის შეხებამ დამიტოვა, არასდროს მივუტოვებივარ. ის ხომ ასე განსხვავდებოდა ყველა სხვა ხელისაგან, რაც კი ოდესმე ხელში მჭერია, ყველა შეხებისაგან, რაც კი მქონია. ჰო, თორმეტი წლის გოგოს პატარა, თბილი ხელი. ოღონდ ეგაა, მისი თითები და ხელისგული შეიცავდა ყველაფერს, რაც კი მინდოდა მცოდნოდა და რაც აუცილებლად უნდა მცოდნოდა. თავისი ხელით, ჩემსაზე შეხებით, მან გამაგებინა და დამანახა მათი არსებობა, ჩვენი რეალური სამყაროს გვერდით. იმ ათიოდე წამის მანძილზე, პაწია ჩიტად გადავიქეცი, რომელიც ჰაერში აიჭრა და ქარივით მიფრინავდა. ციდან თვალსაწიერი გამიფართოვდა, მაგრამ სიშორის გამო სიცხადე დავკარგე, იმასაც მივხდი, რომ ერთხელაც იქნებოდა, იქ აუცილებლად მივაღწევდი. ამ ხილვამ სუნქთვა შემიკრა და მკერდში ტკივილი ვიგრძენი.

სახლში დაბრუნებული, მაგიდას მივუჯექი და დიდხანს დავცქეროდი ჩემს თითებს, ეხლახანს, რომ ეჭირათ შიმამოტოს ხელებს. მისი ხელის, ჩემს ხელზე მოჭერით, აღტაცებული ვიყავი. მისი ნაზი თითების კვალი, კიდევ მრავალ დღეს მითბობდა გულს. იმავდროულად გვარიანად შეცბუნებული და ცოტა არ იყოს სევდიანი, ვეკითხებოდი საკუთარ თავს: რა უნდა მოვუხერხო ამ სითბოს?

დაწყებითი სკოლის დამთავრების მერე, ჩემი და შიმამოტოს გზები გაიყარა. ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდა. სხვა ქალაქი კი ვთქვი, მაგრამ სინამდვილეში, სადაც ადრე ვცხოვრობდით, იქ ჩასასვლელად, მატარებლის სულ ორი გაჩერება იყო საჭირო და ჩვენი გადასვლიდან პირველი სამი თვის მანძილზე, მას სამჯერ თუ ოთხჯერ მივაკითხე, ოღონდ მეტჯერ აღარ. ორივე ისეთ ასაკში ვიყავით, რომ სხვადასხვა სკოლაში სიარულმა და ორი გაჩერებას იქით საცხოვრებლად გადასვლამ, ისე შეცვალა ჩვენი ცხოვრება, თითქოს სხვა სამყაროში მოვხვედრილიყავით: ახალი ამხანაგები, ახალი სასკოლო ფორმა და ახალი სახელმძღვანელოები. უცბად დამეწყო სწრაფი ცვლილებები, ტანი სხვანაირი გამიხდა, ხმაც. სამყაროსაც სხვანაირად დავუწყე ყურება და ადრინდელი გულითადი დამოკიდებულება დაგვერღვა. შიმამოტოც, რა თქმა უნდა, ცვლილებებს განიცდიდა, როგორც სხეულით, ასევე ფსიქოლოგიურად. ეს ყველაფერი მაფორია-

ქებდა. დედამისმაც უცნაურად დამიწყო ყურება. თითქოს ამბობდა: "*რატომ აგრძელებს ეს ბიჭი ჩვენთან სტუმრობას ? ის ხომ აქ უკვე აღარ ცხოვრობს და თანაც სხვა სკოლაში გადავიდა*", ან იქნებ, არც უთქვამს მას არაფერი ამის მსგავსი და მე ზედმეტად მგრძნობიარე ვიყავი.

ასე დავშორდით მე და შიმამოტო. გავიზარდეთ და ჩვენი უშუალო და გულწრფელი ურთიერთობაც დამთავრდა. მას აღარ ვნახულობდი. ეს ალბათ შეცდომა იყო (თუმცა დანამდვილებით ამის თქმა არ შემიძლია და არც ჩემი მახსოვრობის ყველა შრის მონახულება მაქვს განზრახული, რათა დავადგინო, თუ რა იყო, სწორე გადაწყვეტილება და რა მცდარი). სულ მის ახლოს უნდა ვყოფილიყავი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. მე ხომ ის მჭირდებოდა და მასაც ვჭირდებოდი! მაშინ ზედმეტად მორცხვი ვიყავი და პატარა რამესაც, კი შეეძლო გულისტკენა. ჰო, მას მერე აღარ მინახავს. მხოლოდ ძალიან დიდი ხნის შემდეგ შევხდი ხელახლა.

ჩვენი შეხვედრების შეწყვეტის მიუხედავად, მასზე მუდამ სათუთად ვფიქრობდი. ზრდასრულობაში შესვლა ხშირად ბევრ ტკივილთან იყო დაკავშირებული და ასეთ დროს მასზე მოგონებები მამხნევებდნენ და მამშვიდებდნენ. ძალიან დიდი ხნის მაძილზე მას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩემს გულში. როგორც რესტორნის მეპატრონე, კუთხში მაგიდას, წარწერით “დაკავებულია”, უნახავს მისთვის ცნობილ მუშტარს, ისევე ვუნახავდი მას ადგილს ჩემს გულში, იმის მიუხედავად, რომ დარწმუნებული ვიყავი, შიმამოტოს აღარასოდეს ვნახადი.

როცა მას ვხდებოდი თორმეტის წლისა ვიყავი, ნამდვილი სექსუალური სურვილების გარეშე. რა თქმა უნდა ჩემთვის უცხო არ ყოფილა იმაზე ფიქრი, თუ რატომ ჰქონდა მკერდი ამობურთული, ან ბოლოკაბის შიგნით ნეტა რას მალავსო, მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა, სინამდვილეში ეს რას ნიშნავდა და რა შედეგი შეეძლო გამოეღო ამაზე ფიქრს.

თვალდახუჭულს, წარმომედგინა ადგილი ერთი. ჩემს წარმოდგენებში ის ადგილი არ იყო სრული. ის იყო დაბურული, გაურკვეველი, ბუნდოვანი მონახაზებით. მიუხედავად ამისა დარწმუნებული ვიყავი იქ, ჩემი სიცოცხლისთვის, სრულიად აუცილებელი რამ მელოდებოდა. ისიც ვიცოდი, რომ შიმამოტოც იგივეს მზერდა.

ჩვენ, ორივე, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელნი ვიყავით, როცა სრულიად მოულოდნელი და ჯერ კიდევ გასათავისებელი გრძნობა გვეწვია, გრძნობებით სავსენი, ერთარსად ვიქეცით და იმ კარის წინ აღმოვჩნდით, რომელიც მანამდე არ შეგვემჩნია. მკრთალი შუქის ფონზე პირისპირ დარჩენილებმა, ერთმანეთის ხელებს ჩავაფრინდით, სულ რაღაც ათიოდე წამით.

თავი მეორე

უფროს კლასებში სხვათაგან აღარ გამოვირჩეოდი. ეს იყო ცხოვრების მეორე საფეხური, ახალი ნაბიჯი, ჩემი, როგორც პიროვნების განვითარებაში, როცა ჩემს გარიყულობაზე ფიქრი შევწყვიტე და ნორმალურ ადამიანად ვიგრძენი თავი. რა თქმა უნდა პრობლემები კვლავაც ბევრი მქონდა, მაგრამ ვინაა, 16 წლის ასაკში მათგან თავისუფალი? ნელ-ნელა ცხოვრებას ვიღებდი ისეთს, როგორიც ის იყო და ცხოვრებაც უფრო გამიადვილდა.

როცა 16 წლის გავხდი, ჩემზე უკვე ვეღარ იტყოდით დონდლო, დედიკოს ბიჭიაო. ახალ სკოლაში გადასვლისთანავე ცურვაზე დავიწყე ვარჯიში, კროლის სტილში დავოსტატდი. აუზი ჩვენს სახლიდან ახლოს იყო, კვირაში ორჯერ მივდიოდი იქ და გრძელ მანძილზე ვცურავდი. მხრები და მკერდის არე გამიფართოვდა, კუნთები დამეჭიმა და გამიმაგრდა. აღარ ვიყავი სუსტი ბავშვი, წარამარა რომ ცივდებოდა. ხშირად აბაზანაში შესული, სარკის წინ ვდეგებოდი და შევყურებდი ჩემს შიშველ სხეულს, საგულდაგულოდ ვათვალიერებდი სხეულის ყოველ ნაწილს.

თითქმის ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა სხეულის სწრაფი ცვლილებები, რაც ძალიან მომწონდა. იმას კი არ ვამბობ, თითქოს დიდობაში შესვლით აღფრთოვანებული ვყოფილიყავი, ზრადასრულობაში შესვლაზე მეტად, ჩემში მიმდინარე განუწყვეტელი ცვლილებები მომწონდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხვა ვინმე ვხდებოდი.

წიგნების კითხვა და მუსიკის მოსმენა მიყვარდა. წიგნები ყოველთვის მიტაცებდა და ეს შიმამოტოსთან მეგობრობამ კიდევ უფრო გამიმტკიცა. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გავხდი, ვკითხულობდი ყველაფერს, რაც კი ხელში მომხვდებოდა. თუკი წიგნის კითხვას დავიწყებდი, აუცილებლად ბოლომდე უნდა ჩამემთავრებინა. კითხვა ნარკოტიკივით მოქმედებდა, ვკითხულობდი ყველგან და ყოველთვის: ჭამის დროსაც და მატარებლით მგზავრობისაც, ლოგინში მწოლარე, შუაღამემდე. თქვენ წარმოიდგინეთ, გაკვეთილების დროსაც კი ვკითხულობდი, წიგნს ისე ვმალავდი რომ შემძლებოდა მალული კითხვა. მომცრო, სტერეო ფირსაკრავი, უკვე კარგა ხნის ნაყიდი მქონდა და ჩემს ოთახში ჯაზს დიდხანს ვუსმენდი. არანაირი სურვილი არ მქონდა ვიმესთვის გამეზიარებინა, ის განცდები, რაც წიგნების კითხვისა, თუ მუსიკის მოსმენისას მეუფლებოდა. საკმაოდ ბედნიერი ვიყავი საკუთარ თავთან მარტო ყოფნით. თამამად შეგეძლოდ ჩემთვის ამპარტავანი და კუდაბზიკა გეწოდებინათ. არ მიყვარდა გუნდური თამაშობანი, მეჯავრებოდა ყოველნაირი შეჯიბრება, როცა სხვებზე მეტი ქულები უნდა მოგეგროვებინა, ამას ბევრად მერჩია, მარტოს მეცურა, სრულ სიჩუმეში.

ამასთან, არც მთლად მარტოსული ვიყავი. სკოლაში მეგობრები გამიჩნდნენ, თუმც არც ისე ბევრნი. სკოლა მეჯავრებოდა. მეჩვენებოდა, რომ იქ კლასელები ჩემს დაჩაგვრას ცდილობდნენ. ასე, რომ მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავ თავდაცვისათვის, ამის გამო უფრო გაბედული ვხდებოდი. მეგობრები რომ არ გამეჩინა, ყმაწვილკაცობის ეს წლები კიდევ უფრო მტკივნეული იქნებოდა.

რაც ცურვაზე დავიწყე სიარული, საჭმლის მიმართაც ნაკლებად აზიზი გავხდი და აღარც გოგონებთან საუბრისას ვიბნეოდი. შევამჩნიე, რომ სხვებზე, დედისერთას შთაბეჭდილებას, უკვე აღარ ვტოვებდი. აი ასე, გარეგნულად მაინც, გავთავისუფლდი დედისერთობით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესიდან.

ერთ გოგოსთანაც დავახლოვდი.

განსაკუთებული სილამაზით არ გამოირჩეოდა. არა, ნამდვილად არ იყო ისეთი გარეგნობის, დედას, სკოლელთა სურათების თვალიერებისას, სკოლის მშვენებად რომ მიეჩნია. თუმც გაცნობისთანავე, მეტად სასიამოვნო გოგოდ აღვიქვი. ფოტოზე არ ემჩნეოდა, მაგრამ აშკარად მეტად სათუთი და გულიანი გოგო იყო, რაც ყველას ძალიან ხიბლავდა. უმშვენიერესს ნამდვილად ვერ დაუძახებდით, მაგრამ მეც ხომ არ ვწყვეტდი, ცაზე ვარსკვლავებს?

ჩვენ ერთ კლასში ვსწავლობდით და ვხდებოდით გაკვეთილების შემდეგ, თავიდან სხვებთან ერთად, ხოლო მერე, მარტო ორნი. არ ვიცი რატომ, მაგრამ მის გვერდით, ყოველგვარი დაძაბულო-

ბა მიქრებოდა, შემეძლო მელაპარაკა ყველაფერზე, ის კი ყურადღებით მისმენდა. მე შეიძლება გატაცებით, რაღაც სისულელეზე მელაქლაქა, მისი სახის გამომეტყველებით, კი იფიქრებდით, რომ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გამეკეთებინოს, რომელიც მთლიანად შეცვლიდა ადამიანთა ცხოვრებას. ის შიმამოტოს შემდეგ, პირველი გოგონა იყო, ვისაც ჩემი ყოველი ნათქვამი აღაფრთოვანებდა. მეც არანაკლებ მაინტერესებდა ყველაფერი რაც მას ეხებოდა, რას ჭამდა ყოველდღიურად, ანდა, როგორ ოთახში ცხოვრობდა და ფანჯრებიდან რისი დანახვა შეეძლო.

მას იძუმი ერქვა, *''მომწონს შენი სახელი''* ვუთხარი პირველსავე შეხვედრისას. მისი სახელი "მთის წყაროს" ნიშნავდა. *"ცულს თუ ჩააგდებ წყაროში, ფერია ამოვა"* ვუთხარი ერთი ზღაპრის შთაბეჭდილებით. მას გაეცინა. იძუმის სამი წლით უმცროსი და და ხუთი წლით უმცროსი ძმა ჰყავდა. მამამისი კბილის ექიმი იყო. რასაკვირველია, საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ და ძაღლიცა ჰყავდათ. გინდა დაიჯერეთ და გინდა არა, მაგრამ ნაგაზს კარლს ეძახოდნენ, კარლ მარქსის საპატივცემულოდ. მამამისი, იაპონიის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. კომუნისტი კბილის ექიმები რომ შეგროვილიყვნენ ერთად, ალბათ ოთხი, მაქსიმუმ ხუთი ავტობუსი გაევსოთ. მესიამოვნა *ჩემი შეყვარებულის* მამა, ადამიანთა ასეთ იშვიათ კატეგორიას რომ მიეკუთვნებოდა. იძუმის მშობლები ჩოგბურთის დიდად მოყვარულნი იყვნენ და მათ ყოველ კვირადღეს ნახავდით ჩოგნებით ხელში კორტებისკენ მიმავალთ. ჩოგბურთზე შეშლილი კომუნისტი, კბილის ექიმი, მართლაც უიშვიათესობა იყო. იძუმის პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა, მაგრამ მშობლები ძალიან უყვარდა და მათი ხათრით ხშირად მიჰყვებოდათ კორტებზე სათამაშოდ. ცდილობდა მეც მეთამაშა, მაგრამ ჩოგბურთი არ იყო ჩემი საქმე.

ჩემი შურდა დედისერთა რომ ვიყავი. ის ვერც ძმას და ვერც დას ვერ ეწყობოდა. მას თუ დავუჯერებდით, ისინი უგულო იდიოტები იყვნენ და ოდნავადაც არ შეწუხდებოდა, თუ მათ აღარასოდეს ნახვადა. "ყოველთვის მსურდა დედისერთა ვყოფილიყავი" მითხრა ერთხელ, "მეცხოვრა ჩემი გემოვნებით და არავის შევეწუხებინე".

ჩვენი მესამე პაემნის დროს პირველად ვაკოცე. იმ დღეს ჩვენს სახლში მოვიდა. დედა საყიდლებზე იყო გასული, ასე რომ ხელს არავინ გვიშლიდა. როცა სახე მივუახლოვე და ტუჩებით შევეხე, თვალები დახუჭა და გაიტრუნა. იმ შემთხვევაში, თუ გაბრაზდებოდა, თავის გასამართლებლად რამდენიმე მიზეზი მქონდა მოფიქრებული, მაგრამ არცერთი ეს მიზეზი არ დამჭირვებია. ტუჩები არ მომიცილებია, ხელები შემოვხვიე და მივიზიდე. ზაფხულის მიწურული იყო და ზოლებიანი თხელი კაბა ეცვა. წელზე ქამრით გაბანტული, რომლის ბოლოებიც კუდივით ეკიდა. ხელებით შევეხე აზღუდის შესაკრავებს. კისერთან მისი სუნთქვა ვიგრძენი. აღგზნებისაგან გული ისე მიცემდა, თითქოს სხეულიდან უნდა ამომხტარიყო. ასო ამოსაფრქვევად გამზადებულიყო. მის ბაყვებს მივაჭირე. იძუმი ოდნავ მიიწია. ეტყობოდა თავს უხერხულად სულაც არ გრძნობდა.

სავარძელში ჩავჯექით ერთხანს და ერთმანეთს მჭიდროდ ვეკვროდით. ჩვენს პირდაპირ კატა მოკალათებულიყო სკამზე, თვალები გაახილა, ჩვენსკენ გამოიხედა, გაიზმორა და თვალები ისევ მილულა დასაძინებლად. თმაზე ვეფერებოდი და მის მომცრო, თხელ ყურებს ვკოცნიდი. ვხვდებოდი, რომ რაღაცა უნდა მეთქვა, მაგრამ თავში არაფერი მომდიოდა. ლაპარაკი კი არა, სუნთქვაც მიჭირდა. ისევ ავიღე მისი ხელი და კიდევ ერთხელ ვაკოცე. მერე დიდხანს ვსდუმდით ორივე.

სადგურზე გამოვემშვიდობე, მაგრამ ვერაფრით დავწყნარდი. სახლში დაბრუნებული დივანზე წამოვწექი და ჭერს მივაშტერდი. აზრები მერეოდა. მალე დედაც დაბრუნდა და ვახშმად მიმიხმო. საჭმელი ყველაზე ნაკლებად მადარდებდა იმ წუთას. უსიტყვოდ ავდექი და გავედი ქალაქში

სახეტიალოდ. უცნაური განცდებით ვიყავი სავსე. თითქოს აღარც მარტოხელა ვიყავი და თანაც მარტოსულობა ისეთი ძალით მომეძალა, როგორც არასდროს. ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს, სათვალე პირველად მეხმაროს და პერსპექტივა უცბად შემცვლოდეს. ვგრძნობდი შორეულ საგნებს რომ მივწდებოდი, ადრინდელი ბუნდოვანებაც სიმკვეთრეს ღებულობდა.

იმ დღეს, გამომშვიდობებისას, იძუმიმ მადლობა გადამიხადა და მითხრა რომ ბედნიერი იყო. რაღა თქმა უნდა, მეც გახარებული ვიყავ: დაუჯერებელი მომხდარიყო და გოგოს კოცნის ნება მოეცა, განა შეიძლება აღფრთოვანებული არ ვყოფილიყავ? ამის მიუხედავად ეს ბედნიერება არ იყო უპირობო. კოშკს ვგავდი, საძირკველი რომ გამოსცლოდა. ზეაჭრილს, სიშორის ცქერისას, წონასწორობა დამრღვეოდა. რატომ ის? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. რა ვიცი საერთოდ მასზე? რამდენჯერმე კი შევხვედრილვარ, გვისაუბრია კიდეც ცოტა ხნით და სულ ესაა. განერვიულებულს და აფორიაქებულს თავშეკავება მიჭირდა.

ეჰ, შიმამოტო რომ ყოფილიყო, ეჭვები არც კი გამიჩნდებოდა, ჩვენ ხომ ორივენი, უსიტყვოდ გავუგებდით ერთმანეთს, არც უხერხულობა და არც მწარე ფიქრები, არ შემაწუხებდა, მაგრამ შიმამოტო აღარ იყო ჩემს გვერდით. მას თავისი ცხოვრება ჰქონდა, მე კი ჩემი. შიმამოტოსა და იძუმის შედარება უაზრობა იყო. შიმამოტოსა და ჩემს შორის, სივრცე მძიმე კარებით ჩარაზულიყო, მე კი ახალ ცხოვრებაში ადგილი უნდა მეპოვნა.

  აღმოსავლეთით ცა მზის სხივებისგან ალაჟვარდდა, მე კი ისევ მეღვიძა. წავთვლიმე ორიოდე საათით, შხაპი მივიღე და სკოლას მივაშურე. წინადღით, ჩვენს შორის მომხდარზე, მსურდა იძუმის დავლაპარაკებოდი და მას ძებნა დავუწყე. მსურდა პირდაპირ ეთქვა, რომ ჩემდამი მისი გრძნობები არ შეცვლილიყო. გამომშვიდობებისას აკი მითხრა ბედნიერი ვარო, თუმცა ვინ იცის? იქნებ ეს სულაც უძილო ღამის ზმანება იყო და მეტი არაფერი. დღე ისე გავიდა, რომ ვერ მოვახერხე მასთან დალაპარაკება. შესვენებებზე მუდამ თანაკლასელ გოგონებთან ტრიალებდა, ხოლო გაკვეთილების შემდეგ, სასწრაფოდ სახლისკენ გასწია. მხოლოდ ერთხელ, როცა სხვა საკლასო ოთახში გადავდიოდით, დერეფანში ჩვენი მზერა შეხვდა ერთმანეთს. თვალები უცინოდა და მეც საპასუხოდ გავუღიმე. სულ ეს იყო! მისი ღიმილი მიდასტურებდა წინადღის ამბავს: "*გუშინ ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო*". მატარებლით სახლისკენ მიმავალს, გაურკვევლობა აღარ მტანჯავდა. მე ის მინდოდა და ჩემმა სურვილმა, მისადმი გაჩენილი ყველა ეჭვი გაფანტა.

თუ რა მინდოდა, სრულიად ცხადი იყო. მინდოდა იძუმი გამეშიშვლებინა და გამეჟიმა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევამდე, გრძელი გზა მქონდა გასავლელი. აუცილებელი იყო მანამდე, გარკვეულ წინაპირობათა, მთელი რიგი შესრულებულიყო. რომ გააშიშვლო, ჯერ უნდა გოგოს კაბის ელვა-შესაკრავი ჩახსნა, ხოლო ამის მერე, სანამ საქმე სექსზე მივა, კიდევ ოცი, ანდა შეიძლება ოცდაათიც კი, სრულიად აუცილებელი რამ, უნდა გქონდეს უკვე მოგვარებული.

პირველ რიგში, საჭირო იყო პრეზერვატივების შოვნა. სინამდვილეში მანამდე საქმე მივიდოდა თუ არა, არავინ უწყოდა, მაგრამ მათი ქონა აუცილებელი იყო. არაფრით არ შემეძლო აფთიაქში შევსულიყავი, ხურდები დამეყარა და პრეზერვატივების შეკვრა მომეთხოვა. თავს ვერ გადავახტებოდი, მე ხომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავ, არ მქონდა ამდენი გამბედაობა. ჩვენს უბანში იყო რამდენიმე ავტომატი, სადაც ამ საუნჯის ყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან მეშინოდა, რომ ვინმე დამინახავდა. სამი თუ ოთხი დღე გაუთავებლად ვფიქრობდი ამ პრობლემაზე. საბოლოოდ, საქმე იმაზე უფრო ადვილად მოგვარდა, ვიდრე ეს წარმომედგინა. ჩვენს სამეგობროდან ერთი, ამგვარი საქმეების, დიდ ექსპერტად ითვლებოდა და მას ვთხოვე დახმარება: "*იცი რა? ძალიან მჭირდება რამდენიმე პრეზერვატივი, ხომ ვერ მირჩევ როგორ მოვიქცე?*" "*მე პრეზერვატივთა მთელ შეკვრას*

მოგცემ. ჩემმა ძმამ ეხლახანს კატალოგით მთელი ტონა გამოიწერა. აზრზე არა ვარ რად უნდა ამდენი, მისი უჯრები სავსეა პრეზერვატივებით და ვერც კი შეამჩნევს, ერთ შეკვრას თუ ავიღებ". "ფანტასტიკურია" გახარებულმა მივუგე. მეორე დღეს, სკოლაში ქაღალდში გახვეული პრეზერვატივები მომიტანა. მე სანაცვლოდ სკოლის სასადილოში დავპატიჟე და ვსთხოვე, ეს ამბავი არავისთვის ეთქვა. "*ნუ გეშინია*" მითხრა მან. რაღა თქმა უნდა, მან ეს ამბავი თავის უახლოეს მეგობრებს უთხრა, მათ კი სხვებს და მალე მთელმა სკოლამ იცოდა, რომ მე პრეზერვატივთა პარტია შევიძინე. ეს იძუმიმაც გაიგო და გაკვეთილების მერე, სკოლის სხვენზე დამიბარა.

"ჰაჯიმე, მართალია, რომ ნიშიდამ პრეზერვატივები გადმოგცა?" სიტყვა *პრეზერვატივი* ძლივს გადმოსცდა მის ბაგეს, თითქოს ამ სიტყვას, თან რაღაც გადამდები ჭირი ამოჰყვაო.

"ეჰ...ჰოო." დავეთანხმე, თან წარუმატებლად ვცდილობდი სწორი სიტყვების პოვნას. "ეგ ხომ არაფერს ნიშნავს. ვიყიდე იმიტომ, რომ შეიძლება საჭირო გახდეს“

"ჩემს გამო იყიდე?"

"არა, ნამდვილად არა" ვუთხარი. "უბრალოდ მაინტერესებდა, რა იყო, მაგრამ თუ შენ ეს გაწუხებს, უკანვე დავუბრუნებ, ანდა სულაც გადავყრი".

ჩვენ სხვენის კუთხეში, ქვის მომცრო სკამზე ვიჯექით. მოჟამული ამინდი იდგა, ყოველწუთას შეიძლებოდა გაწვიმებულიყო. სრულიად მარტონი ვიყავით. ირგვლივ მდუმარებას დაესადგურებინა. ვერასდროს ვიფიქრებდი ჭერში ასეთი სიჩუმე თუ იქნებოდა.

ჩვენი სკოლა ბორცვის თავზე იდგა და სხვენიდან ხელისგულივით მოსჩანდა ქალაქის დარჩენილი ნაწილიც და ზღვის სანაპიროც. ერთხელ მე და ჩემმა მეგობრებმა, სკოლის რადიოკვანძიდან გრამფირფიტები მოვიპარეთ და დავიწყეთ სხვენიდან მათი სროლა, ისე როგორც დისკებს ისვრიან ხოლმე, ფრისბის თამაშისას. გრამფირფიტები ცაში წარმოსახვითი თაღის გასწვრივ მოძრაობდნენ და შორიდან ისეთ შაბეჭდილებას სტოვებდნენ, თითქოს ისინი ნავსადგურის მიმართულებით მიფრინავენო, თითქოს მათთვის, წამიერი სიცოცხალე მიენიჭებინათ, რათა ბედნიერებს ლაჟვარდში ელივლივად. სამწუხაროდ, ერთი მათგანი ჰაერში გასრიალების მაგივრად, უხეშად ამოტრიალდა და მოჭრით დაეცა ჩოგბურთის კორტებზე, სადაც სავარჯიშოდ გამოსული, პირველკლასელი გოგონები გვარიანად შეაშინა. ამის გამო მკაცრად დაგვსაჯეს. მას მერე, წელიწადზე მეტი გასულიყო და აი ეხლა, იგივე ადგილზე, იძუმი პრეზერვატივტთა გამო მკიცხავდა. მაღლა ავიხედე და ჩიტი შევნიშნე, რომელმაც ნახევარწრე შემოხაზა და უცბად მივხდი, თუ რა დიდებულია ფრინველად ყოფნა, მათ ხომ მხოლოდ ფრენა მოეთხოვებათ და არასდროს იტკივებენ თავს, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე ფიქრით.

"ნამდვილად მოგწონვარ?" ხმადაბლა მკითხა.

"რა თქმა უნდა" მივუგე სასწრაფოდ, "რასაკვირველია, ძალიან მომწონხარ".

ტუჩები მოკუმა და პირდაპირ შემომხედა. იმდენად დიდხანს მიცქერდა რომ უხერხულად ვიგრძენი თავი.

“მეც მომწონხარ“ მითხრა დიდი ხნის სიჩუმის მერე. ''*მაგრამ*' თავში გამიელვა მაშინვე და არც შევმცდარვარ:

"მაგრამ აუცილებლობას ვერ ვხედავ, რატომ უნდა ავჩქარდეთ".

მე თავი დავუქნიე.

"ნუ იქნები სულსწრაფი. მე ცხოვრების საკუთარი რიტმი მაქვს და არც ისე საზრიანი ვარ, გადაწყვეტილებები სწრაფად მივიღო. ლოდინი შეგიძლია?"

ხმის ამოუღებლად ერთხელ კიდევ დავუქნიე თავი.

"მპირდები?"

"გპირდები".

"გულს ხომ არ მატკენ?"

"არა, გულს არ გატკენ".

ერთხანს ძირს, თავის ფეხსაცმელს დაჰყურებდა. ჩვეულებრივი შავი ფეხსაცმელი ეცვა. ჩემებთან შედარებით ძალან პატარები, თითქოს სათამაშო ყოფილიყოს.

"მეშინია". მითხრა მან. "ბოლო დროს მეჩვენება, თითქოს ლოკოკინა ვიყო, რომელსაც ნიჟარა წაართვეს".

"მეც მეშინია". მივუგე პასუხად. "თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ბაყაყი ვიყო, ფეხის აფსკების გარეშე".

იძუმიმ შემომხედა და გაიღიმა.

უსიტყვოდ ავდექით და სხვენის დაჩრდილულ ნაწილში გადავედით. ხელები შემოვხვიეთ და ვაკოცეთ ერთმანეთს, ნიჟარაწართმეული ლოკოკინა და უფეხო ბაყაყი. ახლოს მივიზიდე. მისი ენა ჩემსას შეეხო. მის მკერდს ვგრძნობდი ჯემპრის ქვეშ. არ გამძალიანებია, უბრალოდ თვალები მილულა და ღრმად ამოიოხრა. მას მომცრო ძუძუები აღმოაჩნდა, რომლებიც ჩემს ხელისგულში თავსდებოდნენ, თითქოს ისინი ჩემი ხელებისთვის შექმნილიყვნენ. მისი ხელი, ჩემს მკერდს შეეხო, ზედ გულისფიცარს და მისი თრთოლვა, ჩემი გულისცემის რიტმს შეუერთდა. მართალია შიმამოტო არაა და მას ვერ შეცვლის, მაგრამ ის, ხომ ჩემია და ცდილობს, მომცეს ყველაფერი, რისი მოცემაც შეუძლია. განა შემიძლია მას როდისმე გული ვატკინო?

მაშინ მე არაფერი მესმოდა. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ადამიანს შესაძლოა ისეთი სულიერი იარა მიაყენო, რომელიც მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. იარის გასახსნელად კი საკმარისი იქნება, შენი არსებობის შეხსენება.

თავი მესამე

იძუმის წელიწადზე მეტ ხანს ვხვდებოდი. კვირაში ერთხელ, ან კინოში მივდიოდით, ანდა ბიბლიოთეკაში ერთად ვმეცადინეობდით, ხშირად კი მივსეირნობდით, საითაც თვალებს მივყავდით. სექსი არ გვქონია. თუმც დაახლოებით თვეში ორჯერ, როცა ჩემი მშობლები სახლში არ იყვნენ, იძუმი ჩვენთან მოდიოდა და საწოლზე გაშხლართულები ერთმანეთს ვეხვეოდით. ტანსაცმელს არ იხდიდა, რისი მიზეზიც ყოველთვის ჰქონდა "*არასდროს იცი ვინ როდის მოვა*". ზედმეტად

ფრთხილობდა, თუმც მშიშარა არ იყო. უბრალოდ არ უნდოდა უხერხულ სიტუაციაში მოხვედრილიყო.

რადგან მეტის უფლება არ მქონდა, ჩაცმულს ვეხვეოდი. მისი ტანსაცმლის ქვეშ, ხელების შესაცურებლად, გვარიანი ჯიკაობა მჭირდებოდა .

"გთხოვ, დაწყნარდი!" მეუბნებოდა, როცა დაუკმაყოფილებლობას ვეღარ ვმალავდი. "ხომ იცი, დრო მჭირდება."

ძალას არც მე ვატანდი, მაგრამ აშკარად, გაუგებარ სიტუაციაში ვიყავი და გულაცრუებული ვრჩებოდი. რა თქმა უნდა საკმაოდ მომწონდა და მისი დიდა მადლობელიც ვიყავი, ის რომ არა, ჩემი იმ დროინდელი წლები უფერული და მოსაწყენი იქნებოდა. ის ხომ სასიამოვნო და გულიანი გოგონა იყო, აი ისეთი, ხალხს რომ მოსწონთ. ოღონდ ეგაა, სრულიად განსხვავებული ინტერესები გვქონდა. ის ვერ იგებდა იმ წიგნებს, მე რომ ვკითხულობდი და არც ის მუსიკა მოსწონდა, მე რომ ვუსმენდი. ამიტომ ეს თემები სასაუბროდ გამორიცხული იყო. ამით იძუმი ძალიან განსხვავდებოდა შიმამოტოსგან.

მეორეს მხრივ, საკმარისი იყო, მის ახლოს აღმოვჩენილიყავი და მის თითებს შევხებოდი, სითბო ელვასავით დამივლიდა ხოლმე მთელს ტანში. მისთვის შემეძლო მეთქვა ყველაფერი, რაც კი ენაზე მომადგებოდა. მიყვარდა, როცა ქუთუთოებსა და ტუჩისთავზე ვკოცნიდი. ძალიან მომწონდა როცა თმას ზევით ავუწევდი და პაწია, თხელ ყურებს ვუკოცნიდი, ის კი ღუტუნისგან თავშეუკავებლად იცინოდა. ეხლაც კი, როცა მასზე ვფიქრობ, თვალწინ წარმომოდგება მშვიდი კვირა დილა. სასიამოვნო, ნათელი დღე, რომელიც ეს-ესაა დაიწყო. არც საშინაო დავალებაა გასაკეთებელი და წინაც მთელი დღეა, შეგიძლია გააკეთო ის, რაც მოგესურვება. მასზე ფიქრი ყოველთვის "წამოწექი და დაისვენე, კვირა დილაას'' გამწყობილებაზე მაყენებს.

რა თქმა უნდა, უნაკლო არ ყოფილა, ჯიუტი იყო, არც წარმოსახვის გასაუმჯობესებელ კურსებზე სიარული აწყენდა. გარემო სადაც აღიზარდა, მოსწონდა და არაფრით არ უნდოდა გასცდენოდა შეჩვეულ სიტუციას. არასდროს გაუტაცია ისეთ რამეს, რაც ჭამას ან ძილს დაავიწყებდა. უყვარდა და პატივს სცემდა მშობლებს, მაგრამ ზედმეტად დამოკიდებული იყო მათზე. მისი შეხედულებები ყოველთვის წინასწარ შეგეძლო გამოგეცნოთ, ისინი მთლიანად ემთხვეოდა 16-17 წლის გოგობიჭების სტანდარტულ წარმოდგენებს, რაც თავისთავად მოულოდნელი არ ყოფილა. მეორეს მხრივ, მას არასდროს უძაგებია ვინმე და არც ამპარტავნობა შემიმჩნევია მისთვის. მოვწონდი და ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ. მასთან საკუთარ თავზე ბევრს ვლაპარაკობდი. განსაკუთრებით მიყვარდა იმის ახსნა, თუ როგორ მომავალზე ვოცნებობდი, რაც დღევანდელი გადასახედიდან წმინდა წყლის, სიჭაბუკის ნარცისული ზღაპარი იყო. "მჯერა, შესანიშნავი პიროვნება გახდები, არის შენში რაღაც განსაკუთრებული" ხშირად და მთელი სერიოზულობით მეუბნებოდა. ჩემი არასდროს, არავის არ სჯეროდა ისე, როგორც მას.

ხოლო მისი ალერსი, თუნდაც ჩაცმულის, სრულიად ფანტასტიკური იყო. ოღონდ ერთი რამ ძალიან მაოგნებდა და გულს მწყვეტდა. მასში ვერასდროს აღმოვაჩინე ის, რაც მარტო ჩემთვის იქნებოდა განკუთვნილი. აშკარა იყო, რომ რასაც კი ვხედავდი, იმ ღირსებათა ჩამონათვალიც კი ბევრად უფრო გრძელი გამოვიდოდა, არა მარტო მის ნაკლთა ჩამონათვალზე, არამედ ჩემს ღირსებებზეც, თუმცა რაღაცა ყოველთვის მაკლდებოდა. რაღაცას, სრულიად აუცილებელს, ვერ ვამჩნევდი. ის რომ აღმომეჩინა, დარწმუნებული ვარ ჩვენი ურთიერთობა სექსითაც გამდიდრდებოდა. არადა ყოველი შეხვედრის მერე დაუკმაყოფილებელი ვიყავი. შეიძლება დიდი დრო

დამჭირვებოდა, მაგრამ აუცილებლად დავარწმუნებდი, ჩემთან ჟიმაობის აუცილებლობას. იმ რაღაცის შემჩნევას, ეტყობა ნიჭი სჭირდებოდა, რაც აშკარად მაკლდა. მე ხომ 17 წლის სულსწრაფი ბიჭი ვიყავი, სურვილითა და განუცდელის განცდის მოლოდინით სავსე. თავი მართალია აბურ-დული აზრებით მქონდა გამოტენილი, იმდენს კი ვხდებოდი, რომ იძუმი არ უნდა მეიძულებინა და შესაფერ მომენტს დავლებოდებოდი თუ მინდოდა სურვილის ასრულება.

თუმცა ერთხელ მაინც მოვახერხე მისი შიშველი სხეულის ალერსით დატკბობა. "აღარ მინდა შენი ტანსაცმლის ქვეშ ვიქექებოდე" როგორც იყო გავბედე და ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. "თუ სექსი არ გინდა ჩემთან, კი ბატონო, მაგრამ მინდა შიშველი გნახო, მინდა შენი სხეული მთლიანად დავინახო და ხელებით შევეხო. გაიგე ეს *მე მჭირდება* და მეტის მოთმენა აღარ შემიძლია".

იძუმი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე მითხრა, რომ თუ ეს მართლაც, ჩემი დიდი სურვილი იყო, ის ამას არ შეეწინაღმდეგებოდა. "ოღონდ შემპირდი" მთელის სერიოზულობით მიყურებდა, "რასაც ეხლა მთხოვ, მაგაზე მეტს ნუღარ მომთხოვ. ნუ გააკეთებ იმას, რაც არ მსურს."

ნოემბრის დასაწყისის, მშვენიერი, მოწმენდილი კვირა დღე იდგა, როცა იძუმი ჩვენს სახლში მოვიდა. უკვე აგრილებულიყო, თუმც ცივი ამინდების დრო ჯერ არ დამდგარიყო. ჩემი მშობლები, მამის ერთ-ერთი ნათესავის, მოსახსენებელ ცერემონიაზე იყვნენ წასულები. წესით მეც თან უნდა ვხლებოდი, მაგრამ გაუთვალისწინებელი ტესტისთვის მომზადება მოვიმიზეზე და სახლში მარ-ტო დავრჩი. ვიცოდი გვიან ღამით დაბრუნდებოდნენ. იძუმი ნაშუადღევს მოვიდა. ჩვენ საწოლს მივაშურეთ და ერთამანეთს ჩავეხუტეთ. გახდა დავუწყე. თვალები მილულა და გახდაში ხელს არ მიშლიდა. მისი გახდა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ყველა თითს ვხმარობდი, მაგრამ ხომ იცით, გოგოების ტანსაცმელს რამდენი რამე აქვთ გასახსენელი. ეტყობა ძალიან დიდხანს ვირჯებოდი. ნახევრადგახდილმა თვალები გაახილა და დარჩენილი სამოსი უცბად გაიძრო. ეცვა ღია-მოლურჯო ტრუსები, შესაფერისი აზღუდით. ეტყობოდა საგანგებოდ ამ დღისთვის შეეძინა. აქამდე მისი თეთრეული, დედების მიერ მოსწავლე გოგოებისთვის ნაყიდ სტანდარტულ საცვლებს წააგავდა. ბოლოს მეც გავშიშვლდი.

მის შიშველ სხეულს ვეხვეოდი, ყელზე და მკერდზე ვკოცნიდი. მის გლუვ კანს ხელს ვუსვამდი და ღრმად ვისუნთქავდი მის სურნელს. გაშიშვლებულნი ერთმანეთს ვეალერსებოდით, რაც ენით აუწერელ სიამოვნებას მვგვრიდა. ცოტა ხანში სურვილის შეკავევება შეუძლებელი გახდა, შიგნით თუ არ შევიდოდი, გავგიჟდებოდი. როგორც კი დავუპირე, გააიწია და მომიბოდიშა. მერე დაიხარა და ასოს პირი ჩაავლო, მთლიანად ბაგეში მოათავსა და წოწვნა დაუწყო. ადრე არასდროს, ასეთი რამ არ გაეკეთებინა. ენას ზედიზედ უსვამდა ასოს თავს მანამდე, სანამ რამეზე ფიქრი კიდევ შემეძ-ლო და არ ამოვაფრქვიე.

კიდევ უფრო მივიზიდე, ვეფერებოდი მისი სხეულის ყოველ წერტილს. შემოდგომის მზის სხივებ-ში განბანილ მის ულამაზესს სხეულს დაუსრულებლად ვკოცნიდი ყველგან. უბრწყინვალესი ნაშუ-ადღევი დაგვგომოდა. მჭიდროდ ვეხვეოდით ერთმანეთს. იმ დღეს მე კიდევ რამდენჯერმე გავათავე. ყოველ ამოფრქვევაზე აბაზანაში გარბოდა პირის გამოსარეცხად და სიცილით ამბობდა:

"რა უცნაურია ეს ყველაფერი?"

მართალია წელიწადზე მეტ ხანს ვხდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ეჭვსგარეშეა იმდღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერი იყო. გაშიშვლებულებს არაფერი გვქონდა ერთმანეთისთვის დასამალი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ იმ დღეს, მასზე ბევრად მეტი გავიგე, ვიდრე ჩვენი ნაცნობობის მთელ

მანძილზე. დარწმუნებული ვარ, ისიც ასევე ფიქრობდა. თურმე სიტყვებზე და დაპირებებზე მეტად მყარი სინამდვილის შეგრძნება გვჭირდებოდა.

იძუმი დიდხანს იწვა, თავი ჩემს მკერდზე ედო, თითქოს ჩემს გულისცემას უსმენდა, მე კი მის თმას ვეფერებოდი. ჩვიდმეტი წლის გახლდით, ჯანმრთელი, სრულწლოვანებისთვის მომზადებული. ცხოვრება ვარდისფერ ფერებში მეხატებოდა.

საათის ოთხზე, როცა იძუმიმ გადაწყვიტა ლოგინიდან ადგომა და წასასვლელად მომზადება, კარებზე ზარმა დარეკა. თავდაპირველად ყურადღება არ მივაქციე, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო. თუ არ გამოვეხმაურებოდი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, შეეშვებოდა და წავიდოდა, მაგრამ ზარი განუწყვეტლად რეკდა. ალბათ ქალია, გავიფიქრე მაშინ.

"შენი მშობლები ხომ არ დაბრუნდნენ?" იძუმიმ მკითხა. ლოგინიდან უკვე ამდგარიყო და ტანსაცმელს კრეფდა.

"ნუ გეშინია. ისინი ასე ადრე ვერ დაბრუნდებოდნენ, თანაც მათ გასაღები აქვთ და კარებზე არ დარეკავდნენ".

"ჩემი ფეხსაცმელი!"

"ფეხსაცმელი?" ვერ მივხდი რას გულისხმობდა.

"ფეხსაცმელი შემოსასვლელის წინ დავტოვე".

ტანსაცმელი სწრაფად ჩავიცვი, მისი ფეხსაცმელი კარადაში შევაწყე და კარები გავაღე. ჩემი უმცროსი დეიდა მოსულიყო. ჩვენგან მატარებლით ერთი საათის სავალზე ცხოვრობდა და ხშირად გვსტუმრობდა ხოლმე.

"სად გადაიკარგე? მეგონა კარებს არასდროს გამიღებდი".

"მუსიკას ვუსმენდი ყურსასმენებით და ვერ გავიგე, ვიცრუე. " მშობლები სახლში არ არიან, ისინი მოსახსენებელ ცერემონიაზე არიან წასულები და გვიან ღამემდე ვერ დაბრუდებიან. მეგონა იცოდით ეს ამბავი."

"კი, მითხრეს. პატარა საქმეზე ვიყავი აქვე და რადგან მარტო იყავი სახლში, გადავწყვიტე შემომევლო და ვახშამი მომემზადებინა შენთვის. რაც საჭირო იყო ყველაფერი უკვე ვიყიდე".

"რატომ შეწუხდით, ვახშამს ხომ მეც გავიკეთებდი. გაიგეთ, რომ ბავშვი აღარ ვარ."

"მე უკვე ყველაფერი ვიყიდე. რამდენადაც ვიცი შენ დაკავებული უნდა იყო, არა? სანამ შენ იმეცადინებ მე ვახშამს მოგიმზადებ."

ღმერთო, ეს რა დღეში ჩავვარდით! იძუმი როგორ უნდა დაბრუნდეს თავის სახლში? საძინებელი ოთახიდან ჩვენი სახლის დასატოვებლად, ჯერ საცხოვრებელი ოთახი უნდა გაიარო და შემდეგ გასასვლელი, რომელსაც სამზარეულოსთან საერთო სარკმელი აქვს. რა თქმა უნდა შემეძლო იძუმი დეიდასთვის წარმედგინა, როგორც სკოლის მეგობარი, რომელმაც მომაკითხა, მაგრამ მე ხომ სამეცადინოდ ვიყავი აქ დარჩენილი და თუ გამოაშკარავდებოდა, რომ მშობლების არყოფნის დროს, სახლში გოგო მომყავდა, კარგი დღე არ დამადგებოდა. თუ დეიდა მას შეამჩნევდა, მშობლებს აუცილებლად ეტყოდა, მე გინდაც ბევრი მეთხოვა, ეს ამბავი რომ არ გაემჟღავნებინა. არა,

დეიდა სულაც არა იყო ცუდი ადამიანი, მაგრამ საიდუმლოებების შენახვა, არ იყო მისი ხასიათის ძლიერი თვისება.

სანამ დეიდა სამზარეულოში ნაყიდს ამოალაგებდა, მე იძუმის ფეხსაცმელი ავიღე და მაღლა ავუტანე. ის ჩაცმული დამხვდა. სიტუაცია ავუხსენი. გაფითრებულმა წამოიძახა: "რა ჯანდაბა უნდა ვქნა? იცი რა მოხდება აქ დარჩენა რომ მომიწიოს? ხომ იცი, სანამ ვახშმის დრო მოატანს, აუცილებლად სახლში უნდა ვიყო. თუ სახლში ვერ დავბუნდი იმ დროისთვის, უამრავი პრობლემის წინ აღმოვჩნდები".

"ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება. რაიმეს მოვიფიქრებთ." შევეცადე დამემშვიდებინა, თუმც აზრზე არ ვიყავი , რა უნდა გაგვეკეთებინა.

"წვივსაკრავებიც ვეღარ მიპოვნია, თუმც ყველგან მოვათვალიერე'.'

"წვივსაკრავები?" შევეკითხე დაბნეულმა.

"მეტალის პატარა ნივთია, აი ამხელა."

იატაკიდან დაწყებული საწოლის თავამდე ყველაფერი გულდაგულ დავათვალიერე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე.

"ვწუხვარ, მაგრამ ერთხელ წინდების გარეშე მოგიწევს გარეთ გასვლა".

სამზარეულოში დავბრუნდი. დეიდა უკვე ბოსტნეულს ჭრიდა და მცენარეული ზეთი სჭირდებოდა, მთხოვა ზეთი სასწრაფოდ მეყიდა. მეტი რა გზა მქონდა, ველოსიპედს შემოვაჯექი და უახლოეს ჯიხურს მივაშურე. ბინდდებოდა. თუ ასე გაგრძელდებოდა იძუმის შეიძლება დიდხანს ეყურყუტა ჩემთან. რამე უნდა მომეფიქრებინა, სანამ ჩემი მშობლები დაბრუნდებოდნენ.

" როცა დეიდა ტუალეტში შევა, მაშინ შეუმჩნევლად გაპარვის შანსი მოგეცემა და მაგით უნდა ვისარგებლოთ." ვუთხარი იძუმის.

"გგონია ეს გამოგვივა?"

"უნდა ვცადოთ. ხელებდაკრეფილი ლოდინი არ გამოგვადგება."

გადავწყვიტეთ ქვევით დავლოდებოდი დეიდას ტუალეტში შესვლას და ეს ამბავი ტაშის შემოკვრით იძუმისთვის მეცნობებინა. ამ ხმაზე იძუმი ფრთხილად ჩამოვიდოდა კიბეზე და უჩუმრად გაიპარებოდა. წარმატების შემთხვევაში უახლოესი ტელეფონ-ავტომატიდან დამირეკავდა.

დეიდა თავისთვის ბედნიერად მღეროდა და მისო-სუფის მოსამზადებლად ბოსტნეულს კუწავდა, თანაც ცეცხლზე მდგარ ტაფამწვარს უთვალთვალებდა. ტუალეტში გასვლას კი სულაც არ აპირებდა. ამასობაში, შიშით აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი, რაც კი დეიდაზე ვიცოდი, აშკარად მეტყველებდა, რომ დეიდა თავისუფლად შეიძლებოდა *გინესის რეკორდების წიგნში* მოხვედრილიყო, როგორც მსოფლიოში, ყველაზე დიდი შარდის ბუშტის მქონე პიროვნება. ის იყო, იმედი საბოლოოდ გადამეწურა, რომ დეიდამ წინსაფარი მოიხსნა და ტუალეტს მიაშურა. მე სასწრაფოდ გავედი საცხოვრებელ ოთახში და ტაში ორჯერ ძლიერად შემოვკარი. იძუმი ფეხისთითებზე შემდგარი ჩამოვიდა, ხელში ფეხსაცმელი ეჭირა. ისინი გასასვლელთანღა ჩაიცვა და რაც შეეძლო ჩუმად გაძვრა კარიდან. მე სამზარეულოში გავედი, რათა დამენახა გარეთა

ჭიშკრიდან როგორ გავიდოდა. ორიოდე წამში დეიდაც შემობრუნდა ტუალეტიდან. როგორც იყო შვებით ამოვისუნთქე.

ხუთი წუთის შემდეგ იძუმიმ დამირეკა. დეიდას ვუთხარი, რომ თხუთმეტ წუთში დავბრუნდებოდი და გარეთ გავედი. ტელეფონის ავტომატთან იძუმი მელოდა.

"*მეზიზღება* ასეთი სიტუაციები" მითხრა მან, სანამ მე ხმის ამოღებას მოვასწრებდი. "ამას აღარასდროს გავაკეთებ."

სრული მიზეზი ჰქონდა გაბრაზებული და განაწყენებული ყოფილიყო. სადგურის გვერდით მდებარე ბაღში მივიყვანე და სკამზე დავსვი. ხელზე ნაზად შევეხე. წითელ ჯემპრზე მოვარდისფრო პალტო ეცვა. სიყვარულით ვიგონებდი, თუ რა იმალებოდა მათ ქვეშ.

«მაგრამ დღეს ხომ ყველაფერი შესანიშნავი იყო! რა თქმა უნდა, სანამ დეიდა მოვიდოდა. განა ასე არ ფიქრობ?» შევეკითხე.

«რა თქმა უნდა, მეც ძალიან ვისიამოვნე. ყოველთვის მსიამოვნებს, როცა კი შენთან ვარ, მაგრამ როგორც კი მარტო ვრჩები, ეჭვები მიპყრობს.»

«რა გაეჭვებს?»

«მომავალი! როცა სკოლას დავამთავრებთ, შენ ტოკიოში გადახვალ უნივერსიტეტში, მე კი აქ დავრჩები. რა ბედი გველის?»

მართლაც, მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ტოკიოში გამეგრძელებინა. მშობლიური ქალაქის მიტოვება და მშობლებისაგან ცალკე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადამქცეოდა. სკოლის საბოლოო ნიშნები არც ისე მაღალი მიჩანდა, მაგრამ იმ საგნებში, რომლებიც მომწონდა, საკმაოდ მაღალ ნიშნებს ვღებულობდი, ისე, რომ წიგნებში არც კი ვიხედებოდი. ამიტომ, რომელიმე კერძო უნივერსიტეტში მოხვედრა, ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. იქ ხომ მისაღები გამოცდები მხოლოდ რამდენიმე საგანში ბარდებოდა. იძუმის ტოკიოში გადმოსვლის კი არანაირი იმედი არ იყო. მის მშობლებს უნდოდათ, რომ იძუმი ახლოს ჰყოლოდათ და მარტოს არაფრის დიდებით, დიდ ქალაქში არ გამოუშვებდნენ. არც იძუმი შეეწინააღმდგებოდა მშობელთა სურვილს, ამიტომ სურდა მეც აქ დავრჩენილიყავი. მარწმუნებდა, ჩვენი ქალაქის უნივერსიტეტი, სულაც არააო ურიგო.

''რა საჭიროა ტოკიოში გამგზავრება?" აშკარა იყო, აქ დარჩენას თუ შევპირდებოდი, მაშინ არც სექსზე მეტყოდა უარს.

"მოიცა! ისე ლაპარაკობ, თითქოს საზღვარგარეთ მივდიოდე! ტოკიო, ხომ მხოლოდ სამი საათის სავალზეა! თანაც უნივერსიტეტის სტუდენტებს გრძელი არდადეგები აქვთ. ასე რომ ყოველწლიურად სამს, ანდა შეიძლება ოთხ თვესაც კი აქ გავატარებ.'' არაერთხელ მითქვამს მისთვის.

''შენ თუ აქაურობას მიატოვებ, მეც დამივიწყებ. დარწმუნებული ვარ იქ ახალ გოგოს გაიჩენ.'' მითხრა იძუმიმ.

არც ამ არგუმენტს ვისმენდი პირველად. მეც ყოველთვის ვარწმუნებდი, რომ ეს არ მოხდებოდა. '"მე ხომ ძალიან მომწონხარ და ასე ადვილად როგორ დაგივიწყებ?" მაგრამ სიმართლე გითხრათ

ამაში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი. სცენარის შეცვლას, შეიძლება გამოეწვია დროის დინებისა და ემოციათა ნაკადის ძლიერი ძვრა, ასეთი რამ, ერთხელ უკვე მოხდა, როცა შიმამოტოს დავცილდი, ვისთანაც ალბათ სხვა სიტუაციაში, ძალიან ახლო ურთიერთობა მექნებოდა, მაგრამ საცხოვრებლის გამოცვლისა და რამდენიმე კილომეტრით დაცილების შემდეგ, მე და შიმამოტო ცალკ-ცალკე ვაგრძელებდით ცხოვრებას. იმის მიუხედავად, რომ ის ძალიან მომწონდა და შიმამოტოსაც ნათქვამი ჰქონდა, რომ მიმეკითხებინა მისთვის. ერთხანს კი ვნახულობდი, მაგრამ მალე შევწყვიტე მასთან ვიზიტები.

"არის ერთი რამ, რაც არ მესმის." იძუმიმ მითხრა "მეუბნები რომ ძალიან მოგწონვარ და გსურს ჩემზე იზრუნო, მაგრამ ხშირად ვერაფრით მიმხვდარვარ თუ რა ხდება შენში და რა აზრები მოგდის თავში".

ამ დროს იძუმიმ პალტოს ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, და ცრემლები მოიწმინდა. ეხლაღა მივხდი, რომ ტიროდა. არ ვიცოდი რა მეთქვა, ამიტომ მეც ჩამოვჯექი და უხმოდ ველოდებოდი, როდის გააგძელებდა საუბარს.

" შენ მიჩვეული ხარ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას და არ მოგწონს როცა ვინმე შენ საქმეებში ერევა. ალბათ იმიტომ, რომ დედისერთა ხარ. შეჩვეული ხარ გადაწყვეტილებებიც მარტომ მიიღო და მარტომაც იმოქმედო. თუ კი რამეს სწორედ ჩათვლი, *თავსაც აჯერებ,* რომ ეს მართლაც ასეა და სხვათა აზრი აღარ გაინტერესებს". იძუმიმ თავი გააქნია, "ეს მე არ მომწონს. ისეთი გრძნობა მრჩება, თითქოს მიტოვებული ვიყო".

დედისერთა! დიდი ხანია აღარ გამეგონა ეს სიტყვა. დაწყებით კლასებში როცა ვიყავი, ამ სიტყვას ტკივილი მოჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა იძუმი ამ სიტყვაში სხვა აზრს სდებდა. მისი "დედისერთა" განებივრებულ და თავნება ბავშვს კი არ გულისხმობდა, არამედ უფრო სხვათაგან დამოუკიდებელს, სხვებთან ყოველთვის დისტანციაზე მყოფს. ის არ მსაყვედურობდა, უბრალოდ ეს სიტუაცია აწუხებდა.

"ძნელია სიტყვებით გამოვთქვა, რა ბედნიერი ვიყავი, როცა ერთმანეთს ვეხვეოდით" გამომშვიდობებისას მითხრა, "იმედიც კი მომეცა, ეგება ჩვენი ურთიერთობა საოცხოოდ *წარიმართოსო,* მაგრამ ეტყობა ცხოვრება არც ისე მარტივადაა მოწყობილი."

სახლისკენ მიმავალი იძუმის სიტყვებზე ვფიქრობდი და მათ სიმართლეში ვრწმუნდებოდი. მართლაც, არ მიყვარდა სხვებთან გულღია ყოფნა. იძუმი მთლიანად მომენდო, მე კი არ შემეძლო იგივეთი მეპასუხა. იძუმი ნამდვილად მომწონდა, მაგრამ რაღაც მაკავებდა.

სადგურიდან სახლისკენ მიმავალი გზა ათასჯერ მაინც გამევლო, მაგრამ ეხლა ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უცხო ადილას მოვხვედრილიყავ. იძუმის შიშველი სხეული თვალწინ მედგა, მკვრივი ძუძუები, თმები ლამაზ ადგილზე, რბილი და დამყოლი წელი. ხილვები ისეთი ძლიერი იყო, რომ იძულებული გავხდი ავტომატიდან სიგარეტი მეყიდა, დავბრუნებულიყავი ბაღში, იგივე სკამზე ჩამოვმჯდარიყავ და სიგარეტი მომეწია დასამშვიდებლად.

დეიდას რომ არ შემოესწრო, ასე არ ავფორიაქდებოდით, იმ დღეს ერთმანეთს ძალიან თბილად დავცილდებოდით და თავსაც ბედნიერად ვიგრძნობდით. თუმცა, უკვე ცხადი იყო, რომ გინდაც იმ დღეს დეიდას არ დავეფეთებინეთ, ერთხელაც იქნებოდა, რაღაც ამის მსგავსი მოხდებოდა. მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ იძუმის ვერ ვარწმუნებდი, ყველაფერი კარგად რომ იყო, ანდა როგორ დავაჯერებდი, როცა მე თვითონ არ ვიყავი ამაში დარწმუნებული.

მზე უკვე ჩასულიყო. ცივმა ქარმაც დაჰქროლა. ზამთრისპირი იდგა. ნაახალწლევს მისაღები გამოცდები დაგვეწყებოდა და წინ სრულიად სხვა ცხოვრება გველოდა. ეს მაფორიაქებდა. ცვლილებებს ცხოვრებაში არა მარტო ველოდი, არამედ მსურდა კიდეც. სხეულიც და გულიც ახალი ცხოვრებისკენ მიილტვოდნენ. იმ წელს იაპონიის უნივერსიტეტები სტუდენტურ მოძრაობას მოეცვა, ტოკიო დემონსტრანტებით იყო სავსე. მსოფლიო ჩემს თვალწინ იცვლებოდა და უსიკვდილოდ მსურდა ამ ცვლილებათა მონაწილე ვყოფლიყავი. თუნდაც იძუმის ჩემი აქ დარჩენის სანაცვლოდ რეგულარული სექსი შემოეთავაზებინა, ვიცოდი რომ ამ მიძენებულ ქალაქში ჩემი ცხოვრების დღეები, უკვე დათვლილიყო. მე წავიდოდი, გინდაც ამას ჩვენი ურთიერთობების შეწყვეტა გამოეწვია, ამაზეც თანახმა ვიყავი. ვგრძნობდი, ამ ქალაქში დარჩენის შემთხვევაში, ისეთი რამ მომაკლდებოდა, როგორც პიროვნებას, რაც არაფრის დიდებით, არ უნდა დამკარგვოდა. ეს იყო მწველი ოცნება, დაუოკებელი სურვილი, ისეთი, როგორიც მხოლოდ 17 წლის ასაკში შეიძლება ჰქონდეთ.

იძუმი ჩემს ოცნებას ვერ იგებდა, მას თავისი ოცნება ჰქონდა, რომელიც სულ სხვა სამყაროში ხდებოდა და ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, საითაც ჩემს საკუთარ ოცნებებს მივყავდი.

სანამ ახალი ცხოვრება კარს გაგვიღებდა მოხდა ისეთი რამ, რამაც მთლიანად დაამსხვრია ჩვენი ურთიერთობა.

თავი 4

ისე მოხდა რომ პირველი ვინც გავჟიმე, დედისერთა იყო. იძუმის არ იყოს, არც ის იყო ისეთი გარეგნობის, ქუჩაში მიმავალ კაცებს, კისერი მოქცეოდათ მის საცქერად. უმეტესობა მას ვერც კი შეამჩნევდა. მიუხედავად ამისა, როგორც კი თვალი მოვკარი, ჩემზე ისე იმოქმედა, თითქოს ცამოწმენდილზე მეხი დამცემოდეს. არანაირი ყოყმანი, ან დაეჭვება, ყველაფერი ერთ წამში გადაწყდა.

რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ჩვეულებრივ ლამაზი ქალები, ჩემზე დიდ რეაქციას არ ახდენენ. ყოფილა ისე, რომ ქუჩაში მეგობებთან მოსეირნეს, მეგობარს ხელი ჩაუვლია ჩემთვის და უთქვამს "აუჰ! დაინახე, რა გოგოა!" და რაოდენი უცნაურიც არ უნდა ყოფილიყოს, მე არავინ შემიმჩნევია ისეთი, ვისაც მეგობრის ასეთი რექცია შეეძლო გამოეწვია. დიდად არც თვალწარმტაცი მსახიობები და არც ტოპმოდელები მოქმედებენ ჩემზე. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ასეა. ჩემთვის საზღვარი ოცნებასა და სინამდვილეს შორის ყოველთვის ბუნდოვანი იყო. ჭაბუკობისასაც კი, ქალის ლამაზი სახე, არ ყოფილა საკმარისი, ჩემს აღსაგზნებლად. ნაკლებად მხიბლავდა ის, რაც რაოდენობრივი და გარეგნული იყო. უფრო მიზიდავდა ის, რაც ქალის ღრმა ბუნებიდან მოდიოდა, ის რაც მის არსებით მხარეს წარმოადგენდა. არიან ადამიანები, რომელთაც გამოუცნობ მიზეზთა გამო, უკუნი სიბნელე იზიდავთ, ზოგთაც გრიგალნი, ანდა მიწისძვრანი. მე კი მოპირდაპირე სქესში გაურკვეველი "ის" მიზიდავდა. მოდი, უკეთესი სიტყვების უქონლობის გამო, დავუძახოთ მას მაგნეტიზმი. მოგვწონს თუ არა, ეს ის ძალაა, რაც გვითრევს და გვმართავს.

მიახლოებითი წარმოდგენისთვის, ის შეიძლება სუნამოს ზემოქმედებას შევადაროთ. ალბათ არც სურნელთა გაზავების ოსტატს ძალუძს აგიხსნათ, უამრავ სხვა სურნელიდან, რატომ მაინცდამაინც მის მიერ გამოყვანილ სუნამოს აქვს სხვებზე მეტი მიზიდულება. მეცნიერებაც უძლურია ამ ფენომენის ასახსნელად, თუმც დადგენილია, რომ ზოგიერთ სურნელთა ნაზავს, შეუძლია ისე

იმოქმედოს, საპირპირისპირო სქესის წარმომადგენელებზე, რომ ისინი მძუნაობის პერიოდის ცხოველებს დაამსგავსოს. ზოგიერთ სურნელს, ასიდან ორმოცდაათზე შეუძლია მიმზიდველად მოქმედება, სხვა სურნელს კი დანარჩენ ორმოცდაათზე, მაგრამ არსებობენ ისეთი სურნელნიც, რომელნიც მარტო ერთს, ან ორს გადაიყვანს ჭკუიდან. მეც ზუსტად ასეთ სურნელზე ვარ დაგეშილი და თუ ეს ვისმესგან შევიგრძენი, მსურს მივუახლოვდე იმ ქალს, საიდანაც ასეთი აურა მოდის და ვუთხრა "*მე ის ვარ ვინც გგრძნობს და ამ ქვეყნად ასეთი მარტო მე ვარ.*"

იმ გოგოს დანახვისთანვე, მისი გაჟიმვა მომინდა. უფრო მეტიც, ვიგრძენი, რომ მას აუცილებლად გადავჟიმავდი და ინსტიქტურად იმასაც მივხდი, რომ მანაც იგივე იგრძნო. მის გვერდით როგორც კი მოვხვდი, ჩემი სხეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად შეირყა და ისე ამიდგა, რომ სიარულს ძლივსღა ვახერხებდი. ეს ალბათ იმ მიზიდულობის ნაყოფი იყო, რისი პროტოტიპიც შიმამოტოსთან განვიცადე, თუმც მაშინ ძალიან პატარა ვიყავი საიმისოდ, ეგ რომ გამეგო, ანდა მისთვის სახელი დამერქმია. წლების მერე, როცა იმ ახალ გოგოს შევხვდი, მე უკვე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, სკოლის ბოლო კლასის მოსწავლე, ხოლო ის ოცი წლის გახლდათ, უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი და რაც მთავარია, ის იძუმის მამიდაშვილი იყო. მას უკვე ჰყავდა მეგობარი ვაჟი, მაგრამ ჩვენ ორივესთვის, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არაფერი შეიცვლებოდა, ის თუნდაც ორმოცდაორის ყოფილიყო და თანაც სამი შვილი ჰყოლოდა, ანდა სულაც უკანალზე ორი კუდი გამოსჩენოდა. ისეთი ძლიერი მაგნეტიზმი მოდიოდა მისგან, რომ მე ეს არ შემაწუხებდა. მივხდი, თუ იმ გოგოს ხელიდან გავუშვებდი, მერე მთელი ცხოვრება ვინანებდი.

ასე, რომ ჩემი ცხოვრების პირველი ქალი, იძუმის მამიდაშვილი გახდა, თანაც არა უბრალოდ, ერთერთი მისი ნათესავთაგანი, არამედ ის, ვისთანაც იძუმის ყველაზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ისინი, ხომ ბავშობიდან მოყოლებულნი ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს. მამიდაშვილი კიოტოს უნივერსიტეტში სწავლობდა. ბინა კი დაკავებული ჰქონდა გოშოს, იმპერატორის ძველი სასახლის, დასავლეთის კარიბჭის სიახლოვეს. იძუმი და მე ერთხელ კიოტოს ვესტუმრეთ, ტელეფონით დავურეკეთ და ერთად ვისადილეთ. ეს მოხდა დეიდასთან მომხდარი პატარა ფარსიდან ორი კვირის შემდეგ.

სადილის დროს იძუმი ორიოდე წუთით გავიდა, დრო ვიხელთე და ტელეფონი გამოვართვი. მოვიმიზეზე, კიოტოს უნივერსიტეტის შესახებ შეიძლება რამდენიმე შეკითხვა გამიჩნდესო. ორი დღის მერე დავურეკე და ვსთხოვე პირველსავე კვირა დღეს შევხვედროდით. ცოტა ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა. მისი ხმის ჟღერადობამ დამარწმუნა, რომ მასაც უნდოდა ჩემთან ჟიმაობა. კვირა დღეს კიოტოს გავემგზავრე, შევხდი და ნასადილევს უკვე ლოგინში ვიყავით.

მომდევნო ორი თვის მანძილზე ისეთი თავბრუდამხვევი სექსი გვქონდა, რომ ვფიქრობდი შევქანდებოდით. არანაირი კინო, ან სეირნობა, არც წაკითხულის შთაბეჭდილებათა გაზიარება, არანაირი საუბარი არც მუსიკაზე, არც ომსა თუ რევოლუციაზე. ერთადერთი რასაც ვაკეთებდით, ამოფრქვევა იყო. ალბათ ხანდახანს ცოტას კი წავიმუსაიფებდით რამეზე, მაგრამ მთელი დარჩენილი ცხოვრებაც რომ ვიფიქრო, ვერ გავიხსენებ თუ რაზე. მეხსიერებას შემორჩა კონკრეტულ საგანთა მონახაზები, მაღვიძარა მუთაქის გვერდით, სარკმლის ჟალუზები, მაგიდაზე მდგარი შავი ტელეფონი, კალენდრის სურათები, იატაკზე მიმოფანტული მისი ტანსაცმელი. ამათ გარდა მისი ხმა და სურნელი მისი კანისა. არასდროს არაფერი მიკითხავს, არც მას დაუსვამს შეკითხვა. მხოლოდ ერთხელ, მასთან ლოგინში მწოლარემ, უცბად გამოვთქვი ვარაუდი, რომ ის ალბათ დედისერთა იყო.

"მართალი ხარ"-- გაკვირვებით შემომხედა, "მაგრამ როგორ მიხვდი?"

"არ ვიცი, უბრალოდ ვიგრძენი"

ერთხანს გამომცდელად მიყურა და მომიგო "შენც დედისერთა უნდა იყო, არა?"

"სწორედ მიხვდი".

სულ ესაა რაც ჩვენი საუბრებიდან მახსოვს. იშვიათად ვწყდებოდით ერთმანეთს, ისიც მხოლოდ საჭმლის ან სასმელის მისაღებად. როგორც კი თვალს მოვკრავდით ერთმანეთს, უსიტყვოდ ვიძრობდით ტანსაცმელს და ერთმანეთს ვეცემოდით ხოლმე. რასაც ვხედავდი, ისე აღმაგზნებდა, რომ შიგნით ყველაფერი მიხურდა და ისიც იგივე დღეში იყო. ყოველი შეხვედრისას ოთხჯერ, ან ხუთჯერ ვახერხებდით. ვიწურებოდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სანამ კიდევ შეიძლებოდა წვეთების გამოშვება და ასო ტკივილისაგან არ გასივდებოდა, მასთან ვრჩებოდი. მიუხედავად დაუოკებელი ვნებისა და იმ ცხოველი ძალისა, რაც ერთმანეთისკენ გვიბიძგებდა, არცერთს აზრადაც არ მოგვსვლია, ხანგრძლივი საყვარლები გავმხდარიყავით. კარგად ვხვდებოდით, რომ იმ გრიგალის ეპიცენტრში ვიყავით, რომელიც მალე გადაივლიდა. ვხვდებოდით რა ამას, ვგრძნობდით, რომ ყველა ჩვენი შეხვედრა, თავისუფლად შეიძლებოდა ბოლოც ყოფილიყო, რაც კიდევ უფრო გვიღვივებდა სურვილს.

შეყვარებული მასზე ნამდვილად არ ვყოფილვარ, და არც ის იყო ჩემზე შეყვარებული. ჩემთვის ყვარება-არყვარების საკითხი საერთოდ არ მდგარა, რადგან ის , რისკენაც მივისწრაფოდი, იყო იმის განცდა, რომ ვყოფილიყავი ველური და ბობოქარი ძალის ქვეშ, რომლის შუაგულში მდებარეობდა ჩემთვის აბსოლუტურად აუცილებელი რამ. აზრზე არ ვიყავ, თუ რა იყო ეს, მაგრამ მინდოდა შემეყო მისი სხეულის შიგნით და შევხებოდი იმას, რაც არ უნდა დამხვედეროდა იქ.

იძუმი მართალია ძალიან მომწონდა, მაგრამ მასთან ყოფნისას , არასდროს განმიცდია ასეთი დაუოკებელი ძალის ზემოქმედება. მის მამიდაშვილზე მართალია არაფერი ვიცოდი, სამაგიეროდ მისი ზემოქმედება მეტად ღრმა იყო ჩემზე. არასდროს გვქონია ოდნავ მაინც სერიოზული საუბარი რაიმეზე რადგან ამის საჭიროებას არ ვგრძნობდით. თუ კი იმდენი ენერგია გვექნებოდა, რომ გვესაუბრა, მას აუცილებლად ახალი სერიისთვის გამოვიყენებდით.

მოვლენები თუ ნორმალურად განვითარდებოდა, ურთიერთობა, რომელშიც ორივე გავებით და რომელიც ამოსუნთქვის საშუალებასაც კი არ გვაძლევდა, დიდხანს ვერ გასტანდა და რამდენიმე თვეში დამთავრდებოდა, რადგან რომელიმე ჩვენთაგანს ის ყელში ამოუვიდოდა. ურთიერთობა გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ის აუცილებელი იყო ორივესათვის, ის ხომ ბუნებრივი აქტი იყო, რომელიც თავიდანვე ყოველგვარ ეჭვს და ყოყმანს გამორიცხავდა, ისევე როგორც სიყვარულს, ანდა დანაშაულის განცდას, ან სულაც მომავალზე ფიქრს. ასე რომ, თუ ჩვენი კავშირი არ გამოაშკარავდებოდა (თუმც წარმოუდგენელი იყო, რომ არ შეემჩნიათ, რადგან ინტესიურმა სექსმა, ორივეს გონება დაგვიბნელა) მე და იძუმის შეიძლება ერთხანს კიდევ გაგვეგრძელებინა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც მანამდე გვქონდა, ალბათ ყოველ საზაფხულო არდადეგებზე შევხვდებოდით ერთმანეთს. არავინ იცის რამდენ ხანს გასტანდა ეს, მაგრამ უეჭველია, რამდენიმე წლის მერე, ერთ-ერთი ჩვენთაგანი აუცილებლად შეწყვეტდა ამ ურთიერთობას, რადგან აშკარად სხვდასხვანაირები ვიყავით, ძალიან ცოტა რამ გვაერთიანებდა და დრო, ნელ-ნელა ამ განსხვავებას კიდევ უფრო გააღრმავებდა. დღევანდელი გადასახედიდან ეს სრულიად აშკარაა. მე რომ მისი

მამიდაშვილი არ გამეჟიმა, ალბათ ჩვენი დაცილება მშვიდობიანი და მეგობრულიც კი იქნებოდა და ყოველგვარი ტკივილის გარეშე გადავიდოდით ცხოვრების ახალ ეტაპზე.

მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა.

სინამდვილეში იძუმის მოუშუშებელი ჭრილობა მივაყენე. არც ისე დიდი დრო დამჭირდა მივმხვდარიყავი, თუ რა ღრმა იყო ეს იარა. სკოლაში მისი ნიშნების პატრონს, ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში შეეძლო ესწავლა, მაგრამ ყველა მისაღები გამოცდა ჩააფლავა და იძულებული გახდა, ქალთა მესამე ხარისხის კოლეჯში ევლო. მას მერე რაც გამოაშკარავდა ჩემი კავშირი მის მამიდაშვილთან, იძუმის მხოლოდ ერთხელღა შევხდი. დიდხანს ვიკამათეთ ჩვენს საყვარელ კაფეში, სადაც ხშირად ტკბილად გვიმუსაიფია. ვცდილობდი გულწრფელად ამეხსნა, თუ რა მოხდა, სიტყვებს ფრთხილად ვარჩევდი, ჩემი განცდები სწორედ რომ გადმომეცა. ვუთხარი, რომ ის რაც ჩემსა და მის მამიდაშვილს შორის მოხდა, სულაც არ ყოფილა დაგეგმილი და რომ ის ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, რომ ეს კავშირი იყო მხოლოდ ფიზიკური ძალის ზემოქმედება, რომელმაც გონება აგვირია. ასევე ვუთხარი, რომ ამ კავშირს, ღალატსაც კი ვერ დავარქმევდი, იმიტომ რომ მას სინანულის გრძნობაც კი არ დაუტოვებია ჩემში. ვარწმუნებდი, რომ იმ კავშირს უბრალოდ არაფერი საერთო არ ჰქონდა ჩვენს ურთიერთობასთან.

რაღა თქმა უნდა, იძუმიმ ვერ გაიგო, თუ რას ვგულისხმობდი და ბინძური მატყუარა მიწოდა. მართალიც იყო, ამას ვიმსახურებდი. მის ზურგს უკან, მისგან დამალულად, მის მამიდაშვილთან ვჟიმაობდი. ამასთან არა ერთხელ, ან ორჯერ, არამედ ათჯერ, შეიძლება ოცჯერაც. თავიდანვე ვუღალატე. თუ კი მართლაცდა გულწრფელად ვმოქმედებდი, ტყუილი რაღა საჭირო იყო? იძუმის რატომ პირდაპირ არ ვუთხარი: "*შენი მამიდაშვილი მინდა გავჟიმო, მინდა მკლავებში მყავდეს მოქცეული და ათასჯერ მაინც შევიდე მასში, ყველა შესაძლო მდგომარეობიდან. ნუ ინერვიულებ, ამას შენთან არანაირი კავშირი არა აქვს.*" ალბათ თავიდანვე ასე უნდა მეთქვა და წამდაუწუმ არ უნდა მეცრუა. აღარ დამჭირდებოდა, ახალ-ახალ მიზეზთა ძებნა, რათა მასთან შეხვედრები, სხვა დროისთვის გადამედო, მე კი კიოტოს გავმგზავრებულიყავ და მისი მამიდაშვილის ლოგინში შევმძვრალიყავი. ამ ფაქტებს ვერსად გავექცეოდი და საკუთარი თავის გარდა, სხვას ვერავის დავადანაშაულებდი.

იძუმიმ ჩვენი ამბავი იანვრის მიწურულს გაიგო, მალევე ჩემი მეთვრამეტე დაბადების დღიდან. თებერვალში საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდები ადვილად ჩავაბარე და მარტში უკვე ტოკიოში უნდა გადავსულიყავი სასწავლებლად. სანამ მშობლიურ ქალაქს დავტოვებდი, ტელეფონზე წამდაუწუმ ვურეკავდი, მაგრამ ტელეფონს არ იღებდა. მერე გრძელი წერილების მიწერა დავიწყე, მაგრამ პასუხი არასდროს მიმიღია. გიჟს ვგავდი! არ მინდოდა მისი ასეთ მდგომარეობაში დატოვება, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. იძუმის ჩემი სახელის გაგონებაც არ სურდა.

ტოკიოსკენ სწრაფი მატარებლით მივქროდი, ცვლად პეიზაჟს უგულოდ ვათვალიერებდი და საკუთარ თავზე ვფიქრობდი-- ვინ ვიყავი? სარკმელში არეკლილ ჩემს სახეს და ხელებს ვუყურებდი--''*რა არამზადა ხარ.*" მესმოდა სინდისის ხმა. პირველად სიცოცხლეში მძულდა საკუთარი თავი. რა ჩავიდინე? როგორ მოხდა ეს რომ შემემთხვა? უბედურება ის იყო, რომ მშვენივრად ვიცოდი, არა მარტო ის, თუ რა მოხდა, არამედ ისიც, თუ როგორ მოხდა. ყველაფერი თავიდან რომ დაწყებულიყო, არაფერი შეიცვლებოდა! მე ისევ ისე მოვიქცეოდი. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ და კვლავ უნდა მეცრუა იძუმისთვის, მაინც ვიჟიმავებდი მის მამიდაშვილთან, იძუმის როგორც არ უნდა სტკენოდა გული. ამის აღიარება არ იყო მარტივი, მაგრამ ეს სიმართლე გახლდათ.

გული მარტო იძუმისათვის არ მომიკლავს. მივხდი, რომ საკუთარი თავისთვისაც მიმიყენებია ჭრილობა, თუმც იმჟამად წარმოდგენაც კი არ მქონდა, რამდენად ღრმა იყო ეს იარა. წესით ამ გამოცდილებით ბევრი რამ უნდა მესწავლა, მაგრამ როცა განვლილ ცხოვრებას თვალი გადავავლე, მივხდი, რომ თურმე მხოლოდ ერთი რამისთვის მიმიღწევია, რისი უარყოფაც შეუძლებელია. ეჭვს გარეშეა, რომ მე ვიყავი პიროვნება, რომელსაც ბოროტების ჩადენა შეეძლო. მართალია არასდროს დამიგეგმავს, ვინმესთვის ზიანის მიყენება, მაგრამ თუ დამჭირდებოდა, შემეძლო მემოქმედა, როგორც ეგოიზმით სავსე, სასტიკ პიროვნებას. ისეთი ადამიანი ვიყავი, ვისაც შეეძლო, საპატიო რამის მომიზეზებით, მოუშუშებელი ტკივილი მიეყენებინა მათთვის, ვინც გულუბრყვილობის გამო მიენდნენ.

უნივერსიტეტის სწავლის გამო, ახალ ქალაქში გავაგრძელე ცხოვრება, სადაც შევეცადე ერთხელ კიდევ შევცლილიყავი, გავმხდარიყავი ახალი პიროვნება, გამომესწორებინა წარსულის შეცდომები. საამისოდ თავდაპირველად საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი და მეგონა რომ ამას მოვახერხებდი. ცხოვრებამ კი საპირისპირო გვიჩვენა: საითკენაც არ უნდა წავსულიყავი, საკუთარ თავს ვერ გავექცეოდი, მივხდი, რომ ვერ შევიცვლებოდი. ერთსა და იგივე შეცდომას მრავალჯერ ვუშვებდი, ვაყენებდი რა სხვა ადამიანებს ძლიერ ტკივილს, ამით საკუთარ თავსაც არ ვინდობდი.

როცა ოცი წლის გავხდი, მწარედ ამეკვიატა ერთი აზრი "*იქნებ სამუდამოდ დავკარგე ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბების შანსი?*" იქნებ ჩემს პიროვნებაში დაბადებიდანვეა ჩადებული ის, რისი შედეგიცაა ჩემს მიერ ჩადენილი შეცდომები? თითქოს უსაშველოდ ვვარდებოდი და ვიცოდი ძირს რაც მელოდებოდა.

თავი 5

უნივერსიტეტში ჩემი ყოფნის ოთხი წელი ძირათადად დროის დაკარგვა იყო.

პირველ წელს რამდენიმე დემონსტრაციაში მივიღე მონაწილეობა და ერთხელ პოლიციელებთან შეტაკებაშიც კი მოვყევი. ვყოფილვარ სტუდენტური გაფიცვების თანამონაწილეც და რამდენჯერმე პოლიტიკურ აქციასაც დავესწარი. იქ რამდენიმე საკმაოდ თავისებური პიროვნება გავიცანი, მაგრამ ჩემი გული პოლიტიკისგან შორს იყო. დემონსტრაციების დროს, უცხო ადამიანებთან ხელჩაჭიდებული, თავს უხერხულად ვგრძნობდი, ხოლო როცა სხვებთან ერთად, პოლიციელებს ქვებს ვესროდი, თავს ვეკითხებოდი "ნუთუ ეს მე ვარ? განა ესაა ის, რაც მინდოდა?" ძალიან ვეჭვობდი, რომ ეს მართლაც ის იყო, რაზეც ოცნებობდი. ნამდვილად ვერ ვგრძნობდი სოლიდარობას, ჩემს გვერდით მყოფ ადამიანთა მიმართ. თანდათან ძალადობამ ქუჩებში ისევე დაკარგა აზრი, როგორც იქ გამოტანილმა ლოზუნგებმა. მივხდი, თუ რა ძვირფასი ყოფილა იძუმისთან გატარებული წყნარი დღეები. სამწუხაროდ წარსულს ვეღარ დავიბრუნებდი, უნდა გამოვმშვიდობებოდი იმ მოგონებებს.

ლექციების უმრავლესობა ძალიან მოსაწყენი იყო. არაფერს დავუინტერესებივარ. სწავლის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ისე ვიყავი დაკავებული დროებითი სამუშაოთი, რომ ლექციებს იშვიათადღა ვესწრებოდი. საკუთარ იღბალს უნდა ვუმადლოდე, უნივერსიტეტის დამთავრება საერთოდ რომ შევძელი. პირველ კურსზე მეგობარი გოგო გავიჩინე და ერთად ექვსი თვე ვიც-

ხოვრეთ, მაგრამ ამ ურთიერთობიდან არაფერი გამოსულა. ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რა მინდოდა ცხოვრებაში.

აშკარად პოლიტიკის დრო გასულიყო. როგორც უქარო დღეს დაშვებული დროშები, ხალხთა მასებიც, ადრე გიგანტური ტალღებივით რომ აზანზარებდნენ საზოგადოებას, დამშვიდდნენ. უფერული, შრომითი და ყოველდღიური საზრუნავით სავსე დღეები დამდგარიყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთი მეგობარი დამეხმარა რედაქტორად მოვწყობილიყავი გამომცემლობაში, რომელიც სასწავლო სახელმძღვანელოებს ბეჭდავდა. საამისოდ თმა შევიჭერი, ფეხსაცმელი გავიპრიალე და ახლად ნაყიდ კოსტუმში გამოვეწყე. დიდი კომპანია არ ყოფილა, მაგრამ ლიტერატორთა ადგილები საერთოდ არც ისე ბევრია და განსაკუთრებით ცოტა მოთხოვნილება იყო იმ წელს. ჩემი დაბალი ნიშნებისა და გავლენიან ნაცნობთა უქონლობის გამო, უნდა დავკმაყოფილიყავი იმით, რაც ვიშოვე.

სამსახური მეტად მოსაწყენი იყო, თუმც თვითონ კომპანია სულაც არ იყო ურიგო. ჩემი პრობლემა ის იყო, რომ სასწავლო წიგნების გამოცემა, ოდნავადაც არ მანიჭებდა სიამოვნებას. დასაწყისში ვცდილობდი ყველაფერი გამეკეთებინა, რათა ამ საქმიანობით, რაიმე ღირებული შექმნილიყო. ნახევარი წელი მთელი გულმოდგინებით ვმუშაობდი და ველოდებოდი, რომ მიღწეული შედეგით კმაყოფილი დავრჩებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის მერე შევეგუე, რომ სამსახური არ იყო ის, რაც მე ოდესმე კმაყოფილებას მომიტანდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი ცხოვრების დასასრული თვალებში მომჩერებოდა. ერთმანეთზე უფრო მოსაწყენი თვეები და წლები თანდათან გაილეოდა და სიცარიელის გარდა არაფერი შემრჩებოდა. პენსიამდე ოცდაცამეტი წელი მაკლდა. მანამდე კი, ყოველდღიურად მაგიდასთან უნდა ვმჯდარიყავი და ტექსტების კორექტურით, დიაგრამებში ხაზების თვლით, ანდა მართლწერის შემოწმებით ამეტკივებინა თავი. ალბათ სასიამოვნო ქალიშვილზე დავქორწინდები, მეყოლება ბავშვები და წელიწადში ორჯერ ტრადიციული პრემიის მიღება იქნება ჩემი ერთფეროვანი ცხოვრების ყველაზე ნათელი წერტილი. ყოველთვის დიდი ტკივილით მახსენდებოდა ის, რაც იძუმიმ ერთხელ მითხრა "დარწმუნებული ვარ დიდობაში ღირსეული პიროვნება გამოხვალ. შენში არის რაღაც განსაკუთრებული". *მე და განსაკუთრებული? ეჰ, არ დაიჯერო, იძუმი! თუმც დარწმუნებული ვარ, შენ ჩეზე უკვე სულ სხვა აზრის ხარ. აჰ, ჯანდაბას, შეცდომა ხომ ყველას შეიძლება მოუვიდეს*!

ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას მექანიკურად ვასრულებდი, ხოლო თავისუფალ დროს ვკითხულობდი, ანდა მუსიკას ვუსმენდი, რადგან სამსახური მოსაწყენი აუცილებლობა იყო, გადავწყვიტე ის დრო მაინც, როცა არ ვმუშაობდი, რაც შეიძლება სასიამოვნოდ გამეტარებინა. არასდროს წავსულვარ თანამშრომლებთან ერთად დასალევად, არა იმიტომ, რომ მარტოობა მიყვარდა და სხვა ადამიანებთან არ მინდოდა ურთიერთობა, უბრალოდ არაოფიციალური ურთიერთობა არ მინდოდა მქონოდა თანამშრომლებთან, თანაც უკვე გადავწყვიტე თავისუფალი დრო ჩემი საკუთრება ყოფილიყო და არ მსურდა მას რაიმე კავშირი ჰქონოდა სამსახურთან.

უცბად გაირბინა ოთხმა, თუ ხუთმა წელმა. ამ დროის მანძილზე რამდენიმე მეგობარი ქალი მყავდა, მაგრამ ყველა მოკლე ხნით. ჩვეულებრივ რამდენიმე თვის ნაცნობობის მერე თავს ვუტყდებოდი "ეს ის არაა, რაც მსურს". ზოგიერთთან საქმე ლოგინამდეც კი მივიდა, მაგრამ არასდროს სერიოზულში არ გადაზრდილა. ჩემი ცხოვრების მესამე პერიოდი, სკოლის დამთავრებიდან დაწყებული, ვიდრე ოცდაათის გავხდებოდი, რომელიც 12 წელი გრძელდებოდა, იყო იმედგაცრუებათა და სიმარტოვის ხანა. სიჩუმისა და უძრაობის წლები, როცა ჩემი გრძნობები ჩემს შიგნითვე ქრებოდნენ.

თანდათანობით საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტე. მარტო ვვახშმობდი, მარტო ვსეირნობდი, საცურაოდაც მარტო დავდიოდი, ისევე როგორც კინოებსა თუ კონცერტებზე. თავს არც სევდიანად ვთვლიდი და არც გულმოკლულად. ხშირად ვფიქრობდი შიმამოტოსა და იძუმიზე, სულ მაინტერესებდა სად იყვნენ და რა ბედი ეწიათ. ალბათ გათხოვდნენ და შეიძლება შვილებიც კი ჰყავთ. არაფერი გამიკეთებია, ისინი სასაუბროდ მაინც რომ მენახა, თუნდაც მხოლოდ ერთი საათით. არადა შიმამოტოსა და იძუმისთან შემეძლო გულწრფელი ვყოფილიყავ. ხშირად მიმტვრევია თავი, თუ როგორ დამებრუნებინა იძუმი, ანდა როგორ მენახა ხელახლა შიმამატო. ვფიქრობდი, რომ მართლაც დიდებული იქნებოდა, ეს თუ მოხდებოდა, მაგრამ თითი-თითზეც კი არ დამიდვია, ეს ოცნება რომ ამხდენოდა. ჩავთვალე, რომ ორივე სამუდამოდ დავკარგე. საათის ისრები, ხომ მარტო ერთი მიმართულებით მიდიოდნენ. საუთარ თავთან დავიწყე მუსაიფი, ღამეობით მარტო ვსვამდი. დარწმუნებილი ვიყავი, ცოლს არასდროს მოვიყვანდი.

სამსახური ორი წლის დაწყებული მქონდა, როცა პაემანზე შევხდი ერთ კოჭლ ქალიშვილს. ერთ-ერთმა თანამშრომელმა ორმაგ პაემანზე წამოსვლა შემომთავაზა. ის თავის მეგობარ ქალიშვილს უნდა შეხვედროდა, რომელიც თავისმხრივ გაუთხოვარ თანაკლასელს მოიყვანდა. თანამშრომელმა ცოტა შეწუხებულმა მითხრა: "მართალია ერთი ფეხი აწუხებს, სამაგიეროდ კოხტა და სასიამოვნო პიროვნებაა, დარწმუნებული ვარ მოგეწონება. ამასთან ვერც კი შეამჩნევ, თუ კი კოჭლობს. სულ ოდნავ ატანს ძალას სიარულისას".

"ეგ, არაა პრობლემა" მივუგე მე. სიმართლე გითხრათ, მას რომ კოჭლობა არ ეხსენებინა, უარს ვეტყოდი. უკვე ყელში მქონდა ამოსული ორმაგ, თუ ბრმა პაემნებზე სიარული, მაგრამ როგორც კი გავიგე ფეხი ჰქონიაო დაზიანებული, უარი აღარ მითქვამს.

''ვერც კი შეამჩნევ თუ კი კოჭლობს. სულ ოდნავ ატანს ძალას სიარულისას."

ქალიშვილი ოდნავ დაბალი, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის აღმოჩნდა. მას ფარული სილამაზე ჰქონდა და ტყის პატარა ცხოველს მაგონებდა, რომლის სახესაც იშვიათად თუ მოჰკრავს კაცი თვალს. ერთ კვირა დილას ოთხივე შევიკრიბეთ და ჯერ კინოში შევედით, შემდეგ კი ერთად ვისადილეთ. ის ძირითადად სდუმდა. ძალიან ვეცადე რომ ამელაპარაკებინა, მაგრამ მისი მხოლოდ გაღიმება მოვახერხე. ნასადილევს წყვილებად დავიშალეთ. მე და ის ჰიბიას ბაღში წავედით, სადაც ყავა დავლიეთ. შიმამოტოსგან განსხვავებით, ის მარჯვენა ფეხით კოჭლობდა და ფეხიც განსხვავებულად მიჰქონდა. შიმამოტო ფეხს აბრუნებდა, როცა წინ მიდიოდა, ეს კიდევ ფეხისწვერს ოდნავ გვერდით უქცევდა და მაინც, მათი სიარულის მანერა გასაოცრად ჰგავდა ერთმანეთს.

ეცვა წითელი, ყელიანი სვიტრი და ზამშის ფეხსაცმელი. მაკიაჟი არც კი ემჩნეოდა, თმები ცხენის კუდივით ჰქონდა შეკრული. უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტი იყო, მაგრამ კიდევ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ვერაფრით ამეხსნა მისი დუმლი, ვერ გავრკვეულიყავი ბუნებით იყო უთქმელი, თუ პირველი პაემანი ბორკავდა, ანდა, იქნებ სულაც არაფერი ჰქონდა სალაპარაკო. ასე იყო თუ ისე, დიდხანს საუბარი არ აეწყო. ერთადერთი ფაქტი, რისი გაგებაც შევძელი, ის იყო, რომ კერძო უნივერსიტეტში ფარმაკოლოგიაში სპეციალიზირდებოდა.

''აჰ! ფარმაკოლოგია? ალბათ საინტერესოა, არა?"

ბაღში მდებარე კაფეში ვისხედით და ყავას ვსვამდით. შევამჩნიე რომ გაწითლდა.

"ნუ, სწუხარ, ყველაფერი რიგზეა. არც სახელმძღვანელოების რედაქტირებაა ამ ქვეყნად ყველაზე უფრო საინტერესო საქმიანობა, მაგრამ მოსაწყენი საქმეებიც ვინმემ ხომ უნდა აკეთოს, არა? ნუ სწუხარ ამაზე." ვუთხარი ღიმილით.

ის ცოტა ხანს ჩაფიქრდა და როგორც იყო მიპასუხა.

"მართლაც, არც ისე საინტერესოა. უბრალოდ ჩემი მშობლები აფთიაქს ფლობენ."

"შეგიძლია ცოტა, რამ მასწავლო ფარმაკოლოგიიდან? მე ამ დარგის საწყისებიც კი არ ვიცი. ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ალბათ ერთი აბიც კი არ გადამიყლაპავს."

"თქვენ შესაშური ჯანმრთელობის ბრძანებულხართ".

"ეხლა ნაბახუსევიც კი არ მაწუხებს, მაგრამ ბავშვობისას წამდაუწუმ ავად ვხდებოდი და ბევრ წამალს მასმევდნენ. დედისერთა ვიყავი, ამიტომ მშობლები თავს დამკანკალებდნენ."

თავი დამიქნია და ერთხანს ყავის ფინჯანს ჩასცქეროდა. საკმაო დრო გავიდა ვიდრე ხმას ამოიღებდა.

"ფარმაკოლოგია მართლაც არაა საინტერესო. ამქვეყნად მილიონი რამეა, რაც უფრო საინტერესოა, ვიდრე სხვადასხვა წამლების შემადგენლობათა დამახსოვრება. ნამდვილად არაა ისეთი რომანტიული, როგორც ვთქვათ ასტრონომიაა და არც ისე დრამატული, როგორც მედიცინაა, თუმც არის მასში, რაღაც ჩემთვის ნაცნობი და გამოსადეგი, ამიტომაც მიადვილდება."

"გასაგებია" ვუპასუხე. თურმე საუბარი შესძლებია, უბრალოდ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა ვიდ-რე სხვებს. ეტყობოდა გულმოდგინეთ არჩევდა სიტყვებს.

"გყავთ და-ძმა?" კიდევ ერთხელ შევეკითხე.

"ორი უფროსი ძმა. ერთი უკვე დაოჯახებულია".

"ფარმაკოლოგიას იმიტომ სწავლობთ, რომ ოჯახური ბიზნესი გააგრძელოთ?"

კიდევ ერთხელ გაწითლდა და დიდხანს სდუმდა. "არ ვიცი. ჩემს ძმებს სამსახური უკვე აქვთ, ასე რომ შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მამამ მითხრა, რომ თუ ეს იდეა არ მიზიდავს, არც ამით დაშავდებოდა რამე. ის გააგრძელებს საქმეს, სანამდისაც შესძლებს, შემდეგ კი აფთიაქს გავყიდით".

მე თავი დავუქნიე და დაველოდე თუ რას იტყოდა კიდევ.

"ხშირად მიფიქრია, რომ საქმეს ალბათ მე უნდა გავუძღვე. ჩემი ფეხის პატრონს ძნელად თუ ვიშოვი უკეთესს სამსახურს."

ის საღამო სასიამოვნო საუბარში გავატარეთ. ხშირად ჩუმდებოდა და კარგა ხანს ველოდებოდი, თუ როდის გააგრძელებდა სათქმელს. ყოველ შეკითხვაზე წითლდებოდა. სიმართლე გითხრათ საუბრით მეტად კმაყოფილი დავრჩი, რადგან იმ სიტუაციაში საუბარი ნამდვილი მიღწევა იყო. მაშინ კაფეში მის გვერდით მყოფს, ნოსტალგიური გრძნობა შემომაწვა, თითქოს მას მთელი ცხოვრება ვიცნობდი.

ნადვილად არ მოვუხიბლივარ. არა, დანამდვილებით არა! კოხტა და სასიამოვნო, კი უდაოდ გახლდათ და ერთად ყოფნითაც დიდად ვისიამოვნე. სრულიად სამართლიანად თქვა თანამშრომელმა, რომ კოხტა და სასიამოვნო პიროვნება იყო, მაგრამ ეს ყველაფერი, რაღაც გარეგნული მეჩვენა, და თუ საკუთარ თავს ვკითხავდი, იყო თუ არა მასში ისეთი, რამაც გული ამითთროლა? პასუხი უარყოფითი იყო. მხოლოდ შიმამოტოსთან მოხდა ასეთი რამ. როცა კაფეში ვიჯექით და ამ ქალიშვილს ვუსმენდი, ფიქრებით შიმამოტოსთან ვიყავი. ვცდილობდი მასზე არ მეფიქრა, მაგრამ არ გამომდიოდა. ამდენი წლის მერეც, შიმამოტოზე ფიქრისას, ტანში ჟრუანტელი მივლიდა და ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ვცდილობდი საკუთარი თავის შიგნით, გულის კარიბჭის ნაზად გაღებას. როცა ჰიბიის ბაღში მივსეირნობდი ამ კოხტა, ოდნავ კოჭლი ქალიშვილის გვერდით, ნადვილად არ განმიცდია ისეთი აღტკინება, მთელ ტანში ჟრუანტელივით რომ დაევლოს, თუმც ქალიშვილი უდავოდ იწვევდა ჩემში მოწონებისა და სინაზის გრძნობას.

მისი სახლი, იგივე აფთიაქი, მდებარეობდა კობინატაშო. ავტობუსით მივაცილე სახლამდე. ავტობუსში გვერდიგვერდ ვიჯექით. მთელი მგზავრობის მანძილზე თითქმის სდუმდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი თანამშრომელი მომიახლოვდა და მამცნო, რომ ქალიშვილს ნამდვილად მოვეწონე და შემომთავაზა პირველსავე უქმე დღეს კვლავ შევხვედროდით ოთხივე და სადმე გაგვესეირნა. მე რაღაც მოვიმიზეზე და ზრდილობიანი უარი ვუთხარი, არა იმიტომ, თითქოს იმ ქალიშვილის ნახვა აღარ მდომებოდა. სიმართლე გითხრად ნამდვილად მსურდა კიდევ ერთხელ მომცემოდა მასთან საუბრის საშუალება. სხვა გარემოებათა დროს, ალბათ სასიამოვნო მეგობრებიც კი გავხდებოდით, მაგრამ ჩვენ ორმაგი პაემნის დროს გავიცანით ერთმანეთი, ხოლო ასეთ შეხვედრებს კი მხოლოდ პარტნიორის მოძებნა აქვთ მიზნად. ასე რომ, თუ მას კიდევ ერთხელ შევხდებოდი ორმაგ პაემანზე, მე გარკვეული პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ნამდვილად არ მინდოდა მისთვის გულისტკინა. ამან მაიძულა უარი მეთქვა ხელახალ შეხვედრაზე.

მას მეტად აღარ შევხვედრილვარ.

მეექვსე თავი,

ამ პერიოდში, კიდევ ერთ კოჭლ ქალთან შემემთხვა უცნაური ინციდენტი, რაც დღემდე სრულიად გაუგებარი რჩება ჩემთვის. ეს მოხდა როცა ოცდარვა წლის ვიყავი. წინასაახალწლო სავაჭრო ციებცხელებისას, ტოკიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ხალხმრავალ უბან შიბუიაში, მარტო მოსეირნემ თვალი შევავლე ქალს, რომელსაც მარცხენა ფეხი შიმამოტოსებურად მიჰქონდა. მას გრძელი წითელი ლაბადა ეცვა, იღლიაში ლაკირებული ტყავის ჩანთა ეკავა, ხოლო მარცხენა მაჯაზე ვერცხლის საათი უბრწყინავდა, რომელიც სამაჯურს უფრო წააგავდა. ყველაფერს სიმდიდრის სუნი დაჰკრავდა. მე ქუჩის საპირისპირო მხარეს ვიყავი და შემჩნევისთანავე გადასასვლელისკენ გავიქეცი. ქუჩა ისეთი ხალხმრავალი იყო, რომ მიკვირდა საიდან მოგროვილიყო ამდენი ადამიანი. საბედნიეროდ მალე წამოვეწიე. დაზიანებული ფეხის გამო, ნელ-ნელა მიუყვებოდა ქუჩას, ფეხი კი ზუსტად ისე მიჰქონდა, როგორც შიმამოტოს. თვალს ვერ ვწყვეტდდი მის წინდებიან, მშვენიერ ფეხებს, რომლებიც მოძრაობისას ისეთ ელეგანტურ წირს აღწერდნენ, რაც მხოლოდ წლების გულმოდგინე ვარჯიშით თუ მიიღწევა.

კარგა ხანს კვალში მივყვებოდი, ორიოდე ნაბიჯის სიახლოვით. დისტანციის დაცვა სულაც არ იყო ადვილი, რადგან მისი და ხალხის ნაკადის სიჩქარეები სრულიად საპირისპირონი იყვნენ. ტემპის

ასაწყობად ხშირად ვჩერდებოდი, თითქოს მაღაზიის ვიტრინებს ვათვალირებდი, ხანაც ჯიბეში ვიქექებოდი, თითქოს რაიმეს ყიდვას ვაპირებდი. მას შავი ტყავის ხელთათმანები ეცვა და ეჭირა უნივერმაღის საფირმო პაკეტი. მიუხედავად ზამთრის მოღრუბლული დღისა, მზის სათვალეები ეკეთა. უკანიდან მარტო მის ლამაზ, საგულდაგულოდ დავარცხნილ, მხრებამდე ჩამოშვებულ თმებს და მსუბუქ, თბილ, წითელ ლაბადაში გახვეულ ზურგს ვხედავდი. რა თქმა უნდა, თუ მაინტერესებდა იყო თუ არა ის მართლაც შიმამოტო, წინ უნდა გადამესწრო და სახეში შემეხედა, მაგრამ ასე არ ვიქცეოდი. მიზეზი ის იყო, რომ თუ ქალი მართლაცდა შიმამოტო აღმოჩნდებოდა, რა უნდა მეთქვა მისთვის? ან როგორ უნდა მოვქცეულიყავი? მას ხომ შეიძლება არც კი ვხსომებოდი? დრო მჭირდებოდა თავის ხელში ასაყვანად. რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე, გონებას უკეთ რომ ეაზროვნა.

დიდხანს მივყვებოდი და ვცდილობდი არ გადამესწრო მისთვის. ის კი შეუჩერებლად მიიწევდა წინ, არც ერთხელ უკან არ მოუხედავს, არაფერს ამჩნევდა ირგვლივ და ისე იქცეოდა, თითქოს იცოდა სადაც უნდა წასულიყო და ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად მისულიყო იქ. შიმამოტოს მსგავსად წელგამართულს და თავაწეულად მოსეირნეს, თუ მარტო წელზევით შეხედავდით, ვერაფრისდიდებით იფიქრებდით ფეხზე პრობლემა თუ ჰქონდა. ეგაა, ცოტათი უფრო ნელა მიდიოდა, ვიდრე უმრავლესობა დადის ხოლმე. რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი, მით უფრო ვამსგავსებდი შიმამოტოს. თუ შიმამოტო არ იყო, მაშინ მისი ტყუპისცალი მაინც უნდა ყოფილიყო.

ქალმა გააპო სადგურ შიბუიას წინ მოგროვილი ხალხის მასა და აოიამას მიმართულებით აღმართს აუყვა. აღმართზე კიდევ უფრო ნელა მიდიოდა, თუმცა საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა. ბევრნი ამხელა მანძილისთვის ტაქსით სარგებლობენ. მითუმეტეს რომ ეს გზა ჯანმრთელი ფეხებისთვისაც კი დამღლელი იყო. ის კი კვლავ მიდიოდა. უფრო მეტი ძალდატანებით მიჰქონდა მარცხენა ფეხი, მე კი საგრძნობ მანძილზე მივყვებოდი, რათა არ შევემჩნიე. ამდენ ვიტრინაში გამოფენილ ნივთთაგან, არცერთს მოუტაცია მისი მზერა. ხანდახან თუ შეინაცვლებდა ხელს, ხელჩანთას და ნაყიდ ნივთებიან პაკეტს მეორე ხელში გადაიტანდა ხოლმე და გზას მიმართულების შეუცვლელად აგრძელებდა.

ამასობაში ხალხმრავალი ქუჩიდან გადაუხვია. ემჩნეოდა ამ უბანს კარგად იცნობდა. ხალხმრავალი გამზირიდან უცბად წყნარ, საცხოვრებელ სახლებიან ქუჩაზე აღმოვჩნდით. მე კვლავ უკან მივყვებოდი და უფრო მეტად ვფრთხილობდი, რომ შეთხელებულ ხალხში არ შევემჩნიე. 40 წუთი მაინც იქნებოდა გასული, რაც ასე მივყვებოდი. რამდენჯერმე კუთხეებში მივუხ-მოვუხვიეთ და ისევ ხალხმრავალ გამზირზე ამოვყავით თავი. მან ხალხის ნაკადს გვერდი აუარა და პირდაპირ კაფეში შევიდა. ეს ეტყობა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. კაფეში ტკბილეულობასა და ნამცხრებსაც ჰყიდდნენ. მე დაახლოებით ათიოდე წუთი კაფის წინ მიმოვდიოდი და შემდეგ მეც შიგნით შევედი.

ქალი კარების უკან იჯდა. კაფეში მართალია დახუთული ჰაერი იდგა და ზედმეტად თბილოდა, ის მაინც წითელ ლაბადაში იყო გახვეული. ლაბადის შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო. მე შემოსასვლელიდან მოშორებით მდებარე მაგიდასთან დავჯექი და ფინჯანი ყავა შევუკვეთე. იქვე გაზეთი შევნიშნე, გადათვალიერება დავიწყე, თითქოს ვკითხულობდი, სინამდვილეში კი ვუთვალთვალებდი თუ რას აკეთებდა. წინ ფინჯანი ყავა ედგა, მაგრამ მას არც კი შეხებია. ერთხელ სიგარეტი ამოიღო თავისი ხელჩანთიდან და ოქროს სანთებელით მოუკიდა. სხვა მხრივ გაუნძრევლად იჯდა და ფანჯარას მისჩერებოდა. ეტყობოდა დაღლილიყო და ისვენებდა, ანდა სულაც რაიმე მნიშვნელოვან გარემოებას ღრმად ჩაეფიქრებინა. ყავას ნელ-ნელა ვსვამდი და ერთსა და იგივე სტატიას უკვე მერამდენედ ვკითხულობდი.

საკმაო ხანი ასე ვიყავით, შემდეგ ის უცბად წამოდგა და პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მღელვარებისგან გული კინაღამ გამიჩერდა. მან ჩემს მაგიდას გვერდი აუარა და ტელეფონ-ავტომატთან მივიდა, ხურდა ჩაყარა და ნომერი აკრიფა. მართალია ტელეფონი ჩემი მაგიდიდან შორს არ იყო, მაგრამ მისი ლაპარაკიდან ვერაფერი გავიგე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქუჩაში საშობაო სიმღერების ჩანაწერებს გაუთავებლად გვასმენინებდნენ და ხალხმრავლობის გამო ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა. ის ტელეფონზე დიდხანს საუბრობდა. მისი ტუჩებმიუდებელი ყავა კი დიდი ხანია გაციებულიყო. ხელახლა რომ ჩამიარა, უკვე შემეძლო სახე შემეთვალიერებინა, მაგრამ კვლავ გაუგებრობა მტანჯავდა, არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული, მართლა შიმამოტო იყო თუ არა. უზარმაზარი მზის სათვალეები, ნახევარ სახეს უფარავდა, სახე მძიმე მაკიაჟს დაეფარა, ფანქრით გამოქნილი წარბები და მუქი წითელი პომადით შეღებილი, მტკიცედ მოკუმული ტუჩები ჰქონდა. მისმა სახემ მომაგონა შიმამოტოს სახე, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა სხვა ვინმეაო, ამ ცნობასაც დავიჯერებდი. ბოლოს და ბოლოს შიმამოტო ისევ 12 წლისა მახსოვდა და უკვე მთელი თხუთმეტი წელი გასულიყო, რაც აღარ მენახა. ერთადერთი რაც უდაო იყო, ისაა, რომ ჩემს წინ ოცდარაღაცის მომხიბვლელი და მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი იდგა, რომელსაც ფეხი დაზიანებული ჰქონდა.

ოფლმა დამასხა, პერანგი მთლად სველი მექნებოდა. პალტო გავიხადე და კიდევ ერთი ფინჯანი ყავა მოვითხოვე. *"რის გაკეთებას აპირებ?"* თავს შევეკითხე. ხელთათმანები დავკარგე და შიბუიას მივაშურე სანაცვლოს საყიდლად, მაგრამ როგორც კი ამ ქალს შევავლე მზერა, შეშლილივით დავედევნე. ალბათ უმრავლესობა მსგავს სიტუაციაში მიუახლოვდებოდა და შეეკითხებოდა *"უკაცრავად, თქვენ შიმამოტო ხომ არ ბრძანდებით"*? მაგრამ მე უსიტყვოდ ავედევნე და ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ ასე ადვილად უკვე ვეღარ გამოველაპარაკებოდი.

ტელეფონზე ლაპარაკს როგორც კი მორჩა, პირდაპირ თავის მაგიდას მიაშურა. კვლავ ჩემსკენ ზურგით იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. მიმტანი მიუხლოვდა და ჰკითხა შეეძლო თუ არა გაციებული ყავის აღება. მოსმენით ეს არ მომისმენია, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს მართალაც ასე იყო, რადგან ქალმა თავი დაუქნია და ხელახლა შეუკვეთა ფინჯანი ყავა, თუმც არც ამჯერად შეხებია ფინჯანს. მე ისევ ვაგრძელებდი გაზეთის თვალიერებას, ის კი წამდაუწუმ დასცქეროდა მაჯის ვერცხლის საათს, თითქოს ვიღაცას მოუთმენლად ელოდა. ეს იქნებ გამოლაპარაკების ბოლო შანსია? გავიფიქრე. უცნობი პიროვნების გამოჩენის შემდეგ მას ვეღარ დაველაპარაკებოდი. ამის მიუხედავად სკამიდან არ წამოვმდგარვარ. ჯერ კიდევ დრო მაქვს, თავს ვიმშვიდებდი. აჩქარება ამ დროს არ შეიძლება, ასე ვარწმუნებდი თავს. ასე უმოქმედოდ გავიდა კიდევ თხუთმეტი, თუ ოცი წუთი. ის ისევ ფანჯარაში იყურებოდა და ქუჩას ათვალიერებდა. უცბად, ყოველგვარი მომზადების გარეშე ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა და იგივე ხელში უნივემაღის პაკეტი აიღო. ეტყობოდა მეტ ლოდინს აღარ აპირებდა. იქნებ არც არავის ელოდებოდა? ვუყურებდი სალაროსთან ფული როგორ გადაიხადა და კაფედან გავიდა. წამოვხტი, სასწრაფოდ გავასწორე ანგარიში და დავედევნე.

მისი ლაბადა თვალებით მოვძებნე, ვხედავდი როგორ მიდიოდა ხალხის ნაკადში. ხალხის ნაკადს ვაპობდი და ვცდილობდი მივახლოვებოდი. მან ხელი ასწია, ეტყობოდა ტაქსის გაჩერება სურდა. მალე ერთმა ტაქსმა შუქსიგნალი გამორთო და მის წინ გაჩერდა. *''უნდა დავუძახო''*, გავიფიქრე, *''ეხლა თუ ტაქსში ჩაჯდა, ამით ყველაფერი დამთავრდება''*. მისკენ გავიწიე და ამ დროს ვიღაცა იდაყვში მწვდა. შებოჭვამ სუნქვა შემიკრა. არ მტკენია, მაგრამ ძლიერი შებოჭვისგან ვიგუდებოდი. შემოვტრიალდი და შუა ხნის მამაკაცის წინ აღმოვჩნდი, რომელიც პირდაპირ მომჩერებოდა. ჩემზე ცოტა დაბალი, მაგრამ მკვრივი აღნაგობის იყო. დაახლოებით ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ეცვა მუქი-რუხი პალტო და მოხვეული ჰქონდა ქაშმირის კაშნე, ორივე უაზროდ ძვირი ჩანდა. თმა

საგანგებოდ დაევარცხნა, ეკეთა ძვირფასი სათვალე, რომლის ჩარჩოც კუს ჯავშნისგან იყო დამზადებული. ეტყობოდა სპორტს მისდევდა, ნამზევი სახე ჰქონდა. თხილამურები? საეჭვოა. ალბათ უფრო ჩოგბურთი. გამახსენდა იძუმის მამა, რომელიც ჩოგბურთს მისდევდა და რომელსაც სახეზე მსგავსი ნამზევი ჰქონდა. მამაკაცი აშკარად წარმატებული ფირმის აღმასრულებელი, ანდა მთავრობის მაღალჩინოსანი მოხელე იყო. მისი თვალებიდან იყურებოდა პიროვნება, რომელიც მხოლოდ განკარგულებებს იძლეოდა.

"ყავას ხომ არ ინებებთ?" მშვიდად მკითხა.

ქალი თვალებით მოვძებნე, უკვე მოხრილიყო და ტაქსში ჯდებოდა, წამიერად მზის სათვალეებმა ჩვენსკენ გამოიხედა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა. ტაქსის კარები მიიხურა, მალე თვალს მიეფარა. მე კი უცნობთან მარტო დავრჩი.

"დიდ დროს არ წაგართმევთ" მითხრა მამაკაცმა. ხმა სრულიად მშვიდი ჰქონდა. არც გაბრაზება და არც აღელვება არ ეტყობოდა. იმავდროულად ხელს კვლავ მიგრეხდა, ოღონდ ეს ისე ჩანდა, თითქოს ხელში ღია კარები ეჭირა და ჩემი წინ გატარება უნდაო.

"ყავა დავლიოთ და გავისაუბროთ".

შემეძლო წავსულიყავი, *"ყავა ეხლახანს დავლიე და სასაუბროც არაფერი გვაქვს. ჯერ ერთი, წარმოდგენაც კი არ მაქვს თუ ვინ ბრძანდებით, და მეორეც, მაპატიეთ მაგრამ მეჩქარება"* რა თქმა უნდა შემეძლო ასე მეპასუხა. მაგრამ დუმილი ვამჯობინე და მხოლოდ ვუყურებდი. ბოლოს თავი დავუქნიე და შევედით იგივე კაფეში, საიდანაც ახლახანს გამოვედი. შესაძლოა მისმა მბრძანებულმა მოქმედებამაც შემაშინა. უცნაური, გამყინავი ძალის წნეხი ვიგრძენი. თითქოს ადამიანი კი არა, მანქანა ყოფილიყოს. ჩემზე განხორციელებული შებოჭვა სრულყოფილი იყო, ის არც მცირდებოდა და არც იზრდებოდა. თუ წინადადებაზე უარს ვიტყოდი, წარმოდგენა არ მქონდა, თუ რას გამიკეთებდა. უცნაურია, მაგრამ შიშთან ერთად ცნობისმოყვარეობამაც გაიღვიძა. მაინტერესებდა რისი თქმა უნდოდა. იქნებ იმ ქალზე რაიმე ინფორმაცია მიმეღო? ეხლა როცა ის გაუჩინარდა, მამაკაცი ერთდადერთი იყო, ვინც რაიმეთი იყო ჩემთან და იმ ქალთან დაკავშირებული. გარდა ამისა, ნამდვილად არ ჰგავდა ისეთს, კაფეში ცემა-ტყეპა აეტეხა.

მაგიდას მივუჯექით ერთანეთს პირისპირ. სანამ მიმტანი მოვიდოდა, ორივე ვსდუმდით. ვიჯექით და ერთმანეთს ვათვალიერებდით. ორი ფინჯანი ყავა შეუკვეთა. ' "შეგიძლიათ ამიხსნათ თუ რატომ მისდევდით მას ასე ხანგრძლივად?" ზრდილობიანად მომმართა მან. მე არ მიპასუხია. გაყინული თვალებით დიდხანს და დაძაბულად მიყურებდა.

"მშვენივრად ვიცი რომ შიბუიადან აედევნეთ." განაგრძო მან. "ამხელა მანძილზე დევნა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა."

კვლავ ვსდუმდი. მაშ, ის ქალი მიხვედრილა კვალში რომ ვედექი და აქ იმიტომ მოვიდა, რათა მამაკაცისთვის დაერეკა.

"თუ არაფერი გინდათ თქვათ, თქვენი ნებაა. მე ვიცი რაც მოხდება, თუნდაც თქვენ კრინტიც არ დასძრათ." შეიძლება გაღიზიანდა, მაგრამ კვლავ ზრდილობიან და მშვიდ კილოს ინარჩუნებდა. "რამდენიმე გზაა ამის მოსავლელად, მე არ ვხუმრობ. თუ რამე გადავწყვიტე, დარწმუნებული იყავით, რომ გავაკეთებ".

ამ სიტყვების შემდეგ გაჩუმდა და ჩემი შეთვალიერება გააგრძელა. თითქოს უნდოდა ეცნობებინა რომ ის სიტუაციას ფლობდა და ჩემთან მეტი ახსნა-განმარტება აღარ სჭირდებოდა. არც ეხლა დამიძრავს არცერთი სიტყვა.

"მაგრამ არ მსურს აქ სცენების გამართვა, ყოველშემთხვევისთვის ამჯერად. იმედია ეს მაინც გესმით" მითხრა და მარჯვენა ხელი, რომელიც აქამდე მაგიდაზე ედო, პალტოს შიდა ჯიბეში ჩაიყო და იქიდან თეთრი კონვერტი ამოიღო. მარცხენა კვლავ მაგიდაზე ედო. ჩვეულებრივი კონვერტი იყო, საქმიან ქაღალდებს რომ აგზავნიან ისეთი.

"ეს აიღეთ, და ნურაფერს იტყვით. ვიცი სხვისი გამოგზავნილი რომ ხართ. ამიტომაც მსურს ყველაფერი ჩუმად და მეგობრულად მოგვარდეს. არცერთი სიტყვა, რაც მოხდა. არანაირი ამბავი დღეს არ გადაგხდენიათ და არც არასდროს შევხვედრილვართ. კარგად გაიგეთ? თუ კი როდისმე გავიგებ, რომ რაიმე გითქვამთ, შეგიძლია ჩათვალოთ, რომ გნახავთ და იმას გავაკეთებ, რასაც საჭიროდ ჩავთვლი. ასე, რომ შეწყვიტეთ მისი თვალთვალი. იმედია არც ერთ ჩვენთაგანს არ სურს პრობლემები ჰქონდეს, ხომ მართალს ვამბობ?"

ამ სიტყვების თქმისთანვე კონვერტი წინ დამიდო და წამოდგა. მოლარეს ჩეკი გამოართვა, გადაიხადა და კაფე სასწრაფოდ დასტოვა. გაოცებული დიდხანს ვიჯექი გაუნძრევლად. შემდეგ კონვერტი ავიღე და შიგნით ჩავიხედე. იქ იყო ათი ცალი ათიათასიან იენიანი ბანკნოტი. შრაშუნა, სრულიად ახალი ბანკნოტები. პირი გამშრობოდა. კონვერტი ჯიბეში ჩავიდე და კაფე დავტოვე. ირგვლივ მიმოვიხედე, დავრწმუნდი, რომ მამაკაცი იქ აღარ იყო, ტაქსი ავიყვანე და დავბრუნდი შიბუიაში, სადაც ეს ისტორია დაიწყო.

წლების შემდეგაც შენახული მაქვს ის ფულიანი კონვერტი, თუმც მას შემდეგ აღარ გამიხსნია, ის ინახება ჩემი მაგიდის უჯრაში. ხანდისხან, ღამღამობით, როცა არაფრით არ მეძინება, იგივე უცნობი მამაკაცი, როგორც რაღაც ავის მომასწავებელი, წარმომიდგება ხოლმე. ვინ ოხერი იყო, ვიცოდე მაინც? და იყო თუ არა ის ქალი შიმამოტო?

რამდენიმე თეორია იხლართებოდა გონებაში, მაგრამ ეს ისეთი თავსატეხი აღმოჩნდა, რომელსაც ამოხსნა არ ეწერა. ახალ ჰიპოტეზას იმიტომ ჩამოვაყალიბებდი ხოლმე, რომ კრიტიკით მალევე გამენადგურებინა. ყველაზე უფრო სარწმუნო ახსნა გულისხმობდა, რომ ისინი საყვარლები იყვნენ და ჩემზე იფიქრეს, თითქოს ქმრის მიერ ცოლის სათვალთვალოდ დაქირავებული აგენტი ვყოფილიყავი. იმ კაცის აზრით შემოთავაზებული ფულით, ჩემს სიჩუმეს ყიდულობდა. ალბათ იფიქრეს, რომ მე ისინი შევნიშნე, როცა სასტუმროდან გამოდიოდნენ, სადაც საიდუმლო პაემანი ჰქონდათ. ეს მოვლენათა საკმაოდ აზრიან ახსნას იძლეოდა, მაგრამ შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ ეს, ასე არ უნდა ყოფილიყო. ძალიან ბევრი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა. მამაკაცმა მითხრა, რომ თუ ის მოისურვებდა, მრავალი საშუალება ჰქონდა ჩემთან გასასწორებლად, მაგრამ რას გულისხმობდა ამაში? და რატომ შემბოჭა ასე უცნაურად? და თუ ქალმა იცოდა კვალში რომ ვედექი, რატომ ადრევე არ აიყვანა ტაქსი? მას ხომ ერთ წუთში შეეძლო ჩამოვეცილებინე? და ბოლოს, მამაკაცმა ჩემი პიროვნების გამოუკვლევად, ფულით სავსე კონვერტი რატომ შემომაჩეჩა?

ეს ამბავი დარჩა როგორც გამოცანა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ილუზია იყო, თავიდან ბოლომდე ფანტაზია, რომელიც ჩემს თავში შევთხზე, ანდა სულაც ძალიან გრძელი სიზმარი, რომელიც სინამდვილესავით აღვიქვი. მაგრამ ეს მოხდა! ჩემი მაგიდის უჯრაში თეთრი კონვერტი დევს, რომელშიც ათი ცალი, ათიათას იენიანი ბანკნოტია. ეს კი უეჭველი

მტკიცებულებაა, რომ ეს ამბავი არ დამსიზმრებია. *ეს ნამდვილად მოხდა*! ხშირად ამომიღია ეს კონვერტი და მაგიდაზე დამიდვია, დიდხანს მიცქერია მისთვის. *ჰო, ეს ნამდვილად მოხდა!*

მეშვიდე თავი

ოცდაათის ვიყავი როცა დავქორწინდი. მეუღლე საზაფხულო შვებულებისას გავიცანი, მაშინ მარტო ვმოგზაურობდი. ის ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო. მივსეირნობდი რომელიღაც სოფლის გზაზე, როცა მოულოდნელად ძლიერ გაწვიმდა. შევვარდი პირველსავე ადგილას, სადაც კი თავის შეფარება შეიძლებოდა. ის და მისი მეგობარი გოგონა იქ დამხვნენ. სამივე გალუმპულები ვიყავით და წვიმის გადაღებას ვუცდიდით. მალე მეგობრულ საუბარს შევყევით. მაშინ რომ ძლიერ არ გაწვიმებულიყო, ანდა ქოლგა თან მქონოდა (რაც თავისუფლად შეიძლება მომხდარიყო, რადგან ამაზე დიდხანს ვფიქრობდი სასტუმროდან გამოსვლის წინ) მას ვერასდროს შევხდებოდი, და თუ მას ვერ შევხდებოდი, კვლავაც გამომცემლობაში ვიმუშავებდი, ღამ-ღამობით ჩემს ბინაში მარტო ვილოთებდი და საკუთარ თავთან ვიკამათებდი. გაფიქრებაც კი მზარავს თუ რა შეზღუდულია ჩვენი შესაძლებლობანი.

იუკიკო და მე თავიდანვე მოვიხიბლეთ ერთმანეთით. მისი მეგობარი უფრო ლამაზი იყო, მაგრამ მე იუკიკოს დავადგი თვალი. ჩვენ შორის ისეთი იდუმალი მიზიდულობა დამყარდა, რომლის მსგავსი დიდი ხანია აღარ განმეცადა. ისიც ტოკიოში ცხოვრობდა და მოგზაურობიდან დაბრუნებულები პაემნებზე ვხდებოდით, რაც უფრო ხშირად ვნახულობდი, მით უფრო მეტად მომწონდა. ის არ იყო ისეთი გარეგნობის, რითაც მამაკაცები უცბად იხიბლებიან, მაგრამ მის სახეში იყო რაღაც, რასაც მარტო მე ვამჩნევდი. ყოველი შეხვედრისას ხანგრძლივი მზერით ვათვალიერებდი და უფრო მეტად მიყვარდებოდა ის, რასაც ვხედავდი.

"რატომ მიყურებ ასე?" შემეკიხა.

"იმიტომ რომ უმშვენიერესი ხარ" ვუპასუხე.

"ეს შენს მეტს არავის უთქვამს."

"იმიტომ რომ ჩემს მეტმა არავინ იცის ეს ამბავი" ვუპასუხე. "დამიჯერე, ვიცი რასაც ვამბობ".

ჯერ არ სჯეროდა, მაგრამ მალე მართლაც დამიჯერა. შეხვედრისთვის ყოველთვის წყნარ ადგილს ვამჯობინებდით და დიდხანს ვსაუბრობდით. მასთან შემეძლო ყველაფერზე მესაუბრა, რაც კი მაწუხებდა, არაფერი მქონდა მასთან დასამალი. ვგრძნობდი როგორ მეხსნებოდა, ბოლო ათი წლის განმავლობაში უაზროდ გატარებული ცხოვრებისაგან გამოწვეული ტვირთი. სანამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა, უნდა დამებრუნებინა გაფლანგული ახალგაზრდობა. ყოველთვის, როცა კი იუკიკოს გვერდით ვიყავი, ვგრძნობდი ტანში ჟრუანტელი როგორ მივლიდა. გამომშვიდობებისას კი თითქოს ვწყდებოდი აქაურობას. მარტოსულობა ტკივილამდე მაწუხებდა. სიჩუმე აუტანელი ხდებოდა. ოცდაათი წელი ერთ კვირაში მისრულდებოდა, ჩვენი შეხვედრები უკვე სამ თვეს გრძელდებოდა, გავბედე და ცოლობა ვთხოვე.

მამამისი საშუალო სიდიდის სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი იყო, გამორჩეული პიროვნება, სკოლაშიც კი არ ევლო ბოლომდის, მაგრამ ნამდვილი საქმის კაცი იყო, ჩემი გემოვნებით შეიძლება ზედმეტად აქტიურიც კი. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულება,

რაც არავისას არ ჰგავდა. მის მსგავსს ცხოვრებაში არავის შევხვედრილვარ. მართალია ტოკიოში მას მერსედესი ემსახურებოდა, საკუთარი მძღოლით, მაგრამ მედიდურობის არაფერი ეტყობოდა. შევხდი, რათა მეცნობებინა, მისი ქალიშვილის ცოლად მოყვანა რომ მსურდა. მან წყნარად მითხრა "თქვენ უკვე ბავშვები აღარ ხართ და თუ მოგწონთ ერთმანეთი, დაე მასე იყოს." მე ვერაფრით დავიტრაბახებდი, არც ისე კარგი კომპანიის უბრალო მოსამსახურე ვიყავი, მაგრამ ეს მისთვის არ ყოფილა დაბრკოლება.

იუკიკოს უფროსი ძმა და უმცროსი და ჰყავდა. ძმა იგივე კომპანიის პრეზიდენტის მოადგილე იყო და სრულიად ცხადი იყო, რომ მომავალში ოჯახური ბიზნესის გამგრძელებელი იქნებოდა. ურიგო მამაკაცი არ იყო, მაგრამ აშკარად იჩრდილებოდა მამის გვერდით. სამი შვილიდან ყველაზე საქმიანი უმცროსი და ჩანდა, რომელიც ჯერ ისევ სტუდენტი იყო. მას ნამდვილად შეეძლო საქმეთა წარმართვა და ვფიქრობ თავის ძმაზე უკეთესი პრეზიდენტიც დადგებოდა.

ქორწინებიდან ნახევარი წლის თავზე, იუკიკოს მამამ შემომითვალა, რომ ჩემი ნახვა სურდა. თავისი ქალიშვილისაგან იცოდა, რომ სახელმძღვანელოთა გამომცემ კომპანიაში მუშაობა დიდ ბედნიერებას არ მანიჭებდა და მკითხა, ვაპირებდი თუ არა სამუშაოსთვის თავის დანებებას.

"დანებება არაა პრობლემა." ვუპასუხე. "პრობლემა ისაა, რომ არ ვიცი სხვა რა გავაკეთო."

" იქნებ ჩემთან გადმოსულიყავი სამუშაოდ?" მკითხა. "იცოდე, ბევრს გამუშავებ, მაგრამ ხელფასით უკმაყოფილო არ იქნები".

"იცით, რა? სახელმძღვანელოთა რედაქტირება ნამდვილად არაა ჩემი საქმე, მაგრამ არც სამშენებლო ფირმაში მუშაობა უნდა იყოს ჩემი მოწოდება." ზრდილობიანად ვიუარე. "დიდად მადლობელი ვარ შემოთავაზებისთვის, მაგრამ თუ მაგ სამუშაოსაც ვერ შევეწყე, ყველაფერი უფრო ცუდად დამთავრდება და ნამდვილად არ ღირს თქვენი ამდენად შეწუხება."

"ალბათ მართალი ხარ. ადამიანები არ უნდა აიძულო აკეთონ ის, რაც არ სურთ". მიპასუხა. მომეჩვენა რომ ჩემი პასუხით კმაყოფილი დარჩა. საუბრის მერე ცოტა დავლიეთ. მისი ვაჟი ლიქიორს ძნელად ეწყობოდა, ასე რომ ხანდახან ჩვენ ორნი ვსვამდით ერთად. "სხვათაშორის, ჩემი კომპანია ეხლა აოიმაში აშენებს. მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა და ალბათ შემდეგ თვეში მოვრჩებით. ადგილმდებარეობა საუცხოოა, იქ მალე წყნარი უბანი იქნება. ამჯერად იქ მთლად ადვილი მისასვლელი არაა, მაგრამ იცოდე, ეგ პერსპექტიული ადგილია და უბანი მალე გაიზრდება. ვიფიქრე, იქნება ღირდეს მანდ რაიმეს გახსნა? ეს კომპანიის საკუთრებაა, რის გამოც ქირა უნდა გადაგვიხადო, მაგრამ თუ ეს სერიოზულად დაგაინტერესებს, მე შემიძლია იმდენი გასესხო, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლი".

ამ წინადადებამ დამაფიქრა. რამდენიმე ერთმანეთზე უფრო საინტერესო შესაძლებლობა მესახებოდა.

აი, ასე გავხსენი ჯაზ-ბარი, აოიამაზე მდებარე სრულიად ახალი ცათამბჯენის მიწისქვეშა სართულზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს პარალელურად ბარში ვმუშაობდი, ასე რომ ჩემთვის ნაცნობი იყო, თუ როგორ სასმელს და საჭმელს ჰქონდა ბარში გასავალი, ვიცოდი მუსიკა და გარემო როგორ უნდა შემეხამებინა და როგორ მომხმარებელზე ამეღო ორიენტაცია. ჩემი სიმამრის კომპანიამ შიდა დეკორაციების დამთავრება თავის თავზე აიღო, მათ დაიქირავეს საუცხოო დიზაინერები და მათ მოქმედების სრული თავისუფლება მისცეს. საოცარია, მაგრამ ეს ყველაფერი საკმაოდ ზომიერი თანხა დაჯდა და როცა ისინი საქმეს მორჩნენ, შედეგი საუცხოო სანახავი იყო.

ბარი იმაზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ყველაზე ოპტიმისტურ ოცნებაში წარმოვიდგენდი. ორი წლის შემდეგ, მეორე მსგავსი ბარი გავხსენი, ისევ აოიამაზე. ეს უკვე ბევრად უფრო ფართო იყო, თანაც აქ ყოველ საღამოს ჯაზ-ტრიო უკრავდა. ამ საქმემ დიდი დრო და ენერგია წაიღო, დიდძალ ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ საბოლოო ჯამში მე გავხდი ძალიან პოპულარული კლუბის მფლობელი. ნამდვილად შევძელი შემოთავაზებული, ღირსეული სამუშაოს გამოყენება და მისი არც თუ ურიგოდ შესრულება. ეხლა შეიძლებოდა ცოტათი მაინც ამომესუნთქა, თანაც ზუსტად იგივე პერიოდში, პირველი ქალიშვილი შეგვეძინა. თავდაპირველად სალაროსთანაც ვდგებოდი და კოკტეილებსაც ვაზავებდი, მაგრამ მეორე ბარის გახსნის შემდეგ, მთლიანად ბიზნესზე დავკავდი. დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა: ფასებზე მოლაპარაკება, საჭირო პერსონალის დაქირავება, ბუღალტერია. ყველაზე მეტად მომწონდა იმის განცდა, თუ როგორ ესხმებოდა ხორცი, თავში მოსულ იდეებს და როგორ იძენდნენ ისინი სრულიად კონკრეტულ ფორმას. ხანდადახან მენიუსაც კი ვადგენდი და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, არც ისე ურიგოს. მიყვარდა როცა საქმე ნულიდან იწყებოდა, როცა სირთულეებს ნელ-ნელა ვართმევდი თავს და მანამდე ვაგრძელებდი მუშაობას, სანამ ის სრულყოფილებას არ მიაღწევდა. ეს იყო ჩემი ბარი, ჩემი პატარა სამყარო. განა ასეთ ბედნიერებას როდისმე მოგანიჭებთ სახელმძღვანელოთა კორექტურების კითხვა? არასოდეს.

დღისით უამრავ საქმეს ვანდომებდი დროს, ხოლო შეღამებისას ორივე ბარს ვსტუმრობდი, ვსინჯავდი კოკტეილი ხომ არ იყო უგემოვნოდ დამზადებული, მომხმარებელთა რეაქციას ვაკვირდებოდი, ვამოწმებდი, პერსონალი საქმეს როგორ ართმევდა თავს და რა თქმა უნდა მუსიკასაც ვუსმენდი. ყოველთვიურად სიმამრს ფულს ვურიცხავდი, ვალის გამოსაქვითად და მაინც საკმაოდ დიდი თანხა მრჩებოდა. მე და იუკიკომ ვიყიდეთ ოთხ საძინებლიანი აპარტამენტი აოიამაზე, ხოლო ჩემთვის BMW 320 შევიძინე. მალე მეორე შვილიც შეგვეძინა, მეორეც გოგო. ასე, რომ სანამ აზრზე მოვიდოდი, უკვე ორი გოგონას მამა გავხდი.

როცა ოცდათექვსმეტი შემისრულდა, აგარაკი შევიძინე ჰაკონში, პატარა კოტეჯი, ხოლო იოკიკოსთვის ვიყიდე წითელი "ჯიპ ჩეროკი", სავაჭროდ რომ ევლო და ხანდახან ბავშვები სადმე გაეყვანა. ბარებიდან იმდენი შემოსავალი შემოდიოდა, რომ შეიძლებოდა მესამე ბარის ყიდვაც, მაგრამ ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა. ორი ადგილის ყველა დეტალზე ზრუნვას საკმაოდ დიდი დრო მიჰქონდა, უფრო მეტის გაძღოლა კი, დროს სულ წამართმევდა. ორი ბარის მოვლაც, იმდენ ენერგიას მოითხოვდა, რომ დამატებითი საზრუნავს ვეღარ გავუძლებდი.

ჩემს სიმამრს ველაპარაკე და მან მირჩია, მორჩენილი ფულით აქციები მეყიდა, ანდა უძრავ ქონებაში დამებანდებინა. ეს არც ისე ბევრ დროს მოითხოვსო, მითხრა მან. სამწუხაროდ აქციებისა და უძრავი ქონებისა არაფერი გამეგებოდა. სიმამრმა ამიხსნა "წვრილმანები მე მომანდე. თუ ისე მოიქცევი, როგორც მე გირჩევ ნამდვილად არ ინანებ. ამგვარ საქმეებს ალღო და მუღამი სჭირდება". ასე რომ ფული დავაბანდე, ისე როგორც მან მირჩია და ძალიან მალე სოლიდური მოგებაც ვნახე.

"კმაყოფილი ხარ, არა?" მკითხა სიმამრმა. " დაბანდებას ალღო უნდა. შეიძლება კომპანიაში ასი წელიც კი იმუშაო და ამდენი ვერ გამოიმუშაო. წარმატებისთავის იღბალიც საჭიროა და ჭკუაც. უამათოდ არაფერი გამოვა, მაგრამ მარტო ესენი არ კმარა. საჭიროა თავდაპირველი კაპიტალი, ხელმოკლეობა ხელფეხს გიბორკავს, მაგრამ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი კი მუღამია, უიმისოდ ყველა დანარჩენი უძლურია."

"მართალს უნდა ბრძანებდეთ" მივუგე საპასუხოდ. ვიცოდი რასაც გულისხმობდა. როცა კი "მუღამზე" ლაპარაკობდა, ის გულისხმობდა მის მიერ შექმნილ სისტემას. ეს იყო საკმაოდ რთული მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლეოდა საგრძნობი თანხის ჩადებით, დიდი მოგების მიღებას, რაც ეყრდნობოდა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, ნაცნობთა მეშვეობით. შეუდარებელი იყო კანონებსა და საგადასახადო სიტემებთან მანევრირებისას, როცა პროცესში ყველაფერი მუდმივად იცვლებოდა და შემოსავალი კი განუზომლად იზრდებოდა.

ჩემი სიმამრი რომ არა, ისევ სასკოლო სახელმძღვანელოთა კორექტურები უნდა მეკითხა, ვიცხოვრებდი ვიწრო ბინაში, სადმე ნიშიოგიკუბოსთან და კვლავ დაზიანებულ კონდიციონერიანი ტოიტა-კორანათი ვივლიდი. ეხლა კი, შედარებით მოკლე ხანში გავხდი ორი ბარის მფლობელი, ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ოცდაათზე მეტი ადამიანის ბოსი და იმაზე უფრო მეტ ფულს ვშოულობდი, ვიდრე ეს შეიძლება მეოცნება. საქმე იმდენად წარმატებულად მიდიოდა, რომ ჩემს ბუღალტერს უკვირდა კიდეც. ორივე ბარს მაღალი რეპუტაცია ჰქონდა. მე ნამდვილად არ ვარ ერთადერთი, ვისაც შეეძლო ასეთი წარმატება ჰქონოდა. ოღონდ ეგაა, სიმამრის ფინანსური დახმარებისა და მისი "მუღამის" გარეშე ვერასდროს მივაღწევდი ამ მდგომრეობას.

ამ გარემოებით მთლად კმაყოფილი არ ვიყავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გზა უპატიოსნო გზით გამეკვლია. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ გვიანი სამოციანელების თაობის შვილი ვიყავი, თაობისა, რომელმაც სტუდენთა რადიკალური მოძრაობა წარმოქნა. ჩვენ პირველნი ვიყავით, ვინც მკაფიო "არა" უთხრა გვიანი კაპიტალიზმის ლოგიკას, რომელიც ომისშემდგომ ყოველგვარ იდეალს უმოწყალოდ თრგუნავდა. ჩვენი პროტესტი ციებ-ცხელებით შეპყრობილი ქვეყნის აფეთქება უფრო იყო, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებების წინ. დრონი იცვალნენ და ეხლა მე თვითონ ვიყავი იგივე კაპიტალისტური ლოგიკის გავლენის ქვეშ. საკუთარ BMW-ში ვუსმენდი შუბერტის "მგზავრობა ზამთრობისას" და ველოდებოდი აოიამას გადასახვევთან როდის აინთებოდა შუქნიშნის მწვანე ფერი. იქნებ სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობ და არა იმით რაც ჩემი უნდა ყოფილიყო? იმ პიროვნებიდან, ვისაც საკუთარ თავად მოვიხსენიებ, რა ნაწილია მართლა ჩემი? და რა არაა ნამდვილად ჩემი? ამ ხელების, მტკიცეთ რომ ჩეაბღუჯათ BMW-ს საჭე – რამდენი პროცენტი მეკუთვნის მე? სხვების მიერ დადგმულ სცენარში რა ნაწილი თამაშდებოდა და რა ნაწილი იყო სინამდვილე? რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამ კითხვებზე, მით უფრო ცოტა მესმოდა.

ეს იმიტომ კი არა, თითქოს ბედნიერი არ ვყოფილიყავ. იუკიკო ძალიან სათნო და გულისხმიერი ქალი აღმოჩნდა და მიყვარდა. მშობიარობის შემდეგ წონაში მოიმატა და ამიტომ სერიოზულად დაინტერესდა დიეტითა და ფიზიკური ვარჯიშებით. ოდნავი სიმსუქნე სულაც არ მანაღვლებდა, მე მაინც მას ძალიან ლამაზად აღვიქვამდი. მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა და მიყვარდა მასთან ლოგინში წოლა. ყველაფერი რაც მას ეხებოდა, ერთობ დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე. არაფრის დიდებით აღარ ვისურვებდი ის დღეები დამბრუნებოდა, რითაც ვცხოვრობდი ცოლის მოყვანამდე, სიმარტოვისა და თვითიზოლაციის დღეები. ეხლა ვგრძნობდი, რომ იუკიკოს ვეკუთვნოდი, ვცხოვრობდი იქ, სადაც ჩემი თავი უყვარდათ და ზრუნავდნენ, იქ სადაც მეც შემეძლო მყვარებოდა და მეზრუნა მეუღლესა და შვილებზე. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩენა იყო, სრულიად ახალ შეგრძნებათა წყარო.

ყოველ დილით უფროსი გოგონა მანქანით მიმყავდა კერძო საბავშვო ბაღში და მთელი გზა, მანქანის სტრეომაგნიტოფონის ფონზე, მამა-შვილი საბავშვო სიმღერებს ვმღეროდით. ამის მერე, სანამ იქვე, მეზობლად დაქირავებულ პატარა ოფისში გადავიდოდი სამუშაოდ, უმცროს გოგონას ვეთამაშებოდი. ზაფხულობით ყოველ შაბათ-კვირას, ჰაკონეში მდებარე ჩვენს კოტეჯს ვსტუმ-

რობდით, სადაც ხან ფეიერვერკებს ვაწყობდით, ხანაც ტბის გარშემო დავსეირნობდით და ხანაც გორაკებზე ავდიოდით.

ჩემი ცოლის ორსულობის დროს რამდენიმე თავგადასავალი მქონდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა სერიოზული. ეს ქალები თითოჯერ გავჟიმე, ზოგიერთი ორჯერაც . . . კარგი, სამ-ჯერ და ამაზე მეტად ნამდვილად არა. ეს ურთიერთობები ღალატადაც არ ჩამითვლია. უბრალოდ მინდოდა ვინმეს გადაჟიმვა და ეტყობა, ჩემს პარტნიორებსაც იგივე სურდათ. გართულებების თავიდან ასაცილებლად, ეს ქალები საგულდაგულოდ მყავდნენ შერჩეულნი. ეტყობა ლოგინში რაღაცის დახვეწა მინდოდა. ვცდილობდი ამ ქალებში მეპოვა ის, რაც მაინტერესებდა და გამეგო, თუ რას ეძებდნენ ისინი ჩემში.

პირველი შვილის დაბადებიდან არ იყო დიდი ხანი გასული, როცა ღია ბარათი მივიღე, ის მშობლების სახლში მისულიყო, მათ კი ტოკიოში გადმომიგზავნეს. დაკრძალვის მაუწყებელი ცნობა იყო, გარდაცვლილი ქალის ვინაობით, რომელიც ამ ქვეყნიდან ოცდათექვსმეტი წლის ასაკში წასულიყო. ეს სახელი არაფერს მეუბნებოდა. ღია ბარათი ნაგოიადან გამოეგზავნათ. კარგა ხნის ფიქრი დამჭირდა, რომ მივხვედროდი თუ ვინ იყო გარდაცვლილი. ის იძუმის მამიდაშვილი იყო. აი ის, კიოტოში რომ ცხოვრობდა. მისი სახელი სრულიად დამვიწყებოდა. მის მშობლებს ეტყობა ნაგოიაში უცხოვრიათ. დღესავით ცხადი იყო, რომ ღია ბარათი იძუმის გამოგზავნილი იყო. სხვა არავინ იყო ამ ქვეყნად, ვისაც შეეძლო ეს გაეკეთებინა. საინტერესო იყო, თუ რატომ შემატყობინა? თავიდან ვერაფრით მივხდი, მაგრამ ღია ბარათის არაერთგზის გადაკითხვის შემდეგ, როცა მთლიანად ვიგრძენი, ის გამყინავი სიცივე, რაც ამ სტრიქონებს თან ახლდა, მივხდი რომ იძუმის არათუ არ დავიწყებია ის, რაც მოვიმოქმედე, არამედ არც არასდროს უპატიებია ჩემთვის. ეტყობოდა უღიმღამო ცხოვრობა ჰქონდა -- წარმატებული და ბედნიერი ქალი, ასეთ ღია ბარათს არ გამოაგზავნიდა, ან თუ გამოაგზავნიდა ორიოდე სიტყვით მაინც მოიწერებოდა მომხდარ ამბავზე.

იძუმის მამიდაშვილი და ყველაფერი, რაც მასთან მაკავშირებდა თვალწინ დამიდგა. მისი ოთახი, მისი სხეული და თავბრუდამხვევი სექსი, მაგრამ ამ მოგონებებს უკვე სიცხადე აკლდა და ისინი ისევე მშორდებოდნენ, როგორც კვამლი ქარიან ამინდში. წარმოდგენა არ მქონდა, თუ რა იყო სიკვდილის მიზეზი. ოცდათექვსმეტი წელი სიკვდილისთვის ძალიან არაბუნებრივი ასაკია. გვარი არ შეეცვალა, რაც ნიშნავს რომ ან საერთოდ არ გათხოვილა, ანდა გაცილებული ყოფილა.

იძუმიზე და მის ადგილსამყოფელზე თანაკლასელმა მიამბო. მას წაეკითხა ჩემდამი მიძღვნილი სპეციალური სტატია "ტოკიოს ბარების მეგზური", რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ "*ბრუტუს-მა*" გამოაქვეყნა. გარეკანზე ჩემი ფოტო იყო დაბეჭდილი და შეიტყო რომ აოიამაზე ორი ბარის მფლობელი ვყოფილვარ. ერთ საღამოს შემოიარა და სალაროსთან მჯდომარეს მომიახლოვდა: "*გამარჯობა, როგორ ხარ? საუკუნეა არ მინახიხარ.*" სპეციალურად ჩემს სანახავად მოსულს არ ჰგავდა. ეტყობოდა თანამეინახეებთან ერთად იყო დასალევად შემოსული და გადაწყვიტა გამომლაპარაკებოდა.

"ამ ბარში ხშირად დავდივარ" მითხრა თანაკლასელმა "სამსახურიდან ორ ნაბიჯზეა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ მქონდა, შენ თუ გეკუთვნოდა. რა პატარაა ეს ქვეყანა, არა?"

უფროსკლასებში მე აუტსაიდერთა რიცხვში ვიყავი, მას კი კარგი ნიშნები ჰქონდა და სპორტშიც გამორჩეული იყო. მოსწავლეთა საბჭოს წევრიც ხშირად ყოფილა. სასიამოვნო ადამიანი იყო, არასდროს მოგაბეზრებდა თავს. სკოლის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა და მაშინვე კაი ზორბა ვინმე იყო, მაგრამ ეხლა გვარიანად გასუქებულიყო, ღაბაბი ჩამოშვებოდა, ხოლო მუქი ლურჯი

კოსტუმი-სამეული აშკარად ვიწროდ ჰქონდა. როგორც ამიხსნა, სამსახურის გამო ხშირად უწევდა გავლენიან მომხმარებელთა გამასპინძლება, რაც მის ფიგურას საგრძნობლად დაეტყო. "*დიდი კომპანიები ბორბლებზე შემდგარი ჯოჯოხეთია, არავინ დაგიდევს სამუშაო საათებს, მომხმარებელთა გამასპინძლება, მივლინებები, თუ სამუშაო ადგილის შეცვლა, ჩვეულებრივი ამბავია. ვერ გაართმევ თავს კარგად და ამოგკრავენ პანღურს და ისე გამოგისვრიან. მათ მოთხოვ-ნებს შეასრულებ და ისინიც უფრო და უფრო მეტს მოგთხოვენ. ბიზნესში წესიერ ადამიანთა ადგილი არაა*". მისი სამსახური აიომას პირველივე უბანში ყოფილა, ქუჩის ბოლოს, აქედან ორიოდე ნაბიჯის იქით.

ჩვენ ავლაპარაკდით და ბუნებრივია ერთმანეთს უამრავი კითხვით მივმართეთ. რამდენი რამის გაგება მოგინდება თანაკლასელისაგან, რომელიც თვრამეტი წელი არ გინახავს! თავდაპირველად კითხვები სამსახურს, ოჯახს, შვილებს შეეხებოდა. მერე საერთო ნაცნონები გავიხსენეთ, ვინ როდის შეგვხვდა. აი, ამ დროს ახსენა იძუმის სახელი.

"გახსოვს, გოგოს რომ ხვდებოდი? სულ ერთად რომ იყავით? მგონი ოჰარა ერქვა".

"კი, იძუმი ოჰარა" მივუგე მაშინვე.

"მართალი ხარ, იძუმი ოჰარა! იცი, არც ისე დიდი ხნის წინ ვნახე."

"ტოკიოში?" გაკვირვებულმა ვიკითხე.

"არა, ტოკიოში კი არა, არამედ ტოიოჰაში".

"ტოიოჰაში?" კიდევ უფრო გაკვირვებულმა ვუთხარი. "აიცჩის პრეფექტურაში, რომ ტოიოჰაშია, იქ?"

"კი, მანდ."

"ვერაფერი გამიგია, როგორ შეხვდი იძუმის ტოიოჰაში? რა ჯანდაბა უნდოდა მას იქ?" მომეჩვენა რომ ჩემს ხმაში მკაცრი და მომთხოვნი ტონი შენიშნა.

"არ ვიცი რატომ." წაიდუდღუნა. "უბრალოდ იქ ვნახე. სამწუხაროდ ბევრს ვერაფერს გეტყვი. არც კი ვარ ბოლომდე დარწმუნებული, ის თუ იყო".

მან კიდევ ერთი ვისკი "გარეული ინდაური" შეუკვეთა, მე კი ისევ კოკტეილი ჯიმლეტი ავიღე.

"არ მაინტერესებს ბევრი გაქვს თუ ცოტა სათქმელი. მსურს ვიცოდე ყველაფერი რაც კი იცი."

"იცი რა?" ეტყობოდა ყოყმანობდა. "იმის თქმა მინდოდა, რომ ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს არც კი მინახავს. უცნაური გრძნობაა, თითქოს გესიზმრა, მაგრამ იცი რომ ეს სინამდვილეში მოხდა, ალბათ ასეთი რამ შენც განგიცდია. ძნელია სიტყვებით გადმოსცე."

"მაგრამ ხომ სინამდვილეში მოხდა?" შევეკითხე მოუთმენლად.

"კი" მიპასუხა.

"მაშ მომიყევი." თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ვისკი მოსვა. "ტოიობაში ჩემი უმცროსი და ცხოვრობს და მას ვესტუმრე. ნაგოიაში ვიყავი სამსახურის საქმეებზე, რადგან პარასკევი იყო,

გადავწყვიტე დას ვსტუმრებოდი და ღამე იქ გამეთენებინა. ჰოდა, ზუსტად იქ შევხდი იძუმის. ის ჩემი დის სახლის ლიფტში შემხვდა. გავიფიქრე კიდეც: ეს ქალი რა საოცრად ჰგავს ოჰარას. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! შეუძლებელია, ჩემი დის სახლის ლიფტში, ჩემს კლასელს რომ შევხდე. მისი სახე სხვანაირად გამოიყურებოდა. საკუთარ თავისთვისაც კი ვერ ამიხსნია, იმწუთშივე როგორ ვიცანი. ალბათ ინსტიქტია."

"დარწმუნებული ხარ რომ იძუმი იყო?"

მან თავი დამიქნია."აღმოჩნდა რომ ის ჩემი დის სართულზევე ცხოვრობს. ჩვენ ორივე ერთდროულად გამოვედით ლიფტიდან და კორიდორშიც ერთი მიმართულებით წავედით. ის იმ ბინაში ცხოვრობს, რომელიც ლიფტიდან იგივე მხარესაა რაც ჩემი დის, სანამ ჩემი დის ბინის კარს მიადგები, ჯერ მისი უნდა გაირო, ჩემი დის კარებამადე, ორი კარით ადრე. დავინახე როგორ შევიდა თავის ბინაში, ცნობისმოყვარეობამ მძლია და კარებზე წარწერაც წავიკითხე. ოჰარა ეწერა".

"შეგამჩნია?" შევეკითხე.

თავი გადააქნია. "მართალია ერთ კლასში ვსწავლობდით, მაგრამ ჩვენ არასდროს ვსაუბრობდით. ამის გარდა მას მერე ძალიან გავსუქდი და ვეღარ მიცნობდა".

" მაგრამ იყო კი ის მართლა იძუმი? ოჰარა საკმაოდ გავრცელებული გვარია, და მისი მსგავსი სხვა ადამიანებიც იარსებებენ."

"მეც თავდაპირველად მასე ვიფიქრე, ამიტომაც დას ვკითხე, თუ როგორი პიროვნება იყო მისი მეზობელი ოჰარა. ჩემმა დამ მიჩვენა მაცხოვრებელთა სია. ხომ იცი, ყველა სახლში აქვთ ასეთი სია, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ხარჯის უცბად გადანაწილება. იქ ყველა მაცხოვრებლის სახელი და გვარი ეწერა. იქიდან გავიგე, რომ ის მართალაც იძუმი ოჰარა იყო. ამასთან იძუმი კატაკანათი ეწერა, ხოლო ოჰარა ჩინური იეროგლიფებით, ასეთნი კი არც ისე ბევრნი უნდა იყვნენ. ამაში შენც დამეთანხმები, არა? "

"მართლაც, ასეთი კომბინაცია დიდი იშვიათობაა. ეგ იმასაც ნიშნავს რომ არ გათხოვილა, არა?"

"ჩემმა დამ არაფერი იცის ამის თაობაზე" მიპასუხა. "როგორც გავიგე, იძუმი ოჰარა იმ სახლის ყველაზე გამოუცნობი ბინადარია. ამდენი ხნის მანძილზე, სახლის ვერც ერთმა მაცხოვრებელმა ვერ მოახერხა, მასთან ერთხელ მაინც გამოლაპარაკება. თუ კორიდორში შეგხვდა და მიესალმები, ის უსიტყვოდ ჩაგივლის. თუ კარებზე დაურეკავ, არ გაგიღებს. სახლის ყველაზე პოპულარული მაცხოვრებლის ტიტულის მოსაპოვებელ კონკურსში გამარჯვების ნამდვილად არანაირი შანსი არა აქვს".

"შეუძლებელია რომ ის იყოს" გავიცინე და თავი გავაქნიე. "იძუმი ყოველთვის თავაზიანი პიროვნება იყო, სულ იღიმებოდა და ძალიან ადვილი იყო მასთან გამოლაპარაკება."

"შეიძლება მართალიც იყო" მიპასუხა. "შეიძლება მართლაც სხვა ვინმე შემხვდა, სხვა პიროვნება, რომელსაც იგივე სახელი და გვარი აქვს. მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ."

"მაგრამ იქ იძუმი ოჰარა მარტო ცხოვრობს?"

"მასე გამოდის. არავის შეუმჩნევია როდისმე მისი აპარტამენტიდან ვინმე გამოსულიყოს. არავინ იცის თუ რითი არსებობს. ეს საკითხი სრული იდუმალებითაა მოცული".

"შენ პირადად რას ფიქრობ?"

"რის შესახებ?"

"მასზე. იძუმი ოჰარას შესახებ, ვინც შეიძლება იყოს, ანდა სულაც არ იყოს ის, ვისაც იგივე სახელით იცნობენ. შენ ხომ ის ნახე? ხომ შეამჩნიე მისი სახე ლიფტში? რას ფიქრობ მასზე? როგორ ფიქრობ კარგად გამოიყურება?"

ის ცოტას ჩაფიქრდა და მიპასუხა: "ვფიქრობ რომ კარგად უნდა იყოს."

"როგორ გამოიყურება ეხლა?"

მან ვისკის ჭიქას ხელი მოუჭირა, უცნაური ხმა გამოსცეს ყინულის ნამტვრევებმა.

"რა თქმა უნდა უკვე ასაკი ეტყობა. ის ხომ უკვე ოცდათექვსმეტისაა, ისევე როგორც შენც და მეც. მეტაბოლიზმი იკლებს. წონაში იმატებ, ყოველთვის უფროსკლასელად ვერ დარჩები".

"გეთანხმები."

"რატომ სხვა თემაზე არ გადავალთ? ის ალბათ სხვა ვინმე იყო."

თავი დავუქნიე. ორივე ხელით დავეყრდნე რაფას, სახეში შევხედე და ვუთხარი. "მისმინე, მე მინდა ვიცოდე. მე ეს უნდა ვიცოდე! სკოლის დამთავრების წინ მე და იძუმი დავშორდით. ყველაფერი საზიზღრად დამთავრდა. ნამდვილად ძალიან ცუდად მოვექეცი და გულიც მწარედ ვატკინე. იმის მერე მასზე არაფერი გამიგია. წარმოდგენა არ მქონდა, სად იყო და რას აკეთებდა.. გთხოვ მითხრა სიმართლე, რაოდენ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს ის! განა ის იძუმი არ იყო?"

მან თავი დამიქნია. "თუ ასეა საქმე, რა გაეწყობა. კი ნამდვილად იძუმი იყო. ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ".

"გულწრფელად მითხარი, როგორ გამოიყურებოდა?"

ის ერთხანს ჩუმად იყო. "თვდაპირველად ერთი რამ მინდა იცოდე. მეც ხომ მის კლასში ვსწავ-ლობდი და ყოველთვის ძალიან მომწონდა, მართლაც სასიამოვნო გოგო იყო, არაჩვეულებრივი პიროვნება. ძალიან ლამაზიაო ვერ იტყოდი, მაგრამ საოცრად მიმზიდველი კი იყო, ალბათ შენც ასევე ფიქრობდი, არა?"

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

' 'მართლა გინდა სიმართლე იცოდე?"

"დანამდვილებით."

"სიმართლე არ მოგეწონება."

"ეგ ნაკლებად მადარდებს. მსურს ვიცოდე სიმართლე."

მან ერთხელ კიდევ მოსვა ვისკი. "შენი მშურდა სულ მის გვერდით რომ იყავი. მეც მინდოდა მყოლოდა ასეთივე მომხიბვლელი გოგო. ეხლა უკვე შემიძლია ეს გაგიმხილო. არასდროს დამვიწ-ყებია. მისი სახე კი, ყოველთვის ათბობდა ჩემს სკოლისდროინდელ მოგონებებს. ამიტომ იყო, გან-

ვლილი თვრამეტი წლის მიუხედავად, გულმა ის ლიფტში შესვლისთანავე იცნო. ამით მინდა გითხრა რომ, არანაირი მიზეზი არ მაქვს მისი ძაგებისთვის. დამიჯერე მეც ელდასავით მეცა და არაფრით მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს სიმართლე იყო. მირჩევნია ასე ჩამოვაყალიბო საბოლოო აზრი: ის უკვე აღარ არის მომხიბვლელი არსება".

მღელვარებისგან ტუჩზე ვიკბინე.

"რას გულისხმობ?"

"იმ სახლის ბავშვთა უმრავლესობას მისი ეშინიათ."

"ეშინიათ?" უაზროდ გავიმეორე. თვალები არ მომიცილებია მისთვის. ეტყობა სიტყვები სწორედ ვერ შეარჩია.

"რას გულისხმობ, როცა ამბობ რომ მისი ეშინიათ?"

"იქნება ამით მოვრჩეთ, კარგი? ნამდვილად არ მსურს ასე რომ გავაგრძელოთ."

“მოიცა, მოიცა! რას აკეთებს ასეთს? ბავშვებს ცუდად მიმართავს?"

"როგორც უკვე გითხარი, მას არასოდეს, არავისთან, არც ერთი სიტყვა არ დასცდენია."

"ისე გამოდის რომ ბავშვებს მისი სახე აშინებთ."

"სწორედ მიხვდი."

“იქნებ შრამი აქვს, ანდა რაღაც მისი მსგავსი?"

"არანაირი შრამი."

"მაშ რა აშინებთ?"

ვისკი ბოლომდე გამოცალა, ჭიქა მიაცურა და ძალიან დიდხანს უსიტყვოდ მიყურა. აშკარად ნერვიულობდა და გვარიანად შეცბუნებულიც იყო. მისი გამომეტყველება სხვა რამესაც მეუბნებოდა. მისი სახე, უფრო და უფრო დაემსგავსა იმას, რასაც სკოლის პერიოდში კარგად ვიცნობდი. მიყურა კიდევ ერთხანს და მერე მზერა შორს გადაიტანა, თითქოს გარეთ, უცბად მოვარდნილ ნიაღვარს უთვალთვალებსო. ბოლოს ამოღერღა.

"ამის კარგად ახსნა შეუძლებელია და არც სურვილი მაქვს. ამიტომ ნურც მომთხოვ, კარგი? საკუთარი თვალით უნდა ნახო, რომ გაიგო. მის უნახავად ვერავინ მიხვდება, თუ რაზეა საუბარი."

უსიტყვოდ თავი დავუქნიე და ჯიმლეტს მივუბრუნდი. მისმა მშვიდმა კილომ დამარწმუნა, რომ შემდეგ გამოკითხვას აზრი აღარ ჰქონდა. ის ეხლა მიყვებოდა, ორი წლის წინანდელ ბრაზილიაში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს, თუ როგორ შეეჩეხა სან-პაულოში, თავის ერთ-ერთ ადრინდელ თანაკლასელს, რომელსაც იქ, ტოიოტას ფირმაში ინჟინერად უმუშავია. მისი სიტყვები უკვე აღარაფერს მეუბნებოდნენ. წასვლისას, მხრებზე მსუბუქად დამკრა და მითხრა:

"რას იზამ, წლები ადამიანებს სხვადასხვანაირად ცვლის. არ ვიცი თქვენს შორის რა მოხდა მაშინ, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყოს, ყველაფერს საკუთარ თავს ნუ დააბრალებ. ასე თუ ისე, ყველა ჩვენთაგანს ჰქონია მსგავსი შემთხვევა. მეც მათ შორის, და ეს ხუმრობის გარეშე! მეც გამომიცდია

ეგ, მაგრამ ვერაფერს გააწყობ. სხვა ადამიანის ცხოვრება, იმ ადამიანის ცხოვრებაა და შენ ვერ აიღებ მასზე პასუხისმგებლობას. თითქოს უდაბნოში ვიყოთ. უნდა შეეგუო. დაწყებით კლასებში, განა არ გაჩვენეს დისნეის ფილმი "ცოცხალი უდაბნო?"

"კი" ვუპასუხე.

"სამყაროც სადაც ვცხოვრობთ ზუსტად ისეთია. წვიმა მოდის და ყვავილები ყვავიან. გვალვაა და ხმებიან. ჭია-ღუები მწერებს ჭამენ, ხოლო მათ ჩიტები ჭამთ, მაგრამ ბოლოს ყველა იღუპება და მტვრად იქცევა. თაობა მიდის და თაობა მოდის. ასეა, ეს ცხოვრება მოწყობილი. მრავალნაირი არჩევანია სიცოცხლისაც და სიკვდილისაც. მაგრამ ბოლოს განა დიდი სხვაობაა? *ჩვენს შემდეგ მხოლოდ უდაბმო დარჩება".*

ის სახლისკენ წავიდა. მე კიდევ დიდხანს ვიჯექი და ვსვამდი. ბარის დაკეტვის შემდეგაც, მას მერეც, რაც ყველა მომხმარებელმა დასტოვა ბარი და იმის შემდეგაც, რაც ბარში მომუშავე ყველა პერსონალი წავიდა. მე ვიჯექი და ვსვამდი. არ მსურდა, ამ ხასიათზე მყოფი სახლში მივსულიყავი. ცოლს დავურეკე და ვუთხარი, რომ სამუშაოზე რაღაც მისახედი იყო და გვიან დავბრუნდებოდი. სინათლე ჩავაქრე და სიბნელეში ვისკს დიდხანს ვსვამდი. ყინულის მოძებნის თავი არ მქონდა და გაუზავებლს მივეძალე.

ყველაფერი გასაქრობადაა გამზადებული. ზოგიერნი უბრალოდ უჩინარდებიან, თითქოს ამოჭრესო. სხვანი ნელ-ნელა ქრებიან. *ჩვენს შემდეგ მხოლოდ უდაბმო დარჩება.*

ბარი გამთენიისას დავტოვე. აოიამის მთავარ ქუჩაზე გამოსულს, მსუბუქი წვიმა წამომეწია. განადგურებული ვიყავი. წვიმა უხმოდ ასველებდა შენობათა რიგს, რომლებიც სასაფლაოს ქვებივით იდგენენ. მანქანა ბარის წინ, ავტოსადგომზე დავტოვე და სახლისკენ ფეხით დავადექი. გზად შემოღობილზე ჩამოვჯექი, ერთხანს უზარმაზარ ყვავს დავუწყე ყურება, რომელიც შუქნიშანზე შემომჯდარიყო და დიდის ამბით ყრანტალებდა. დილის ოთხ საათზე ქუჩები მოუვლელი და დანაგვიანებულნი ჩანდნენ. ირგვლივ ტოტალური დაშლის და განადგურების აჩრდილი მძლავრობდა. მეც მისი ნაწილი ვიყავ, ჩრდილი რომელიც კედელზე მიდუღებულიყო.

მერვე თავი

ჟურნალ "ბრუტუსში" ჩემზე სპეციალური სტატიისა და ფოტოს გამოქვეყნებიდან, ათიოდე დღის განმავლობაში, ჩემს ორივე ბარს, უამრავი ჩემი ძველი ნაცნობი ეწვია. ძირითადად მოდიოდნენ სხვადასხვა დროინდელი ჩემი თანაკლასელები. ყოველთვის მიკვირდა, თუ ვინ კითხულობდა ფოტოებით აჭრელებულ, დიდი ტირაჟებით გამოსულ, ყოველკვირეულ ჟურნალებს, რომლებიც ყველა წიგნის მაღაზიიდან და კიოსკიდან იჭვრიტებოდნენ, მაგრამ ჩემდამი მიძღვნილი სტატიის გამოქვეყნების მერე მივხდი, რომ მათ იმაზე მეტი ადამიანი ეცნობოდა, ვიდრე შემეძლო ეს წარმომედგინა. საპარიკმახეროებისა, ბანკებისა თუ ექიმთა მისაღებებში, კაფეებში, მატარებლებში და ყველა სხვა შესაძლო ადგილას, სადაც კი ადამინები რაიმეს ელოდებიან, აწყვია გადაშლილი ყოველკვირეული ჟურნალები. ეტყობა ადამიანებს ეშინიათ, რომ უიმათოდ გაუჭირდებოდათ დროის მოკვლა და ისინიც ათვალიარებენ ხელში მოხვედრილ ჟურნალებს.

ნამდვილად ვერ ვიტყოდი, ჩემთვის დიდად სასიამოვნო ყოფილიყოს, ძველ თანაკლასელთა ვიზიტები. არა იმიტომ, თითქოს არ მესიამოვნა მათი დანახვა, უბრალოდ მათმა ნახვამ და მათთან საუბრებმა ნოსტალგიურ ხასიათზე დამაყენა. დარწმუნებული ვარ, მათ მართალაც ისიამოვნეს ჩემი ნახვით, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრად, მათთან ერთიდაიგივე სასაუბრო თემა, ჩემში დიდ

სიხარულს აღარ იწვევდა. ჩვენ ხომ ძირითადად მშობლიურ ქალაქსა და სხვა კლასელების შესახებ ვსაუბრობდით, ხოლო ამის ატანა უკვე აღარ შემეძლო. მე უკვე ძალიან დავშოდი იმ ადგილსა და იმ დროს. ამის გარდა ყველაფერი, რასაც ისინი იხსენებდნენ, განსაკუთრებით კი სკოლის ცხოვრება, თუ ქალაქის უბნები, იძუმის მახსენებდა. ჩემი მშობლიური ქალაქის ყოველ ხსენებაზე, თვალწინ მარტოხელა იძუმი წარმომიდგებოდა, სადღაც ტოიოჰაშში. ის უკვე აღარ ყოფილა მომხიბვლელი, როგორც ჩემმა კლასელმა მითხრა. ბავშვებს თურმე მისი ეშინიათ. ეს სიტყვები გონებიდან არ გამომდიოდნენ, არც იმის გაცნობიერება მანიჭებდა სიხარულს, რომ იძუმის მხრიდან პატიებას ვერასოდეს ვეღირსებოდი.

პატარა, უფასო რეკლამა, ჩემს ბარებს წაადგებაო, ვიფიქრე როცა ჟურნალს ინტერვიუს ვაძლევდი, მაგრამ ეხლა უკვე სერიოზულად ვნანობდი, რომ ჟურნალს უფლება მივეცი, ჩემზე სტატია გამოექვეყნებინა და გარეკანზე ჩემი ფოტო დაებეჭდა. ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად მსურდა, რომ ეს სტატია იძუმის ენახა. რა ხასიათზე დადგებოდა, როცა გაიგებდა, რომ მე ბედნიერად და განცხრო-მით ვცხოვრობ და წარსული ოდნავადაც არ მადარდებს.

დაახლოებით ერთი თვის მერე, თანაკლასელთა ნაკადი შეწყდა. ვფიქრობ ეს ჟურნალთა ერთადერთი დადებითი თვისების შედეგია. გამოქვეყნებიდან პატარა დროის მანძილზე, ცნობილი ხდები და მას მალევე მოსდევს, დრო სრული დავიწყებისა. შვებით ამოვისუნთქე. კიდევ კარგი იძუმი არ გამოჩენილა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ის *''ბრუტუსის''* ხელმომწერი ყოფილიყო, მაგრამ შემ-თხვევითობა არ იყო გამორიცხული.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ის სტატია სრულ დავიწყებას მიეცა, ბოლო მეგობარი გამოჩნდა.

შიმამოტო.

ბარი, რომელშიც ტრიო უკრავდა, "გულწითელას ბუდედ" მოვნათლე, ერთი ძველი, საყვარელი მელოდიის გავლენით. ნოემბრის, პირველი ორშაბათის საღამო იყო, როცა ის შემოვიდა, დახლთან მაღალ სკამზე შემოჯდა და დაიქირი შეუკვეთა. მეც დახლთან ვიჯექი, სამი სკამი გვყოფდა ერთმანეთს. ვერც კი წარმოვიდგენდი, შიმამოტო თუ იქნებოდა. რა თქმა უნდა შევამჩნიე, რომ ბარში გასაოცარი სილამაზის ქალბატონი შემოვიდა, მაგრამ სულ ეს იყო. დავაფიქსირე ისიც, რომ ადრე არასდროს გვსტუმრებია, რადგან თუ ის ერთხელ მაინც იქნებოდა ჩვენს ბარში, მას აუცილებლად დავიმახსოვრებდი, იმდენად გამორჩეული სილამაზისა იყო. თავიდან მეგონა, რომ ვინმეს ელოდებოდა. ასეთი ქალბატონები ბარში დასალევად მარტონი არ დადიან. რა თქმა უნდა ზოგიერთი ქალი, ჩვენთან მარტო იმისთვის მოდის, რომ ის შემთხვევით გაცნობილმა მამაკაცმა დაპატიჟოს, ზოგნი კი მხოლოდ იმედოვნებენ, რომ ისინი შეიძლება ვინმემ დაპატიჟონ. მე არასდროს ამრევია, თუ რომელი ქალი, რომელ კატეგორიას ეკუთვნის და ჩემი გამოცდილობის მქონე ადამიანის დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი სილამაზის ქალბატონები ბარში დასალევად მარტონი არ დადიან. მისი მსგავსი ქალები მამაკაცებს არ ეთამაშებიან, ეს მათთვის უფრო ტკივილის მომტანია. ამიტომაც იყო, რომ მისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. რა თქმა უნდა შემოსვლისას კარგად შევათვალიერე და მერეც შიგადშიგ ვუთვალთვალბდი. ძალიან სადა მაკიაჟი, თითქმის არ ეტყობოდა, ეცვა ძვირფასი შალის ლურჯი კაბა და ღია-ცისფერი ქაშმირის ჯემპრი. ჯემრი-კარდიგანი ისეთი ნაზი იყო, თითქოს ხახვის ფოჩიაო. დახლზე კი ხელჩანთა შემოედო, რომელიც ძალიან უხდებოდა ტანსაცმელს. ასაკს ვერ გამოიცნობდით, ერთადერთი რაც შემეძლო მეთქვა, რომ ჩემთვის ნამდვილად შესაფერი ასაკის გახლდათ.

გამაოგნებელი სილამაზის მიუხედავად, მისი სილამაზე ძალიან განსხვავდებოდა კინოვარსკვლავთა, თუ ტოპ-მოდელთა სილამაზისგან, ასეთნი კი ჩემი ბარის ხშირი სტუმრები იყვნენ, მათ ყოველთვის ახსოვდათ, რომ ისინი ხალხის წინ არიან და მუდამ თან სდევდათ გამორჩეულობის გრძნობა. ეს ქალბატონი მათგან სრულიად განსხვავდებოდა და ბუნებრივად შეერწყა აქაურობას. სრულიად მშვიდი, იდაყვით დახლს დაყრდნობილი, ჩვენს ჯაზ-ტრიოს უსმენდა და თან ისეთი გამომეტყველებით სვამდა კოკტეილს, პატარ-პატარა პორციობით, თითქოს ყოველ ყლუპს, განსაკუთრებულად შთამბეჭდავ მუსიკალურ ფრაგმენტს უძღვნისო. რამდენიმე წუთში ერთხელ ჩემსკენ იყურებოდა. ამას ფიზიკურად ვგრძნობდი, თუმცა აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული, რომ მისი ინტერესის წყარო მე არ ვყოფილვარ.

მე ჩვეულებისამბრ მეცვა, ლუციანო სოპრანის შარვალ-კოსტუმი, არმანის პერანგი და ჰალსტუხი და როსეტის ფეხსაცმელი. ნამდვილად არ მივეკუთვნებოდი იმ ადამიანთა რიცხვს, ჩაცმას დიდ ყურადღებას რომ აქცევენ. ძირითად პრინციპს რასაც ვიცავდი, ის იყო, რომ რაც შეიძლება ცოტა დამეხარჯა ჩასაცმელში. სამსახურის გარეთ ჯინსებსა და სვიტერს ვიცვამდი, მაგრამ ასევე მქონდა საკუთარი შეხედულება ბიზნესზეც: უნდა ჩამეცვა ისე, როგორადაც ჩაცმული მომხმარებელი მსურდა მყოლოდა. როგორც კი ეს წესი დავნერგე ყოველდღიურ ცხოვრებაში, შევამჩნიე, რომ თანამშრომელთა პასუხისმგებლობაც გაიზარდა და მათში საკმაოდ ამაღლებული განწყობილება სუფევდა. ამის გამო ყოველთვის, როცა კი ბარში მივდიოდი, მკაცრად ვაკონტროლებდი საკუთარ თავს, რომ უზადოდ მცმოდა და ჰალსტუხი აუცილებლად მკეთებოდა.

ბარში ყოფნისას ვამოწმებდი რამდენად სწორედ იყო შერეული კოქტეილები, თან მომხმარებლებს თვალს ვადევნებდი და ჯაზ-ტრიოს ვუსმენდი. თავდაპირველად ბარი სავსე იყო, მაგრამ ცხრის შემდეგ გაწვიმდა და მომხმარებელთა რაოდენობამ იკლო. ათი საათისთვის მხოლოდ რამდენიმე მაგიდაღა იყო დაკავებული, მაგრამ ქალბატონი დახლიდან არ იძვროდა და დაიქერის სმას აგრძელებდა, რამაც გვარიანად გამაოცა. ეტყობოდა არც არავის ელოდებოდა. ეხლაღა მივაქციე ყურადღება, რომ ამ ხნის მანძილზე მას არც შემოსასვლელისაკენ გაუხედია და არც მაჯის საათისთვის დაუხედია.

ბოლოს ხელჩანთა აიღო და მაღალი სკამიდან წამოდგა. დაახლოებით თერთმეტი ხდებოდა. დრო, როცა მეტროთი მოსარგებლე მომხმარებელი სტოვებდა ბარს. ის კი ნელა, ვითომ აქ არაფერიაო, ჩემსკენ წამოვიდა და ჩემს გვერთით თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. უფაქიზესი სუნამოს სურნელი ვიგრძენი. სკამზე კოხტად მოკალათდა, ჩანთიდან სელემის კოლოფი ამოიღო და სიგარეტი პირში ჩაიდო. ცალი თვალით გულმოდგინედ ვუთვალთვალებდი.

"რა საყვარელი ბარია, არა?"

თავი ავიღე წიგნიდან, რომელსაც ვკითხულობდი და გაოცებული შევაცქერდი. ძლიერმა ეჭვმა დამლახვრა. მკერდში ერთბაშად ჰაერის წარმოუდგენელი სიმძიმე ვიგრძენ.

"მადლობა". ვუპასუხე. ეტყობოდა, იცოდა რომ მე ვიყავი ბარის მფლობელი. "მოხარული ვარ რომ მოგწონთ".

"ნამდვილად მომწონს".

თვალებში ღრმად ჩამხედა, მიღიმოდა. მომაჯადოებელი ღიმილი ჰქონდა. ტუჩები ფართოდ გაიჭიმნენ, თვალებთან ხაზებმა კუთხე შექმნეს. მისმა ღიმილმა ღრმა მოგონება გააღვიძა, მაგრამ ვის ეკუთვნოდა ეს ღიმილი?

"მომწონს აქაური მუსიკაც" და ჯაზ-ტრიოზე მიუთითა. "გაქვთ სანთებელა"? შეკითხვით მომმართა.

არც ასანთი და არც სანთებელა არ მქონდა. ბარმენს გავძახე და ვთხოვე ჩვენი საფირმო ასანთი მოეტანათ. ავანთე და მან სიგარეტს მოუკიდა.

"მადლობა" მითხრა მან.

მე სახეში შევხედე და როგორც იყო მივხვდი.

"შიმამოტო." წავიჩურჩულე.

უცნაურად მიყურებდა და ცოტა ხნის მერე მითხრა "დიდი დრო დაგჭირდა ჩემს გასახსენებლად. მეგონა ვერასდროს მიცნობდი". მეტყველება წართმეულივით ვიჯექი. ისე შევცქეროდი, თითქოს მოწმე გავხდი უახლოესი ტექნიკური მანქანა-საოცრების დემონსტირების, რომლის არსებობაზეც დიდხანს ჩურჩულებდნენ. ჩემს წინ მართლაც შიმამოტო იყო. მიჭირდა ამ სინამდვილის დაჯერება. მთელი ცხოვრება მასზე ვფიქრობდი და დიდი ხნის შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ მას ვეღარასოდეს ვნახავდი.

"მომწონს შენი კოსტუმი. ძალიან გიხდება".

უსიტყვოდ დავუქნიე თავი. სიტყვები ყელშივე იჩხირებოდნენ.

"იცი, ჰაჯიმე? შენ ეხლა იმაზე უკეთ გამოიყურები, ვიდრე წესით უნდა იყო. ბევრად უფრო კარგ ფორმაშიც ხარ."

"მე ბევრს ვცურავ." როგორც იყო მოვახერხე ხმის ამოღება. "ცურვა მაშინვე დავიწყე, როგორც კი სხვაგან გადავედით საცხოვრებლად და მას მერე რეგულარულად ვცურავ."

"ცურვა ნამდვილდ დიდებულია. ყოველთვის ასე ვფიქრობდი."

“ეს მართლაც ასეა. ცოტა ვარჯიშის შემდეგ ყველამ შეიძლება იცუროს." როგორც კი ეს ვთქვი, გამახსენდა მისი დაზიანებული წვივი და ვინანე. "*რა სისულელეებს როშავ*", მივმართე საკუთარ თავს. დავიბენი და ვცდილობდი ისეთი რამ მეთქვა, რაც სიტუაციას გამოასწორებდა, მაგრამ ის სიტყვები უკვე ბაგეს გადასცდნენ. უხერხულობისაგან კოსტუმის ჯიბეებში სიგარეტს დავუწყე ძებნა. მერეღა გამახსენდა, რომ უკვე ხუთი წელი გასულიყო რაც მოწევისთვის თავი დამენებებინა.

შიმამოტო უსიტყვოდ მიყურებდა. მერე ხელი ასწია, დაიქირი კიდევ ერთხელ შეუკვეთა და ბარ-მენი მომაჯადოებელი ღიმილით დაასაჩუქრა. ღიმილით, რომლის სამუდამო აღბეჭდვაც მოგინდე-ბოდა.

"ვხედავ ლურჯი კვლავ შენი საყვარელი ფერია." როგორც იყო მოვახერხე რაიმეს თქმა.

"კი. ყოველთვის მიყვარდა. კარგი მახსოვრობა გქონია".

"მე შენზე არაფერი დამვიწყებია. დღევანდელივით მახსოვს ფანქრებს როგორც თლიდი, ჩაიში რამდენ ნატეხ შაქარს იყრიდი."

"მაინც რამდენს?"

"ორს'.'

თვალები ოდნავ მოჭუტა და შემომხედა.

"ჰაჯიმე, გთხოვ ერთი რამ ამიხსენა" მითხრა მან. "ამ რვა წლის წინ რატომ მითვალთვალებდი?"

ამოვისუთქე. "ვერ მივხდი, შენ იყავი თუ არა. სიარულით ნამდვილად მიგამსგავსე, მაგრამ ისეთი რამეებიც შევნიშნე, რაც შენსას არ ჰგავდა. იმიტომ გითვალთვალებდი, რომ არ ვიყავი დარწმუნებული. ისე "თვალთვალი" არაა ის სიტყვა, რაც იმ სიტუაციას შეეფერებოდა. მე უბრალოდ გიყურებდი და ვცდილობდი მარჯვე მომენტი შემერჩია სასაუბროდ".

"მაშინ რატომ არ დამელაპარაკე? რატომ უბრალოდ არ მოხვედი და არ გამომელაპრაკე, რათა დარწმუნებულიყავი მართლაც მე ვიყავი თუ არა? ეს ხომ ძალზე ადვილი იყო."

“მე თვითონ არ ვიცი. რაღაც მაჩერებდა. არა მგონია მაშინ რაიმეს თქმა მომეხერხებინა".

ტუჩები მოიკვნიტა და მითხრა "მეც არ ვიყავი დარწმუნებული შენ თუ იყავი. ვიფიქრე ვიღაც მომსდევსო და შევშინდი. მართლა, ძალიან შემეშინდა. აი, ტაქსში რომ ჩავჯექი და ოდნავ დავმშვიდდი, მაშინღა გამიელვა აზრმა, რომ მოთვალთვალე შეიძლება ჰაჯიმე ყოფილიყო".

"შიმამოტო-სან, მაშინ რაღაც გადმომცეს. არ ვიცი რა კავშირი იყო შენს და იმ პიროვნებას შორის, მაგრამ მან მე გადმომცა'.'

შიმამოტომ საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიდო და თავი ოდნავ გადააქნია. თითქოს მიბრძანა: ''*მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ და ნურც როდისმე დავუბრუნდეთ ამ თემას, კარგი*"?

"ცოლიანი ხარ?" თემა შეცვალა და შემეკითხა.

"ორი შვილიც მყავს, ორივე გოგონები. ჯერ ძალიან პატარები არიან".

"რა კარგია! შენ გოგონები ნადვილად შეგეფერება. არ შემიძლია ამის ახსნა, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა!"

"საინტერესოა." მივუგე მე.

"ჰო, ასე მგონია." ღიმილით მიპასუხა: "სამაგიეროთ დედისერთა არ გყავს შვილად".

“არ დამიგეგმავს, ასე მოხდა”

"მაინტერესებს რას გრძნობ, როცა ორი გოგონა გყავს?"

“სიმართლე გითხრა, ცოტა უცნაურია. ჩემი უფროსი გოგოს საბავშვო ბაღში, ნახევარზე მეტნი დედისერთები არიან. ჩვენი ბავშვობის შემდეგ, სამყარო მთლიანად გამოიცვალა. ქალაქებში თითქმის ყველას თითო შვილი ჰყავს."

"მე და შენ დროზე ადრე დავიბადეთ."

"შეიძლება" მივუგე მე. "ანდა იქნებ სამყარო ჩვენსკენ გამოიწია. როცა ვუყურებ სახლში ორნი როგორ თამაშობენ, ცოტა მეუცნაურება. ბავშვთა აღზრდის სრულიად განსხვავებული გზაა. მე ხომ პატარობისას, სახლში მუდამ მარტო ვთამაშობდი. მეგონა, რომ ყველა ბავშვი ასე იზრდებოდა".

ჯაზ-ტრიომ ის იყო შეასრულა "კორკოვადოს" საკუთარი ვერსია და მომხმარებელთა ტაშიც დაიმსახურა. ჩვეულებისამებრ, ტრიო ღამ-ღამობით უფრო გულში ჩამწვდომად უკრავდა, უფრო მეტ ინტიმს სდებდნენ შესრულებისას. შექმნილ პაუზისას პიანისტი წითელ ღვინოს სვამდა, ხოლო ბასისტი ეწეოდა. შიმამოტომ მოსვა კოკტეილი და ალაპარაკდა.

"იცი, ჰაჯიმე, მე დიდხანს ვერ გადავწყვიტე მოვსულიყავი თუ არა. ამაზე მთელი თვე თავს ვიმტვრევდი. შენი ბარის შესახებ, რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე, რომელიც სრულიად შემთხვევით გადავფურცლე. ჯერ ვიფიქრე, რომ რაღაც შეცდომა იყო. შენ და ბარის მესაკუთრე! მაგრამ იქ შენი სახელი და გვარის გარდა ფოტოც იყო. ჩემი ბავშვობის მეზობელი ჰაჯიმე! გამეხარდა შენ რომ დაგინახე, თუნდაც ფოტოსურათზე, მაგრამ დიდხანს ვყოყმანობდი, პირადად მენახე თუ არა. იქნებ ორივესთვის სჯობდა რომ არ მოვსულიყავი, იქნებ საკმარისი ყოფილიყო იმის ცოდნა, რომ შენ ბედნიერი და წარმატებული ცხოვრება გაქვს?"

მე ხმაგაკმენტილი ვუსმენდი.

"რადგანაც გავიგე სადაც იყავი, მომეჩვენა რომ უაზრობა იქნებოდა, ერთხელ მაინც რომ არ შემეხედა შენთვის და აი აქ ვარ. ვიჯექი და გათვალიერებდი. ვიფიქრე, თუ ვერ შემამჩნევს, ისე წავალ, რომ სიტყვასაც არ ვეტყვიო, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. იმდენი მოგონება მომაწვა, რომ გადავწყვიტე მოგსალმებოდი."

”რატომ?" შევეკითხე. "რატომ ფიქრობდი რომ უკეთესი იქნებოდა თუ არ შევხვდებოდით?"

კოქტეილის ჭიქის თავს თითს უსვამდა და ფიქრებში ჩაიძირა.

"ვიფიქრე, როცა გნახავდი მოინდომებდი ჩემზე ყველაფერი გცოდნოდა, აუცილებლად მკითხავდი ვიყავი თუ არა გათხოვილი, სად ვცხოვრობ და ასე და ამგვარად. განა ასე არ არის?"

"რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ხომ ეს ბუნებრივია".

“რა თქმა უნდა, ბუნებრივია."

"ეტყობა ძალიან არ გინდა ამეებზე ილაპარაკო".

დაბნეულად გაიღიმა და თავი დამიქნია. მის ღიმილს მილიონნაირი სახესხვაობა ჰქონდა.

"მართლაც არ მსურს ამ თემებზე საუბარი და გთხოვ ნურც იმას მკითხავ, თუ რატომ არ მსურს. უბრალოდ არ მსურს რომ ჩემს შესახებ ვისაუბროთ. ვგრძნობ, რაოდენ არაბუნებრივია, ასეთი რამის თხოვნა. შეიძლება ჩემზე იფიქრო, რომ განგებ ვცდილობ, ღამის იდუმალი ქალის როლი, ანდა რაღაც მაგის მსგავსი რამ ვითამაშო. აი, რატომ ვფიქრობდი, რომ აჯობებდა არ მენახე. არ მინდა იფიქრო თითქოს ერთი უცნაური და ახირებული ქალი ვიყო. ეს იყო ერთი მიზეზი, რატომაც გავურბოდი შენთან შეხვედრას".

"და რა არის მეორე მიზეზი?"

"არ მსურდა იმედგაცრუებული დავრჩენილიყავ."

ჯერ ჭიქას შევხედე, ხელში რომ ეჭირა, მერე მზერა მის სწორ, მხრებამდე ჩამოშვებულ თმებზე გადავიტანე, შემდეგ მის თხელ, ლამაზ ტუჩებზე და ბოლოს მის უძიროდ ღრმა, შავ თვალებში

ჩავიხედე. პატარა ხაზი, ზედ ქუთოთოს თავზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ღრმად ჩაფიქრდაო. იგივე ხაზმა შორეული ჰორიზონტი გამახსენა.

"მე ხომ ძალიან მომწონდი და არ მსურდა შეხვედრის შემდეგ იმედი გამცრუებოდა".

"მერე, გაგიცრუვდა იმედი?"

მან ოდნავ გააქნია თავი. "იქ რომ ვიჯექი, გათვალიერებდი. თავდაპირველად სრულიად უცხო მეჩვენე. მოულოდნელად დიდი და თანაც კოსტუმში, მაგრამ როცა უკეთ დაგაკვირდი, მივხდი რომ ისევ ის ჰაჯიმე იყავი, ვისაც ასე კარგად ვიცნობდი. არ ვიცი, იცი თუ არა, მაგრამ შენი მოძრაობის მანერა არ შეცვლილა ამდენი წლის მანძილზე."

"არა, ნამდვილად არ ვიცოდი." შევეცადე გამეღიმა, მაგრამ ვერ შევძელი.

"ხელებისა და თვალების შენეული მოძრაობა, თითების მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი მოძრაობა, თითქოს რაღაცას ბეჭდავდე, წარბების შენეული შეჭმუხვნა, თითქოს რაღაცით უკმაყოფილო იყო, ეს ყველაფერი ოდნავადაც არ შეგცვლია, თუმც არმანის კოსტუმი კი გაცვია."

"არა, კოსტუმი არმანის არ არის. პერანგი და ჰალსტხი კი, მაგრამ კოსტუმი არა".

მას გაეღიმა. როგორც იყო, გავბედე და დავიწყე:

"შიმამოტო-სან, მთელი ცხოვრება შენი ნახვა მწყუროდა, მსურდა შენთან საუბარი. რამდენი რამე მქონდა შენთვის სათქმელი".

"მეც მსურდა შენი ნახვა." მითხრა მან. "მაგრამ შენ არც ერთხელ არ მოსულხარ. იმედია ეს მაინც არ დაგვიწყებია. მას მერე, რაც სხვა სკოლაში გადახვედი, დიდხანს გელოდი. რატომ არ მოდიოდი? რამდენი ვიდარდე, იცი? ვიფიქრე, ახალი მეგობრები გაიჩინა და მე სულ დავავიწყდიო."

შიმამოტომ სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა. საგულდაგულოდ მოვლილი ფრჩხილები ღია ლაქით შეეღება, ისინი ჰგავდნენ უაღრესად ფაქიზ, ექსკლუზიურ ნაკეთობას, რომელიც რატომღაც სათანადოდ არ იყო დაფასებული.

"მეშინოდა. აი, რა იყო მიზეზი." ვუთხარი პასუხად.

"გეშინოდა?" გაკვირვებულმა შემეკითხა. "რისი გეშინოდა, ჩემი?"

"არა. შენი არა. მეშინოდა რომ დამიწუნებდი. მე ხომ ბავშვი ვიყავი და ვერ წარმოვიდგენდი, რომ მელოდებოდი. მეშინოდა, რომ მომიცილებდი, მეშინოდა, რომ სახლში გესტუმრებოდი და ეს შენთვის სულერთი იქნებოდა. ამიტომ შევწყვიტე სიარული. ვიფიქრე, თუ ამ გრძნობას მაინც ტკივილი უწერია, მოდი ისეთ დროს შევწყვეტ ურთიერთობას, როცა ერთად ყოფნის საუცხოო მოგონებები მაქვს და ცუდი არაფერი გამახსენდებაო".

თავი ოდნავ გადასწია და მიწის თხილი ხელისგულზე დაიდო.

"რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი არც ისე მარტივად ეწყობა როგორც გვსურს."

"არა, ნამდვილად არ ხდება ადვილად".

"არადა, ჩვენ ხომ დიდხანს ვმეგობრობდით. შენს მერე არც სკოლაში და არც უნივერსიტეტში მეგობარი არ მყოლია. ყოველთვის მარტო ვიყავი. რამდენჯერ მიფიქრია, თუ რა დიდებული იქნებოდა, შენ რომ ჩემს გვერდით ყოფილიყავი. შეიძლება ახლოს არ ყოფილიყავ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, წერილები მაინც მიგვეწერა ერთმანეთისთვის? მაშინ ბევრი რამ, სხვაგვარად მოხდებოდა. ყოველ შემთხვევაში მე ცხოვრება ბევრად გამიიოლდებოდა".

ის ცოტა ხანს გაჩუმდა.

"არ ვიცი რატომ, მაგრამ რაც შენ სხვაგან გადახვედი, სკოლაში ჩემი ცხოვრება გაუფერულდა და ამის გამო კიდევ უფრო ჩავიკეტე საკუთარ თავში. თითქოს ჩაკეტილ წრეში მოვყევი."

მე თავი დავუქნიე.

"არ ვიცი რატომ, მაგრამ დაწყებით კლასებში ყველაფერი საუცხოოდ იყო, მაგრამ მერე რაღაც საშინელება ხდებოდა ჩემს თავს. თითქოს ჭაში ამოვყავი თავი".

რაოდენ ნაცნობი გრძნობაა! ზუსტად მასე ვგძნობდი თავს, მთელი რვა წლის მანძილზე, უნივერსიტეტის დამთავრებიდან იუკიკოს გაცნობამდე. ერთი რამ თუ არასწორედ წაგივიდა, მერე ყველაფერი, ბანქოს ქაღალდით აშენებული სახლივით ჩამოგენგრევა და ვერაფრით გამოაღწევ, სანამ ვინმე არ ამოგათრევს ნანგრევებიდან.

"მე ხომ კოჭლი ვარ, ის რაც ჩვეულებრივ ადამიანს ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შეუძლია გააკეთოს, მე არ ხელმეწიფება. წიგნთა კითხვას მივეძალე და საკუთარი სამყარო შევქმენი. სხვათაგან ძალიან გამოვირჩეოდი, გარეგნულადაც კი. ბევრი ფიქრობდა ჩემზე ქედმაღალიაო და შეიძლება მართლაც გავხდი კიდეც ასეთი."

"შენ მომაჯადოებელი ხარ."

მან კიდევ ერთი სიგარეტი ჩაიდო. მე კვლავ ასანთი ავუნთე.

"მართლა მიგაჩნია რომ ლამაზი ვარ?" მკითხა მან.

"კი. მაგრამ ეს ალბათ წამდაუწუმ გესმის'.'

შიმამოტომ გაიღიმა

"არა, არც ისე ხშირად. სიმართლე გითხრა, ნამდვილად არ ვგიჟდები ჩემს სახეზე და ძალიან მასიამოვნე, ასე თუ მიგაჩნია. სამწუხაროდ, სხვა ქალებს, რატომღაც ძალიან არ მოვწონვარ. რამდენჯერ მიფიქრია, *სულაც არ მსურს ხალხს ლამაზად მივაჩნდე, მირჩევია ჩვეულებრივი გოგო ვიყო, მეგობრებით სავსე, როგორც ხალხის უმრავლესობაა*".

შიმამოტომ დახლზე ხელი გადმოსწია და ხელზე მსუბუქად მომიჭირა.

"მიხარია რომ ცხოვრება აწყობილი გაქვს".

მე გაჩუმებული ვიყავი.

"განა ბედნიერი არ ხარ"? შემეკითხა.

"არ ვიცი. ყოველშემთხევაში უბედური ნამდვილად არ ვარ და არც მარტოსული." ცოტა ხნის შემდეგ კი დავუმატე "ხშირად მომსვლია აზრად, რომ ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები თორმეტი წლისას მქონდა, მაშინ როცა თქვენს საცხოვრებელ ოთახში მუსიკას მარტონი ვუსმენდით."

"ის გრამფირფიტები კვლავ შენახული მაქვს. ნათ კინგ კოული, როსინი, პერ გიუნტ სუიტა და ყველა დანარჩენი. ყველა შენახული მაქვს. როცა მამა გარდამეცვალა ყველა წამოვიღე და შევინახე. ძალიან ვუფრთხილდებოდი და ეხლაც კი, არც ერთ მათგანს, არც ერთი ნაკაწრი არ აქვს. ალბათ გახსოვს როგორ სათუთად ველოლიავებოდი გრამფირფიტებს."

" მამა გარდაგცვლია."

"უკვე ხუთი წელია, სწორნაწლავის კიბოთი. საშინლად გაწვალდა, არადა ყოველთვის ჯანმრთელი იყო."

მამამისი რამდენჯერმე მყავდა ნანახი და ყოველთვის იმ მუხას მაგონებდა, ეზოში რომ ედგათ.

"დედა ხომ ჯანმრთელად გყავს?"

"ჰმმმ. ალბათ."

მისმა კილომ შემაკრთო.

"რა? არ ხართ კარგ ურთიერთობაში?"

შიმამოტომ თავისი დაიქირი გამოცალა, ჭიქა დახლზე დადო და ბარმენს შეეკითხა "რომელ საფირმო კოკტეილს მირჩევდით"?

"ჩვენ რამდენიმე სპეციალურ კოტეილს ვამზადებთ." ვუთხარი მას. "ყველაზე დიდი პოპულარობით წითელჩიტას ბუდე სარგებლობს, რომელსაც ბარის სახელივე ჰქვია. ეს ნაზავი ჩემი შედგენილია, რომის და არყის ბაზაზე ყენდება, მაგრამ სასიამოვნო გემო აქვს, ოღონდ იცოდე, ადვილად ათრობს".

"ქალთა საცდუნებლად მოგიგონიათ'.'

"ეგ ხომ ყველა კოკტეილის მთავარი აზრია."

მას გაეცინა. "კარგი, გავსინჯავ."

როცა კოკტეილი მის წინ დადეს, მან ჭიქა ასწია და შუქზე გახედა, ფერი შეამოწმა, შემდეგ გემო გაუსინჯა. თვალები დახუჭა და მხოლოდ ამის შემდეგ მოსვა გაბედვით.

"რა დახვეწილი გემო აქვს! არც ტკბილი და არც მწარე! მსუბუქი, თითქოს სულაც არაა მაგარი, მაგრამ ნამდვილად გრძნობ. არ ვიცოდი თუ ამის ნიჭიც გქონდა."

"რას ამბობ, მე ხომ თაროს დალაგებაც არ შემიძლია. წარმოდგენა არ მაქვს, მანქანაში ზეთის ფილტრი როგორ უნდა გამოიცვალოს. არ დაიჯერებ, მაგრამ კონვერტზე მარკას საჭირო ადგილას ვერ ვაწებებ. ტელეფონზეც ყოველთვის არასწორ ნომერს ვკრეფ. ეგაა, რამდენიმე სახეობის კოკტეილი გამომდის და ისინი ხალხს მოსწონთ".

მან ჭიქა დადო და ცოტა ხანს შიგნით ჩასქეროდა. როცა ჭიქა გადასწია, ჭერის ნათურების ანარეკლი ჭიქაში უცნაურად აციმციმდა.

"დედა დიდი ხანია აღარ მინახავს. დაახლოებით ათი წლის წინ განხეთქილება მოგვივიდა და მას მერე თითქმის აღარ ვხვდებით. რა თქმა უნდა მამის დაკრძალვისას ვნახე."

ჯაზ-ტრიომ შეასრულა საკუთარი კომპოზიცია ბლუზის სტილში და მერე "Star-Crossed Lovers" დაუკრეს. მე როცა ბარში ვიყავი, პიანისტი ხშირად უკრავდა ამ ბალადას, რადგან იცოდა, რომ მიყვარდა მისი მოსმენა. ის არ მიეკუთვნოდა ელინგტონის ყველაზე უფრო გახმაურებულ მელოდიათა რიცხვს და არც ჩემი ცხოვრების რაიმე განსაკუთრებულ ამბავთან იყო დაკავ-შირებული, ოღონდ მოხდა ისე, რომ როცა ის პირველად მოვისმინე, გულს სხვაგვარად მოხვდა და კომპოზიციის ზოგიერთი ადგილი ღრმად ჩამრჩა შიგნით. სტუდენტობისას და მერეც, როცა სახელმძღვანელოთა გამომცემლობაში ვმუშაობდი, სახლში მობრუნებული, ხშირად ვუსმენდი ამ ნაწილს, დიუკ ელინგტონის ალბომიდან *Such Sweet Thunder*. ერთ ადგილზე, იქ ჯონ ჰოდჯს, ძალიან მგრძნობიარე და ელეგანტური სოლო აქვს. როცა კი ამ ლამაზ მელოდიას ვუსმენდი, ის დღეები მიბრუნდებოდნენ. ის დრო ნამდვილად არ იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი, ვცხოვ-რობდი ჩემთვის, და მახსენდებოდა ის აუხდენელი მიზნები, რომლითაც სავსე ვიყავი ახალგაზ-რდობაში, მაშინ ხომ ბევრად უფრო ახალგაზრდა, ბევრად უფრო ღარიბი და მარტოსული ვიყავი. ამის მიუხედავად, მაშინ საკუთარ მესთვის არ მეღალატა და მხოლოდ ყველაზე არსებითით ვიზღუდებოდი, მაშინ მოსმენილი მუსიკის ყოველი ნოტი, წაკითხულის ყოველი სტრიქონი ღრმად აღმბეჭვდოდა სამშვინველის სიღრმეში. სამართებლივით ბასრი ნერვები მქონდა და თვალები გამჭრიახი მზერით მიბრწყინავდნენ. ყოველთვის როცა კი ამ მუსიკას ვუსმენდი, მაშინდელი თვალები მახსენდებოდა, რომლებიც თითქოს უკანა სარკიდან მიცქერდნენ.

"იცი? სანამ უფროს კლასებში გადავიდოდი, ერთხელ შენი ნახვა გადავწყვიტე, მაშინ თავს ისე მარტოსულად ვგრძნობდი, რომ მეტის ატანა აღარ შემეძლო. ვცადე შენთვის დამერეკა, მაგრამ არ მპასუხობდი. მერე მატარებელს გამოვყევი და სახლში მოგაკითხე, მაგრამ იმ სახლის საფოსტო ყუთს სხვა ადამიანის გვარი ეწერა".

"მამა სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოდ, და შენი გადასვლიდან ორი წლის მერე, ჩვენც გადავსახლდით ფუჯისავაში, ენოშიმას ახლოს. მე იქ ვცხოვრობდი მანამ, სანამ უნივერსიტეტში არ მოვეწყე. ახლგადასულმა იქიდან ღია ბარათი გამოგიგზავნე, ჩემი ახალი მისამართით, განა არ მიიღე?"

მე თავი გადავაქნიე. "რომ მიმეღო, პასუხსაც დაგიბრუნებდი. ნამდვილად უცნაურია, ეტყობა სად-ღაც რაღაც აურიეს. "

"ან იქნებ ჩვენ ვართ უიღბლონი?" მითხრა მან. "ზედიზედ სხვათა მიერ დაშვებული რამდენიმე შეცდომა და ერთმანეთი დავკარგეთ. კარგი! რაც იყო, იყო. მომიყევი შენზე, როგორი ცხოვრებით იცხოვრე?"

"რა მოგიყვე? მოსაწყენი ცხოვრება მქონდა."

"მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მინდა რომ მომიყვე."

ასე რომ ზოგადად ვუამბე ჩემს ცხოვრებაზე. ვუთხარი რომ უფროს კლასებში, ერთ გოგონას დავუახლოვდი, და რომ სკოლის დამთავრების წინ, მას ძალზე ვატკინე გული. დეტალები არ

მომიყოლია. ავუხსენი, რომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო და ამის შეგნებამ, მეც გვარიანად მატკინა გული. მოვუყევი, როგორ გადავედი ტოკიოში, უნივერსიტეტში სასწავლებლად, როგორ ვმუშაობდი სასწავლო სახელმძღვანელოების გამომცემელ კომპანიაში, თუ როგორ ჩაიარა ახლგაზრდობამ უმეგობროდ. არ დამიმალავს, რომ ქალებს ვხვდებოდი, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ მათთან ბედნიერი. ვამცნე, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ იუკიკომდე, არავინ მომწონებია. ვუთხარი, რომ მასზე ძალიან ხშირად ვფიქრობდი და თავს საოცრად ბედნიერად ჩავთვლიდი, მისი ნახვა, თუნდაც ერთი საათით რომ შემძლებოდა.

შიმამოტომ გაიცინა

"მაშ ჩემზე გიოცნებია?"

"მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე!"

"მეც ხშირად მიფიქრია შენზე." მითხრა მან. "ყოველთვის როცა კი თავს ცუდად ვგრძნობდი. მე ხომ არასდროს სხვა მეგობარი არ მყოლია. ჰაჯიმე, შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი იყავი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე"!

ნიკაპი ხელზე დაეყრდნო, ხელი კი დახლს ებჯინებოდა. თვალები მილულა, თითქოს სასიცოცხლო ძალებმა სულ მიატოვესო. ბეჭედს არ ატარებდა. ხელები მთლიანად უკანკალებდა. როგორც იყო თვალები გაახილა, საათს დახედა. მეც დავხედე საათს, თორმეტი ხდებოდა. მან ხელჩანთა აიღო და მაღალი სკამიდან ჩამოვიდა.

"ღამე ნებისა. ბედნიერი ვარ, რომ გნახე".

კარამდე მივყევი.

"გინდა ტაქს გამოვუძახო? წვიმს და ამიტომ შეიძლება არც ისე ადვილი იყოს ტაქსის აყვანა. თუ სახლში ტაქსით აპირებ წასვლას. მაშინ ასე აჯობებს".

შიმამოტომ თავი გადააქნია. "ყველაფერი რიგზეა. ნუ შეწუხდები. ტაქს მე თვითონ გავაჩერებ."

"იმედი მართლა არ გაგიცრუვდა?" შევეკითხე.

"შენში"?

"ჰო".

"არა, არ გამცრუებია. ნუ ღელავ. მაგრამ შარვალ-კოსტუმი, მაინც არმანისა უნდა იყოს, არა"?

ფეხს ძალას აღარ ატანდა, როგორც ეს მახსოვდა. სწრაფად ვერ მიდიოდა და თუ დიდხანს და-აკვირდებოდით, რაღაც არაბუნებრივს კი შეამჩნევდით, მაგრამ ზოგადი შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ყველაფერი რიგზეაო.

"ოთხი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე." მობოდიშებისავით მითხრა. "ასპროცენტიანიაო ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ რაც იყო, იმას არ შეედრება. ეს იყო მძიმე ოპერაცია, როცა ძვლებს ჯერ ხერხავენ და მერე ჭიმავენ. შედეგით უკმაყოფილო არ ვარ. "

"დიდებულია! ფეხი წესრიგშია და ეგაა მთავარი".

"ჰო, მასეა. ალბათ სწორე გადაწყვეტილება იყო, თუმც ძალიან დიდი ხანი დამჭირდა მის მისაღებად."

ავიღე გარდერობიდან მისი პალტო და ჩაცმაში მივეხმარე. ახლა როცა გვერდით მედგა, არც ისე მაღალი ჩანდა, რაც ძალიან მეუცნაურა, რადგან თორმეტი წლის ასაკში, ორივე ერთი სიმაღლისა ვიყავით.

"შიმამოტო-სან, კიდევ შევხდებით"?

"შეიძლება." პასუხად მომიგო. ღიმილი აცისკროვნებდა მის სახეს. მისი ღიმილი პატარა კვამლს მოგაგონებდათ, რომელიც უქარო დღეში, ცაში აუჩქარებლად ადის.

"შეიძლება".

მან კარები გააღო და გარეთ გავიდა. ხუთი წუთის შემდეგ კიბეებს ავუყევი და ქუჩაში მეც გავედი. ვიფიქრე გავხედავ, იქნება ტაქსი ვერ გააჩერაო. ისევ წვიმდა. შიმამოტო აღარსად იყო. ქუჩა სრულიად უკაცური ჩანდა. მხოლოდ გამვლელ მანქანათა შუქი ანათებდნენ სველ ქვაფენილს.

"იქნება ყველაფერი მომეჩვენა"? ალბათ კარგა ხანს ვიდექი და გავცქეროდი ნაწვიმარ ქუჩებს. თითქოს ისევ ის, თორმეტი წლის ბიჭი ვყოფილიყავი, საათობით რომ გასცქეროდა წვიმას. თუ დიდ ხანს უყურებთ წვიმას, ამასთან სხვა არც არაფერზე ფიქრობთ, უთუოდ იგრძნობთ, თუ როგორ აგიმჩატდებათ სხეული და როგორ თავისუფლდებით რეალური სამყაროსაგან. წვიმას დამაჰიპნოზირებელი ძალა აქვს. "იქნებ მართლაც ყველაფერი მომეჩვენა"? როცა ბარში დავბრუნდი, იქ სადაც ის იჯდა, ჯერ ისევ ხელუხლებლად იდო ჭიქა და საფერფლე. საფერფლეში ისევ ბოლავდა ორიოდე ჩაუმქრალი სიგარეტი, რომელთაც ოდნავ ემჩნეოდათ პომადის ნაკვალევი. იქვე დავჯექი და თვალები დავხუჭე. მუსიკის ხმა ძლივს აღწევდა ჩემამდე და საკუთარ თავთან განვმარტოვდი. ნაზი ღამის სიბნელეში წვიმა უხმოდ ეშვებოდა ციდან.

თავი ცხრა

შიმამოტო ამის შემდეგ კარგა ხანს აღარ მინახავს. ყოველ საღამოს "გულწითელას ბუდეს" დახლთან ვიჯექი, წიგნს ვკითხულობდი და ცალი თვალით შემომსვლელებს გულისფანცქალით ვათვალიერებდი. ის კი არ მოდიოდა. შეწუხებული, ხან რას ვფიქრობდი და ხან რას. ალბათ რაიმე ვთქვი ისეთი, რაც არ უნდა მეთქვა, რამაც ძალიან ატკინა გული. ვიხსენებდი იმღამინდელ ჩვენს საუბარს და ჩემს მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას გულდაგულ ვწონიდი, მაგრამ ვერაფერი გავიხსენე ისეთი, რასაც მისთვის გული შეეძლო მოეკლა. ანდა იქნებ იმედი გავუცრუვე? ეს ვარა-უდი უფრო სარწმუნო სჩანდა. ის ხომ საოცრად ლამაზი იყო, თანაც ფეხის პრობლემა მოეგვარებინა და ასეთ ქალს, რა ჯანდაბა ენდომებოდა ჩემგან?

წელი იწურებოდა, შობა მობრძანდა და წაბრძანდა, ახალი წელიც დაგვიდგა და ჩემი ოცდამეჩ-ვიდმეტე დაბადების დღემაც ჩაიარა. მალე იანვარი გაილია. შევწყვიტე ლოდინი და იშვიათადღა შევივლიდი ხოლმე "გულწითელას ბუდეში". იქ ხომ ყველაფერი, მის თავს მახსენებდა და როცა იქ ვიყავი, მომხმარებელთა შორის თვალებით მუდამ მას ვეძებდი. ამიტომაც, როცა კი ბარში შევ-დიოდი, დახლის კუთხეში ვჯდებოდი გადაშლილი წიგნით, რომელსაც უფრო ვათვალიერებდი,

ვიდრე ვკითხულობდი, ფიქრი კი გამირბოდა და კონცენტრაციას ვერაფრით ვახდენდი. მან ხომ პირდაპირ მითხრა, რომ ჩემს მეტი მეგობარი არასდროს ყოლია, ამ სიტვყებმა მაშინ ძალიან გამახარა და იმედი გამიჩინა, რომ კვლავ ვიმეგობრებდით. რამდენ რამეზე მინდოდა მასთან მესაუბრა და მომესმინა მისი აზრი! თუ მას არ უნდოდა თავის თავზე ელაპარაკა, მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ჩემთვის მთავარი იყო, მისი ნახვა და მასთან საუბარი შემძლებოდა. ამითაც დიდად ბედნიერი ვიქნებოდი.

ის კი არ სჩანდა. ალბათ მეტისმეტად დაკავებული იყო და ჩემს სანახავად დრო ვერ გამონახა, მაგრამ სამი თვე, საკმაოდ დიდი დროა საიმისიოდ, ერთხელ მაინც, რომ მოეხერხებინა აქ შემოვლა. თუნდაც წარმოვიდგინოდ, რომ მას მართლაც არ შეეძლო აქ მოსვლა, ტელეფონზე დარეკვა ხომ მაინც შეეძლო? საბოლოოდ იმ აზრზე მივედი, რომ უბრალოდ დამივიწყა. ეს იყო ერთადერთი ახსნა. ეტყობა, მე სულაც არ ვყოფილვარ მისთვის საჭირო პიროვნება. ამის გაცნობიერება, ისეთივე მტკივნეული იყო, თითქოს გულში პატარა ნახვრეტი გამჩენოდეს. არ უნდა ეთქვა, შეიძლება მოვიდეო. შეპირება, თუნდაც ასეთი ბუნდოვანი, გონებიდან არ გამომდიოდა.

თებერვლის დასაწყისის ერთ წვიმიან ღამეს, ის კვლავ გამოჩნდა. ყინულივით ცივი წვეთები უხმოდ ეშვებოდნენ ძირს. რაღაც საქმის გამო "გულწითელას ბუდეში" იმაზე უფრო ადრე მივედი, ვიდრე ჩვეულებრივ შევდიოდი ხოლმე. მომხმარებელთა ქოლგებს, ცივი წვიმის სურნელი შემოეტანათ. ბარის ჯაზ-ტრიოს, იმ საღამოს ტენორ-საქსაფონისტი შემოერთებოდა და რამდენიმე საერთო ნომრის შესრულებას აპირებდნენ. საქსაფონისტი საკმაოდ ცნობილი იყო, რის გამოც მომხმარებლებში დიდი გამოცოცხლება იყო. როგორც ყოველთვის, მე დახლის კუთხესთან დავჯექი და ვკითხულობდი. შიმამოტო უხმოდ მომიჯდა გვერდით.

"საღამო მშვიდობისა." მითხრა მან.

წიგნი დავდე და შევხედე. თვალებს არ ვუჯერებდი.

"დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ აღარასდროს მოხვიდოდი".

"მაპატიე. ხომ არ მიბრაზდები"?

წვიმისგან თმები სულ დასველებოდა. შუბლზე სველი კულული მიკვროდა. განკარგულება გავეცი, რომ მისთვის პირსახოცი მოეტანად.

"გმადლობთ" თქვა მან და თმების გამშრალება დაიწყო. სიგარეტი ამოიღო და თავისი სანთებლით მოუკიდა. სველი და შეციებული თითები ოდნავ უკანკალებდა.

"ოდნავ წინწკლავდა და ვიფიქრე ტაქს ავიყვანო, ამიტომ საწვიმრის ანაბარა გამოვედი, მაგრამ გზა ფეხით გავაგრძელე და საბოლოო ჯამში დიდი მანძილის გამოვლა მომიხდა."

" ცხელ სასმელს ხომ არ დალევ?" კითხვით მივმართე.

მან ღრმად ჩამხედა თვალებში და გამიღიმა.

"მადლობა. კარგად ვარ."

მისმა ღიმილმა, სამი თვის მწარე ლოდინი, ერთ წამში დამავიწყა.

"რას კითხულობ?" შეკითხვით მომმართა და წიგნზე მიმითითა. წიგნი დავანახე. ეს იყო ვიეტნამის ომის შემდგომი, ჩინეთ-ვიეტნამის სასაზღვრო კონფლიქტის ისტორია. მან წიგნი გადაფურცლა და მალევე დამიბრუნა.

"პროზას აღარ კითხულობ?"

"როგორ არა, მაგრამ არც იმდენს, რამდენსაც წესით უნდა ვკითხულობდე. ახალ მწერლებს საერთოდ არ ვიცნობ. მე მიყვარს ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის რომანები. ისინი რაც ადრე წამიკითხავს".

"ახალმა მწერლებმა რა დაგიშავეს"?

"მგონია რომ იმედგაცრუებული დავრჩები. ნაგავის წაკითხვა, დროის ფუჭი ფანტვაა. ადრე ასე არ ვფიქრობდი, მაშინ ეტყობა ბევრი დრო მქონდა, რადგან ყველა წიგნს ბოლომდე ვკითხულობდი. მაშინაც კი, როცა ნაწარმოები არ ვარგოდა, ვცდილობდი შიგ რაიმე კარგი აღმომეჩინა. ეხლა ასე აღარაა. ეტყობა ვბერდები".

”ამაში მართალი ხარ. ყველანი ნელ-ნელა ვბერდებით." მითხრა და ცელქი ბავშვივით გამიღიმა.

"შენზე რას იტყვი? ისევ ისე ბევრს კითხულობ"? ეხლა მე ვკითხე.

"კი. სულ ვკითხულობ, ახალს, ძველს, რომანებსაც და ყველა დანარჩენსაც, ნაგავსაც და კარგსაც. შენგან გასხვავებით, კითხვას დროის გაფლანგვად არ ვთვლი".

მან ბარმენს კოკტეილი "გულწითელას ბუდე" შეუკვეთა. მეც იგივე შევუკვეთე. მან დაიგემოვნა და ჭიქა დახლზე დადო.

"ჰაჯიმე, რატომაა აქაური კოკტეილი ბევრად უკეთესი, ვიდრე სხვა ბარებში?"

"იმიტომ რომ ყველაფერს ვაკეთებთ, ასე რომ იყოს." მივიგე პასუხად. "მონდომების გარეშე, შედეგიც არაა."

"რა მონდომებაზეა ლაპარაკი?"

"თუნდაც ის." ვუთხარი და ახალგაზრდა ბარმენზე მივუთითე, რომელიც მთელის გულმოდგინებით ამტვრევდა ყინულს. "მე მას ბევრ ფულს ვუხდი, რაც დანარჩენი პერსონალისთვის უცნობია. მაღალი ანაზღაურება კი იმით დაიმსახურა, რომ აქვს სასმელთა განზავების ფანტასტიკური ნიჭი. ბევრი ვერ ხვდება, მაგრამ კარგი კოკტეილის მომზადებასაც ნიჭი უნდა. რა თქმა უნდა, სასიამოვნო დასალევის მომზადება ყველას შეუძლია. რამდენიმე თვის ვარჯიშის შემდეგ, ყველა შეძლებს ისეთი სასმლის დამზადებას, კარგი ბარების უმრავლესობაში რომ გხვდება, მაგრამ შემდეგ დონეზე ასვლა რომ შეძლო, ამისთვის უკვე სპეციალური ნიჭია საჭირო, ისევე როგორც პიანინოზე დაკვრას, ხატვას ანდა ას მეტრზე სირბილს. მე ურიგო კოკტეილს ნამდვილად არ ვამზადებ. ეს მე მისწავლია და დიდი გამოცდილებაც მაქვს, მაგრამ შანსი არ არის, მას რომ შევედარო. კი, ადვილია, ზუსტად იგივე რაოდენობის ლიქიორი აიღო და ზუსტად იგივე დროის მაძილზე აჯანჯღარო, მაგრამ ის გემო არ გამოვა. ამის ახსნას ვერაფრით ვახერხებ. ეს უბრალოდ ასეა. ამიტომ ვამბობ, რომ ესეც ერთგვარი ნიჭიაო. როგორც ხელოვნება ისეა. რაღაც დონეა, რასაც ყველა ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს, მაგრამ მისი გადალახვა, ყველას უკვე აღარ ხელეწიფება. თუ ვინმე ნიჭიერს ნახავ, მას უნდა მოუარო და ყველაფერი გააკეთო, რომ შეინარჩუნო. კარგ ხელფასზე, აღარაფერს ვამბობ. ბარ-

მენი აშკარად ჰომოსექსუალისტია და მის გარშემო, დახლთან ხანდახან სხვა ჰომოსექსუალისტებიც ჯდებიან, მაგრამ ისინი, არავის არაფერს უშლიან და ამიტომ ეს მე არ მანაღვლებს. ბარმენი ამჩნევს რომ პატივს ვცემ, ამიტომ მუშაობისას ენერგიას არ იშურებს".

" ეტყობა ბიზნესში ნიჭი გქონია, შეიძლება იმაზე მეტიც კი, ვიდრე აქამდე გამოავლინე" შენიშნა შიმამოტომ.

"ვშიშობ, რომ არა" მივუგე მე. "თავს ბიზმესმენად ნამდვილად არ ვგრძნობ. უბრალოდ მოხდა ისე, რომ ორი ბარის მეპატრონე გავხდი. მეტის გახსნაზე, არც კი ვოცნებობ და შემოსავალი, რაც ეხლა მაქვს, არც ამაზე მეტი მინდა რომ მქონდეს. რასაც ვაკეთებ, ნიჭს ვერ დაუძახებ, თუმც მიყვარს საგანთა წარმოდგენა. მომხმარებელი რომ ვიყო, როგორ ბარში მომინდებოდა შესვლა? საჭმელად ანდა სასმელად რას მოვითხოვდი? ახალგაზრდა რომ ვიყო, გოგოს სად დავპატიჟებდი? რა დამიჯდებოდა ეს სიამოვნება? რამდენი ხანი დამჭირდებოდა სახლში მისასვლელად? რომელ საათამდე შემეძლებოდა ბარში დარჩენა? ყველა სცენარი უნდა წარმოვიდგინო. რაც უფრო მეტ სცენარს წარმოვიდგენ, მით უკეთ ვგრძნობ ბარი როგორც უნდა მოვაწყო".

შიმამოტოს მაღალყელიანი, ღია ცისფერი სვიტერი და მუქი ლურჯი ბოლოკაბა ეცვა. საყურეები უელავდნენ. მჭიდროდ შემოტმასნილი სვიტერში მკერდის მკაფიო მოხაზულობა იკვეთებოდა. უცბად ვიგრძენი რომ სუნთქვა მიჭირდა.

" გააგრძელე." მთხოვა მან. სიხარულის ღიმილი ერთხელ კიდევ მოედო მის ტუჩებს.

"რის შესახებ?"

"ბიზნესის შენეულ ფილოსოფიაზე." მითხრა მან. "მსიამოვნებს როცა ასე ლაპარაკობ".

აშკარად გავწითლდი, რაც დიდი ხანია აღარ დამმართნია.

"აბა, ეს რა ბიზნესის ფილოსოფიაა? ალბათ გეხსომება, რომ ეს ის პროცესია, რასაც ბავშვობის დროიდან ვაკეთებ, როცა ათასნაირ რამეებზე ვფიქრობ და თავს უამრავნაირად წარმოვიდგენ. თავში რაღაც მონახაზი მომივა და მერე ცოტ-ცოტაობით, მთელ სურათს ვკრავ. შემდეგ ვცვლი დეტალებს ისე, როგორც მაწყობს. თუ გახსოვს გითხარი, რომ უნივერსიტეტის შემდეგ, სახელმძღვანელოთა გამომცემლობში ვმუშაობდი, სამუშაო მოსაწყენი იყო. არანაირი შანსი არ მქონდა საკუთარი ფანტაზია ჩამექსოვა საქმეში. ყელში მქონდა ამოსული იქ მუშაობა, იქ გაძლებაზე ვიყავი და სამსახურში წასვლა მკლავდა, იქ ყოფნა ისე მთრგუნავდა, თითქოს ვიკუმშებოდი, რათა ერთ დღეს მთლიანად გავმქრალიყავი".

კოკტეილი მეც მოვსვი და ბარი შევათვალიერე. წვიმის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი მომხმარებელი გვყავდა. საქსაფონისტი თავის ინსტრუმენტს ინახავდა. მე ოფიციანტი მოვიხმე, საქსაფონისტისთვის ვისკის ბოთლი შევუკვეთე და დავავალე გაერკვია, თუ სასმელს რას მიაყოლებდა.

"აქ კი სხვაგვარადაა. აქ საქმე რომ ააწყო, ნამდვილად გჭირდება ფანტაზია. შენ იდეებს მაშინვე შეგიძლია გამოყენება მოუძებნო. არანაირი თათბირები და კონსულტაციები არ გჭირდება, არც იმაზე ფიქრი, განათლების სამინისტროს რომელიმე დადგენილებას ხომ არ ეწინააღმდეგები. დამიჯერე, ეს მართლაც დიდებულია. როდისმე რომელიმე კომპანიაში გიმუშავია?"

მან გაიცინა და თავი გაიქნია.

"არა."

"ჩათვალე რომ ცხოვრებაში გაგმართლებია. მე და კომპანიები ერთმანეთს ვერ შევეწყეთ. არა მგონია, რომ შენზე სხვანაირად ემოქმედა. რვა წელი ვმუშაობდი და ვიცი რასაც ვამბობ. რვა წელი თითქოს მიწისქვეშ ვიყავ. ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. ზოგჯერ მე თვითონ მიკვირს, იქ იმდენხანს როგორ გავძელი. ხანდახან მგონია, რომ ის პერიოდი უნდა გამეარა, აქამდე რომ მომეღწია. მე მიყვარს ჩემი სამუშაო. ხანდახან მეჩვენება, რომ ეს ბარები წარმოსახვით ადგილზე არიან და ჩემი ფანტაზიით შევქმენი, როგორც ჰაერში კოშკები. რამდენიმე ყვავილს აქ დავრგავ, ფანტანს კი იქ დავაყენებ. ყველაფერს დიდი ყურადღება უნდა. ადამიანები აქ მოდიან, სასმელს მიირთმევენ, მუსიკას უსმენენ, ერთმანეთში საუბრობენ და მერე მიდიან სახლებში. ხალხი მზადაა ბევრი ფული დახარჯოს და იცი რატომ? იმიტომ, რომ ყველა იგივეს ეძებს, წარმოსახვითი ადგილს, ჰაერში თავიანთ კოშკს და იქ მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კუთხეს".

შიმამოტომ გახსნა პაწია ხელჩანთა და სალემის კოლოფი ამოიღო, სანამ სანთებელასაც ამოიღებდა, მე უკვე ავუნთე ასანთი. მომწონდა, როცა ცეცხლს ვაგებებდი მის სიგარეტს, ამ დროს მის თვალებს ვაკვირდებოდი, თუ როგორ იცვლებოდნენ ისინი ცეცხლთან მიახლოებისას.

"მე ცხოვრებაში არც ერთი დღე არ მიმუშავია." მითხრა მან.

"არასოდეს?"

"არასდროს. არასრული სამუშაოც კი არასდროს მქონია. მუშაობა სრულიად უცხოა ჩემთვის. მე ყოვეთვის მარტო ვარ და წიგნებს ვკითხულობ. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ ფული როგორ დავხარჯო და არასოდეს, თუ როგორ ვიშოვო ის".

ორივე ხელები ჩემს წინ გამოსწია. მარჯვენა ხელს, ოქროს ორი სამაჯური უმშვენავდა, მარცხენას კი ძვირად ღირებული ოქროს საათი. ჩემს წინ ხელები დიდხანს ეჭირა, თითქოს ნივთები გასაყიდად გამოეფინა. ხელი მის მარჯვენა ხელს მოვკიდე და ოქროს სამაჯურებს ერთხანს ვათვალიერებდი. გამახსენდა თორმეტი წლისამ როგორ წამავლო ხელი. თითქოს ეხლახანს მომხადრიყოს, ისევ მახსოვდა მაშინდელი სითბო და ტანში დავლილი ჟრუანტელი.

"არ ვიცი...იქნებ ფულის დახარჯვაზე ფიქრი სჯობია კიდეც." ვთქვი მე. მივუშვი და მან ხელები უკან წაიღო, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მორევმა სადღაც წამიღოო. "ყოველთვის როცა კი ფულის შოვნის გზებზე ფიქრობ, საკუთარ თავის რაღაც ნაწილს ჰკარგავ."

"შენ ხომ არ იცი, რა სიცარიელეს გრძნობ, როცა არაფრის შექმა არ შეგიძლია."

"დარწმუნებული ვარ, იმაზე მეტს ქმნი, ვიდრე შეგიძლია ეს წარმოიდგინო."

"მაინც რას?"

"მათ, რაც არ ჩანს. " ვუპასუხე და მუხლებზე დაწყობილ ხელებზე დავიხედე.

მან ჭიქა ასწია და კარგახანს მიყურა "გულისხმობ გრძნობისმიერს?"

"ჰო." დავეთანხმე. "ყველაფერი როდესღაც გაქრება. მაგალითად ეს ბარი დიდხანს ვერ იარსებებს. ხალხის გემოვნება იცვლება. ვშიშობ, ეკონომიკაში პატარა მერყეობაც კი შეიძლება გახდეს ბარის

დახურვის მიზეზი. მინახავს მსგავსი შემთხვევები. ყველაფერი რაც შექმნილია განადგურდება, მაგრამ არის გრძნობები, რომლებიც მუდამ ჩვენთან იქნებიან."

" ზუსტად ეს გრძნობებია რომ გვტანჯავს, ისინი ხომ მუდამ ჩვენთანაა. განა ეს ასე არაა, ჰაჯიმე? დარწმუნებული ვარ, შენ ეს მშვენივრად იცი."

ტენორ-საქსაფონისტო მოვიდა ჩემთან და ვისკის გამო მადლობა გადამიხადა. მე კი იქით ვუხადე მადლობები მისი გამოსვლისათვის.

"ეხლანდელი ჯაზმენები ძალიან ზრდილობიანი ხალხია." შიმამოტოს ვუხსნიდი. "როცა სტუდენ-ტი ვიყავი, მაშინ ასე არ იყო. ყველანი ნარკომანები იყვნენ და მათგან ნახევარნი მაინც, ხელიდან სა-ბოლოოდ წასულები, მაგრამ ხანდახან გასაგიჟებელ კონცერტს მართავდნენ. მე ჯაზს ყოველთვის შინჯუკუს ჯაზკლუბში ვუსმენდი, სადაც მუდამ გადაჭედილი იყო იქაურობა."

"მასეთი ტიპებიც მოგწონდნენ, არა?"

"ალბათ. ხალხი ყოველთვის განსაკუთრებულს მიელტვის. ათიდან ცხრა შემთხვევაში იმედგაც-რუებული დარჩები, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მეათეჯერ უდიდესი სიამოვნება მოგგვა-როს. ესაა რაც მსოფლიოს ამოძრავებს. ესაა ხელოვნება."

კვლავ დავხედე მუხლებზე დაწყობილ ხელებს. მერე ამოვიხედე და ერთხანს ვუყურე. მელოდებოდა თუ რას დავამატებდი.

"თუმც ეხლა სხვა დროა. ბარის მენეჯერი ვარ, ჩემი საქმეა კაპიტალის ისე დაბანდება, მოგება რომ მოიტანოს. მე არც ხელოვანი ვარ, არც შემოქმედი და არც ხელოვნებას ვფარველობ. მოგწონს თუ არ მოგწონს, ეს ის ადგილი არაა, სადაც ხელოვნებაა, ბევრად უფრო ადვილია, როცა გაწონასწორებუ-ლი და თავაზიანი ჯგუფი გახვევია, ვიდრე ჩარლზ პარკერთა ჯოგი".

მან კოქტეილი ხელახლა შეუკვეთა და ახალ სიგარეტს მოუკიდა. დიდხანს ჩუმად ვიჯექით. ეტყობოდა ფიქრებით სულ სხვაგან იყო. მე ბასისტის გრძელ, სოლო გამოსვლას ვუსმენდი, რომე-ლიც ასრულებდა "Embraceable You". პიანისტი აქა-იქ თუ აიღებდა ნოტებს, ხოლო დამრტყმელ ინსტრუმენტზე დამკვრელი, ოფლს იწმენდდა და სვამდა. ერთი მუდმივი მომხმარებელი მომიახ-ლოვდა და ცოტა წავიმუსაიფედ.

"ჰაჯიმე", დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მითხრა შიმამოტომ. "თუ იცი რომელიმე კარგი მდინარე? ლამაზი მდინარე, სადმე ხეობაში, დიდი არ იყოს, მაგრამ პირდაპირ ზღვაში, სწრაფად რომ ჩაედინებოდეს?"

გაოცებულმა შევხედე.

"მდინარე"? ნეტა რას გულისხმობს? მის სახეზე ვერაფერს წაიკითხავდი. სახე მშვიდი ჰქონდა, თითქოს შორეულ ლანდშაფტს უყურებსო. ან იქნებ ეს მე ვიყავი შორს? შორს მისი სამყაროდან. ყველა შემთხვევაში, ეხლა ის წარმოუდგენლად შორს იყო ჩემგან. მისმა ჩაფიქრებამ დამაღონა. მის თვალებში იყო რაღაც, რაც სევდას მგვრიდა.

"ასე უეცრად რატომ დაინტერესდი მდინარით?"

"რა ვიცი, აბა? უცბად წამომაგონდა." მიპასუხა მან. "იცი ასეთი მდინარე?"

სტუდენტობისას, საძილე ტომრითა და რუკზაკით, საკმაოდ ბევრს ვმოგზაურობდი და რამდენიმე მდინარეც მინახავს, მაგრამ უცბად ვერ ვიხსენებდი ისეთს, როგორიც აღმიწერა.

"ვფიქრობ, მასეთი მდინარე მართლაც არის იაპონიის ზღვის სანაპიროზე." ვთქვი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ. "სახელი არ მახსენდება, მაგრამ ის იშიკავას პრეფექტურაში უნდა იყოს. არაა ძნელი მისაგნები და შენ რომ გსურს მასეთი მდინარეებიდან, ალბათ აქედან ყველაზე უფრო ახლოსაა." მდინარე ძალიან კარგად მახსოვდა. მეორე თუ მესამე კურსზე ვიყავი, როცა იქ ვიმოგზაურე. ფოთოლცვენა იყო, ულამაზესი. მთები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს სისხლში ცურავენო. მთები თანდათან პატარავდებოდნენ და ზღვაში ეშვებოდნენ. ჩქარი მდინარე საოცარი სანახავი იყო, ტყიდან ირმების ხივილი ისმოდა, ხოლო იქაურ თევზს გემოთი არაფერი შეედ-რებოდა ამქვეყნად.

"როგორ ფიქრობ, შეძლებ იქ რომ წამიყვანო?" შიმამოტომ მკითხა.

"ის ხომ იშიკავაშია." ცივად ვუპასუხე. "ინოშიმა შეგვიძლია ვნახოთ. იქ კი, ჯერ უნდა ვიფრინოთ და შემდეგ საათზე მეტი ვიაროთ მანქანით, ღამე დარჩენა მოგვიწევს. ალბათ ახსნა არ გჭირდება, თუ რატომ არ შემიძლია ეხლა ამის გაკეთება."

შიმამოტომ სკამზე ადგილი შეიცვალა და სახით მომიტრიალდა.

"ჰაჯიმე, ვიცი რომ არ უნდა გთხოვდე ამას. მშვენივრად მესმის რატომაც. დამიჯერე, მესმის რომ ეს შენთვის დამატებითი საზრუნავია, მაგრამ ამ ქვეყნად სხვა არავინაა, ვისაც შეიძლება ეს ვთხოვო. მე იქ აუცილებლად უნდა წავიდე და მარტო არ მინდა რომ ვიყო."

თვალებში ჩავხედე. მისი თვალები, ქარაფებს შორის მოქცეულ ტბორს ჰგავდა, რომელსაც ნიავი არასდროს ეკარებოდა, უმოძრაობისა და გარინდების საუფლო. თუ კარგად და დიდხანს დააკვირ-დებოდი, წყლის ზედაპირზე რაღაც ლანდებს შეამჩნევდი.

"მაპატიე." მითხრა ისეთი ღიმილით, თითქოს რაც კი ძალები ჰქონდა, ყველამ მიატოვესო. "არ მინდა იფიქრო, თითქოს აქ იმიტომ მოვედი, ეს რომ მეთხოვა. მე მხოლოდ შენი ნახვა და შენთან საუბარი მინდოდა. ამაზე ლაპარაკი არ დამიგეგმავს."

გონებაში მგზავრობის ხანგრძლივობებს სწრაფად ვკრიბავდი.

"თუ დილით ადრე გავალთ და გავფრინდებით, უკან უნდა შევძლოდ იმავე საღამოს დაბრუნება და თან არც ისე გვიან. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ მდინარესთან რამდენ ხანს დავრჩებით."

"არა მგონია, რომ დიდი ხანი დაგვჭირდეს." მითხრა მან "მართლა, არ დაიშურებ დროს ჩემთვის? წინ და უკან, რომ იფრინო ჩემთან ერთად?"

მე ცოტა ფიქრის შემდეგ ვუთხარი "ვგონებ შევძლებ. ჯერ გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვი, მაგრამ სავარაუდოდ ჩავთვალოთ, რომ შემიძლია. მოდი, ხვალ ამ დროს აქ დამირეკე. მე გეგმა უკვე მოფიქრებული მექნება. შენ როდისა ხარ დაკავებული?"

"მე არაფრით არ ვარ დაკავებული და მაწყობს ის დრო, რაც შენთვის ყველაზე მოსახერხებელი იქნება."

მე თავი დავუქნიე.

"ვწუხვარ ძალიან." მითხრა მან. "იქნებ ხელახლა მართლაც არ უნდა მენახე. ალბათ ესეც რაღაც კატასტროფით დამთავრდება, ისევე როგორც ყველაფერი რაც მე მეხება".

თერთემეტი ხდებოდა, როცა ბარიდან წავიდა. მე ქოლგით მივაცილე ტაქსამდე. წვიმა გადაღებას არ აპირებდა. "ნახვამდის და დიდზე, დიდი მადლობა." მითხრა გამომშვიდობებისას.

"ნახვამდის." ვუპასუხე მეც.

ბარში შევბრუნდი და დახლთან იგივე სკამზე დავჯექი. მისი ნახმარი კოკტეილის ჭიქა ისევ იქ იდო, ისევე როგორც საფერფლე, რომელშიც ჯერ კიდევ ბოლავდა, ბოლომდე ჩაუწველი სალემის ღერები. ოფიციანტს ვთხოვე, რომ ისინი ჯერ არ აელაგებინა. ჭიქას და სიგარეტებს, მისი მკრთალი პომადის კვალი ემჩნეოდა, რომელთაც თვალს ვერ ვაშორებდი.

სახლში დაბრუნებულმა ვნახე, რომ იუკიკოს არ ეძინა და მელოდებოდა. პიჟამაზე ჟაკეტი შემოეცვა და ვიდეოთი *''Lawrence of arabia"* უყურებდა, სცენას როცა უამრავი განსაცდელისა და თავგადასვლის მერე, ლოურენსმა უდაბნო გადაკვეთა და სუეცის არხს მიაღწია. ადრე ეს ფილმი სამჯერ მაინც ჰქონდა ნანახი. "რა დიდებული ფილმია", მითხრა მან, "შემიძლია დაუსრულებლად ვუყურო". გვერდით მივუჯექი ღვინის ჭიქით ხელში და ფილმის დარჩენილი ნაწილი ერთად ვუყურეთ.

"*მომავალ კვირა დღეს, უზის კლუბის წევრები გასვლით დღეს ვაწყობთ.*" ვუთხარი მას. "ერთს დიდი იახტა აქვს, რომლითაც ხშირად გავდივართ ხოლმე, ზღვაში სათევზაოდ, თან სასმელსაც წავიღებთ". თებერვალი იახტით თევზაობისთვის, ცოტა ცივი დროა, მაგრამ ჩემი ცოლი ამგვარ რამეებში ვერ ერკვეოდა და არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია. კვირაობით იშვიათად თუ გავდიოდი გარედ და ეტყობა იფიქრა, წაადგებაო სხვა წრის ხალხთან შეხვედრა.

"დილით ადრე გავალთ და ალბათ რვაზე მოვბრუნდები. ერთად ვივახშმოთ." ვუთხარი მე.

"ძალიან კარგი. კვირა დღეს ჩემი და უნდა მესტუმროს", მითხრა მან "თუ ძალიან არ ეციება, ჩვენ, ოთხმა გოგომ, შეიძლება პიკნიკი გავმართოთ შინჯიკუ გიონში."

"ძალიან კარგი." ვუპასუხე მე.

მეორე დღის ნასადილევს, სამგზავრო სააგენტოში შევედი, თვითმფრინავის ბილეთები და მანქანა დავჯავშნე. იყო რეისი, რომელიც ტოკიოში შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა და ის შევუკვეთე, განრიგს თუ არ დაარღვევდნენ ვახშმობისას სახლში უნდა ვყოფილიყავი. ბარში დავბრუნდი და შიმამოტის ზარს დავუწყე ლოდინი. მან ათზე დარეკა.

"დაკავებული კი ვარ, მაგრამ მაინც მოვახერხე და დრო ვიპოვე." ვუთხარი მას. "მომავალი კვირა დღე გაწყობს?"

"რა თქმა უნდა." მომიგო სასწრაფოდ.

მე გაფრენის დრო ვაცნობე და ადგილი აეროპორტ ჰანადაში, სადაც დაველოდებოდი.

"უღრმესი მადლობა" მითხრა მან.

როცა ტელეფონი დავკიდე, ეთხანს კიდევ ვიჯექი დახლთან გადაშლილი წიგნით. ბარის გარემო მაღიზიანებდა და კონცენტრაციას მიშლიდა. ტუალეტში გავედი, სახე და ხელები ცივი წყლით დავიბანე და სარკეში ჩემს ანარეკლს ვაკვირდებოდი. "იუკიკოსთან იცრუე", ვუთხარი საკუთარ თავს. რა, თქმა უნდა ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა ცოლს ვატყუებდი. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მას რამდენჯერმე ვუღალატე კიდეც. ოღონდ მაშინაც და ეხლაც, იმ ქალებთან ჟიმაობა უწყინარ გართობად მეჩვენებოდა. ამჯერად კი სიტუაცია ბევრად მძიმე იყო, არა იმის გამო თითქოს შიმამოტოს გაჟიმვას ვაპირებდე. ამის მიუხედავად ვგრძნობდი, რომ არასწორედ ვიქცეოდი. პირველად დიდი ხნის მანძილზე ღრმად ჩავხედე სარკეში საკუთარ თვალთა ანარეკლს. თვალებს არაფერი უთქვამთ, თუ ვინ ვიყავი. პირსაბანს ორივე ხელით დავეყრდენ და ღრამად ჩავისუნთქე.

თავი ათი

ჩქარი მდინარე კლდეებს შორის იკლაკნებოდა. გზად ხან ჩანჩქერებს წარმოქნიდა, ხანაც კი ოდნავ გუბდებოდა, თითქოს სული უნდა მოითქვასო, ხოლო მისგან არეკლილი სუსტი მზის სხივები, ცელქი ბავშვებივით გვეთამაშებოდნენ. დინების გასწვრივ მოსჩანდა მდინარეზე გადებული რკინის ძველი ხიდი, რომელიც ისეთი ვიწრო იყო, რომ მასზე ერთი მანქანაც ძლივს გაივლიდა. თებერვლის ცივ სიჩუმეში ხიდის ბნელი, შეუხედავი რკინის კარკასი, ხეობაში ქვევით, ღრმად ჩამჯდარიყო. მეტყეველების, სასტუმროს სტუმრებისა და იქ მომუშავე პერსონალის გარდა, ხიდით სხვა არავინ სარგებლობდა. ხიდი რომ გადავიარეთ, გზად არვინ შეგხვედრია და უკან რომ მოვიხედეთ, კვლავაც არავინ სჩანდა. სასტუმროში მსუბუქად ვისადილეთ, ხიდი ხელახლა გად-მოვიარეთ და მდინარეს ავუყევით. შიმამოტოს სქელი პალტო ეცვა, საყელო აეწია, ხოლო კაშნე ისე შემოეხვია, რომ ცხვირი ოდნავღა მოუჩანდა. განსხვავებით სხვა დღეებისგან, ამჯერად უბრალოდ ეცვა, მაგრამ ისე, რომ მთებში ადვილად შესძლებოდა სიარული. თმები უკან ჰქონდა შეკრული და ეცვა უხეში, მაგრამ მთებში სიარულისთვის მოსახერხებელი ბათინკები. მწვანე ნეილონის ზურგჩანთა მხრებზე მოერგო. ასე ჩაცმული უფროსკლასელს ჰგავდა. მდინარის ორივე მხარეს თოვლი აქა-იქ შემორჩენოდა. ხიდის თავს, ორი ყვავი იჯდა, მდინარის დინების მიმართულებით იყურებოდნენ და ყრანტალებდნენ. მათ გამყინავ ხმებს, ფოთოლგაცვენილი ტყე ექოთი მდინარის მეორე მხარიდან უკან აბრუნებდა და უსიამოდ ჩაგვესმოდა.

ვიწრო, ქვიანი ბილიკი მდინარეს მიუყვებოდა, სამარისებული სიჩუმე იდგა, ვინ უწყოდა, თუ საით მივყავდით ამ უკაცრიელ გზას? ირგვლივ არანაირი შენობა არ სჩანდა, მხოლოდ ხანდახან თუ გვხვდებოდა შიშველი მინდვრები. თოვლით დაფარული ხნულები, მინდორზე ფართო თეთრ ხაზებს აღწერდნენ. ყვავები ყველგან მოსჩანდნენ და როცა მათ ჩავუვლიდით, ისინი ისეთ ყრან-ტალს ატეხდნენ ხოლმე, თითქოს უნდოდათ თავიანთი ამხანაგებისთვის, ჩვენი არსებობა ემცნოთ. ისინი მიწაზე იდგნენ და არსად გაფრენას არ აპირებდნენ. ჩვენ იმდენად ახლოს ვიყავით მათგან, რომ მკაფიოთ ვხედავდით მათ მახვილ ნისკარტსა და ბრჭყალებს.

"დრო თუ გვაქვს კიდევ?" იკითხა შიმამოტომ. იქნებ უფრო ზევით ავსულიყავით?

მე საათს დავხედე. "ნუ ღელავ, ჩვენ აქ ერთი საათი მაინც შეგვიძლია დავრჩეთ".

"რა საოცარი სიწყნარეა აქ." თქვა მან და მიდამო ნელა მოათვალიერა. პირის ყოველ გაღებაზე მისი ამონასუნთქი, ჰაერში თეთრი ღრუბელივით ადიოდა.

"ასეთ მდინარეს ეძებდი, არა?"

მან ღიმილით შემომხედა: "თითქოს ჩემს ფიქრებს ჰკითხულობო." მიპასუხა და ხელთათმანიანი ხელი ჩამავლო ხელთათმანიან ხელზე.

"ძალიან კარგი" ვთქვი მე. "ამხელა მანძილის გამოსვლის მერე რომ გეთქვა, აბა ეს რა მდინარეაო, რა უნდა გვექნა, მაშინ?"

"უფრო მეტი თვითდაჯერება გმართებს. ასეთ შეცდომას არასდროს დაუშვებ." მითხრა მან. "იცი რა? ასე ორნი რომ მივსეირნობთ, ძველი დღეები გამახსენდა, როცა სკოლიდან სახლში ვბრუნ-დებოდით."

"ოღონდ ფეხი აღარა გაქვს ისეთი, როგორიც მაშინ გქონდა."

"შენ ამ ამბავმა ვხედავ დაგაღონა." სიცილით მომიგო მან.

"იქნებ მასეც არის." სიცილითვე ვუპასუხე.

"მართლა?"

"არა, ვიხუმრე. ძალიან მოხარული ვარ რომ ფეხი შეუდარებლად უკეთესს მდგომარეობაში გაქვს, თუმც პატარა ნოსტალგია არაა გამორიცხული."

"ჰაჯიმე, იმედი მაქვს ხვდები, თუ რამდენად მადლიერი ვარ, აქ რომ მომიყვანე."

"ამაზე ნუღარ სწუხარ." ვუთხარი მე "ჩათვალე რომ პიკნიკზე წავედით, და ორიგინალურო-ბისთვის თვითმფრინავი ავირჩიეთ."

შიმამოტო მიდიოდა და ზევით იყურებოდა. "აქ რომ წამოსულიყავი, ალბათ ცოლისთვის უნდა გეცრუა."

"მასეა." ვთქვი მე.

"და ეს არ იქნებოდა ადვილი. დარწმუნებული ვარ არ გსურდა ცოლთან გეცრუა."

არ ვიცოდი რა მეპასუხა. ყვავის ხმაღალი ყრანტალი მოისმოდა იქვე მდებარე ტყიდან.

"ცხოვრებას გირევ, განა ვერ ვხვდები?" ხბადაბლა წაილაპარაკა შიმამოტომ.

"მოვრჩეთ ამ თემაზე ლაპარაკს." ვთქვი მე. "რახან ამხელა მანძილი გამოგვივლია, მოდი უფრო სა-სიამოვნო რამეზე ვისაუბროთ."

"მაინც რაზე?"

"ასე ჩაცმული, უფროსკლასელ გოგონას ჰგევხარ."

"მადლობა." მითხრა მან. "ნეტა მართლა ის დრო იყოს."

მდინარის აღმა მიმართულებას ავუყევით. ერთხანობას ჩუმად მივდიოდით და მარტო გზაზე ვფიქრობდით. მას მართალია სწრაფი სიარული არ შეეძლო, მაგრამ ნელი და სტაბილური ტემპით, საკმაოდ თავისუფლად მოაბიჯებდა, თან ჩემი ხელი მაგრად ეჭირა. გზა მოყინული, და მკვრივი იყო, რის გამოც ჩვენი რეზინისძირიანი ფეხსაცმელი, სიარულისას არანაირ ხმას არ გამოსცემდა. როგორც შიმამოტომ აღნიშნა, რა დიდებული იქნებოდა, ასე რომ შეგვძლებოდა სიარული, როცა უფროსკლასელები ვიყავით, ანდა უფრო მოგვიანებით, სანამ ოცდაათის გავხდებოდით. რა ბედნიერი ვიქნებოდი კვირაობით, ნაშუადღევს, რომ შეგვძლებოდა მხოლოდ ჩვენ ორნს, ასე გვესეირნა ხოლმე მდინარის გასწვრივ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც მოსწავლეები აღარ ვართ. მე უკვე ცოლშვილიანი ვიყავი, მქონდა სამსახური და ცოლისთვის ტყუილის თქმა დამჭირდა აქ რომ წამოვსულიყავით. უკანა გზობას, ჯერ აქედან მანქანით აეროპორტამდე უნდა ვიმგზავროთ, ხოლო შემდეგ თვითმფრინავით უნდა ვიფრინოთ ტოკიომდე, იქ რომ შვიდის ნახევარზე ვიყოთ. ამის მე-რე კი, სასწრაფოდ მანქანით უნდა გავემართო სახლისკენ, სადაც ცოლი სავახშმოდ დამელოდება.

როგორც იყო, შიმამოტო გაჩერდა. ხელთათმანიანი თითები გადააჭდო და გარემო მოათვალიერა, ჯერ აღმა გახედა დინებას, მერე დაღმა. გაღმა მთათა რიგი მოსჩანდა, ხოლო მარცხენა მხარეს, შიშ-ველ ხეთა ზოლი. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა. სასტუმრო და რკინის ხიდი მთების ჩრდილში ჩამა-ლულიყვნენ. დრო და დრო, თითქოს თავისი მოვალეობა ახსენდებაო, მზე ღრუბლებიდან გამოდი-ოდა. მარტო ყვავების გულის წამღები ყრანტალი და მდინარის ჩუხჩუხი ისმოდა. ვიგრძენი, რომ როდისმე, სადმე ამ სცენას კიდევ ვნახავდი. ეს იყო დეჟავუს საპირისპირო განცდა, არა იმისა რომ ეს უკვე სადღაც მენახა, არამედ იმის, რომ ამას კიდევ ვნახავდი. ამ წინათგრძნობას გრძელი ხელები აღმოაჩნდა, მაგრად ჩამავლო, და ჩემი აზროვნება მთლიანად დაიპყრო, ვგრძნობდი როგორ ჩამიჭირა, თითქოს ხელისგულში ვყავდი გამომწყვდეული. საკუთარი თავი მომავალში დავინახე, ოღონდ ვერ ვარჩევდი მოხუცებულს გარეგნობა როგორ შემეცვლებოდა.

"აი ეს შესაფერისი ადგილია." თქვა მან.

"რისთვის შესაფერი?" ვკითხე მე.

მისთვის ჩვეულმა მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა. "იმისთვის რაც უნდა გავაკეთო." მიპასუხა მან.

მდინარის პირას ჩავედით. წყალი აქ გროვდებოდა, მაგრამ ზედ ყინულის თხელი ფენა ედო. ფსკერზე ფოთლები ისე ეყარნენ, თითქოს მკვდარი, თხელი თევზებიაო. მრგვალი ქვა ავიღე და ხელზე დავიდე. შიმამოტომ ხელთათმანები გაიხადა, პალტოს ჯიბეში ჩაიწყო, ზურგჩანთა მოიხსნა, გახსნა და იქიდან მკვრივი ნაჭრისგან დამზადებული, პაწია აბგა ამოიღო, რომლის შიგნით ურნა იყო. ურნას თავი ფრთხილად ახადა. ერთხანს დაჰყურებდა რაც შიგნით იყო. მე გვერდით ვედექი და მდუმარედ შევცქეროდი. ურნაში თეთრი ფერფლი იყო. დიდი სიფრთხილით, რათა არაფერი დაეფანტა, შიმამოტომ ურნა მარცხენა ხელისგულზე გადმოაპირქვავა. ფერფლი ხელისგულზე მთლიანად მოთავსდა. ფერფლი ალბათ კრემაციიდანაა, ვივარაუდე მე. უქარო და წყნარი დღე იყო, რის გამოც, ფერფლი ხელისგულიდან არ იძვროდა. შიმამოტომ დაცარიელებული ურნა ისევ ზურგჩანთაში დააბრუნა, საჩვენებელი თითი ფერფლში ჩაყო, პირთან მიიტანა და მოწუწნა. მერე შემომხედა და გაღიმებას შეეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. თითები კარგა ხანს დარჩა პირთან მიტანილი.

როცა შიმამოტომ, მდინარესთან ჩაიმუხლა და ფერფლი მიმოაბნია, მე გვერდით ვედექი და ვუთვალთვალებდი. მდინარემ ფერფლი მეყსეულად გააქანა. მდინარესთან მდგომნი, დიდხანს

გავსცქეროდით ნაკადის სრბოლას. შიმამოტომ მზერა ჯერ ხელისგულზე გადაიტანა, ფერფლის ნარჩენები ჩამობერტყა და ხელთათმანები ჩაიცვა.

''ზღვას ნამდვილად მიაღწევს?'' დაინტერესებულმა მკითხა.

“ვფიქრობ მიაღწევს.'' ვუპასუხე, თუმც დარწმუნებული არ ვყოფილვარ. ოკეანე ხომ შორს იყო.

ალბათ ფერფლი რამეზე შეიძლება დარჩეს, მაგრამ ზოგიერთმა იქნებ მართლაც მიაღწიოს ზღვას.

შიმამოტომ ხის ნაჭერი აიღო და რბილ ადგილზე მიწის მოთხრა დაიწყო. მეც მივეხმარე. როდესაც პატარა ორმო გაითხარა, ქსოვილში გახვეული ურნა ჩავფალით. სადღაციდან ყვავები მოფრინდნენ და ჩვენს საქმიანობას თავიდან ბოლომდე უყურებდნენ. რამდენიც გინდა გვიყურეთ, სულერთია. გავიფიქრე ჩემთვის. ჩვენ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია, მხოლოდ ფერფლი ჩავყარეთ მდინარეში.

''როგორ ფიქრობ წვიმას მოყვება? '' მკითხა შიმამოტომ, თან ბათინკებით მიწის ტკეპნიდა.

შევხედე ცას. ''არა მგონია რომ გაწვიმდეს და წვიმაში მოვყვეთ''.

''მე მაგას არ ვგულისხმობ. მინდოდა მეთქვა ფერფლი თუ ზღვაში მოხვდა და წყალს შეუერთდა, მაშინ აორთქლების მერე, ალბათ ღრუბლად იქცევა და მიწაზე წვიმად წამოვა, არა?

ერთხელ კიდევ შევხედე ცას, შემდეგ მდინარეს.

'' ასეც იქნება. შეიძლება ასეც მოხდეს.'' მივუგე პასუხად.

ჩვენს ნაქირავებ მანქანას მივაშურეთ და უკან, აეროპორტისკენ გავემგზავრეთ. ამინდი სწაფად უარესდებოდა. ცა მძიმე შავმა ღრუბლებმა დაფარეს და ისეთი პირი უჩანდა, რომ ყოველწუთს შეიძლება მოეთოვა.

"ის იყო ჩემი ბავშვის ფერფლი. ერთადერთი ბავშვი, ვინც როდესმე მყოლია.'' წაილაპარაკა შიმამოტომ, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო. შევხედე მას, შემდეგ მზერა ისევ გზაზე გადავიტანე. სატვირთო მანქანების ბორბლები ჭუჭყიან თოვლს ისროდნენ, რის გამოც მინის საწმენდების წამდაუწუმ ჩართვა მჭირდებოდა.

"დაბადებიდან ერთი დღის მერე გარდაიცვალა," გააგრძელა მან. ''იცოცხლა მხოლოდ ერთი დღე. მხოლოდ რამდენიმეჯერ მეჭირა ხელში. ლამაზი ბავშვი იყო, ძალიან სათუთი. მიზეზს ვერ მიხვდნენ, სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. გარდაცვლილს უკვე სხვა ფერი ედო "

სიტყვა ვერ დავძარი. ხელი გავუწოდე და ხელზე დავადე.

"ის გოგონა იყო. სახელის გარეშე".

"როდის მოხდა ეგ?"

"შარშან ამ დროს, თებერვალში".

"საწყალი." ვთქვი მე.

''დამარხვა არ მინდოდა. აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ სადმე ბნელში ყოფილიყო. მინდოდა ჩემს გვერდით ყოფილიყო ერთხანს და მერე, მისი ფერფლი გამეფანტა წყალში, წვიმად რომ წამოვიდეს.''

ამის მერე დიდი ხნით გაჩუმდა. მე ყურადღება გზაზე გადავიტანე და სიტყვა არ დამიძრავს. ეტყობა საუბრის ხასიათზე არაო, გავიფიქრე და ვცდილობდი დუმილი შემენარჩუნებინა. მალე შევამჩნიე, რომ შიმამოტოს თავს რაღაც ხდებოდა -- სუნთქვისას ისეთ უცნაურ ხმებს უშვებდა, თითქოს რაღაც მექანიზმი თუხთუხებსო. ჯერ მანქანის ძრავა მეგონა და მერეღა მივხდი, ხმა ჩემს გვერდიდან რომ მოდიოდა, თითქოს ყელში ხვრელი ჰქონოდა და ყოველ ამოსუნთქვაზე იქიდან ჰაერი გამოდიოდა.

შუქნიშანზე, სანამ მწვანე აინთებოდა, ვიდროვე და შიმამოტოს შევხედე. ქაღალდის ფურცელივით გაფითრებულიყო და სახეც უცნაურად მოქცეოდა. თავი მანქანის სავარძელში მიესვენებინა და წინ იყურებოდა. არც ერთი ნაკვთი არ ერხეოდა, ოღონდ ხანდისხან, თუ დაახამხამებდა, ისიც თითქოს აიძუ-ლესო. გასაჩერებელი ადგილის მოსაძებნად, მანქანა ცოტათი წინ დავძარი და მალე აფიცრული კეგელბანის დიდ ავტოსადგომზე გავაჩერე. ცარიელი შენობა, თვითმფრინავების ფარეხს უფრო ჰგავდა, მის თავზე სარეკლამო აბრა ეკიდა, რომელზეც გიგანტური კეგელი იყო გამოსახული. უზარმაზარ ავტოსადგომზე ჩვენს მეტი არავინ იყო, თითქოს ცივილიზაციის გარეთ, უკაცრიელ ადგილას მოვხვედრილიყავით.

"შიმამოტო სან!" დავუძახე. "ცუდად ხარ?"

მას არ უპასუხია, მანქანის სავარძელში გადაწვენილი ხროტინებდა. ხელი ლოყაზე მივადე, ისეთივე გაყინული იყო, როგორც გარემო ირგვლივ. სითბოს ნიშანაწყალიც კი არ ემჩნეოდა, მერე შუბლზე დავადე ხელი. ისიც მთლად გაყინული მეჩვენა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვიხრჩობოდი. ვაითუ კვდება, აქ, ამ წუთას? მის მზერაში სრული აპათია გამოსჭვიოდა. ჩავხედე თვალებში, მაგრამ ვერაფერი დავინახე, ისინი ყინულივით ცივი და სიკვდილივით ბნელი ჰქონდა.

"შიმამოტო სან!" ვიყვირე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მზერა უაზრო გაუხდა. შეიძლება ცნობაც წაერთვა. სასწრაფოდ უნდა საავადმყოფოში წავიყვანო! რა თქმა უნდა თვიმფრინავის რეისს ვეღარ მივუსწრებდით, მაგრამ ეხლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო. შიმამოტო შეიძლება მომკვდარიყო და მე ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, ეს რომ არ მომხდარიყო.

მანქანა როგორც კი დავძარი, შევამჩნიე, რომ რაღაცის თქმას აპირებდა. ძრავა გამოვრთე, ყური ტუჩებთან მივუახლოვე, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე. ბგერები, რაც მესმოდა, სიტყვებს კი არა, გაბზარულ კედელში გამოღეწეული ქარის სტვენას უფრო ჰგავდა. ეტყობოდა მთელი ძალით ცდილობდა როგორმე რაღაც ეთქვა. როგორც იყო გავარჩიე "წამალი".

"წამლის მიღება გინდა?" შევეკითხე.

მან თავი სუსტად დამიქნია, რაც მე ძლივს შევნიშნე, იმდენად უღონოდ გააკეთა, ეტყობოდა მეტის ძალა არ ჰქონდა. პალტოს ჯიბეები გავუსინჯე, მაგრამ იქ მარტო საფულე, ხელსახოცი და უამრავ გასაღებთა აცმულა იყო. მისი ზურგჩანთა გავხსენი და შიგნით წამლის პატარა კოლოფი ვნახე, რომელშიც ოთხი კაპსული იდო. კაპსული დავანახე.

"ეს წამალი?" კითხვით მივმართე. კაპსულისთვის თვალები არ მოუცილებია, ისე დამიქნია თავი.

მანქანის საზურგე უკან გადავწიე, პირი გავუღე და კაპსული ჩავუდე, მაგრამ პირი ისე გაშრობოდა, რომ გადაყლაპვას ვერ მოახერხებდა. გიჟივით დავიწყე სასმელთა გასაყიდ ავტომატის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. სხვაგან ძებნის დრო არ იყო. უცბად გამახსენდა, რომ თოვლი, წყლის მიღების სანდო წყაროა და ღვთის წყალობით, ის ყველგან იდო. მანქანიდან გამოვვარდი და ერთი პატარა ნაგებობის ჭერიდან, სუფთა თოვლი გადმოვხვეტე შიმამოტოს შალის ქუდში. ცოტ-ცოტაობით, თოვლი პირით გავადნე და როცა საკმარისი მოვაგროვე, ვიგრძენი რომ ჩემი ენა გაყინულიყო. შიმამოტოს პირი გავუღე და დავიწყე ჩემი პირიდან მის პირში წყლის გადასხმა. მერე ნესტოებზე ხელი მოვუჭირე, რათა პირი საკმაოდ გაეღო და წვეთები გადაეყლაპა. ეს რამდენჯერმე გავიმეორე და როგორც იქნა კაპსული გადაყლაპა.

წამლის კოლოფს დავხედე. ჩემდა გასაკვირად მას არაფერი ეწერა, არც წამლის სახელი, არც ავადმყოფის გვარი, არც მიღების წესები. უცნაურია, გავიფიქრე მაშინვე, რადგან მეგონა, ასეთი ინფორმაცია ყველა წამალს თან ახლდა, რათა წამალთა აღრევა არ მოხდეს, ანდა სხვას შეეძლოს დახმარების გაწევა, თუ კი ეს აუცილებელი იქნებოდა. კოლოფი ისევ ჩანთაში ჩავდე და ერთხანს დავუწყე ყურება. წარმოდგენა არ მქონდა, თუ რა წამალი იყო, ანდა რა სიმპტომებს უნდა ეჩინა თავი, თუმცა რადგან წამალს თან ატარებდა, მას უნდა ემოქმედდა კიდეც. ეტყობა მისთვის მაინც, ეს არ იყო სრულიად მოულოდნელი შეტევა.

ათიოდე წუთის მერე ლოყებს ფერი დაუბრუნდათ. ლოყა ლოყაზე მსუბუქად შევახე, სითბო უბრუნდებოდა. შვებით ამოვისუნთქე და მანქანაში დავსვი. ეტყობოდა სასიკვდილო საფრთხეს გადაევლო. მხრებზე ხელები მოვხვიე და ლოყა ისევ მივადე ლოყაზე. მძიმე-მძიმედ ბრუნდებოდა სააქაოს.

"ჰაჯიმე." მისუსტებული ხმით დამიძახა.

"საავადმყოფოში წაგიყვან, კარგი? იქნებ აქვე, ახლოს სადმე იყოს პირველადი დახმარების პუნქტი". ვუთხარი მე.

"არა, საჭირო არაა." წაიჩურჩულა შიმამოტომ. "წამალი რადგანაც დავლიე აღარაფერი მიჭირს. რამდენიმე წუთში კარგად გავხდები. იზრუნე, თვითმფრინავის რეისს რომ მივუსწროთ."

"ღვთის გულისათვის, ნუ ნაღვლობ ამაზე. აქ იმდენხანს დავრჩებით, სანამ შენ უკეთ არ გახდები".

პირი ხელსახოცით გავუწმინდე. მან ხელსახოცი გამომართვა და ერთხანს უყურა.

"ყოველთვის ასეთი კეთილი ხარ, ყველას მიმართ?"

"არა ყველას მიმართ ნამდვილად არ ვარ." ვუთხარი მე. "შენთვის ვარ. ყველას მიმართ, რომც მინდოდეს ვერ ვიქნები. ყველაფერს თავის შესაძლებლობათა ზღვარი აქვს, შენთან მიმართებითაც კი. ვისურვებდი, ეს ზღვარი ჩვენს შორის არ ყოფილიყოს, მაშინ ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებდი შენთვის, მაგრამ ეს მე არ შემიძლია".

შიმამოტო ჩემსკენ შემობრუნდა. "ჰაჯიმე, მე ეს იმიტომ კი არ მომსვლია, რეისზე რომ დაგვეგვიანა." მითხრა დაბალი ხმით.

გავშეშდი და შევხედე. "რა თქმა უნდა, ეს შენი ბრალი არ იყო. მაგის თქმა ნამდვილად არ იყო საჭირო. შენ ხომ ავად გახდი".

"ვწუხვარ." თქვა მან.

"შენ არაფერი ცუდად არ გაგიკეთებია და არც რამე გაქვს საბოდიშო."

"მაგრამ შენი გეგმები ჩავშალე."

თმაზე ხელი გადავუსვი, დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. ვკვდებოდი ისე მინდოდა მოვხვეოდი, მეგრძნო მთლიანად მისი სხეული და ძლიერ მიმეზიდა, მაგრამ არ შემეძლო. მხოლოდ ლოყაზე ვაკოცე, მომეჩვენა, რომ ის იყო თბილიც, რბილიც და სველიც.

"ნურაფერზე ინერვიულებ." ვუთხარი მას. "აი ნახავ, ყველაფერი რა კარგად მოგვარდება."

სანამ აეროპორტში მივედით და სანამ მანქანა დავაბრუნეთ, დაგვაგვიანდა და თვითმფრინავში ჩასხდომის დროს გადავაცილეთ. ჩვენდა საბედნიეროდ გაფრენა გადაედოთ. უკვე აფრენის დრო იყო, მაგრამ მგზავრები ისევ ტერმინალში იცდიდნენ. ორივემ შვებით ამოვისუნთქეთ. *ძრავას დამატებით ამოწმებენ,* აგვიხსნეს რეგისტრაციაში. *არ ვიცით ფრენა რამდენი ხნით გადაიდო. გვითხრეს* იქვე. *მეტი ინოფრმაცია არ გვაქვს.* აეროპორტში მისვლისთანავე თოვა დაიწყო, ეხლა კი უკვე გვარიანად ბარდნიდა. თუ ასე გაგრძელდებოდა, ფრენა შეიძლება გაეუქმებინათ.

"დღეს რომ ტოკიოში ვერ დავბრუნდეთ, რა უნდა ჰქნა?" მკითხა შემამოტომ.

"ნუ ღელავ, დღეს ტოკიოში აუცილებლად ჩავფრინდებით." ვუპასუხე, მაგრამ ამაში სულაც არ ვყოფილვარ დარწმუნებული. იმის გაფიქრებაც, რომ დღეს შეიძლება ვერც ჩავფრენილიყავით, პანიკაში მაგდებდა. ამ შემთხვევისთვის უნდა მომეფიქრებინა სათანადო მიზეზი, თუ რა ჯანდაბა მინდოდა იშიკავაში. "კმარა." ვუთხარი საკუთარ თავს. "ხიდი მაშინ უნდა გადაიარო, როცა ხიდზე შედგები." ამ წუთას მარტო შიმამოტო იყო საზრუნავი.

"როგორი მდგომარეობა გაქვს?" ვკითხე მე. "რა შეიცვლება შენთან, თუ დღეს ტოკიოში ვერ ჩავფრინდებით?"

მან თავი გაიქნია. "ჩემთან ყველაფერი წესრიგშია." თქვა მან. "აი, შენთვის კი, ეს დიდი პრობლემაა."

"შეიძლება." მივუგე მე "მაგრამ არ ღირს ამაზე ნერვიულობა, ჯერ ხომ ფრენა არ გაუუქმებიათ."

"ვიცოდი, რომ რაღაც ასეთი მოხდებოდა." თითქოს საკუთარ თავს ეუბნებაო. "სადაც არ უნდა ვიყო, იქ არაფერი კარგად არ წარიმართება. ეს წინასწარვე უნდა მცოდნოდა. თუ კი რამეში გავერიე, ყველაფერი ცუდად დამთავრდება. აწყობილი საქმე რომ იყოს და მე შევუერთდე, ყველაფერი უცბად მოიშლება."

აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში მერხზე ჩამოვჯექი და ვცდილობდი დამელაგებინა, თუ რა უნდა მეთქვა ტელეფონით ცოლისთვის, იმ შემთხვევაში, თუკი ფრენა მართლაც გაუქმდებოდა. ახალ-ახალ მიზეზებს ვიგონებდი, იმის ასახსნელად, თუ როგორ მოვხდი ამ სიტუაციაში, მაგრამ არც ერთი არ ვარგოდა. სახლიდან დილით იმ მიზეზით გამოვედი, რომ საცურაო კლუბის წევრებთან ერთად, იახტით უნდა გვესეირნა და საღამოს კი იშიკავაში ამოვყავი თავი. ვერაფრით მოვახერხებდი ამის ახსნას. "სახლიდან გამოსვლისთანავე იაპონიის ზღვის ნახვის დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა, ამიტომ თავი ჰანედას აეროპორტში ამოვყავი და იქიდან კი თოვლიან იშიკავაში." ეს რა თქმა უნდა შემეძლო მეთქვა, მაგრამ თუ ეს იყო ყველაზე უკეთესი თავის გასამართლებელი, სჯობდა საერთოდ ხმა არ ამომეღო, ანდა სულაც სიმართლე მეთქვა. კარგა

ხანია ვგრძნობდი, თუ როგორ მინდოდა თოვას არ გადაეღო და ფრენა მართლაც გაუქმებულიყო. გაუცნობიერებლად მინდოდა, რომ ჩემი და შიმამოტოს დღევანდელ მოგზაურობა, ცოლსაც შეეტ-ყო, რაც ტყუილთა შემდეგ თქმათაგან გამათავისუფლებდა. ამ წუთას ყველაზე მეტად მსურდა, რომ შიმამოტოსთან ერთად აქ დავრჩენილიყავი და მერე რაც უნდა ის მოხდარიყო, აღარაფერს დავეძებდი.

თვითმფრინავი, მართალია საათნახევარიანი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაფრინდა. თვით-მფრინავის სალონში გვერდიგვერდ ვიჯექით, შიმამოტომ თავი ჩემს მხარზე დადო და დაიძინა, ან-და იქნებ თვალები მიხუჭა უბრალოდ. მე მხრებზე მოვხვიე ხელი და მჭიდროდ მივიხუტე. ხანდა-ხან მეჩვენებოდა, რომ ძილის დროს ტიროდა. ფრენის მთელ მანძილზე არაფერი უთქვამს. მხო-ლოდ დაშვების წინ, ორიოდე სიტყვით გავესაუბრეთ ერთმანეთს.

"შიმამოტო-სან, შენს თავს ყველაფერი რიგზეა?"

ჩახუტებულმა თავი დამიქნია "კარგად ვარ. რახან წამალი დავლიე აღარაფერი მიჭირს. ნუღარ ღე-ლავ." მითხრა და თავი ისევ ჩემს მხრებზე დადო.

"ოღონდ, ნურაფერს მკითხავ, თუ რატომ მოხდა ეს, კარგი?"

"გასაგებია. " ვუთხარი მე. "არანაირი შეკითხვები არ იქნება."

"დიდი მადლობა დღევანდელისთვის." მითხრა მან.

"მაინც რისთვის?"

"მდინარეზე რომ წამიყვანე. შენი ბაგედან, წყალი რომ ჩამაწვეთე. ჩემთან რომ იყავი, როცა მიჭირდა."

ისევ შევხედე. რა ახლოს იყვნენ მისი ტუჩები. ტუჩები, რომელთაც ვაკოცე, როცა წყალი ჩემი პირიდან, მის პირში გადავასხი. ვგრძნობდი, რომ ოდნავ გახსნილი მისი ტუჩები, ჩემს ტუჩებს ეძებდნენ, უმშვენიერესი თეთრი კბილები გამოსჩენოდა. ისევ ვგრძნობდი მის ენას, რომელსაც ოდნავ შევეხე, როცა წყალს პირში ვუსხამდი. სუნთქვა შემეკრა, არაფერზე აღარ შემეძლო ფიქრი. სხეული ნდომისგან იწვოდა. მას ვსურდი და მეც მსურდა ის, მაგრამ შევძელი საკუთარი თავის ხელში აყვანა. აუცილებლად უნდა გავჩერებულიყავ იქ, სადაც ვიყავი. კიდევ ერთი ნაბიჯიც და უკან მისაბრუნებელი გზა აღარ იარსებებდა.

ჰანედას აეროპორტიდან ტელეფონით დავრეკე სახლში. უკვე ცხრის ნახევარი იყო. "ბოდიში, რომ დამაგვიანდა" ვუთხარი ცოლს, "მაგრამ, აქამდე ვერაფრით ვერ მოვახერხებდი დარეკვას. სახლში ალბათ ერთ საათში ვიქნები."

"მე დიდხანს გელოდი და მერე გადავწყვიტე უშენოდ მევახშმა. მოთუშული ძროხის ხორცი მოგიმ-ზადე. " მითხრა მან.

მე და შიმამოტო ჩავჯექით ჩემს BMW-ში, რომელიც აეროპორტის ავტოსადგომში მქონდა გაჩერე-ბული.

"სად გინდა რომ მიგიყვანო?" ვკითხე მე.

"შეგიძლია აოიამამდე მიმიყვანო? იქიდან სახლამდე მარტო წავალ. " მითხრა მან.

"მართლა ასე გსურს?"

მან ფართოდ გამიღიმა და თავი დამიქნია. მანქანით უხმოდ მივქროდით ავტოსტრადაზე. მანქანის მაგნიტოფონში ჰენდელის საორღანო კონცერიტის ჩანაწერი ჩავდე, ძალიან დაბალ ხმაზე. შიმამოტოს ხელები მუხლებზე დაეწყო და ფანჯარაში იყურებოდა. კვირა საღამო იყო და მანქანებით ძირითადად ქალაქგარედ ნამყოფი ოჯახები ბრუნდებოდნენ. სწრაფად ვცვლიდი სიჩქარეებს.

"ჰაჯიმე." შიმამოტომ მითხრა, როცა კი მივუახლოვდით აოიამას გამზირს. "მაშინ მარტო იმაზე ვფიქრობდი, თუ რა კარგი იქნებოდა ფრენა რომ გაუქმებულიყო."

მინდოდა მეთქვა, რომ მეც ზუსტად იგივეს ვფიქრობდი, მაგრამ ხმა არ დამიძრავს. პირი მთლიანად გამშრობოდა და სიტყვები არ ამომდიოდა. მე მხოლოდ თავი დავუქნიე და ხელზე ხელი მოვკიდე. მთხოვა რომ აოიამას პირველივე კუთხეში გამეჩერებინა მანქანა და მეც გავაჩერე. კარები გააღო და ძლივს გასაგონი ხმით შემეკითხა:

"თუ გინდა კიდევ მოვალ შენს სანახავად. შეგიძლია კიდევ ამიტანო შენს გვერდით?"

"მე დაგელოდები." მაშინვე ვუპასუხე. შიმამოტომ თავი დამიქნია. მანქანა დავძარი და გავიფიქრე: "თუ კი მას ვეღარ ვნახავ შევიშლები". შიმამოტოს მანქანიდან გადასვლისა და წასვლის მერე, ჩემს გარშემო სამყარო თითქოს დაცარიელდა, ყველაფერმა უცბად დაკარგა აზრი.

11

იშიკავაში ჩემი და შიმამოტოს მგზავრობიდან მეოთხე დღეს, სიმამრი ტელეფონით შემეხმიანა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა ხოლმე. სათხოვარი ჰქონია რაღაც და მომდევნო დღეს სადილად დამპატიჟა. სადილად მისვლას დავთანხმდი, თუმც გულახდილად გითხრათ, გაოცებული ვიყავი ამ წინადადებით. მას ხომ, მეტად გადატვირთული საქმიანი განრიგი ჰქონდა და მისი სადილიც, როგორც წესი, ბიზნესის ნაწილი იყო.

ექვსი თვე გასულიყო, რაც მისი კომპანია, იოიოგიდან იოძუიაზე გადმოსულიყო, ახალ შვიდ სართულიან შენობაში. მის ოფისს ზედა ორი სართული ეკავა. ქვედა სართულები კი გაქირავებული ჰქონდა სხვადასხვა ფირმებზე, რესტორნებსა და მაღაზიებზე. აქ პირველად ვიყავი. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა, შემოსასვლელში იატაკი ძვირფასი მარმარილოთი გაემართად, ჭერი თითქოს ტაძარში ყოფილიყავით, უზარმაზარი ვაზები ახალი ყვავილებით აევსოთ. მეექვსე სართულზე ლიფტიდან გამოსულს, მდივანი გოგო ღიმილით შემეგება. საგულდაგულოდ მოვლილი თმები ჰქონდა, ისეთი თითქოს შამპუნის სარეკლამო როლიკის მონაწილე ყოფილიყოს. მან სიმამრს დაურეკა და ჩემი მოსვლა ამცნო. მუქი რუხი ფერის ტელეფონი უახლოესი ტექნიკის მწვერვალი იყო, თუმც ის მე უფრო ხონჩას მაგონებდა, რომელზეც ციფერბლატი მიეერთებინად. გაბრწყინებული სახით მომიბრუნდა და მითხრა: "გთხოვთ შებრძანდეთ, პრეზიდენტი თქვენს მოსვლას ელოდება." ღიმილი მართლაც საუცხოო ჰქონდა, მაგრამ არა იმ კლასის, რაც შიმამოტოს.

პრეზიდენტის კაბინეტი ბოლო სართულზე მდებარეობდა. დიდი ფანჯრიდან ქალაქის ხედი იშლებოდა, ოღონდ არა იმ ნაწილისა, რომლის ცქერაც გულს ათბობს. ფართო და ნათელ კაბინეტს, კედელზე ჩამოკიდებული იმპრესიონისტის ნახატი ამშვენებდა. უფრო სერას ნამუშევარს ჰგავდა, დიდი ალბათობით შემეძლო მევარაუდა, რომ ნახატი ორიგინალი იყო.

"როგორც ვხედავ ბიზნესი ჰყვავის" მივუგე ღიმილით.

"არც ისე ცუდადაა საქმეები" მიპასუხა. ფანჯრის წინ გაიარა და ხელით ქალაქის ნაწილზე მიმითითა. "საქმეები სულაც არაა ცუდად და ისეთი პირი უჩანს, კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ეს ის დროა, როცა კაცმა ცოტაოდენი ფული უნდა გააკეთოს. ასეთი შანსი ოც, ოცდაათ წელში ერთხელ თუ მოგეცემა. თუ ფული ეხლა არ გააკეთე, მერე ვეღარ გააკეთებ, და იცი რატომ?

"აზრზე არა ვარ. ხომ იცით, სამშენებლო ბიზნესი ჩემი პროფილი არაა."

"გადახედე ტოკიოს ამ ფანჯრიდან. ხედავ უამრავ ცარიელ ადგილს? თითქოს პირის ღრუაო, რომელსაც ბევრი კბილი აკლია. ქალაქს, ამ სიმაღლიდან თუ დახედავ, პირველად ამას შეამჩნევ, მაგრამ თუ ქალაქის ქუჩებში გაივლი, ეს არც ისე შესამჩნევია. ადრე იქ, ძველი სახლები იდგა, მაგრამ ისინი დაანგრიეს. მიწის ფართობის ფასმა ისე მოიმატა, რომ ძველი სახლების შენახვა წამგებიანი გახდა. ქირას მუდმივად ვერ გაზრდი, რადგან ძნელად თუ იპოვი ასეთი ქირის გადახდის მოსურნეს. საჭიროა ახალი, დიდი შენობები. ქალაქის ცენტრში ბინები უპერსპექტივოა. როცა აქ ფასები ავარდა, ქონების გადასახადმაც მოიმატა და ხალხს უკვე აღარ შეუძლია ქონების, ან სამემკვიდრეო გადასახადის გადახდა, ამიტომ ისინი ბინებს ცენტრში ჰყიდიან და გარეუბნებში გადადიან. ჰოდა ასეთ ბინებს, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროფესიული ფირმები ყიდულობენ, რათა ძველი ბინები დაანგრიონ და მათ ადგილას ახალი, დიდი, მრავალ დანიშნულებიანი შენობები წამოჭიმონ. ასე, რომ ამ ცარიელ ადგილებზე ახალი შენობები აშენდება. ორიოდე წელში ტოკიოს ვეღარ იცნობ, ისე შეიცვლება. კაპიტალი არ შემცირდება. იაპონური ეკონომიკის ბუმია, აქციები სულ უფრო მაღლა იწევს. ბანკებს ფული აქვთ და თუ მიწის მფლობელი ხარ, ბანკი იმდენს გასესხებს, რამდენსაც მოისურვებ. ამიტომაა შენობა, შენობაზე რომ შენდება, და თუ იცი ვინ აშენებთ მათ? ჩემნაირები".

"გასაგებია"- მივუგე მე. - "მაგრამ, რა ბედი ეწევა ტოკიოს, როცა ამ ყველაფერს ააშენებენ?"

"რა მოუვა? იქნება უფრო ხალისიანი, უფრო ლამაზი და უფრო პრაქტიკული, ბოლოს და ბოლოს ქალაქები განსაზღვრავენ ეკონომიკას."

"ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ტოკიო უკვე იხრჩობა მანქანების სიჭარბით. კიდევ რამდენიმე ცათამბჯენი და ქალაქის ქუჩები, მანქანების სადგომებად გადაიქცევა, ან წყლის მომარაგებას როგორ მოაგვარებთ, თუ გვალვამ დაიჭირა? ზაფხულობით, როცა ყველას ჰაერის კონდიციონერი ჩართული ექნება, ეყოფათ კი ელექტოენერგია? ელექტროსადგურები ხომ ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილ ნავთობზე მუშაობს, და რა მოხდება თუკი ნავთობის კრიზისი გამეორდება?

"მოდი, ეს კითხვები მთავრობას მივანდოთ, განა ამხელა გადასახადებს ტყუილად ვიხდით? მათ ხომ ტოკიოს უნივერსიტეტში აქვთ განათლება მიღებული და ტვინი ერთხელ მაინც ხომ უნდა აამუშაონ? ცხვირაწეულნი ისე დადიან, თითქოს ისინი მართლა მართავდნენ ქვეყანას. მოდი, მათ შეიწუხონ თავიანთი ძვირფასი თავები და მოიფიქრონ რა უნდა გაკეთდეს მასეთ დროს. მე მათზე პასუხი არა მაქვს, მე ხომ უბრალოდ მშენებელი ვარ. მოდის ბრძანება აშენებაზე და მეც ვაშენებ. ესაა ის, რასაც შენ მარკეტის ძალას ეძახი, განა მართალს არ ვამბობ?"

არაფერი მითქვამს. აქ იაპონიის ეკონომიკაზე დებატების გასამართავად ხომ არ მოვედი?

"როგორც არის. მოდი გადავდოთ ეს საჭოჭმანო პრობლემა და წავიხემსოთ. გვარიანად მომშივნია."

მის უზარმაზარ შავ მერსედესში ჩავჯექით და აკასაკასკენ გავემგზავრეთ. იქ იყო მისი საყვარელი რესტორანი, სადაც არაჩვეულებრივად გემრიელ, შემწვარ გველთევზას ამზადებდნენ. ცალკე გამოყოფილ ოთახში შეგვიპატიჟეს და იქ მოვეწყეთ სასადილოდ. შუადღე იყო და ამიტომ საკე ოდნავ გავსინჯე, ჩემი სიმამრი კი ფიალას, ფიალაზე სცლიდა.

"ტელეფონზე საუბრისას მითხარით, თითქოს რაღაც საქმეზე გსურდათ დალაპარაკება, არა?" შევეკითხე. თუ უსიამოვნო ამბავი იქნებოდა, მერჩია პირდაპირ მომესმინა.

"კი, ერთი სათხოვარი მაქვს". მითხრა მან. "ისეთი არაფერი. უბრალოდ, ნება მომეცი შენი სახელი გამოვიყენო ერთ საქმეში."

"ჩემი სახელი?"

"ახალი კომპანიის შექმნა მინდა, მაგრამ მირჩევია დამფუძნებლად სხვა ვინმე გავაფორმო. ამისთვის არანაირი კვალიფიკაცია არაა საჭირო. მხოლოდ სახელი და გვარი. გპირდები, ამით ოდნავადაც არ შეწუხდები, სამაგიეროდ სარგებელი გექნება."

"სარგებელზე ნუ სწუხართ" მივუგე მაშინვე. "თუ კი ეს ოდნავ მაინც დაგეხმარებათ, შეგიძლიათ ყოველთვის ისარგებლოთ ჩემი სახელით, რამდენჯერაც ამას საჭიროთ ჩათვლით. ოღონდ, იქნებ ამიხსნათ, რანაირ კომპანიაზე საუბრობთ? რადგან მე დამფუძნებელი ვიქნები, ეს ალბათ შეიძლება ვიცოდე, არა?

"სიმართლე გითხრათ, ის არ იქნება მოქმედი კომპანია." სიმამრმა მიპასუხა.

"იქნება მხოლოდ სახელი კომპანიისა, სინამდვილეში კი ის არ იარსებებს."

"ფიქტიური კომპანია, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს."

"სწორედ მიხვდით."

"და რა მიზნით იქმნება? საგადასახადო რომ შეამციროთ?"

"ჰმ, არა, მთლად მასეც არაა". მიპასუხა დაბნეულად.

"ძღვენითვის?" უფრო გაბედულად მივმართე.

“ასე ვთქვათ." მიპასუხა მან. "თავიდანვე უნდა ვაღიარო, რომ ეს მთლად წესიერი რამე არაა, მაგრამ იმ საქმიანობაში, რასაც მე ვეწევი, ეს აუცილებელია.

"და თუ რაიმე პრობლემა შეიქმნა?"

“კომპანიის შექმნა სრულიად კანონიერი საქმეა. ”

“მე ვგულისხმაბ იმას, რასაც კომპანია გააკეთებს.”

მან ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ასანთით მოუკიდა, ოდნავ გადაიწია და მაღლა გააბოლა.

"არანაირი პრობლემა არ გაჩნდება და გინდაც გაჩნდეს, მერე რა? ყველა მიხვდება, რომ შენ არაფერში ხარ გარეული, და მხოლოდ შენი სახელი ფიგურირებს და არა შენ თვითონ. გასაგებია, რომ სიმამრმა გთხოვა და შენც უარი ვერ უთხარი. პასუხს ამაზე არავინ გაგებინებს".

ცოტახანს ჩუმად ვიყავი და შემდეგ შევეკითხე. "ძღვენი ვის მიუვა?"

"შენთვისვე აჯობებს, თუ არაფერი გეცოდინება."

"მითხარი ცოტა რამ მათზე, ვინც ბიზნესძალას წარმოადგენენ. პოლიტიკოსებს მიუვათ ეს თანხები?"

"მცირედი ნაწილი, კი." მითხრა მან.

"მოხელეებს?"

სიმამრმა სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო და მითხრა: "ეს უკვე ქრთამის შეთავაზებაა და მათ შეუძლიათ დამიჭირონ".

"მაგრამ იმ ბეზნესში, რასაც თქვენ მისდევთ, განა ყველა ამას არ აკეთებს?"

"ალბათ მასეცაა". და მერე სერიოზულად მომიგო: "მაგრამ არც იმდენს, რომ დაიჭირონ."

"იქნებ იაძუკას? როცა ადგილს ყიდულობ ისინი მეტად საჭირო ხალხიაო, გამიგია."

"მათთან არასდროს, არანაირი ურთიერთობა არ მქონია. არც მონოპოლიას ვაპირებ. ეს შემოსავლიანია, მაგრამ ჩემი საქმე არაა, მე ხომ უბრალოდ მშენებელი ვარ. "

მე ამოვიხვნეშე.

"ვიცოდი, არ მოგეწონებოდა." მითხრა მან.

"მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მე მომეწონება თუ არა? საქმე იმაშია, რომ მე უკვე თქვენი გეგმების ნაწილი ვარ და ალბათ თავისთავად იგულისხმებოდა ჩემი თანხმობა".

"ზუსტად მასეა." მომიგო მან.

კიდევ ერთხელ ამოვიხვნეშე და ვუთხარი: "სიმართლე გითხრათ, არ მომწონს ასეთი საქმეები. მე იმას კი არ ვგულისხმობ, რომ რაიმე უკანონოა ამ საქმიანობაში. უბრალოდ, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს და არ მინდა, კულისებს მიღმა მიმდინარე მოლაპარაკებების მონაწილე ვიყო."

"მე რა თქმა უნდა ვიცი ეს." მომიგო მან. " მომენდე, ამით შენ არაფერი დაგიშავდება, რადგან ამით იუკიკოსა და ბავშვებსაც დაუშავდებათ, ამას კი უბრალოდ არ დავუშვებ. ალბათ იცი, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ჩემი ქალიშვილი და მისი შვილები."

თავი დავუქნიე. უარის თქმის ყველა გზა მომიჭრა. ცუდ ხასიათზე დავდექი. ვგრძნობდი, ცოტ-ცოტაობით როგორ ვებმებოდი ბნელი სამყაროს ხლართებში. ეს პირველი ნაბიჯი იყო, რაზეც თანხმობა განვაცხადე. დარწმუნებული ვიყავ ,ამას სხვაც მოჰყვებოდა.

საჭმელს მივუბრუნდით. მე ჩაის ვსვამდი, ჩემი სიმამარი კი საკეს.

"რამდენი წლის ხარ?" მოულოდნელად მკითხა.

"ოცდაჩვიდმეტის". მივუგე მე. ყურადღებით შემომხედა.

"ოცდაჩვიდმეტი წელი, ეს ის ასაკია, როცა მამაკაცი ყველაზე უფრო აქტიურია." თქვა მან. "წარმატებები საქმიანობაში, თავდაჯერებულობა. ალბათ ქალებიც საკმაოდ გეხვევიან, არა?"

"ჩემს შემთხვევაში არც ისე ბევრი." ღიმილით მივუგე მე და თან მის გამომეტყველებას ვაკვირდებოდი. თავზარი დამეცა. ეტყობა შიმამოტოსა და ჩემი ამბავი მისთვის უკვე ცნობილი გამხდარიყო და დღევანდელი შეხვედრის ნამდვილი მიზეზიც, უეჭველად ეს იყო. ამან ჯერ პანიკაში ჩამაგდო, მაგრამ მერე ვუარყავი ეს აზრი. ალბათ ქალები ლაპარაკს მოაყოლა.

"როცა შენი ასაკის ვიყავი, მეც კარგად ვატარებდი დროს. ამიტომ უფლება არ მაქვს მორალი გიკითხო. უფრო მეტიც, ცოტათი უცნაურიც კია, სიძეს რომ ვეუბნები ამას, მაგრამ ეს ისაა, რაშიაც ღრმადა ვარ დარწმუნებული: შენს ასაკში ქალებში დროის ტარება, არც ისე ცუდია. ეს მამაკაცს ახალ ენერგიას ჰმატებს, ახალი შთაბეჭდილებები ოჯახში მიბრუნებულს დაგეხმარება ურთიერთობების გაუმჯობესებაში და სამუშაოსაც არ აწყენს ეს. ასე, რომ თუ სხვა ქალი გაიჩინე, ამის თაობაზე საყვედურს არ გეტყვი. ეს ვფიქრობ ნორმაშია, ოღონდ იფრთხილე პარტნიორის ამორჩევისას. ნუ დაუკავშირდები ისეთს, ვინც მთელ ცხოვრებას აგირევს. დამიჯერე, ასეთი რამ, არც ისე იშვიათად ხდება."

მე თავი დავუქნიე და უცბად წამომაგონდა, რომ იუკიკოს ძმა, ცოლს ვერ ეწყობოდა. ჩემი ცოლისძმა ჩემზე ახალგაზრდა გახლდათ. დიდი ხანი არ იყო გასული, რაც საყვარელი გაეჩინა და სახლში თითქმის აღარ ბრუნდებოდა. ეტყობოდა, სიმამრი თავისი ვაჟის ამბავით იყო შეწუხებული და საყვარლებზე ამიტომაც ჩამომიგდო სიტყვა.

"უღირსს არაფრისდიდებით არ დაუკავშირდე, ასეთთან კავშირით, შენც უღირსი გახდები. ჭკუათხელთან გააბამ რომანს და შენც მალე ჭკუა შემოგაკლდება. თუმც არც მაღალი წრის ქალთანაა კავშირი იოლი, გაგიჭირდება მისგან მოწყვეტა და სახლში მიბრუნება. იმედია გესმის, თუ რა მაქვს მხედველობაში?"

"მგონია კი." მივუგე მე.

"თუ რამდენიმე წესს დაიცავ, ყველაფერი კარგად იქნება. პირველ რიგში ნუ შეეცდები, ქალმა თავისი საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს. ამით საბედისწერო შეცდომას აიცილებ. მეორეც, რაც არ უნდა მოხდეს, ღამე სახლში უნდა მიბრუნდე, არაუგვიანეს ორი საათისა. იცოდე, ღამის ორი საათი ბოლო ზღუდეა. და კიდევ: მეგობრებს ნუ გადააბრალებ შენს დაგვიანებებს, რადგან საქმე შეიძლება გამომჟღავნდეს, და თუ ეს მოხდა, მაშინ რა? ვეღარაფერს გააწყობ და თანაც მეგობარსაც დაკარგავ."

"თქვენ ეტყობა გამოცდილება გალაპარაკებთ."

"სწორედ მიხვდი. მამაკაცი გამოცდილებით სწავლობს." სიმამარმა გააგრძელა. "ისეთებიც არიან ვინც ვერაფერს სწავლობენ. მაგრამ შენ მათ რიცხვს არ მიეკუთვნები. მე ეს ვიცი. დაკვირვებული თვალი გაქვს, მხოლოდ გამოცდილებით გაქვს ნასწავლი, რაც იცი. შენს ბარში რამდენჯერმე შემოვსულვარ და სრულიად ცხადია, რომ არამარტო ადამიანთა შერჩევა შეგძლებია, არამედ მათი ამუშავებაც".

ხმას არ ვიღებდი და ველოდებოდი კიდევ რას იტყოდა. "საცოლედაც სწორ ქალს დაადგი თვალი. იუკიკო ბედნიერია შენთან ცხოვრებით და ბავშვებიც არაჩვეულებრივი გყავთ. მადლობელი ვარ შენი".

მაგარი მთვრალია, გავიფიქრე და დუმილი გავაგრძელე.

"შენ ალბათ არ იცი, მაგრამ იოკიკომ ერთხელ თვითმკვლელობა სცადა. საძილე ტაბლეტების დიდი დოზა მიიღო. სასწრაფოდ საავადმყოფოში წავიყვანეთ. სულზე მივუსწარით. ორი დღეღამე უგონოდ იყო. მეგონა ვერ გადარჩებოდა. სხეული ყინულივით გაუხდა და ოდნავღა სუნთქავდა. გათავდებაო, ვფიქრობდი. ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს მთელი სამყარო განადგურებულიყოს."

შეშფოთებულმა შევხედე. "როდის მოხდა ეს?"

"როცა ოცდაორი წლის იყო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. კაცის გამო მოხდა ეს. თითქმის დანიშნული იყო, იმ არამზადასთან. გარეგნულად იუკიკო წყნარზე, წყნარია, მაგრამ შინაგანად მტკიცე და საოცრად საზრიანი, ამიტომ ვერაფრით ამიხსნია , იმ გაიძვერას როგორ დაუკავშირდა."

ტრადიციული სტილის ოთახში ვიყავით. სიმამრი სვეტს მიეყრდნო, სიგარეტი ტუჩებში გაიჩარა და მოუკიდა. "პირველი მამაკაცი იყო მისთვის. სულ პირველად კი, ყველა ვცდებით. თუმც იუკიკოსთვის ეს ნამდვილი შოკი იყო, ამიტომაც გადაწყვიტა თავის მოკვლა. ამ ამბის შემდეგ დიდხანს მამაკაცებს გაურბოდა, თუ ადრე სიცოცხლით სავსე იყო, შემდეგ ჩაიკეტა, ხალხთან გაწყვიტა ურთიერთობა და მთელი დღეებს სახლში ატარებდა. სიცოცხლის ხალისი, შენთან შეხვდრის შემდეგ დაუბრუნდა. ეს სრული შემობრუნება იყო. მახსოვს ერთმანეთი მოგზაურობისას გაიცანით, არა?"

"ჰო. ეს მოხდა იატსუგატაკეში" მივუგე მე.

"მაშინ სახლიდან ძალით გავაგდე სამოგზაუროდ, ვიფიქრე მოგზაურობა წაადგებოდა."

თავი დავუქნიე. "თვითმკვლელობაზე არაფერი ვიცოდი." ვთქვი მე.

"ადრე ვფიქრობდი, უკეთესი იქნებოდა, თუ არაფერი გეცოდინებოდა და გიმალავდით ამ ამბავს, მაგრამ დრო ყველაფერს ცვლის. ვფიქრობ, ორივე დიდხანს იქნებით ერთად, ასე, რომ აჯობებს ყველაფერი იცოდე მასზე -- კარგიც და ცუდიც, თანაც, ეს ხომ დიდი ხმის წინათ მოხდა."

თვალები მილულა, სიგარეტის ბოლი ჰაერში აუშვა და გააგრძელა:

"ცოტა უცნაურია საკუთარი შვილის ქება. მაგრამ უნდა გითხრა, რომ იუკიკო კარგი ქალია. მე ბევრი თავგადასავალი მქონია, ქალებისკენ თვალიც ხშირად გამპარვია და ვიცი რასაც ვამბობ. ჩემი შვილია თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ქალების გარჩევა შემიძლია. ჩემი უმცროსი ქალიშვილი უფრო ლამაზია, მაგრამ იუკიკო უკეთესი პიროვნებაა. შენც კარგად ერკვევი ადამიანებში."

მე არაფერი მითქვამს.

"შენ დედისერთა ხარ, არა?"

"კი, დედისერთა ვარ." მივუგე.

"როგორ ფიქრობ, სამივე შვილი ერთნაირად მიყვარს?"

“აბა რა გითხრათ?”

“შენზე რას იტყვი? ორივე ქალიშვილი ერთნაირად გიყვარს?”

“რა თქმა უნდა.”

“ეს იმიტომ, რომ ისინი ჯერ პატარები არიან.” მითხრა მან. "მოიცადე და ნახავ, რომ როცა გაიზრდებიან, ჯერ ერთი მოგეწონება, გავა დრო და გული მეორეზე უფრო შეგტკივა. ერთ დღეს მიმიხვდები, რაც მაქვს მხედველობაში."

“ნუთუ?” დავეჭვდი მე.

“ეს მათთვის არასდროს გამიმჟღავნებია და მარტო შენ გეტყვი: იუკიკო გამორჩეულად მიყვარს. ეხლა როცა ეს წარმოვთქვი, მივხვდი სხვებზე როგორ დამეწვა გული, მაგრამ ასეა ეს. იუკიკო და მე ერთმანეთს საოცრად კარგად ვეწყობით და მას ბოლომდე ვენდობი."

თავი დავუქნიე.

"ხალხის გარჩევა შეგიძლია. ეს დიდი ნიჭია და ამას გაუფრთხილდი. მე თვითონ არარაობა ვარ, მაგრამ შევძელი რაღაცის შექმნა, რაც ნამდვილად არაა არარაობა."

გვარიანად გამომთვრალი სიმამრი, მერსედესამდე მივაცილე. უკანა სავარძელზე გადაესვენა, ფეხები გაშალა და თვალები მილულა. მე კი, ტაქსი გამოვიძახე და სახლში დავბუნდი. იუკიკომ დანახვისთანავე გამომკითხა მამასთან შეხვედრის წვრილმანები.

"ისეთი არაფერი." მივუგე მე. "მამაშენს დალევა მოუნდა და უნდოდა გვერდით ვინმე ჰყოლოდა. გვარიანად დალია. თუმც ისევ სამსახურში წავიდა, რის გამოც ცოტა არ იყოს ვნერვიულობ, ნასვამი სამუშაოს თავს როგორ გაართმევს?"

იუკიკოს გაეცინა. "ყოველთვის მასე იცის. სადილზე ხშირად სვამს, შემდეგ სამსახურში მიდის, კაბინეტის სავარძელში ერთ საათს წაუძინებს და ისევ ფორმაშია. ყოველ შემთხვევაში, კომპანიას ჯერ-ჯერობით არაფერი დაშავებია. ნუ სწუხარ მასზე."

"ეხლა უფრო ადვილად ერევა ალკოჰოლი." ვთქვი მე.

"მართალი ხარ. სანამ დედა ცოცხალი იყო, შეეძლო თევზივით სმა და არ ემჩნეოდა. მაგარი იყო. რას იზამ? ყველა ვბერდებით.

ცოლმა ყავა მოადუღა. სასადილო მაგიდას შემოვუსხედით და ყავას ვსვამდით. გადავწყვიტე მისთვის ფიქტიურ კომპანიაზე და მამამისის წინადადებაზე არაფერი მეთქვა. ვიცი, მას ეს არ მოეწონებოდა. ეჭვსგარეშეა მეტყოდა: *მართალია მამამ ფული გასესხა, მაგრამ ეს სულაც არ გავალდებულებს, რომ მისი ყველა სურვილი შეასრულო. მითუმეტეს, ნასესხებს უკან უბრუნებ და თანაც სარგებლით,* მაგრამ ვგრძნობდი, სიტუაცია არ იყო ასე მარტივი.

უმცროს გოგონას თავის საძინებელში ღრმა ძილით ეძინა. როცა ყავის სმას მოვრჩი, იუკიკო საწოლ ოთახში გავიყვანე. გავშიშვლდით და მზის შუქზე ერთმანეთს მჭიდროდ ვეკვროდით. ჩემმა ალერსმა სხეული გაუთბო და შევედი მასში, ოღონდ შიგნით ყოფნისას, თუ კი ვინმეს ვხედავდი, ეს შიმამოტო იყო. თვალები დავხუჭე და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შიმამოტოს ვეხვეოდი. ასე გავათავე.

შხაპის მიღების მერე ისევ ლოგინს მივაშურე, ვიფიქრე წავთვლემო. იუკიკოს უკვე ჩაეცვა, მაგრამ ლოგინში მიბრუნებული რომ დამინახა, შემომიძვრა. ბეჭებთან მისი ტუჩები ვიგრძენი. ჩუმად ვიწექი. თვალები დახუჭული მქონდა. ეხლახანს მასთან ვჟიმაობდი, თუმც სხვა ქალზე კი ვფიქრობდი. სინდისი მაწუხებდა. თვალდახუჭული ვიწექი ჩუმად.

"იცი? ნამდვილად მიყვარხარ." იუკიკომ მითხრა.

"უკვე შვიდი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. ორი შვილიც გვყავს." მივუგე პასუხად. "საკმაო დროა გასული, ჩემგან რომ დაღლილიყავ, განა არა?"

"შეიძლება, მაგრამ მე ისევ მიყვარხარ."

ახლოს მივიზიდე და გახდა დავუწყე. სვიტერი გავხადე, მერე ბოლოკაბა და საცვლებიც.

"ვაუ!! ნუთუ იმას აპირებ, რასაც ვფიქრობ?" გაოცებულმა შემეკითხა.

“რა თქმა უნდა." მივუგე მე.

“დღევანდელი დღე დღიურში უნდა ჩავინიშნო."

ამჯერედ გადავწყვიტე შიმამოტოზე აღარ მეფიქრა. იუკიკოს სხეულს ვეალერსებოდი, სახეში ჩავ-ცქეროდი და მარტო მასზე ვფიქრობდი. ტუჩებს ვუკოცნიდი, შემდეგ ყელს და მკერდს. შიგნით გავათავე და მერეც დიდი ხანი მყავდა გულზე მიკრული.

"რა მოგივიდა?" თვალებით მეკითხებოდა. "რა მოხდა დღეს შენსა და მამაჩემს შორის?"

"არაფერიც არ მომხდარა." ვუპასუხე. " სრულიად არაფერი. უბრალოდ ცოტახანს ასე მინდა ვიყო".

“დარჩი სტუმარად.” მიპასუხა და მჭიდროდ მიმიკრა, ისევ შიგნით მყოფი. თვალები დავხუჭე და ტანზე მაგრად მივიკარი, თითქოს ასე თუ არ მოვიქცეოდი, ჰაერში გავფრინდებოდი.

გულში ჩაკრული მყავდა და მთელი სიცხადით ვიგრძენი მამამისის სიტყვები, მისი თვითმკვლელობის მცდელობის გამო. *"მეგონა ვერ გადარჩებოდა. გათავდებაო, ვფიქრობდი"*. თუ მაშინ ოდნავ მეტ ტაბლეტს მიიღებდა, ეხლა ხომ მის სხეულს ვეღარ მოვეფერებოდი? ნაზად გადავუსვი მხრებზე ხელი, შემდეგ თმებზე, მერე მკერდზე. ისინი ნამდვილად სიცოცხლით სავსენი იყვნენ - მსუბუქნი, თბილნი. ჩემი ხელისგულის ქვეშ, მისი სიცოცხლე ჩქეფდა. არავინ უწ-ყოდა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს სიცოცხლე. ყველაფერი, რასაც ფორმა აქვს, წამში შეიძლება განადგურდეს. იუკიკოც. ეს ოთახიც, სადაც ეხლა ვართ, კედლებიც, ჭერიც, ფანჯარაც. ეს ყველაფერი შეიძლება ისე გაქრეს, კვალიც კი არ დარჩეს. მოულოდნელად იძუმი გამახსენდა. იმ კაცმა იუკიკოს ღრმა ჭრილობა მიაყენა, ხოლო მე იგივე ჩავიდინე იძუმის მიმართ. ისე მოხდა, რომ იუკიკო მე შემხვდა და ძველი ჭრილობა მოუშუშდა. იძუმი კი ვერავის შეხვდა. ვკოცნი იუკიკოს შიშველ მხრებს.

"ცოტას წავუძინებ და მერე საბავშო ბაღში წავალ, გოგოს წამოსაყვანად" ვუთხარი ცოლს.

"მშვიდ ძილს გისურვებ." მითხრა მან.

ცოტა ხანი მართლაც მეძინა. როცა თვალი გავახილე ოთხის ნახევარი იყო. საძინებლის ფანჯრიდან მოსჩანდა აოიამას სასაფლაო. ფანჯრის წინ სკამზე ჩამოვჯექი და დიდხანს გავსცქეროდი სასაფლაოს. რამდენი რამ შეიცვალა მას მერე, რაც შიმამოტო კვლავ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში! სამზარეულოში იუკიკო ვახშამს ამზადებდა. მე კი, იქუარი ხმები ისე მესმოდა, თითქოს მათ ,უზარმაზარი მანძილით დაშორებულ ქვეყნებთან შემაერთებელი მილი გამოევლოთ.

მიწისქვეშა ავტოფარეხიდან BMW გამოვიყვანე და საბავშო ბაღისკენ დავძარი ბავშვის წამოსაყვანად. დღეს მათ სპეციალური პროგრამა ჰქონდათ, რის გამოც ცოტა შეაგვიანდა. უკვე ოთხი იყო როცა გამოსასვლელში გამოჩნდა. თვალში გეცემოდათ ერთ ხაზში ჩამწკრივებული მდიდრული მანქანები: სააბები, იაგუარები, ხანდახან ალფა-რომეოც კი. ამ მანქანებიდან მდიდრულად ჩაცმული დედები გადმოდიოდნენ და შვილები მიჰყავდათ. ჩემი გოგონა ერთადერთი იყო ვისაც მამა აკითხავდა. როგორც კი შევამჩნიე, დავუძახე და ხელი დავუქნიე. პასუხად პატარე ხელი დამიქნია და ჩემსკენ წამოვიდა, მაგრამ ცისფერ 260E მერსედესში პატარა გოგონა შეამჩნია და ყვირილით მასთან მიირბინა. გოგონას შალით ნაქსოვი წითელი ქუდი ეხურა და გაჩერებული მანქანის სარკმლიდან, თავი გარეთ გამოეყო. გოგოს დედას წითელი ქაშმირის პალტო და დიდი მზის სათვალეები ეკეთა.

როცა მივუახლოვდი და ჩემს შვილს ხელი მოვკიდე, ქალმა შემომხედა და გამიღიმა. მეც გავუღიმე. წითელმა პალტომ და მზის სათვალეებმა შიმამოტო გამახსენა და მომაგონდა, როგორ ავედევნე მას შიბუადან აოიმამდე.

"გამარჯობათ." მივესალმე.

"გაგიმარჯოთ." მიპასუხა ქალმა.

ქალი გამაოგნებელი სილაზის აღმოჩნდა, შეუძლებელია ოცდახუთზე მეტის ყოფილიყოს. მანქანის მაგნიტოფონით Talking Heads-ის ჰიტ Burning Down the House უსმენდა. უკანა სავრძელზე კინოკუნიიაში ნაყიდი ორი შეკვრა მოსჩანდა. ლამაზი ღიმილი ჰქონდა. ჩემმა გოგომ რაღაც წაუჩურჩულა თავის მეგობარს და გამოემშვიდობა. წითელქუდაც დაემშვიდობა ჩემს შვილს და მანქანის ფანჯარა ჩახურა. შვილს ხელი მოვკიდე და წავიყვანე იქ, სადაც BMW მეყენა.

"როგორ ჩაირა დღემ, იყო რაიმე საინტერესო?" ვკითხე მას.

მან თავი გადააქნია. "არაფერი საინტერესო. საშინელებაა." მიპასუხა.

"ორივეს ძნელი დღე გვქონია." ვუთხარი პასუხად, დავიხარე და შუბლზე ვაკოცე. მან კი სახე ისე დამანჭა, როგორც მეტად სნობური ფრანგული რესტორნის მეპატრონეს ემართება ხოლმე, ამერიკან ექსპრესის პლასტიკური ბარათის დანახვაზე,

"დარწმუნებული ვარ ხვალ უკეთესი დღე იქნება" დავამშვიდე. მეც მინდოდა მერწმუნა, რომ ეს მართლაც ასე იქნებოდა. მინდოდა ხვალ თვალგახელილს, შეცვლილი სამყარო დამხვედროდა, სადაც ჩემი ყველა პრობლემა გადაწყვეტილი იქნებოდა. მიჭირდა განვითარებული სცენარის წარმოდგენა. ერთის მხრივ მყავდა ცოლი და ორი შვილი, მეორეს მხრივ კი სხვა ქალი მიყვარდა.

"მამა?" შვილი მელაპრაკება. "ცხენზე შეჯდომა მინდა. ერთხელაც იქნება , ხომ მიყიდი ცხენს?"

"რა თქმა უნდა. ერთხელაც იქნება აუცილებლად გიყიდი." ვუპასუხე მე.

"როდის იქნება ეგ?"

"როცა საკმარისი ფული მექნება მოგროვილი."

"მამა, გაქვს ყულაბა?"

“კი, თანაც ძალიან დიდი. აი, ამ მანქანის ხელა. თუ ამ ყულაბას ვერ გავავსებთ, მე ვერ შევძლებ ცხენის ყიდვას."

“იქნება პაპასთვის გვეთხოვა? მიყიდის პაპა ცხენს? ის ხომ ძალიან მდიდარია".

“ამაში მართალი ხარ. პაპას იმხელა ყულაბა აქვს, რამხელაც აი, ის შენობაა. ყულაბაც თითქმის სავსეა. ოღონდ პრობლემა იმაშია, რომ იმხელა ყულაბიდან ფულის ამოღება არც ისე ადვილია.”

ამაზე ჩემი შვილი ცოტახანს ჩაფიქრდა.

"შემიძლია პაპას ვსთხოვო, ცხენი მიყიდოს?"

"რა თქმა უნდა შეგიძლია სთხოვო. ვინ იცის, იქნებ მართლაც გიყიდოს?"

სანამ სახლში დავბრუნდებოდით, გზაში სულ ცხენებზე ვლაპარაკობდით. რა ფერის ცხენები მოსწონდა, რას დაარქმევდა, ცხენით სად წავიდიდა, ცხენს სად დააძინებდა, სახლში მისვლისას ლიფტში ჩავსვი, მე კი გადავწყვიტე სამსახურში შემეხედა. რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე? სრული გაურკვევლობა. ორივე ხელით საჭეს ჩავაფრინდი. თვალები დავხუჭე. არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ საკუთარ სხეულში ვიყავ მოქცეული. სხეული თითქოს დროებით ნათხოვარი ჭურჭელიაო. არ ვიცოდი როგორი იქნებოდა ხვალინდელი დღე. აზრი, ჩემს გოგონასთვის ცხენი მეყიდა, აქტუალური მეჩვენა. უნდა მოვასწრო და ცხენი მართლა ვუყიდო შვილს, სანამ ყველაფე-რი გაუჩინარდება, სანამ სამყარო ჯერ კიდევ წონასწორობაშია.

თავი თორმეტი

ამის შემდეგ ვიდრე გაზაფხული დადგებოდა, შიმამოტო კვირაში ერთხელ მაინც მხვდებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ ჩემს ერთ-ერთ ბარში მაკითხავდა, ზუსტად ათის ნახევარზე. დახლთან ჩამოჯდებოდა, ორიოდე კოკტეილს შეუკვეთავდა და თერთმეტზე მიდიოდა. მე გვერდით მივუჯდებოდი და ვსაუბრობდით. არ ვიცი, მომსახურე პერსონალი რას ფიქრობდა ჩვენზე, მაგრამ ეს მე ნაკლებად მაინტერესებდა. თითქოს ისევ თანაკლასელები ვყოფილიყავით, მაშინაც ხომ არ მენაღვლებოდა, თუ რას იფიქრებდნენ ჩემი თანაკლასელები ჩვენ ორზე.

ხანდახან მირეკავდა და სადილად მეპატიჟებოდა. ძირითადად ომოტე სანდოზე მდებარე საყავეში ვხდებოდით. მსუბუქად წავიხემსავდით და მერე ვსეირნობდით ორნი, ორი, იშვიათად სამი საათის მანძილზე. როცა მისი წასვლის დრო მოაწევდა, დახედავდა ხოლმე მაჯის საათს, მერე გამიღიმებდა და მეტყოდა. "ვფიქრობ ეხლა უნდა წავიდე" . წასვლის წინ, თავისი განუმეორებელი ღიმილით მასაჩუქრებდა. ვერ ვხდებოდი, ამ ღიმილის უკან რა იმალებოდა: სევდა, ძვირფას ადამიანს როცა შორდები, თუ არანაირი სინანული დაშორებისა, ანდა იქნებ სულაც სიხარული ჩემგან რომ მიდიოდა? არაფერი მესმოდა. იმასაც კი ვერ გეტყოდით, მართლა წასასვლელი იყო სადმე თუ არა. იმ ორიოდე საათის მანძილზე კი, როცა ერთად ვიყავით ჩვენ განუწყვეტლივ ვსაუბრობდით. არც ერთხელ არ მომხდარა, რომ ჩვენი სხეულის ნაწილები ოდნავ მაინც შეხებოდნენ ერთმანეთს. არც-ერთხელ არ მომიხვევია ხელი მხრებზე და არც ხელი-ხელ

ჩაკიდებულნს გვისეირნია. ტოკიოს ქუჩებში შიმამოტოს დაუბრუნდა მისი ჩვეული, მომხიბლავი, მაგრამ ცივი ღიმილი. კვალიც კი არ დარჩენილიყო, იმ ემოციებისგან, რაც მან იმ ცივ, თებერვლის დღეს გამოამჟღავნა, იშიკავაში მოგზაურობისას. სითბო იმ სიახლოვისა, რაც იმ დღეს ჩაისახა გამქრალიყო და ჩვენც, თითქოს უთქმელ ხელშეკრულებისათვის ხელი მოგვეწეროს, არასდროს ვიხსენებდით, იმდეღევანდელი დღის უცნაურ მგზავრობას.

გვერდი-გვერდ მიმავალს მაინტერესებდა გულში რას გრძნობდა და საითკენ შეეძლოთ წარემართათ ამ გრძნობებს. მის თვალებში არაერთხელ ღრმად ჩამიხედავს, მაგრამ თავაზიანი დუმილის გარდა, არაფერი არასდროს არ შემიმჩნევია. როგორც ადრე, ეხლაც, მისი ქუთუთოების ქვეშ გამავალი ხაზი, უშორეს ჰორიზონტს მახესენებდა. დიდი ხნის მერე, როგორც იყო მივხდი, თუ როგორი სიმარტოვის გრძნობა ეუფლებოდადა იძუმის, როცა მხვდებოდა. შიმამოტოს შიგნით თავისი პატარა სამყარო ჰქონდა. ის მხოლოდ მისი საკუთრება იყო და მე არ მეწერა მასში შეღწევა. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ იმ სამყაროში შემავალმა კარებმა გახსნა დაიწყო, მაგრამ მალევე დაიკეტა. თავს ისევ იმ, უმწეო და დაბნეულ თორმეტი წლის ბიჭად ვგრძნობდი. წამოდგენა არ მქონდა როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ანდა რა მეთქვა. მთელი ძალით ვცდილობდია სიმშვიდე შემენარჩუნებინა და გონებით მემოქმედა, მაგრამ უშედეგოდ. ვგრძნობდი რომ ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი ანდა ვამბობდი არასწორი იყო. ჩემს ყოველ ემოციას, კი მისი გასხივოსნებული ღიმილი უპირისპირდებოდა. თითქოს მეუბნებოდა, ნუ ღელავ, ყველაფერი წესრიგშიაო. შიმამოტოს ცხოვრება ჩემთვის კვლავ სრული სიბნელით იყო მოცული. ისიც კი არ ვიცოდი, თუ სად, ან ვისთან ცხოვრობდა. გათხოვილი იყო თუ არა? ანდა როდისმე თუ ყოფილა გათხოვილი? ერთადერთი რაც ვიცოდი, იყო ის, რომ შარშან თებერვალში ბავშვი ეყოლა, რომელიც მეორე დღესვე დაეღუპა. ჰო, ისიც ვიცოდი, რომ ცხოვრებაში არასდროს არ უმუშავია, თუმცა ყველაფერს რაც ეცვა, ანდა ეკეთა, სიმდიდრის სუნი დაჰკრავდა, რაც მიუთითებდა რომ ფულის ნაკლებობა არ ჰქონდა. სულ ეს იყო რაც მასზე ვიცოდი. ის ალბათ გათხოვილი იყო, როცა ბავშვი ეყოლა, თუმც არც ამაში ვიყავი დარწმუნებული, ყოველდღე ხომ ათასობით ბავშვი იბადება ქორწინებაში არ მყოფი დედებისაგან.

რაც დრო გადიოდა, შიმამოტო უფრო მეტს მიყვებოდა სკოლის იმ დროინდელ ამბებზე, როცა მე უკვე სხვა სკოლაში ვიყავი გადასული. მაშინდელ დროინდელ ამბებსა და ამჟამინდელ მის ცხოვრებას შორის არანაირი პირდაპირი კავშირი არ სჩანდა. ეტყობოდა, რომ ახლანდელ მის მდგომარეობაზე სიტყვის დაძვრაც კი არ სურდა. მივხდი, თუ რა საშინალ სიმარტოვობაში გაუტარებია ყმაწვილქალობის წლები.

როცა წამოიზარდა, გადაწყვიტა რომ ყველასთან სამართლიანად მოქცეულიყო, არავისთან მობოდიშება რომ არ დასჭირვებოდა. "თუკი მობოდიშებას დაიწყებ, ამას ბოლო არ ექნება" მითხრა ერთხელ. "არ მიყვარს ასეთი ურთიერთობები." სამწუხაროდ ეს სურვილი ცხოვრებაში ვერ განახორციელა. მისმა ქცევამ ბევრი გაუგებრობა გამოიწვია, რამაც არაერთი ტკივილი მიაყენა. თანდათან თავის ნაჭუჭში გამოიკეტა. სკოლაში წასვლა ისე არ უნდოდა ხოლმე, რომ დილაობით გამოღვიძებულს ხშირად გულისრევის გრძნობა ჰქონდა. იმ დროინდელი თავის ფოტო მაჩვენა, როცა 16 წლის იყო. ბაღში სკამზე იჯდა, მზესუმზირები ჰყვაოდნენ მის გარშემო. ზაფხული იყო და ჯინსის, მოკლე შორტებსა და თეთრ მაისურში გამოწყობილიყო. თვალწარმტაცი იყო. კამერის წინ იღიმებოდა. ეხლანდელ ღიმილთან შედარებით, მაშინდელი ღიმილი ოდნავ დამორცხვილი იყო. ამის მიუხედავად ფოტოზე მომაჯადოებელი ღიმილი აღბეჭდილიყო. ეს გაუბედავი, მაგრამ საოცრად მომხიბვლელი ღიმილი ხალხზე უფრო და უფრო მოქმედებდა. ვერაფრით იტყოდით მარტოსული გოგოს ღიმილიაო, რომლის ცხოვრების დღეები ერთმანეთზე უფრო უბადრუკიაო.

"თუკი ამ ფოტოთი ვიმსჯელებთ, შენ მსოფლიოში უბედნიერესი გოგო იყავი." ვუთხარი მაშინ.

მან თავი ნელა გადააქნია. თვალის კუთხესთან ლამაზი ხაზები გაუჩნდა, ისე იცქირებოდა, თითქოს გარდასული დროის მოგონება გაცოცხლდაო.

"ჰაჯიმე, ფოტოთი არაფრის თქმა არ შეიძლება. იქ ხომ მხოლოდ ჩემი ჩრდილია აღბეჭდილი. ჩემი მე კი სულ სხვაგან დარჩა. ის სურათში არ ჩანს".

ფოტოს ნახვის მერე მკერდში ტკივილი ვიგრძენი. მივხდი რა უაზროდ დიდი დრო დამიკარგავს. საუკეთესო წლები, რომლებსაც უკან ვერ დავიბრუნებდი, რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყოს ამისი სურვილი. დრო, რომელიც მხოლოდ მაშინ, იმ წლებში მიედინებოდა. ფოტოს ერთხელ კიდევ დავხედე, კიდევ უფრო ხანგრძლივად .

"რით დაგაინტერესა ასერიგად ამ სურათმა?" მკითხა მან.

"მსურს განვლილი დრო შევავსო," ვუპასუხე სევდიანად. ოცდახუთი წელი გავიდა მას მერე რაც არ მენახე. მსურს დროის ეგ უფსკრული ამოვავსო, თუნდაც სულ მცირეთი."

მან გაიღიმა. ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს ჩემი სახის ნაცვლად არაამქვეყნიურ მოლანდებას უყურებსო.

"უცნაურია. შენ გინდა რომ დროის ეგ შავი ხვრელი ამოავსო, მე კი მსურს, რომ ის ისეთივე შავ ხვრელად დარჩეს."

ჩვენი დაშორების შემდეგ, სკოლაში სწავლის მთელ პერიოდის მაძილზე მას ნამდვილი ვაჟი-მეგობარი არა ჰყოლია. ძალიან ლამაზი იყო და ბიჭების ყურადღებას ადვილად იპყრობდა, მაგრამ თვითონ ძლივს ამჩნევდა მათ. რამდენიმეს კი შეხვდა თითო-ორჯერ და ეს იყო სულ.

"იმ ასაკის ბიჭები ძნელად მოგეწონება. ალბათ გესმის, თუ რა მაქვს მხედველობაში. მაგ ასაკის ბიჭები ხომ უხეშნი და ეგოისტები არიან, უინტერესონიც, რადგან თავში მხოლოდ ერთი რამ უტრიალებთ, გოგოს კაბის ქვეშ როგორ შეუცურდნენ. იმედი მაშინვე მიცრუვდებოდა, არადა ველოდებოდი ისეთსავე ურთიერთობას, რაც ჩვენ გვქონდა."

"აჰაა? უნდა გითხრა, რომ თექსმეტის მეც მასეთი ვიყავი, უხეში, ეგოისტი, და მეც ვცდილობდი, რომ რომელიმე გოგოსთვის კაბა გამეხადა. აი ასეთი ვიყავი მაშინ".

"მაშინ მართლაც კარგი ყოფილა, რომ ვერ შევხდით მაგ პერიოდში" გაიღიმა შიმამოტომ.

"თორმეტი წლისანი დავშორდით, რათა ოცდაჩვიდმეტი წლისანი ხელახლა შევხვედროდით. იქნებ ეს იყო ჩვენთვის საუკეთესო ხვედრი?"

"ძნელი დასაჯერებია."

"ალბათ ეხლა შეგიძლია ზოგ ისეთ რამეზეც იფიქრო, რასაც არაფერი კავშირი აქვს იმასთან, რასაც გოგოები კაბის ქვეშ მალავენ, არა?"

"ზოგ რამეზე მართლაც შემიძლია" ვუთხარი მე. "მაგრამ თუ ეს გაწუხებს, იქნებ შემდეგში შარ-ვალში ჩაცმული მოხვიდე?"

შიმამოტომ მაგიდაზე დაწყობილ თავის ხელებს დახედა და ხმამაღლა გაიცინა. ბეჭედს არ ატარებდა. ყოველ შეხვედრისას ახალი სამაჯური და ახალი საათი ეკეთა. ძვირფასი საყურე და გულსაბამიც, მაგრამ ბეჭედი არასდროს.

"არ მსურდა რომელიმე ვაჟის ზედმეტი ტვირთი გავმხდარიყავი" გააგრძელა მან. "გესმის რას ვგულისხმობ? ჩემთვის ხომ უამრავი რამ მიუწვდომელი იყო. პიკნიკები, ცურვა, თხილამურები, ციგურები, დისკოთეკა... მე კი სიარულიც მიჭირდა. ერთადერთი რაც შემეძლო, იყო ის, რომ ვინმესთან ერთად მაგიდასთან ვმჯდარიყავი, გვესაუბრა და მუსიკისათვის მოგვესმინა. იმ ასაკის ბიჭებიდან ასეთ ცხოვრებას დიდხანს აბა ვინ გაუძლებდა? მალე ეს ყველაფერი შემძულდა".

შიმამოტომ ლიმონიანი პერიე დალია. შუა მარტის თბილი საღამო იდგა. ქუჩაში მოსეირნე ზოგ ახალგაზრდას მოკლესახელოებიანიც კი ეცვა.

"მაშინ რომ შევხვედროდით მიხვდებოდი, რომ მე უბრალოდ ხელს შეგიშლიდი და მალე დავშორდებოდით. შენ ხომ უფრო აქტიური ცხოვრება გენდომებოდა, გეგრიალა ოთხივე მხარეს, მე კი ეს არ შემეძლო".

"შიმამოტო-სან" ვუთხარი მე. "შეუძლებელია, რომ ასე მომხდარიყოს. არასდროს ვიქნებოდი მოუთმენელი შენს მიმართ. ჩვენ ხომ განსაკუთრებული რამ გვაერთიანებდა. ამის სიტყვებით ახსნა შეუძლებელია, მაგრამ ეს სიმართლეა. შენ ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი გეჭირა მუდამ, როგორც უძვირფასესი რამ". უფრო დაკვირვებით შემომხედა, ოღონდ სახის გამომეტყველება ოდნავადაც არ შესცვლია. ”მე ხომ არ ვარ რომელიმე გამოჩენილი პიროვნება" გავაგრძელე ისევ მე "არაფრით შემიძლია ვიამაყო. მე საკმაოზე მეტად მოუხეშავი, უგრძნობელი და ამპარტავანი ვიყავი და არც შენი შესაფერი, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: შენ მე არას-დროს მომბეზრდებოდი. ეს მაინც განმასხვავებს მათგან, ვისაც შენ იცნობდი. ამ აზრით შენთვის მე მართლაც განსაკუთრებული პიროვნება ვარ."

შიმამოტომ მზერა კვლავ მაგიდაზე დაწყობილ ხელებზე გადაიტანა. თითები იდნავ გასწია, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო რომ მათი რაოდენობა არ შეცვლილა.

"ჰაჯიმე" დაიწყო მან " ცხოვრებაში არის რაღაცეები, რასაც ვერ დაიბრუნებ, როგორც არ უნდა ეცადო. რას იზამ! ეს ერთ-ერთი არასასაიმოვნო სიმართლეთაგანია. თუ რაღაც უკვე შეიცვალა, შენ ვეღარაფერს გააწყობ, ის იმ სახით აღარ დაბრუნდება. ერთი თუ რამე მოიშალა, ასეთად დარჩება მუდამ."

ერთხელ დამირეკა და ლისტის საფორტეპიანო კონცერტზე დამპატიჟა. სოლისტი განთქმული არგენტინელი პიანისტი გახლდათ. ჩემი სამუშაო განრიგი გადავსინჯე და მასთან ერთად წავედი უენო პარკის საკონცერტო დარბაზში. ბრწყინვალე წარმოდგენა იყო. სოლისტის საშემსრულებო ტექნიკა განსაცვიფრებელი, მუსიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ღრმაც და იმავდროულად ფაქი-ზიც. პაინისტის არაჩვეულებრივმა ემოციურმა შესრულებამ დარბაზი საოცარი სითბოთი გან-მსჭვალა. ამის მიუხედავად და ჩემი დიდ მცდელობისა, მუსიკამ ვერ გამიტაცა, თვალდახუჭულიც კი. თითქოს თხელი ფარდა გვყოფდა მე და პიანისტს და რაც არ უნდა მეცადა, მეორე მხარეს ვერ მოვხდებოდი. ეს ავუხსენი შიმამოტოს კონცერტის შემდეგ. მაშინვე დამეთანხმა.

"მართალი ხარ. არადა წარმოდგენა მართლაც დიდებული იყო. არ მესმის რა მოხდა?"

"განა არ გახსოვს?" ვუპასუხე. "ჩევენ რომ ვუსმენდით იმ გრამფირფიტას პატარა განაკაწრი ჰქონდა, მეორე ნაწილის ბოლოს, რაც თავის ეფექტს იძლეოდა მოსმენის დროს. პაჩ, პაჩ! დამიჯერე ამ ხრჭიალის გარეშე, ამ მუსიკას ვეღარ ვუსმენდი."

შიმამოტომ გაიცინა.

"ამას ხელოვნების აღიარებას ვერ დავუძახებთ?"

"ამას ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. მოდი, ეგ ქოსა სვავს მიართვან საჭმელად, მე კი სულაც არ მადარდებს. რაც არ უნდა თქვან მე ჩემსას გავიმორებ: ის ხრჭიალი მსიამოვნებს."

"შეიძლება მართალიც ხარ." დამეთანხმა შიმამოტო. " ჩვეულებრივი სვავები ლეშით იკვებებიან, ქოსა სვავიც?"

უკანა გზობას, მატარებელში, დეტალურად ავუხენი მათ შორის სხვაობა. ისინი, ხომ განსხავებულ ადგილას ჩნდებიან, სხვაგვარად გაჰკივიან და გამრავლების სხვა პერიოდები აქვთ. მოკლედ განსხვავებული ჯიშებია."

"უცნაური ხარ" სიცილით მითხრა შიმამოტომ და აქ, მატარებელში, სავარძელში მჯდომარე, ოდნავ მოიწია, მისი მხარი ჩემსას შეეხო, პირველად და უკანასკნელად, ამ ორი თვის მანძილზე.

მარტი გავიდა, აპრილიც. ჩემმა უმცროსმა გოგომ საბავშო ბაღში დაიწყო სიარული. რადგან ბავშვები სახლში არ იყვნენ, იუკიკომ გადაწყვიტა საზოგადოებრივ საწყისებზე ემუშავა ინვალიდ ბავშვთა სახლში. მე მიხდებოდა ბავშების ბაღში დილა-საღამოობით წაყვან-მოყვანა. თუ რაღაც მიზეზით არ მეცალა, ცოლი ასრულებდა ამ მოვალეობას. ვუყურებდი რა, დღითი-დღე როგორ იზრდებოდნენ ბავშვები, ვგრძნობდი როგორ ვბერდებოდი. ბავშვები იზრდებიან თავისთავად და ეს სულაც არაა დამოკიდებული მშობლებს მოსწონთ ეს თუ არა. მე რა თქმა უნდა მიყვარდა ჩემი შვილები და მათი ყურება ყველაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებდა. თუმც, ხანდახან როცა შევამ-ჩნევდი, თუ რამდენად გაზრდილიყვნენ ისინი, ბოლო ერთ თვეში, სუნთქვა მიჩერდება. ისეთი გან-წყობილება მეუფლებოდა, თითქოს სხეულის შიგნით ხეები იზრდებოდნენ, ფესვებს იდგამდნენ, იტოტებოდნენ და აწვებოდნენ ჩემს შიდა ორგანოებს, ჩემს კუნთებს, ძვლებს და ცდილობდნენ კანიდან გარეთ გამომძვრალიყვნენ. ასეთი განწყობით ზოგჯერ ვერც კი ვიძინებდი.

კვირაში ერთხელ შიმამოტოს ვხდებოდი, ყოველდღიურად კი ბავშვები მიმყავ-მომყავდა საბავშო ბაღში, ხოლო კვირაში ორჯერ-სამჯერ დროს ვნახულობდი ცოლის მოსასიყვარულებლად. უნდა გამოვტყდე, რომ რაც შიმამატოს ვხდებოდი, ეს უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე ადრე, ოღონდ არა იმიტომ, თითქოს თავს დამნაშავედ ვგრძნობდე. მყვარებოდა და ვყოფილიყავი საყვარელი იყო ის, რასაც ჯერ კიდევ შეეძლო, ჩემი პიროვნება გაორებისგან გადაერჩინა.

"ბოლო დროს გამოიცვალე. რა ხდება?" მკითხა იუკიკომ ერთ საღამოს, მორიგი სასიყვარულო სეანსის შემდეგ. "არსად გამიგია, რომ მამაკაცის სექსუალური ძალა პიკს ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში აღწევდეს."

"არანაირი პიკი, ისეთივე ვარ როგორც ადრე." ვუპასუხე მე.

მან შემომხედა ერთხანს, მერე თავი გადააქნია და მითხრა. "ჩემო! ნეტა მაცოდინა თუ არ ხდება შენს თავში."

თავისუფალ დროს კლასიკურ მუსიკას ვუსმენდი და ფანჯრიდან აოიამას სასაფლაოს გავ-ცქეროდი. შევწყვიტე წიგნების კითხვა, რადგან კონცენტრაციის უნარი სრულიად დავკარგე. რამდენჯერმე შევხდი ახალგაზრდა ქალბატონს, მერსედეს 260E-დან. საბავშვო ბაღის წინ, ბავშვების მომლოდინეებს, ხშირად გვისაუბრია ისეთ თემებზე, რაც მხოლოდ აოიმაში მაცხოვრებლებს დაანტირესებდა. რჩევები, თუ რომელ სუპერმარკეთთან უფრო ადვილია მანქანის დასაყენებელი ადგილის პოვნა და დროის რომელ პერიოდში სიახლეები ერთ იტალიურ რესტო-რანში, სადაც შეფი გამოცვალეს და იქაურ საჭმელთა დონე დაეცა, მეიჯაიას საომპორტო ქსელი შეტყობინება რომ მომავალ თვეს ჩამოიაფებენ ზოგიერთ ფრანგული ღვინოს და უამრავი მსგავსი ინფორმაცია. ჰმ! უკვე ტიპიურ ჭორიკანა დიასახლისს დავემსგავსე! მაგრამ იმ ქალბატონთან სხვა საერთო სასაუბრო თემა არ მქონდა.

აპრილის შუა რიცხვებში შიმამოტო ისევ გაუჩინარდა. ბოლოს "გულწითელას ბუდეში" შევ-ხვდით. იქ მაგიდას ვუსხედით და წყნარად ვსაუბრობდით. ათი საათისთვის მეორე ბარიდან დამი-რეკეს, რაღაც საქმე იყო სასწრაფოდ მოსაგვარებელი. "ასე ნახევარ საათში დავბრუნდები" ვუთხარი შიმამოტოს.

"ძალიან კარგი" მიპასუხა ღიმილით. "შენს არყოფნაში წიგნს წავიკითხავ".

მე ვჩქარობდი მომეგვარებინა ყოველდღიური წილადობილა და სასწრაფოდ გამოვქანდი უკან, მაგრამ შიმამოტო უკვე წასული დამხვდა. დახლზე ასანთის ყუთი დაეტოვებინა წარწერით "ალბათ ერთხანს არ შემეძლება აქ მოსვლა, სახლში ვარ წასასვლელი. თავს გაუფრთხილდი. ნახვამდის".

რამდენიმე დღე გათიშული ვიყავი. სახლის გარშემო დავიწყე სიარული, უმიზნოდ ვხეტიალობდი ქუჩებში, და ბავშვთა გამოსაყვანად ნაადრევად მივდიოდი. მერსედეს 260E ქალბატონთან ვსაუბრობდი. ერთხელ იქვე, საყავეში შევედით, ვიჭორავეთ კინოკუნიას სავაჭრო ქსელის ბოსტნეულთა ხარისხიანობაზე, საჭმელთა სუპერმარკეტ "ნატურალ ჰაუზის" განაყოფიერებულ კვერცხებზე, სეზონურ ჩამოიაფებაზე "მიკი ჰაუზში". ქალბატონი აღმოჩნდა ინაბა იოშის მოდების კოლექციების თაყვანისმცემელი და ყოველი სეზონის წინ, საჭირო ტანსაცმელს კატალოგით უკვეთავდა. ცოტათი ვისაუბრეთ გველთევზთა საუცხოო რესტორანზე, რომელიც მდებარეობდა, ომოტო სანდოზე მდებარე პოლიციის განყოფილების გვერდით და რომელიც ეხლხანს დაკეტეს. ორივემ ვისიამოვნეთ ამ საუბრით. ქალბატონი უფრო გულღია და მეგობრული აღმოჩნდა ვიდრე თავიდან მომეჩვენა. არ გეგონოთ, თითქოს სექსუალურად მიზიდავდა. არა, უბრალოდ ვინმე მჭირ-დებოდა, სულ ერთია ვინ, ვისთანაც რაიამე უბრალო, მსუბუქ თემაზე ვისაუბრებდი. პრინციპში, სულ ერთი იქნებოდა რაზე, მთავარი იყო თემას არანაირი კავშირი არ ჰქონოდა შიმამოტოსთან. როცა აღარ ვიცოდი, თუ რა გამეკეთებინა, უნივერმაღში მივდიოდი საყიდლებზე და ყველაფერს ვხვეტდი, რაც კი ხელში მხვდებოდა. მახსოვს ერთჯერად ექვსი მაისური ვიყიდე. გოგოებისთვის სათამაშოებს და თოჯინებს ვყიდულობდი, ხოლო იუკიკოსთვის კი აქსესუარებს. შევედი BMW საფირმო მაღაზიაში, M5 მოდელზე შევაჩერე ყურადღება. ყიდვას ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ გულისყურით მოვუსმონე ფირმის წარმომადგენლის მოხსენებას.

რამდენიმე მოუსვენარი კვირის შემდეგ კონცენტრაციის უნარი დამიბრუნდა. გადავწყვიტე საქ-მეზე გადავრთობილიყავი. მოვიწვიე დიზაინერი და დეკორატორი და ბარის გადაკეთება დავა-ვალე. ისინი მაინც საჭიროებდნენ გაუმჯობესებას და გადავწყვიტე მათი საფუძვლიანი გადაკე-თება, თანაც უკვე დროც იყო მეფიქრა სერიოზულად ჩემი ბიზნესის მომავალზეც. ადამინების არ იყოს, ბარებსაც აქვთ სიმშვიდისა და ცვლილებათა პერიოდები. მხოლოდ ერთ გარემოში ცხოვ-

რება ცოტა არ იყოს მოსაწყენს და დუნეს გხდის, ენერგეტიკა უფსკრულის პირთანაა. ჰაერის კოშკებსაც კი სჭირდებათ ახალ-ახალი ფერები.

გადავწყიტე ჯერ გულწითელას ბუდესთვის ხელი არ მეხლო და საქმე მეორე ბარით დავიწყე. პირველად ზედმეტი მოკაზმულობა მოვაშორე, გადაკეთების მთავარი აზრი ხომ ის უნდა ყოფილიყო, რომ ის ეფექტურად მოქმედ ადგილად ქცეულიყო. აუდიოსისტემა და კონდიციონერები გამოსაცვლელი იყო. გადავწყვიტე ახალი მენიუ შემედგინა. ყველა თანამშრომელს დაველაპარაკე და შევადგინე საკმაოდ გრძელი სია, თუ რა და როგორ უნდა შეცვლილიყო. დიზაინერს დეტალურად აღვუწერე ბარი როგორ მქონოდა წარმოდგენილი, შევადგინეთ საერთო გეგმა და დავავალე, ბარის ჩემეული ხედვის, ნახაზებში გადმოცემა. მოტანილ ნამუშევარში ცოტაოდენი ცვლილებები შევიტანე და ეს პროცესი რამდენჯერმე გავიმეორეთ. შევარჩიე საჭირო მასალა. კონსტრუქტორებს ვთხოვე შეეფასებინათ თუ რა თანხა დამიჯდებოდა სამუშაოები. სამი კვირა და მთელი ტოკიოს შემორბენა დამჭირდა, იმის საპოვნელად, თუ სად ვიშოვიდი მსოფლიოში საუკეთესო ტუალეტის სასაპნე დისპანსერს. დამეთანხმებით, საკმაო მიზეზი გამიჩნდა, დასაქმებული ვყოფილიყავი. ეს იყო ის, რაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა იმ წუთას.

მაისი დადგა და მერე მიიწურა. შემდეგ ივნისიც. შიმამოტო კი არ ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა თითქოს სამუდამოდ დამშორდა. *ალბათ ერთხანს არ შემეძლება აქ მოსვლა, შიმამოტომ მწერდა*. ალბათ და ერთხანს. ეს სიტყვები და მათი გაურკვეველი შინაარსი მამწარებდა. იქნებ, მართლაცდა ერთ მშვენიერ დღეს ის კვლავ გამოჩნდეს? მაგრამ მე უკვე აღარ შემეძლო, ისევ ისე წყნარად ვჯდარიყავი ბართან და ბუნდოვანი დანაპირების გამო დავლოდებოდი, ვინ იცის რამდენს. თუკი ასე გავაგრძელებდი, ნამდვილად გავგიჟდებოდი. ამიტომ გადავწყვიტე მუდმივად მემოქმედა.

ყოველ დილას საცურაო აუზში მივდიოდი და შეუჩერებლად ორი ათას მეტრს ვცურავდი, შემდეგ კი ავდიოდი სპორტულ დარბაზში და სიმძიმეებს ვეწეოდი. ასეთ დატვირთვას ერთ კვირასაც ვერ გავუძელი. კუნთებმა მიღალატეს. შუქნიშანს ველოდებოდი, როცა ვიგრძენი, რომ მარცხენა ფეხი გამიკავდა და მანქანის კონუსს ვეღარ ვაწვებოდი. საბედნიეროდ ეს დიდხანს არ გაგრძელდა და მალე ჩემი კუნთები ისევ ამუშავდა. დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ, უმიზნო ფიქრებს ადგილი აღარ დაუტოვა და დამეხმარა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე მეზრუნა. ოცნება თავს ავუკრძალე და მთელი ძალით ვცდილობდი მეფიქრა მხოლოდ მასზე, რასაც იმ წუთას ვაკეთებდი. თუ პირს ვიბანდი, უნდა მხოლოდ ამაზე მეფიქრა. თუ კი მუსიკას ვუსმენდი, მეც მუსიკად უნდა ვქცეულიყავი. ეს თავის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ზაფხულობით, იუკიკოს და მე ხშირად მიგვყავდა ბავშვები ჰაკონეში, ჩვენს აგარაკზე. ქალაქგარეთ, ბუნებაში იუკიკო და ბავშვები თავს საუცხოოდ გრძნობდნენ და კარგადაც ისვენებდნენ, ყვავილებს აგროვებდნენ, ბინოკლით ჩიტებს უთვალთვალებდნენ, დაჭერობანას თამაშობდნენ და მდინარეში ჭყუმპალაობდნენ, ხანაც ეზოში, მოლზე კოტრიალობდნენ. მათ ხომ სიმართლე არ იცოდნენ. არადა, ზამთრის იმ თოვლიან დღეს, ჩვენი თვითმფრინავის ფრენა რომ გაუქმებულიყო, მე მათ უეჭველად მივატოვებდი და შიმამოტოსთან ერთად გავაგრძელებდი ცხოვრებას, მაშინ მზად ვიყავ სამსახურიც, ოჯახიც და ფულიც დამეთმო მისი გულისთვის. ეხლა კი, ყველა ჩემი ფიქრი შიმამოტოსკენ მიდის. ვერ ვივიწყებდი თუ როგორ მყავდა გულში ჩაკრული და როგორ ვაკოცე ყელთან. ეს მოგონებები მუდმივად ჩემთან იყვნენ. ვცდილობდი მის მაგივრად ცოლზე მეფიქრა, მაგრამ არ გამომდიოდა. ვერავინ ხვდებოდა თუ რა მიტრიალებდა თავში, ისევე როგორც მე ვერ ვხდებოდი შიმამოტოს აზრებს.

გადავწყვიტე საზაფხულო შვებულების დარჩენილი დრო გამომეყენებინა ბარის გადაკეთების დასამთავრებლად. იუკიკოს და ბავშვების აგარაკზე ყოფნის დროს მე ტოკიოში მარტო ვცხოვრობდი, სამუშაოებს ვხელმძღანელობდი და მათ საბოლოო ინსტრუქციებს ვაძლევდი. ვცურავდი და სიმძიმეებს ვეწეოდი. შაბათ-კვირას კი ჰაკონეში მივემგზავრებოდი და შვილებთან ერთად ჰოტელ "ფუძიას" საცურაო აუზში ვცურავდით. შემდეგ ყველა ერთად ვსადილობდით, ხოლო ღამით ცოლს ვესიყვარულებოდი.

უკვე იმ ასაკს ვუახლოვდებოდი, რასაც ხალხი შუა ხანს ეძახის. ზედმეტი წონის ნასახიც არ მქონდა, არც თმები შემთხელებოდა და არც თეთრი გამრეოდა. ყოველდღიური ვარჯიში მეხმარებოდა სხეული საუცხოო ფორმაში მქონოდა. მოწესრიგებული ცხოვრების წესი იყო ჩემი ცხოვრების კრედო. ავად არ ვხდებოდი და ხალხის უმრავლესობა ოცდაათზე მეტს არ მაძლევდა.

ცოლს უყვრადა ჩემი სხეულის ალერსი. ხშირად მკერდის კუნთებზე გადამისვამდა ხელს ანდა მუცელზე, მოსწონდა ჩემს ასოსთან თამაში. იუკიკოც რეგულარულად დადიოდა სპორტულ დარბაზში სავარჯიშოდ, მაგრამ ამით ფიგურას ვერ იუმჯობესებდა.

"ეტყობა ასაკის ბრალია." ამბობდა ის. "წონაში კი ვიკლებ მაგრამ ცხიმებს არაფერი ეშველა."

"მე მომწონს შენი სხეული, ისეთი როგორიც არის." ვეუბნებოდი ხშირად. "მშვენიერი ხარ მაგ წონით და არაა საჭირო, ცხოვრება გაირთულო დიეტებითა და ფიზიკური დატვირთვით, სულაც არა ხარ მსუქანი." რასაც ვეუბნებოდი სრული სიმართლე იყო. მე მართლაც მომწონდა მისი რბილი და ოდნავ ხორციანი სხეული. მიყვარდა მისი შიშველი ზურგის ალერსი.

"როგორ არ გესმის" მპასუხობდა ის. "შენ ხომ მეუბნები, რომ მოგწონვარ როგორიც ვარ. მაგრამ იცი კი რა ენერგიას ვხარჯავ ასეთი ფორმა რომ შევინარჩუნო?"

გარეშე პირი ალბათ იფიქრებდა რომ ჩვენ იდეალური ცხოვრება გვქონდა. ხანდახან მეც კი ასე ვფიქრობდი. უეჭველია, რომ ის სამუშაო მქონდა, რაც მომწონდა და თანაც გვარიან ფულს ვშოულობდი. აიომაზე დიდ, ოთხსაძინებლიან აპარტამენტს ვფლობდი, ხოლო ჰაკონეს მთებში პატარა აგარაკს. ამას დაუმატეთ BMW და ჯიპ ჩეროკი. ბედნიერი ოჯახის მამა. ცოლიც მიყვარდა და შვილებიც. ადამიანს მეტი რა უნდა? და თუ იუკიკო და ჩემი შვილები მთხოვდნენ, რომ მათთვის მემცნო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ თავი უფრო ბედნირად რომ მეგრძნო და ისინი უფრო მეტად მყვარებოდა, ნამდვილად არაფერი მქონდა სათქმელი. ამაზე უფრო ბედნიერი ცხოვრების წარმოდგენა მე არ შემეძლო.

მას მერე რაც შიმამოტომ შეწყიტა ჩემთან შეხვედრები, მთვარის უჰაერო ზედაპირის ბინადარს დავემსგავსე. თუ მან სამუდამოდ მიმატოვა, აღარავინ მრჩებოდა ამ ქვეყნად ვისთანაც შემეძლო, ჩემი ნამდვილი გრძნობების გამჟღავნება. უძილო ღამეებისას, საწოლზე მწოლარე კვლავ და კვლავ ვჭვრეტდი კომათსუს თოვლიან აეროპორტს. თავიდან ვფიქრობდი, რომ თუ საკმარისად ხშირად გავიხსენებდი, მას დავიწყენის ბინდი გადაეკვრებოდა. არადა, რაც მეტს ვიხსენებდი, უფრო ცოცხლდებოდა განვლილი წამები. ნათლად ვხედავდი საინფორმაციო აბრაზე, ტოკიოს მიმართულებით გამოცხადებულ რეისის გასწვრივ, ანთებულ წარწერას "დაგვიანება" . ფანჯრიდან კი გარკვევით მოსჩანდა თუ როგორ ათოვდა აეროპორტს. ბარდნიდა. ხილვადობა ორმოცდაათი მეტრი. თბილ პალტოში და კაშნე მოხვეული, შიმამოტო სკამზე უხმოდ იჯდა და ხელებს მჭიდროთ იჭდობდა. მისი სხეულის სუნი, შერეოდა ცრემლებსა და მწუხრებას. ეხლაც კი ვგრძნობ ამ სუნს. ჩემს ზურგსუკან კი ცოლს, ლოგინში მშვიდად სძინავს. მან არაფერი არ იცის. თვალები

დავხუჭე და თავი გავაქნიე. მან არაფერიც არ იცის. მიტოვებულ კეგელბართან მდებარე ცარიელი ავტოსადგომი. პირით ვადნობ თოვლს და შიმამოტოს პირში წვეთ-წვეთად ვასხავ. შიმამოტო თვითმფრინავის სალონში. როგორ გაინაბა ჩემს მკლავებში. მისი დახუჭული თვალები და ოდნავ გაღებული ბაგედან ამოსული მისი სუნთქვა. მისი რბილი და მოთენთილი სხეული. როგორ ვუნდოდი მაშინ. იმ წუთას მისი გულისკენ მიმავალი გზა ჩემთვის ღია იყო. მე კი უკან დავიხიე, უკან, მთვარის უსიცოცხლო ზედაპირზე და რა გასაკვირია, რომ მიმატოვა? ეჰ! ჩემი სიცოცხლე კი უიმისოდ უაზრო და უმიზნო გახდა.

ზოგჯერ ღამის ორზე ან სამზე მეღვიძებოდა და მერე ვეღარ ვიძინებდი. ვდეგებოდი ლოგინიდან და სამზარეულოში ვისკს ვსამდი. ჭიქით ხელში, დიდხანს გავცქეროდი, გზის გადაღმა ჩაბნელებულ სასაფლაოს და ტრასაზე მიმავალ მანქანებს. ღამიდან დღეზე გადასვლის პერიოდი უზომოდ იჭიმებოდა და გულში სიბნელეს სტოვებდა. ტირილი რომ შემძლებოდა იქნებ გამიოლებოდა, მაგრამ რის გამო უნდა მეტირა? ანდა ვის გამო? საკუთარ თავს მეტისმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევდი, საიმისოდ რომ სხვები დამეტირა და აღარც იმ ასაკში ვიყავი, საკუთარი თავი რომ მეგლოვა.

ამასობაში შემოდგომაც დადგა და მე გადაწყვეტილება მივიღე. რაიმე უნდა მოვიმოქმედო, თორემ ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელია.

თავი ცამეტი

დილით, ჩემი გოგოების საბავშვო ბაღში მიყვანის შემდეგ, საცურაო აუზს მივაშურე და ჩემი ყოველდღიური ნორმა, ორი ათასი მეტრი გავცურე. წარმოვიდგინე, რომ თევზი ვიყავი. უბრალოდ თევზი, რომელსაც ფიქრი არ ევალებოდა, მათ შორის არც ცურვაზე. ცურვის შემდეგ შხაპი მივიღე, შორტებსა და მაისურში გამოვეწყე და ლითონს შევეჭიდე.

მერე ერთ-ოთახიან ბინას მივაშურე, რომელსაც ოფისად ვიყენებდი და ანგარიშების შემოწმება დავიწყე. ვანგარიშობდი მოსამსახურე პერსონლის ხელფასებს. ამის გარდა ვაჯამებდი, თუ რა დამიჯდებოდა გულწითელას ბუდეს გადაკეთება. პირველ საათზე, ჩვეულებისამებრ სახლში მივბრუნდი და ცოლთან ერთად ვისადილე.

"ძვირფასო, ამ დილით მამამ დამირეკა" იუკიკომ მითხრა. "როგორც ყოველთვის, ეხლაც ძალიან დაკავებულია. მითხრა, რომ რაღაც აქციების ფასი ჭერს მიაღწევს და ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყიდოთ ისინი, თანაც იმდენი, რამდენიც კი შეგვიძლია. ეს ის აქციები კი არაა, ჩვეულებრივ რომ ყიდულობ, არამედ სულ სხვაა."

"თუკი ასეთი მომგებიანია, იმის მაგივრად რომ ჩვენთვის ეცნობებინა, რატომ თვითონ არ იყიდა თავისთვის?"

"მან მითხრა, რომ ამით სურდა შენთვის მადლობის გადახდა. ისიც მითხრა, რომ შენ იცი, თუ რითაა მამა შენგან დავალებული. ის თავის წილს გვითმობს. გვირჩევს რომ, რაც კი ფული გვაქვს სულ დავაბანდოთ. ეს საიმედო საქმეაო, რადგან ამ აქციების ფასი აუცილებლად მოიმატებსო, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არც ერთ იენს არ დავკარგავთ, ამის პირობას მამა იძლევა."

მე ჩანგალი თეფშზე დავდე. "კიდევ რას დაუმატებ?"

"მითხრა რომ უნდა გვეჩქარა, ამიტომ ბანკში დავრეკე, პროცენტიანი ანაბარი დავახურინე და მთელი ფული ბატონ ნაკაიამას საინვესტიციო ფონდს გადავუგზავნე, ასე რომ მან უკვე შეძლო და აქციები გვიყიდა. მე მხოლოდ რვა მილიონი იენის მოგროვება შევძელი, იქნებ უფრო მეტის უნდა გვეყიდა?"

მე წყალი დავლიე. ვცდილობდი საჭირო სიტყვები მომეძებნა. "სანამ ამას გააკეთებდი, რატომ არ შემეკითხე?"

"შეგკითხებოდი?" აქეთ შემეკითხა. "მაგრამ შენ ხომ ყოველთვის ყიდულობდი, იმ აქციებს რასაც მამა გირჩევდა ხოლმე? რამდენჯერ გამაკეთებინე მსგავსი პროცედურა? განა არ მეუბნებოდი, რომ ინიციატივა საკუთარ ხელში ამეღო და გამეკეთებინა ის, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდი? ჰოდა, მეც ასე მოვიქეცი. მამამ მითხრა, რომ არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. შენ საცურაო აუზში იყავი და ვერ დაგიკავშდირებოდი. რა დაშავდა ამით?"

"არაფერიც არ დაშავებულა, მაგრამ მინდა რომ ნაყიდი აქციები სასწრაფოდ გაყიდო. "

"გავყიდო?" თვალები ისე მოჭუტა, თითქოს სინათლის მძლავრმა ნაკადმა თვალი მოსჭრა.

"გაყიდე დღეს ნაყიდი აქციები და თანხა ისევ საპროცენტო ანაბარზე შეინახე."

"მასე თუ მოვიქცევით, სწრაფი გადარიცხვებისთვის მაღალი გადასახადის დაფარვა მოგვიწევს."

"არ დავეძებ!" ვუთხარი პასუხად. "მირჩევია გადავიხადო და მართლა არ დავეძებ, ამ მოქმედების მერე წაგებაში თუ ვიქნებით. გაყიდე ყველა აქცია რაც კი დღეს შეიძინე!"

იოუკიკომ ამოიოხრა.

"რა მოხდა მაშინ შენს და მამას შორის? რა ხდება ეხლა?"

არ მიპასუხნია.

"მაინც ასეთი რა მოხდა?"

"მისმინე იუკიკო" დავიწყე მე. "ეს ყველაფერი ყელში ამომივიდა. არ მსურს აქციების ყიდვა-გაყიდვით ფულის შოვნა. მსურს ფული საკუთარი ხელებით გამოვიმუშაო, რასაც აქამდე არც თუ ისე ცუდად ვახერხებდი. განა შენ ფულის ნაკლებობას გრძნობ?"

"განა ვერ ვხედავ, შენი საქმეები კარგად რომ მიდის? მე განა როდისმე მისაყვედურია შენთვის? მე შენი დიდი მადლობელი ვარ და ალბათ ხვდები, თუ რა დიდ პატივსაც გცემ. ამის მიუხედავად, მამას სურს დაგვეხმაროს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს რატომ არ გესმის?"

"იუკიკო, ეგ მე მშვენივრად მესმის. აი შენ თუ გესმის, რა არის სამსახურებრივი, დახურული ინ-ფორმაცია? თუ გესმის, რას ნიშნავს, როცა ვინმე გეუბნება რომ მოგების ასპროცენტიანი შანსიაო?"

"არა"

"ამას სხვანაირად, აქციებით მანიპულაცია ჰქვია. კომპანიის შიგნით რომელიმე თანამშრომელი მანიპულირებს აქციებზე და ხელოვნურად ზრდის მის მოგებას, მერე კი ამ მოგებას უნაწილებს

მათ, ვისი პატივისცემაც სურს. ეს ის ფულია, რომელიც პოლიტიკოსების ჯიბეში მიდის. ქრთამის პირდაპირ მიცემა კრიმინალია, ხოლო ეს გზა თითქოს ლეგალურია. ეს სულაც არაა ის აქციები, ადრე მამა რომ ყიდულობდა ჩვეთვის. იმ აქციებსაც სავარაუდოდ მოგება მოჰქონდა, მაგრამ ყოველთვის იყო რისკი. ის ეფუძნებოდა იმ ინფორმაციას, რაც საქმიან წრეებში ყველამ იცოდა. როგორც წესი, ასე მოგებას ნახულობ, მაგრამ ყოველთვის არა. დამიჯერე, ეხლა სულ სხვა საქმეა. ეს ბინძური ფულია და არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ მეც ვიყო ამ სიბინძურეში გახვეული".

იუკიკო ჩანგლით ხელში, დიდხანს ჩაფიქრდა.

"საიდან იცი, რომ ეს მართლაც აქციებით მანიპულაციაა?"

"თუ დანამდვილებით გსურს ამის ცოდნა, ჰკითხე მამაშენს." ვუპასუხე მე. "ერთი რამ კი უეჭ-ველად ვიცი, თუ აქციებს გარანტირებული ზრდა აქვთ, მაშინ მის უკან უკანონო გარიგებაა. მამა-ჩემი საინვესტიციო ფირმაში მუშაობდა ორმოცი წლის მანძილზე, დილიდან საღამომდე თავდა-უზოგავად მუშაობდა, მაგრამ ამდენი მუშაობის შემდეგ მხოლოდ პატარა სახლი შერჩა. კარგი, დავუშვად, რომ ის საქმეში უფხო იყო. მაგრამ დედაჩემი? ყოველ საღამოს დედა, მიმდინარე ხარჯებს ანგარიშობდა და ყოველ გაუთვალისწინებლად დახარჯულ ას იენზე შფოთავდა. აი, ასეთ ოჯახში გავიზარდე. როცა მითხარი რომ მხოლოდ რვა მილიონი იენის აქციები იყიდე, მინდა იცოდე, რომ რეალურ ფულზეა ლაპარაკი და არა თამაშ მონოპოლიისთვის დაბეჭდილ ქაღალდზე. ამ ფულის გულისთვის, ხალხის უმრავლესობა, ყოველდღიურად გადაჭედილ მატარებლით სამსახურში მიეშურება, ზედმეტ დატვირთვას იღებენ, ათასნაირად წვალობენ და წლიურად მაგდენი ფული არ რჩებად. მე თვითონ რვა წლის მანძილზე ასე ვმუშაობდი და ვიცი რაზეც ვლაპარაკობ. შანსი არ მქონდა, წლიურად რვა მილიონი გამომემუშავებინა. მაგრამ შენ ეტყობა აზრზე არა ხარ, თუ რას ნიშნავს ასეთი ცხოვრება."

იუკიკო ხმას არ იღებდა. ტუჩები მოეკუმა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. ეხლაღა მივხდი, რომ ყვირილზე გადავსულვარ. ხმას დავუწიე.

"ადვილია თქმა, რომ ჩადებული რვა მილიონი, ერთ თვეში თექვსმეტ მილიონად იქცევა. მაგრამ ასე მსჯელობა არ შეიძლება. ვგრძნობ ავანტურაში გავები და ეს მაღიზიანებს."

იუკიკომ მაგიდის მეორე მხრიდან გადმომხედა. როგორც კი ჭამა გავაგრძელე ვიგრძენი, რომ შიგნით ყველაფერი მიკანკალებდა. ეს გაბრაზების ბრალი იყო თუ გაღიზიანების? ვერაფერს გეტყოდით.

"ძალიან ვწუხვარ. უნდა მცოდნოდა, მე რა მეხება და რა არა." ხანგრძლივი დუმილის შემდეგ წყნარად მიპასუხა იუკოკომ.

"ეგ არაფერი. არ გადანაშაულებ. მე არც არავის ვადანაშაულებ."

"ეხლავე დავრეკავ და გავყიდი იმ აქციებს, ოღონდ ნუ იქნები ჩემზე ნაწყენი".

"არც გაბრაზებული ვარ და არც ნაწყენი".

სიჩუმეში ვაგრძელებდით სადილს.

"ვფიქრობ, კიდევ გაქვს სათქმელი, არა?" იუკიკომ შემომხედა. "თუკი რამე გაწუხებს მითხარი, თუნდაც ძნელი იყოს მასზე საუბარი. თუკი რამე შემიძლია შენთვის გავაკეთო, გთხოვ მითხრა. მე

ჩვეულებრივი პიროვნება ვარ და ვიცი რომ ბევრ რამეში მხოლოდ ზედაპირულად ვერკვევი, მათ შორის ბიზნესშიც, მაგრამ ნამდვილად არ შემიძლია გიყურო უბედურს. არ შემიძლია ვუყურო შენს დანაღვლიანებულ სახეს. რა არის ის, რაც ასე არ მოგწონს ჩვენს ცხოვრებაში? მითხარი!"

მე თავი გადავაქნიე.

"არაფერი სასაყვედურო არ მაქვს. სამუშაო მომწონს და შენ მიყვარხარ. ყველაფერი რაც გითხარი იმით იყო გამოწვეული, რომ მამაშენი თავისებურად ერევა ჩვენს ცხოვრებაში. ცუდად კი ნუ გამიგებ. სიმართლე გითხრა, მამაშენი ძალიან მომწონს. ვიცი, რომ მას ჩვენი დახმარება სურს, რისიც მადლობელიც ვარ. ასე, რომ მე არ ვარ გაბრაზებული. უბრალოდ, აღარ მესმის, თუ ვინ ვარ. მართლისა და მტყუანის გარჩევა მიჭირს და დაბნეული ვარ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გაბრაზებული არ ვარ."

"მაგრამ როგორც გაბრაზებული ისე კი გამოიყურები."

მე ამოვიოხრე.

"აი, ხომ ხედავ! ოხრავ ყოველწუთს." მითხრა მან. "ვხდები, რომ რაღაც ნამდვილად გაწუხებს. შენი გონება, ხომ მილიონი კილომეტრის იქით ჰქრის".

"არა მგონია."

იუკიკო თვალს არ მაცილებდა.

"გონებას რაღაც გირევს." მითხრა მან. "მაგრამ არ ვიცი კი რა. არადა, რომ ვიცოდე, მოგეხმარებოდი."

უცბად მომიარა სურვილმა, რომ მისთვის ყველაფერი მეთქვა. რა შვება იქნებოდა ჩემთვის. აღარაფერი მექნებოდა დასამალი, აღარც თამაში დამჭირდებოდა მასთან და არც ტყუილების თქმა. *იუკიკო, იცი, მე სხვა ქალი მიყვარს? ის, ვისი დავიწყებაც არ შემიძლია. ძალიან ვცდილობდი თავის შეკავებას, ჩვენი ურთიერთობა, რომ არ გაწყვეტილიყო, მაგრამ ვგრძნობ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. შემდეგში, როგორც კი მას შევხდები, ვეღარაფერი შემაკავებს, დაე, მოხდეს რაც მოსახდენია! მე მას აუცილებლად გავჟიმავ! მე ხომ მუდმივად მასზე ვფიქრობ, მაშინაც კი როცა შენ გესიყვარულები.* რა თქმა უნდა, არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს მისთვის, რადგან ეს სიტუაციას უფრო აღრევდა და ორივე უბედურნი გავხდებოდით.

სადილის შემდეგ, ოფისში დავბრუნდი და გავაგრძელე დაწყებული სამუშაო. ჩემი გონება მართლაც მილიონი კილომეტრის იქით იყო. თავს საზიზღრად ვგრძნობდი. ის რაც იუკიკოს ვუთხარი, სიმართლე იყო, მაგრამ ამის თქმის არანაირი მორალური უფლება არ მქონდა. რა მორალზე უნდა მელაპარაკა? იუკიკოს კი ვუყვარვარ და ჩემზე გული ნამდვილად შესტკივა! ეს სრულიად ცხადი იყო და შეეფერდებოდა მის პიროვნებას. რა შეიძლება ითქვას ჩემზე? ვიყავი კი თანმიმდევრული როცა ვლაპარაკობდი? ანდა მწამდა კი იმ სიტყვების, რასაც ვამბობდი? შიგნით სიცარიელეს დაესადგურებინა, მოძრაობის თავიც არ მქონდა.

ფანქრით ხელში, მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი უნიათოდ ვიყურებოდი ფანჯარაში. ჩემი ოფისიდან პარკი მოსჩანდა. სასიამოვნო ამინდი იდგა და მშობლებს პატარები გამოეყვანათ სათამაშოდ. ბავშვები ხან სილაში თამაშობდნენ, ხანაც კი მაღლა მიბობღავდნენ და მერე ჩამოსასრიალებლით ძირს სილაში ეშვებოდნენ. დედებს ბავშვებზე თვალი ეჭირათ და

ერთმანეთში საუბრობდნენ. პატარების დანახვამ ჩემი შვილები გამახსენა. მომინდა ჩემს გოგოებთან ყოფნა და მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებული სეირნობა. მომინდა მეგძნო მათ სხეულთა სითბო. მალე მათზე ფიქრმა შიმამოტომდე მიმიყვანა. მისი გახსნილი ბაგე კვლავ ცხოვლად წარმომიდგა თვალწინ. ჩემი შვილები მალე შიმამოტოს სახეზამ დაჩრდილა. სხვა ვერავისზე ვეღარ ვფიქრობდი.

ოფისიდან გამოვედი და აოიამას მთავარ ქუჩას ავუყევი. იმ საყავეში შევედი, სადაც შიმამოტოს ვხდებოდი ხოლმე და ყავას ვსვამდით. წიგნს ვკითხულობდი და როცა კითხვით დავიღალე, ისევ მასზე დავიწყე ფიქრი. ვიხსენებდი ჩვენი საუბრის ფრაგმენტებს, ჩანთიდან როგორ ამოიღებდა ხოლმე სალემის კოლოფს და სანთებელას, როგორ გადაიგდებდა ხოლმე ჩამოშლილ თმას უკან და გაღიმებისას თავს ოდნავ როგორ ხრიდა. მალე აქ მარტო ჯდომა აუტანელი გახდა. კაფე დავტოვე და სასეირნოდ შიბუიას მიმართულებით გავემართე. მე მიყვარდა ქალაქის ქუჩებში სეირნობა, შენობების და მაღაზიების თვალიერება, ხალხზე დაკვირვება. მიყვარდა იმის შეგრძნება, რომ ქალაქში ორივე ფეხით დავაბიჯებდი. ეგაა, ეხლა ქალაქი მოსაწყენი და ცარიელი მეჩვენა. შენობებს ფორმა დაეკარგად, ხეებს კი ფერები. გამვლელნი გრძნობებსა და ოცნებებს მოკლებულნი მეჩვენებოდნენ.

ერთ კინოთეატრში, ნაკლებად პოპულარული ფილმი გადიოდა, კინოთეატრში შევედი და ეკრანს მივაჩერდი. ფილმის დამთავრების მერე საღამოს ქუჩებს ავუყევი. გზად რაღაც რესტორანი შევნიშ-ნე, შევედი და უბრალოდ ვივახშმე. შიბუია სავსე იყო სახლში მიმავალი მოსამსახურეებით. მატა-რებლები ერთი-მეორეზე უსწრაფესად ხალხით ივსებოდა და სადგურს სტოვებდნენ. ეს ისე სწრა-ფად ხდებოდა, თითქოს ძველ, აჩქარებულ ფილმს უყურებო. უცბად გამახსენდა, რომ ათი წლის წინ აქ, ახლომახლოს თვალი, წითელ პალტოში გამოწყობილ, მზის სათვალებიან შიმამოტოს შე-ვავლე. თავისუფლად შეიძლებოდა, რომ ეს მილიონი წლის წინათაც მომხდარიყო.

ამ მოგონების ყველა დეტალი უცბად გამიცოცხლდა. წინასაახალწლო ხალხმრავლობა, სიარულის მისეული მანერა. მახსოვდა ყოველი კუთხე, სადაც კი შევუხვიეთ, მოღრუბლული ცა, მაღაზიის საფირმო ჩანთა, ხელში რომ ეჭირა, ფინჯანი ყავა, რომელსაც არც კი შეხებია, საშობაო სიმღერები. სინანულის ტალღამ დამიარა, რატომ არ შევეხმიანე მაშინ? მაშინ ხომ არაფერი მქონდა დასაკარ-გავი? ისეთი რაც დამაკავებდა? შემეძლო გულში ჩამეკრა და ორივეს ერთად გაგვეგრძელებინა ცხოვრება. შიმამოტო იმ დროს როგორ სიტუაციაშიც არ უნდა ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ მოვნახავდით გამოსავალს. სამწუხაროდ, ის შანსი სამუდამოდ დავკარგე მაშინ, როცა უცნობმა შუა ხნის მამაკაცმა გამაკავა, ხოლო შიმამოტო ტაქსში ჩაჯდა და გაუჩინრდა.

უკან საღამოს გადატვირთული მატარებლით დავრუნდი. ფილმის ყურების დროს ამინდი გაუარე-სებულიყო. ცა მძიმე და მოშავო ღრუბლებს დაეფარა, რაც წვიმის მომასწავებელი იყო. წვიმა ყო-ველწუთას შეიძლებოდა დაწყებულიყო. ქოლგა თან არ მქონდა და მეცვა სპორტული ფეხსაცმელი, ჯინსი და ქურთუკი, რითაც დილით საცურაო აუზში წავედი. წესით ჯერ სახლში უნდა წავსუ-ლიყავი, ტანსაცმლის გამოსაცვლელად, მე ხომ სამსახურში მუდამ კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი მივდიოდი, მაგრამ გადავიფიქრე. გადავწყვიტე, წესს თუ ერთხელ დავარღვევდი, ამით არფერი დაშავდებოდა.

საათის შვიდზე უკვე წვიმდა, ისე უხმოდ, როგორც ეს შემოდგომას სჩვევია. ეტყობოდა მალე არ გადაიღებდა. ჩვეულებისამებრ, ჯერ რეკონსტრუირებულ ბარში შევიარე და საქმეს დავხედე. გადაკეთების შემდეგ, იქ ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც მე წარმოდგენილი მქონდა. ბარი უფრო მოსახერხებელი გამხდარიყო. იქ შესული, თავს უფრო მყუდროდ გრძნობდი. შუქი

უფრო მსუბუქად ეცემოდა და მუსიკაც ამ განწყობას აძლიერებდა. პატარა სამზარეულო სრულიად ცალკე მდებარეობდა, დავიკავე პროფესიული შეფმზარეული, რომელთანაც ერთად მენიუს ვადგენდი, მარტივი, მაგრამ ელეგანტური კერძებისაგან, რასაც არავითარი ზედმეტი ინგრადიენტი არ ჰქონდა. ასეთის მომზადება კი, მხოლოდ ამ საქმის დიდოსტატს შეეძლო. ბარის კერძების დანიშნულება ხომ ისაა, რომ სასმელს მოუხდნენ, ამიტომ ისინი მსუბუქნი და ადვილად მისაღებნი უნდა ყოფილიყვნენ. ყოველთვიურად მენიუს მთლიანად ვცვლიდით. არც ისე ადვილი იყო, ისეთი შეფმზარეულის პოვნა მე რომ მინდოდა, მაგრამ მაინც მოვძებნე, ისეთი როგორიც მჭირდებოდა, თუმც ეს იმაზე ბევრად ძვირი დამიჯდა, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი, მაგრამ ის ამ ფულს ნამდვილად იმსახურებდა და მე კმაყოფილი ვიყავი, ვფიქრობ მომხმარებლებიც.

ბარში ქოლგა ვითხოვე და დაახლოებით საათის ცხრაზე, წითელგულას ბუდეს მივაშურე, ხოლო ათის ნახევარზე შიმამოტომ შემოაღო კარები. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ის ყოველთვის წვიმიან საღამოს მოდიოდა ხოლმე.

თავი 14

თეთრი კაბა ეცვა, ხოლო მასზე მუქი ლურჯი ჟაკეტი შემოეცვა. ჟაკეტის საყელოსთან თევზის ფორმის მომცრო ვერცხლის გულსაბნევი ეკეთა. უბრალო კაბა იყო, არანაირი დეკორაციით, მაგრამ მასზე ისე გამოიყურებოდა, თითქოს მსოფლიოს ყველაზე ძვირფასი სამოსიაო. მზე უფრო მოჰკიდებოდა.

"ვიფიქრე აქ აღარ მოხვიდოდი." ვუთხარი მე.

" აქ მოსულს, ყოველთვის ამ სიტყვებით მხვდები." სიცილით მიპასუხა მან. როგორც ყოველთვის გვერდით მომიჯდა და ორივე ხელები დახლზე დააწყო. "არადა, წარწერა დაგიტოვე, ალბათ ერთხანს ვერ მოვალო, განა არ გახსოვს?"

"სიტყვა *ერთხანს,* ის ცნებაა, რომლის დროის ერთეულებში გაზომვა, ერთობ საჭოჭმანოა, განსაკუთრებით მისთვის, ვინც ელოდება." ვუპასუხე მე.

"მაგრამ ხომ შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ ამ სიტყვის ხმარება აუცილებელი გახდეს, როცა ის, ერთადერთი შესაფერისი სიტყვა იქნება." მითხრა მან.

"სიტყვა *ალბათ,* კი ისეთია, რომლის აწონაც შეუძლებელია."

“მართალი ხარ." მითხრა მან და სახეზე ჩვეულმა ღიმილმა გადაუარა. ამ ღიმილმა ზაფხულის, ცხელ დღეს, სადღაციდან მონაბერი, სასიამოვნო ნიავი გამახსენა. "ბოდიში. სულაც არ მინდოდა თავის მართლება, მაგრამ მართლა ვერაფერს ვიზამდი. ესენია ის სიტყვები, რომელთა ხმარებაც, მაშინ შემეძლო."

"საჭირო არაა თავისმართლება. როგორც ერთხელ უკვე გითხარი, ეს ბარია და აქ ვისაც როდის გაეხარდება მაშინ მოვა. მე კი აქ უნდა ვიყო. ეს ისე, ჩემს თავს ვუთხარი და შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ."

მან ბარმენს დაუძახა და კოკქტეილი შეუკვეთა. ახლოდან დამიწყო თვალიერება, თითქოს მამოწმებსო.

"მრაველფეროვნებისთვის დღეს საკმაოდ უგემოვნოთ ჩაგიცვამს."

"დილით საცურაოდ ვიყავი და ტანსაცმლის გამოცვლა ვეღარ მოვახერხე. დრო აღარ მქონდა, მაგრამ მიყვარს, ასე ჩაცმული რომ ვარ. ამით უფრო ვგევარ საკუთარ თავს".

"უფრო ახალგაზრდულადაც გამოიყურები. არავინ მოგცემს ოცდაჩვიდმეტ წელს."

"არც შენ გამოიყურები ოცდაჩვიდმეტი წლისა".

"მაგრამ, არც თორმეტი წლისას ვგავარ, არა?"

"მართალი ხარ, არც თორმეტი წლისას ჰგავხარ."

მას კოქტეილი მიართვეს და მან ოდნავ მოსვა. სიამოვნებისგან თვალები მილულა, თითქოს ცდილობსო შორეული ხმების გარჩევას. თვალდახუჭულს კვლავ შევამჩნიე ხაზი ქუთუთოებს ზევით.

"ჰაჯიმე" თქვა მან. "შენი ბარის კოქტეილზე ხშირად ვფიქრობდი. ნამდვილად მინდებოდა მისი კიდევ ერთხელ დაგემოვნება. სადაც არ უნად წახვიდე, ვერსად იპოვი ასეთ სასმელს."

"სადმე შორს იყავ წასული?"

"რატომ ამბობ ამას?" მკითხა მან.

"შენშია რაღაც ისეთი" ვუპასუხე მაშინვე. "თითქოს იქაური ჰაერი შემოგეტანოს, თითქოს ერთხანს შორეულ ქვეყანაში ყოფილიყავი".

მან შემომხედა და თავი დამიქნია.

"ჰაჯიმე, უკვე დიდი ხანია" დაიწყო მან, მაგრამ უცბად შეწყვიტა საუბარი, თითქოს რაღაც წამოაგონდაო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცდილობდა გონებაში საჭირო სიტყვები ეპოვა, მაგრამ ვერ ნახულობდა. ტუჩი მოიკვნიტა და კიდევ ერთხელ გამიღიმა.

"როგორც იყო. ვწუხვარ, აქამდე რომ ვერ დაგიკავშირდი, მაგრამ მინდოდა ზოგიერთი რამ ისე დარჩენილიყო, როგორც ეს აქამომდე იყო. ასე ვთქვათ, შენარჩუნებულიყო. თუკი აქ მოვედი, ხომ აქა ვარ. თუკი არ მოვედი ... მაშინ სადღაც სხვაგან ვარ."

"და არასოდეს შუა ადგილში, არა?"

"არა, შუაში არასდროს." თქვა მან. "იმიტომ რომ იქ საშუალო არ არსებობს."

"იქ, სადაც არაა შუალედური ობიექტები, არც საშუალო იქნება." დავამატე მე.

"ნამდვილად მასეა"

"იქ, სადღაც ძაღლები არაა, ვერც საძაღლეს ნახავ."

"ჰო, არც ძაღლები და არც საძაღლეეები." შიმამოტომ თქვა და უცნაურად შემომხედა. "რა უცნაური იუმორის გრძნობა გქონია."

როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ტრიომ დაიწყო "Star-Crossed Lovers" შესრულება. ერთხანს ჩუმად ვიჯექით და მუსიკას ვუსმენდით.

"საწინააღმდეგო ხომ არ გექნება, ერთი რამ რომ გკითხო?"

"არა, ნამდვილად არა." ვუპასუხე მე.

"რა კავშირია შენსა და ამ მელოდიას შორის?" მკითხა შიმამოტომ. "ყოვეთვის, როცა კი აქ ხარ, ისინი ამ ნომერს ასრულებენ. ალბათ რამე შეთანხმება გაქვთ?"

"არავითარი შეთანხმება. უბრალოდ იციან, რომ მომწონს ეს მელოდია."

"შესანიშნავი მელოდიაა".

დავეთანხმე. "დიდი დრო დამჭირდა, რომ მივხვმდარიყავი, თუ რაოდენ რთულიცაა ეს მელოდა და რა შეუდარებლად მეტია, უბრალო სასიამოვნო მელოდიებზე. გამორჩეული მუსიკოსი უნდა იყო, ეს ნაწარმოები სწორედ რომ შეასრულო." ვუთხარი მე. "ეს დიუკ ელინგტონმა და ბილ სტრეიჰორნმა დაწერეს დიდი ხნის წინათ, მგონი ორმოცდაჩვიდმეტში."

"როცა ისინი Star-Crossed ახსენებენ, რას გულისხმობენ?"

"შეყვარებულებს რომლებიც უიღბლო ვარსკვლავზე გაჩნდნენ. უიღბლო შეყვარებულებს. ჰგულისხმობდნენ რა, რომეოსა და ჯულიეტას. ელინგტონმა და სტრეიჰორნმა ეს მუსიკა ხომ ონტარიოს შექსპირის ფესტივალზე გამართული წარმოდგენისთვის დაწერეს. "Star-Crossed Lovers" კი ამ მუსიკის ერთ-ერთი ნაწილია. პირველად როცა ის შესრულდა, ჯონი ჰოდჯი ალტ-საქსაფონზე უკრავდა ჯულიეტას, ხოლო პოლ გონსალვესი, ტენორ-საქსაფონზე უკრავდა რომეოს.

"უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებული საბრალო მიჯნურები" გაიმეორა შიმამოტომ. "ისეა ნათ-ქვამი, თითქოს ჩვენ გვგულისხმობდნენ".

"შენი აზრით, განა ჩვენ მიჯნურები ვართ?" შევხედე შიმამოტოს. ის აღარ იღიმებოდა. ძლივს შესამჩნევი ციმციმი გამოკრთოდა მის თვალთა სიღრმიდან.

"შიმამოტო სან, მე შენზე არაფერი ვიცი" მივმართე მას. "ამას ყოველთვის ვგრძნობ, როგორც კი თვალებში შეგხედავ ხოლმე. რაც კი რამ ვიცი შენზე, ეხება მხოლოდ იმ პერიოდს, როცა თორმეტი წლისა იყავი. ვიცნობ მხოლოდ იმ შიმამოტოს, ვინც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ჩემს კლასში სწავლობდა. ეს კი ოცდახუთი წლის წინ იყო. იმ დროს ტვისტს ცეკვავდნენ, არანაირი მაგნიტო-ფონის კასეტები, არც სწრაფი მატარებლები, არც დიეტური საჭმელები არ არსებობდა. ეს მართლაც ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. იმ პერიოდის შემდეგ შენი ცხოვრება ჩემთვის სრული წყვდი-ადითაა მოცული."

"ესაა ის, რასაც ჩემს თვალებში ხედავ? ჩემზე მართლა მეტი არაფერი იცი?"

“შენს თვალებში არც არაფერი სწერია.” ვუპასუხე წყნარად. "ის ჩემს თვალებში წერია, რომლის ანა-რეკლს შენს თვალებში ვხედავ."

"ჰაჯიმე, ვიცი რომ მეტი უნდა მომეყოლა ჩემზე. ვიცი ეს. მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვი. გთხოვ, ამ თემაზე სიტყვას ნუღარ დაძრავ."

"რაც ვთქვი, ჩათვალე რომ ხმამაღლა ნაფიქრია. მასზე რეაქცია საჭირო არაა."

მან ხელი საყელოსთან მიიტანა, თითებით შეეხო თევზ-გულსაბნევს. ჩუმად უსმენდა ჯაზ-ტრიოს. მუსიკოსებმა მორიგი ნომერი დაამთავრეს, შიმამოტომ ტაში დაუკრა და კოქტეილი მოსვა. მერე დიდად ამოიოხრა და მომიბრუნდა.

"ექვსი თვე მართლაც დიდი დროა" მითხრა მან "სამაგიეროდ, დიდად სავარაუდოა, რომ ერთხანს შემეძლება აქ მოსვლა".

"კვლავ იგივე მაგიური სიტყვები." ვთქვი მე.

"მაგიური სიტყვები?"

''*სავარაუდოა და ერთხანს*".

მან გაიცინა და შემომხედა. სიგარეტი პაწია ჩანთიდან ამოიღო და სანთებელით მოუკიდა.

"ხანდახან როცა გიყურებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შორეულ ვარსკვლავს ვუცქერდე. ის ხომ ბრწყინავს, მაგრამ მისი შუქი ათობით ათასი სინათლის წლით დაშორებული მანძილიდან მოდის. არადა სავსებით შეიძლება, რომ თავად ვარსკვლავი აღარც კი არსებობდეს. ჩვენ კი ამ ნათების წყალობით გვეგონოს რომ ის კვლავ ცაზე ჰკიდია."

შიმამოტოს არაფერი უთქვამს.

"შენ აქ ხარ" გავაგრძელე. "ყოველშემთხვევაში ისე გამოიყურები, თითქოს მართლაც აქ იყო. არადა, იქნებ არც კი ხარ აქ? იქნებ რასაც ვხედავ მხოლოდ შენი აჩრდილია? ხოლო შენი ნამდვილი მე ეგებ სულ სხვაგანაა? ან იქნებ უკვე გაუჩინარდი, დიდი, ძალიან დიდი, ხნის წინათ? შენს არსებობაში დასარწმუნებლად ვცდილობ ხელით შეგეხო, შენ კი იმალები ვარაუდთა ბუნდოვნებაში. როგორ გგონია, განა ასე მთელი ცხოვრება შეიძლება გაგრძელდეს?"

"შეიძლება. ჯერ-ჯერობით მაინც" მიპასუხა მან.

"ვხედავ მარტო მე არ ვყოფილვარ უცნაური იუმორით დაჯილდოებული." ვთქვი მე და გავიცინე. მასაც გაეცინა, თითქოს წვიმას გადაეღო, ღრუბლები ეს-ესაა გაიყოო და მზემ პირველი სხივები მოაბნიაო. ამ ღიმილმა თვალის კუთხესთან მცირე, თბილი ხაზები შეკრიბა, რაც უთუოდ რაღაც სასიამოვნო ამბის მომასწავებელი იყო.

"ჰაჯიმე, საჩუქარი მოგიტანე". მან ლამაზ ქაღალდში შეკრული და წითელი ლენტით გაბანტული პაკეტი მომაწოდა.

"ისე გამოიყურება, თითქოს გრამფირფიტაა." ვთქვი მე, როცა ზომებს და ფორმას დავაკვირდი.

"ეს ნათ კინგ კოულის ფირფიტაა. აი ის, ჩვენ რომ ხშირად ვუსმედით ხოლმე. გაიხსენე? მსურს რომ გისახსოვრო."

"მადლობა, მაგრამ განა შენ თვითონ არ გინდა რომ გქონდეს? თუნდაც, როგორც მამის დანატოვარი?"

"მამის დანატოვარი რამდენიმე სხვა ფირფიტაც მაქვს. ეს კი შენ გქონდეს".

ქაღალდში საგულდაგულოდ გახვეულ და შეკრულ ფირფიტას დავყურებდი. არ გასულა დიდი დრო და ყველაფერი, რაც კი ირგვლივ ხმიანობდა, ჩაჩუმდა, აქ მყოფთა ყაყანიც და ჯაზ-ტრიოს მუსიკაც. ირგვლივ ყველაფერი სწრაფად მშორდებოდა და მალე ყველაფერი გაქრა, თითქოს აქაურობა მოვარდნილმა წყალმა წაიღოო. მარტო ორნიღა დავრჩით, მე და ის. ყველა დანარჩენი კი ილუზია ყოფილა, სცენაზე გამოტანილი ქაღალდის სათამაშოები. მხოლოდ ჩვენ ორნი ვარსებულვართ, მარტო ჩვენ ვიყავით *ნამდვილნი.*

"შიმამოტო სან." ვუთხარი მე. "რას იტყვი, ეგების სადმე წავსულიყავით და ეს ერთად მოგვესმინა?"

"ეს მართლაც არაჩვეულებრივი იქნებოდა" თქვა მან.

"მე ჰაკონეში პატარა კოტეჯი მაქვს. ეხლა იქ არავინაა. იქ სტერეო აღჭურვილობაც არის. ამ საათებში იქ ჩასავლელად მხოლოდ საათ-ნახევარი დაგვჭირდება, მეტი არა."

მან ჯერ მაჯის საათს დახედა და მერე მე შემომხედა.

"შენ გინდა რომ იქ ეხლავე წავიდეთ?"

"კი" ვუპასუხე მე.

მან თვალები დახარა.

"მაგრამ უკვე ათს გადასცილდა. თუ ჰაკონეში ეხლავე გავემგზავრებით, უკანა გზობას ძალიან შეგვაგვიანდება. მზად ხარ ამისთვის?"

"მე კი, შენ?"

მან ერთხელ კიდევ დახედა მაჯის საათს და თვალები ერთხანს დახუჭა. როცა თვალები გაახილა მისი გამომეტყველება მთლიანად შეცვლილიყო, თითქოს სადღაც შორს წასულიყოს, იქ რაღაც დაეტოვებინოს და ისევ უკან მობრუნებულიყოს.

"ძალიან კარგი. მოდი მართლა წავიდეთ!"

მენეჯერს დავუძახე და ვთხოვე, რომ ჩემს არყოფნაში აქაურობისთვის მიეხედა, სალარო დაებლოკა, ქვითრები შეენახა და შემოსული თანხა ბანკის ღამის საიფში შეენახა. ამის მერე წავედი და გარაჟიდან BMW გამოვიყვანე. პირველივე ტელეფონავტომატიდან ცოლს დავურეკე და ვუთხარი, რომ ჰაკონეს მივემგზავრებოდი.

"ასეთ დროს?" გაუკვირდა მას. "რა დაგრჩენია ჰაკონეში? ასე გვიან რატომ მიდიხარ?

”რაღაცაა, რასაც სიწყნარეში მოფიქრება სჭირდება." ვთქვი მე.

“ალბათ ღამით აღარ დაბრუნდები, არა?"

"შეიძლება მასეც მოხდეს".

"ძვირფასო, ვიფიქრე იმაზე რაც მოხდა და ნამდვილად ვწუხვარ ყველაფერზე. რა თქმა უნდა მართალი იყავი. აქციები უკვე გავყიდე. გთხოვ დაბრუნდე სახლში."

"იუკიკო, მე შემზე ნაწყენი არ ვარ. ოდნავადაც კი. მაპატიე, მაგრამ მე ერთი რამე მაქვს გადასაწ-ყვეტი და დრო მჭირდება მოსაფიქრებლად, მხოლოდ ეს ღამე დამჭირდება, კარგი?"

ერთხანს არაფერი უთქვამს. მერე კი დაღლილი ხმით მიპასუხა.

"კარგი. ჰაკონეს გაემგზავრე, ოღონდ გზაზე ფრთხილად იმგზავრე, ხომ ხედავ წვიმს."

"ვიფრთხილებ."

"ბევრი რამეა რაც არ მესმის" მითხრა იუკიკომ. "გთხოვ მარტო ერთ რამაზე მიპასუხო. მე გზას გი-ღობავ?"

"სრულებითაც არა." ვუპასუხე. "ამას შენთან საერთო არაფერი აქვს. თუ კი რამეა პრობლემური, ეს მე ვარ. ნუ ინერვიულებ, გთხოვ! მე დრო მჭირდება, ერთი რამის მოსაფიქრებლად."

ყურმილი დავკიდე. იოკიკოს ხმაზე ემჩნეოდა რომ მთელი დღე თავში ატრიალებდა, სადილობის დროინდელ ჩვენ კამათს, შეცბუნებული და დაღლილი ჩანდა. ამან კი დამაღონა. კვლავ თავსხმა იყო. შიმამოტო მანქანაში შევიპატიჟე.

"სანამ წავალთ, ხომ არ დარეკავდი სადმე?" შევეკითხე.

მან უხმოდ გადააქნია თავი. სახე ფანჯარას მიაყრდნო და გზას ათვალიერებდა, ზუსტად ისე, როცა აეროპორტ ჰანედან ტოკიოში ვბრუნდებოდით.

გზად მანქანები იშვიათად გვხვდებოდა. ტომაის გზატკეცილიდან ატსუგიში გადავუხვიე და პირ-დაპირ ოდავარას მიმართულებით გავრეკე. ვცდილობდი სპიდომეტის ისარს 100 ეჩვენებინა. წვიმა დრო და დრო თავსხმას ემსგავსებოდა, მაგრამ ეს არ მადარდებდა, მე ხომ ამ გზის ყველა წვრილ-მანი ვიცოდი, ყველა მოსახვევი და ყველა აღმართი. მას შემდეგ რაც ტრასაზე გავედით, მე და შიმა-მოტო ხანდახან თუ ვეტყოდით თითო სიტყვას. მე დაბალ ხმაზე ჩავრთე მოცარტის სიმებიანი კვარტეტი და ყურადღება მთლიანად ტრასაზე გადავიტანე. შიმამოტო ფანჯარაში იყურებოდა, თავის ფიქრებში იყო წასული და ხანდახან თუ გადმომხედავდა. ყოველ მის შეხედვაზე ყელი მიშრებოდა. თავს ვაიძულებდი, რომ დავმშვიდებულიყავი და რამდენჯერმე ნერწყვი ჩავყლაპე. უკვე კოუზუსთან ვიყავით მისულები, როცა მკითხა:

"ჰაჯიმე, ბარის გარეთ ჯაზს არ უსმენ?"

"არა, ჯაზს არა. ძირითადად ვუსმენ კლასიკურ მუსიკას."

"საინტერესოა, რატომ?"

"ალბათ იმიტომ რომ ჯაზი, ჩემი სამუშაოს ნაწილია და კლუბის გარეთ, სხვა რამის მოსმენა მინ-დება, ხანდახან როკსაც ვუსმენ, მაგრამ ჯაზს თითქმის არასდროს".

"შენი ცოლი როგორ მუსიკას უსმენს?'

"ჩვეულერივ იმას, რასაც მე. თავისით ის თითქმის არასდროს რთავს მაგნიტოფონს, არ ვარ დარ-წმუნებული გრამფირფიტების საკრავის ამუშავება თუ შეუძლია."

შიმამოტომ კასეტების ყუთის დათვალიერება დაიწყო და ორიოდე კასეტა ამოიღო. ერთი მათგანი საბავშვო სიმღერები იყო. ის რომელსაც ჩემს გოგოებთან ერთად მანქანაში ვმღერი ხოლმე. ესენი იყვნენ "ძაღლი პოლიციელი" და "ტულიპი". ამ კასეტებს და გარეკანზე დახატულ სნუპის, ისეთი გაკვირვებული სახით უყურებდა, იფიქრებდით უცხოპლანეტელთა აქ ყოფნის, დამამტკიცებელი ნივთი აღმოაჩინაო. ცოტა ხანში ისევ მოტრიალდა და შემომხედა.

"ჰაჯიმე" მცირე დუმილის მერე თქვა. "როცა გიყურებ მანქანას როგორ ატარებ, ხანდახან მინდება, რომ საჭეს ვწვდე და მკვეთრად მოვატრიალო. ალბათ დავიხოცებით, არა?"

"ისეთი სისწრაფით მივდივართ, რომ აუცილებლად დავიხოცებით".

"ალბათ, არ გინდა, ასე ერთად რომ მოვკდეთ, არა?"

"მე უფრო სასიამოვნო რამეებზეც შემიძლია ფიქრი." გამეცინა მე. "გარდა ამისა, ჯერ ხომ გრამფირფიტისთვისაც არ მოგვისმენია, განა ამიტომ არ მივემგზავრებით?"

"ნუ ჯავრობ" თქვა მან. "ამის მსგავს არაფერს გავაკეთებ. ხანდახან უაზრო ფიქრები მომივლის ხოლმე."

ჯერ მხოლოდ ოქტომბრის დასაწყისი იყო, მაგრმამ ღამ-ღამობით ჰაკონეში საკმაოდ გრილოდა. კოტეჯში მისვლისთანავე შუქი ჩავრთე და ავანთე გაზის ღუმელი. ბრენდის ბოთლი და ორი ჭიქა გადმოვდგი თაროდან. ჩვენ სავარძელში გვერდი-გვერდ მოვთავსდით, როგორც მრავალი წლის წინ და ნათ კინგ კოულის ფირფიტა, გრამფირფიტების საკრავზე დავდე. ღუმლის ცეცხლი ბრენ-დის ჭიქებში ირეკლებოდა. შიმამოტო სავარძელში მოთავსდა, ფეხები ამოიკეცა, ერთი ხელი სავარ-ძლის ზურზე ჰქონდა დასვენებული, ხოლო მეორე, კი მუხლზე, ზუსტად ისე, როგორც ოცდახუთი წლის წინ. მაშინ ცდილობდა დაზიანებული ფეხის დამალვას და ეს ეტყობა მერე ჩვევად ექცა და აქამომდე გამოჰყვა. ნათ კინგ კოული მღეროდა South of Border, რამდენი წელი იქნებოდა გასული, რაც ეს სიმღერა არ მომესმინა?

"ბავშვობაში, როცა ამ ჩანაწერს ვუსმენდი, მაინტერესებდა მცოდნოდა, თუ რა მდებარობდა სამ-ხრეთით, საზღვრის მიღმა." ვთქვი მე.

"მეც ასევე." თქვა მან, "დიდობაში, როცა ინგლისური ტექსტებს კითხვა უკვე შემეძლო, იმედი გა-მიცრუვდა. სიმღერა, თურმე, უბრალოდ მექსიკაზეა, არადა მეგონა, რომ სამხრეთით, საზღვრის მიღმა, რაღაც დიდებული რამ იდო."

"მაინც როგორი?"

შიმამოტომ თმებზე ხელი მოისვა და უკან გადაიწია.

"დარწმუნებული არ ვარ. რაღაც მშვენიერი, დიდი და რბილი."

”რაღაც მშვენიერი, დიდი და რბილი" გავიმეორე. "ალბათ გემრიელიც?"

მას გაეცინა. მისმა თეთრმა კბილებმა გაიელვა.

"ვეჭვობ, რომ არა".

”რაღაცა, რასაც შეეხები?"

"ალბათ."

"კიდევ ერთხელ ალბათ."

"რას იზამ, ამ ქვეყნად ხომ ასე ბევრი განუსაზღვრელობაა." მიპასუხა მან.

სავარძელზე ხელი გავწიე და მის ხელის თითებს შევეხე. ძალიან დიდი ხანი იყო გასული მას მერე, რაც უკანასკნელად შევეხე მისი სხეულის ნაწილს, ეს კი მოხდა იშიკავადან თვითმფრინავით ტოკიოში დაბრუნებისას. როგორც კი ჩემი თითების შეხება იგრძნო, გვერდულად შემომხედა და მერე ისევ თავი დახარა.

"სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით." თქვა მან.

"მზის დასავლეთით?"

"გსმენია რაიმე ავადმყოფობაზე, რომლის სახელია ციმბირული ისტერია?"

"არა."

"მასზე დიდი ხნის წინ მაქვს წაკითხული, მაშინ ალბათ თხუთმეტი წლის ვიქნებოდი. მთელი ცხოვრება რომ ვიხსენო, ვერ გავიხსენებ, თუ რა წიგნში იყო ეს აღწერილი. თუმც ამას ეხლა არა აქვს მნიშვნელობა. ამ ავადმყოფობით ციმბირელი გლეხები ავადდებიან. სცადე წარმოიდგინო, რომ ციმბირელი გლეხი ხარ, მარტო ცხოვრობ ციმბირის ტუნდრაში. ყოველდღე მიწას ამუშავებ. საითაც არ უნდა გაიხედო, არაფერია ჰორიზონტის გარდა, არც ჩრდილოეთით, არც აღმოსავლეთითაა რაიმე ჰორიზონტის გარდა, არც სამხრეთით და არც დასავლეთით. ყოველ დილით, როცა კი აღმოსავლეთით მზე ამოვა, მიდიხარ მინდორში სამუშაოდ. ხოლო როცა მზე ზენიტს მიაღწევს, შეისვენებ და ისადილებ, მერე, როცა მზე ჩავა დასავლეთით, სახლში მიდიხარ დასაძინებლად".

"ნამდვილად არ ჰგავს აოიამაზე მდებარე ბარის მეპატრონის ცხოვრებას."

"ჰო, ძნელად თუ მიამსგავსებ." გაიღიმა და ოდნავ ჩამოშლილი თმები გაისწორა.

"მოკლედ,, ასეთი ცხოვრების ციკლი გრძელდება წლების და ათწლეულების მანძილზე."

"ციმბირში, ზამთრობით არა მგონია მინდორში მუშაობდნენ."

"არა, ზამთრობით ისვენებენ. ზამთრობით სახლში რჩებიან და შიდა სამუშაოებს აკეთებენ, ხოლო გაზაფხულის დადგომისთანავე, კვლავ მინდორში მუშაობენ. შენ ასეთი გლეხი ხარ. წარმოიდგენე შენი თავი ასეთ გლეხად?"

"კი."

"და ერთ დღეს შენში რაღაც მოკვდება."

"რას გულისხმობ?"

"არ ვიცი, სახელდობრ რა." თავი გაიქნია შიმამოტომ. "რაღაც, ყოველდღე უცქერ აღმოსავლეთიდან მზის ამოსვლას, მის მოძრაობას ცის თაღზე, მერე კი დასავლეთით მზის ჩაშვებას და შენში რაღაც ირღვევა, კვდება. ყველაფერს იქვე ყრი, ფიქრებისგან დაცლილი თავი გაქვს და შეშლილივით მიიწევ დასავლეთისკენ, იმ მიმართულებით, რაც მზის დასავლეთითაა,

თითქოს რამე დაგპატრონებოდეს, მიეშურები ერთი დღე, მეორე, არც არაფერს ჭამ, არც სვამ, სანამ მიწას არ დაენარცხები და არ მოკ-დები. აი, ეს არის *ციმბირული ისტერია.*"

შევეცადე წარმომედგინა მიწაზე გაშხლართული ციმბირელი გლეხი.

"მაგრამ რა არის იქ? მზის დასავლეთით?" შევეკითხე შიმამოტოს.

მან კვლავ თავი გადაიქნია.

"არ ვიცი. შეიძლება არც არაფერი, ანდა შეიძლებ არის კიდეც რაიმე. ყოველშემთხვევაში ნამდვილად ის არა, რაც სამხრეთით, საზღვრის მიღმაა."

როცა ნათ კინგ კოულმა დაიწყო სიმღერა Pretend, შიმამოტომ, ეხლაც, ისე როგორც, მრავალი წლის წინ, აჰყვა სიმღერას და წაიმღერა:

Pretend you're happy, when you're blue.

It isn't very hard to do.

"შიმამოტო-სან." დავიწყე მე. "მას მერე რაც ბოლო დროს გნახე, შენზე დიდხანს ვფიქრობდი, ყოველდღე ექვსი თვის მანძილზე, დილიდან დაღამებამდე. ვცდილობდი გავჩერებულიყავი, მაგრამ ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. და, აი, მივიღე გადაწყვეტილება. არ შემიძლია უშენობა და არ მინდა კიდევ დაგკარგო. ვერ ავიტან კიდევ ერთხელ, რომ მოვისმინო, ერთხანსო ანდა ალბათო. კიდევ რომ მითხრა, ერთხანს ვეღარ შევხდებითო, და მერე გაუჩინარდე, ვინ იცის რა ხნით. ვერავინ მეტყვის, თუ როდის დაბრუნდები. შენ კი შეიძლება, არც არასდროს დაბრუნდე და მთელი ცხოვრების მანძილზე ვეღარ გნახო. ამას ვეღარ გადავიტან. ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავს."

შიმამოტომ ჩუმად შემომხედა, სახეზე ისევ ის, მსუბუქი ღიმილი გადაჰკრავდა, ასეთ წყნარ ღიმილზე კი არაფერს შეეძლო ემოქმედა და მე ვერ ვხდებოდი, თუ რა ხდებოდა შიმამოტოს შიგნით. ამ ღიმილმა დამაბნია. ერთ ხანს მეგონა გრძნობას ვკარგავო, აღარ ვიცოდი, ვინ ან სად ვიყავი. თუმცა მცირე ხნის შემდეგ სიტყვებმა ისევ შეიძინეს ძალა.

"მიყვარხარ და ამას ვერაფერი შეცვლის" ვუთხარი მას. "ეს ის გრძნობაა, რომელიც არასდროს და არცერთ ვითარებაში არ გაქრება. შენ მე ბევრჯერ დაგკარგე, და აღარ მინდა, კიდევ ერთხელ დაგკარგო. ბოლო თვეებმა მიმახვედრა, რომ მიყვარხარ და მსურს რომ აღარ მიმატოვო". ჩემი სიტყვების მოსმენის მერე თვალები დახუჭა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ღუმელში ცეცხლი ენთო და ნათ კინგ კოული კვლავ მღეროდა თავის ძველ სიმღერებს. მივხდი, რომ კიდევ უნდა მეთქვა რამე, მაგრამ ვეღარაფერი მოვიფიქრე.

"ჰაჯიმე." დაიწყო შიმამოტომ. "ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გთხოვ ყურადღებით მომისმინო. როგორც უკვე გითხარი ჩემთვის შუალედური მდგომარობა არ არსებობს. შენ მე ან მთლიანად უნდა მიმიღო ანდა უარი უნდა თქვა ჩემზე. ეს ასეა. თუ არ ხარ წინააღმდეგი, ჩვენი ურთიერთობა შეიძლება გაგრძელდეს, ისე როგორიც ის ეხლაა. ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ, თუ რატომ არ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი უწყინარი შეხვედრები. არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს ეს, მაგრამ მერწმუნე, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, როცა შემეძლება მოსვლა აუცილებლად მოვალ, მაგრამ როცა მოსვლა არ შემეძლება, ვერ მოვალ. შენ შეიძლება უკმაყოფილი იყო ამ შეთანხმებით და თუ აღარ გსურს რომ მიგატოვო, მაშინ მთლი-

ანად უნდა მიმიღო, ყველაფრით, რაც კი მაბადია, რაც კი ჩემშია და მეც შენ მთლიანდ უნდა მიგიღო. ხვდები ამას? *გესმის კი რას ნიშნავს ეს*?"

"მესმის." ვუთხარი პასუხად.

"და მაინც გსურს, რომ ჩემთან იყო?"

"შიმამოტო სან, როგორც გითხარი, გადაწყვეტილება უკვე მივიღე." ვუთხარი მას. "შენს არყოფნაში ამაზე ბევრს ვფიქრობდი და გადავწყვიტე."

"ჰაჯიმე, შენ ხომ ცოლი და ორი შვილი გყავს. ვიცი, რომ ცოლი გიყვარს და შვილებიც, და რომ მათი გულისთვის ბევრს აკეთებ."

"რა თქმა უნდა ცოლ-შვილი მიყვარს, ძალიან მიყვარს და მსურს მუდამ მათზე ვიზრუნო, მაგრამ რაღაც მაკლია. მაქვს ოჯახი, სამსახური და არაფერი მაქვს მათი სასაყვედურო. ჩემზე შეიძლება ბევრმა თქვას, რომ ბედნიერი კაციაო, თუმც შარშან, როგორც კი დაგინახე, მივხდი რომ რაღაც მაკლდა და ჩემი მთავარი პრობლემაა, გავიგო *რა* მაკლია. რაღაც აკლია ჩემს პიროვნებასაც და ჩემს ცხოვრებასაც. ჩემი მეს ეს ნაწილი მუდამ მშიერი და წყურვილითაა სავსე. არც ჩემს ცოლს და არც შვილებს არ შეუძლიათ ეს წყურვილი მომაკვლევინონ. ამ ქვეყნად შენ ხარ ერთადერთი პიროვნება ვისაც ეს ძალუძს. შენ და მხოლოდ შენ. ეხლა, როცა ახლოს ვარ ამ სურვილის ასრულებასთან, მივხდი, რა ცარიელი ყოფილა ჩემი აქამდელი ცხოვრება და წლების მანძილზე, რაოდენ მშიერი და მწყურვალე ვყოფილვარ. მე აღარ მსურს დავუბრუნდები იმგვარ ყოფას".

შიმამოტო ორივე ხელით შემომეჭდო და თავი მხრებზე დამადო. მისი სხეულის სინაზე ვიგრძნე და ამ გრძნობით გამოწვეული სითბო მთელ ტანს მოედო.

"ჰაჯიმე, მეც მიყვარხარ. შენ ერთადერთი ხარ, ვინც კი ოდესმე მყვარებია. არა მგონია წარმოდგენილი გქონდეს, თუ რა დიდია ჩემი შენდამი სიყვარული. თორმეტი წლიდან მიყვარხარ. ვინც არ უნდა მომკარებოდა, მხოლოდ შენზე ვფიქრობდი. ეს იყო მიზეზი, თუ რატომ არ მსურდა შენი ნახვა. ვიცოდი, რომ შენთვის თვალის ერთი შევლებაც კი, თავგზას დამაკარგვინებდა, მაგრამ ვერ შევძელი თავი დამეოკებინა. თავიდან ვიფიქრე, რომ უბრალოდ დავკმაყოფილდებოდი იმის ცოდნით, რომ ეს მართალაც შენ იყავი და არაფრის დიდებით არ გამოგელაპარაკებოდი, მაგრამ როგორც კი დაგინახე, მომინდა შენთან საუბარი."

თავი ისევ ჩემს მხარზე ჰქონდა მიყრდნობილი.

"თორმეტი წლის მერე, მუდამ მინდოდი მოგხვეოდი. ალბათ არასდროს შეგიმჩნევია, არა?"

"არა, არ შემიმჩნევია." ვაღიარე.

"თორმეტი წლის მერე, მუდამ მინდოდა რომ მოგხვეოდი შიშველს. დარწმუნებული ვარ, შენ ამაზე წარმოდგენაც არ გქონდა."

მე მივიზიდე და ვაკოცე. მან თვალები მილულა, ჩვენი ენები ერთმანეთს შეხვდნენ. მესმოდა, მისი მკერდის ქვეშ, როგორ სცემდა მისი გული, ვუსმენდი, ვნებითა და სითბოთი გამსჭვალულ გულისცემას. თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, როგორი სისწარფით მიედინებოდა მის ძარღვებში წითელი სისხლი. ხელებით თმებზე ვეალერსებოდი, მისი სურნელით მთვრალი. მისი ხელები

ჩემს ზურგზე მოძრაობდნენ. ფირფიტა დამთავრდა. ავტომატმა გამორთო საკრავი და ნემსი თავის ადგილს დაუბრუნდა.

ერთხელ კიდევ აღმოვჩნდით სიტუაციაში, როცა მხოლოდ წვიმა არღვევდა გამეფებულ სიჩუმეს. ცოტა ხნის მერე, შიმამოტომ თვალები გაახილა.

"ჰაჯიმე, დარწმუნებული ხარ, რომ ესაა ის, რაც გსურს? დარწმუნებული ხარ, რომ ჩემი გულისთვის ყველაფერზე უარს იტყვი?"

მე თავი დავუქნიე.

”მე უკვე გადავწვიტე."

"არადა, რომ არ შეგხვედროდი, გექნებოდა წყნარი ცხოვრება, ეჭვებისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გარეშე, განა მართალს არ ვამბობ?"

"შეიძლება, მაგრამ შეგხვდი და ამას უკვე ვეღარაფერი შეცვლის." ვთქვი მე.

“როგორც ერთხელ უკვე სთქვი, ამ ქვეყნად ბევრი რამეა რასაც ვეღარ შეცვლი. უკან ვერ დააბრუნებ. მხოლოდ წინ შეიძლება მოძრაობა. შიმამოტო-სან, მე არ დავეძებ, რა შედეგები მოჰყვება ამას. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, მსურს შენთან ვიყო და ცხოვრება ხელახლა დავიწყო."

"ჰაჯიმე, გთხოვ ტანსაცმელი გაიხადო და შიშველი მეჩვენო." მითხრა მან.

"გსურს რომ სულ გავიხადო?"

“ჰო. ჯერ მთლიანად გაშიშვლდი. მსურს შენი სხეული დავინახო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?”

“არა, საწინააღმდეგო არაფერი.” ვუთხარი პასუხად. ღუმლის წინ გახდა დავიწყე, ჯერ შემოსაცმელი გავიხადე, მერე მაისური, ჯინსი, წინდები და საცვლები. შიმამოტომ მთხოვა რომ ჩამეჩოქა და მუხლებზე დავმდგარიყავი. ასო უკვე ამდგომოდა, რაც ოდნავ მბორკავდა. შიმამოტომ ოდნავ უკან დაიხია, მთლიანად უკეთ რომ დავენახე. მას ჯერ კიდევ ჟაკეტი ეცვა.

"ცოტა არ იყოს უცნაურია, მარტო მე რომ გავშიშვლდი." სიცილით ვუსაყვედურე.

"რა საყვარელი ხარ, ჰაჯიმე." მომიხალოვდა, ასოს ხელი ნაზად მოჰკიდა და ტუჩებში მაკოცა. ხელები მკერდზე დამაწყო, და დიდხანს ეალერსა ჩემს ძუძუსთავებს. ხელებით შუბლზე ჩამოშლილ თმას მივარცხნიდა. ყური ჭიპზე დამადო და პირში კვერცხები ჩაიდო. მთელ სხეულზე მკოცნიდა, ფეხის გულებზეც კი. ისე იქცეოდა, თითქოს თვით დროს ელოლიავებაო, ეფერება და ლოკავსო.

"არ გაიხდი?" კიდევ ერთხელ შევეკითხე.

"მოგვიანებით. ჯერ კი მსურს შენი სხეულის ყურებით დავსტკბე. შევეხო და მოვეფერო მას, ისე, როგორც მე მინდა. თუკი გავიხდი, ვიცი რომ ვეღარ შეგაკავებ, როგორც არ უნდა გთხოვო." მითხრა მან.

"ნამდვილად სიმართლეს ამბობ." ვუპასუხე.

"მე კი ასე არ მინდა. იმდენი დრო დამჭირდა ამ მდგომარეობამდე მოსასვლელად, რომ გადავწყვიტე ყველაფერი ფაქიზად და ნელა ვაკეთოდ. მსურს გიცქირო, ხელებით შეგეხო, გაკოცო, ენით აგლოკო. ყველაფერი ნელა მსურს მოვსინჯო. ასე თუ არ მოვიქცევი, შემდეგ საფეხურს ვეღარ მივაღწევ. ჰაჯიმე, თუ ისეთ რასაც გავაკეთებ, რაც შენ უცნაურად მოგეჩვენება, გთხოვ ნუ შემაწყვეტინებ. მე მინდა ასე მოვიქცე. ნურაფერს მეტყვი და ხელს ნუ შემიშლი."

"ნუ ღელავ. აკეთე ის რაც მოგესურვება. ოღონდ ისე მიყურებ, რომ."

"მაგრამ შენ ხომ ჩემი ხარ?"

"რა თქმა უნდა"

“ამიტომ არაფერია მოსარიდებელი."

"ვფიქრობ მართალი ხარ." ვუთხარი პასუხად. "ეგაა შეჩვევა მჭირდება".

“ცოტათი კიდევ მოითმინე. ეს ხომ ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო.”

“ჩემი სხეულის ყურება, განა შენი ოცნება ოყო? ყველგან მათვალიერებ და მეხები, თავად კი ისევ ტანსაცმელი გაცვია."

“ჰო, მასეა.” მიპასუხა შიმამოტომ. "წლების მანძილზე ვცდილობდი, წარმომედგინა შენი სხეული. როგორი ასო გქონდა, რაოდენ მაგარი და გრძელი გახდებოდა როცა აგიდგებოდა."

"რატომ ფიქრობდი მასზე?"

"რას ჰქვია რატომ? " გაუკვირდა შიმამოტოს. "რატომო მეკითხები? მე ხომ მიყვარხარ. რა არის დასაძრახი თუკი საყვარელი მამკაცის შიშველ სხეულს წარმოიდგენ? და შენ თვითონ? განა შენც ასევე არ ფიქრობდი ჩემს სხეულზე?"

"რა თქმა უნდა." ვუპასუხე.

“ნიძლავს ჩამოვალ, როცა მასტურბირებდი, ჩემი სხეული გქონდა წარმოდგენილი ."

“მართალი ხარ. ბიჭობაში ასეც იყო.” ვუთხარი პასუხად. "სიმართლე გითხრა, ეხლახანაც."

"მეც მასე ვიყავი. მეც ვფიქრობდი შენს სხეულზე. ქალებიც აკეთებენ იგივეს, ალბათ გეცოდინება." მითხრა მან.

მოვწიე ჩემსკენ და ნელა დავუწყე კოცნა. ვიგრძენი პირში როგორ მოძრაობდა მისი ენა.

"მიყვარხარ, შიმამოტო სან."

"ჰაჯიმე მეც მიყვარხარ." მითხრა მან. "შენს მეტი არავინაა, ვინც მიყვარს. მინდა რომ კიდევ ვუყურო შენს სხეულს. ცოტახანს კიდევ მადროვე, გთხოვ".

"როგორც შენ გინდა." ვუთხარი მე.

მან ხელისგულში ფრთხილად მოათავსა ჩემი ასო. "საოცრებაა" თქვა მან "მინდა შეგიჭამო."

"მე რაღა მეშველება?"

"არადა, რომ მინდა შევჭამო?" თქვა ღიმილით შიმამოტომ. მერე თითქოს ფრთხილად სწონისო, ხელისგულზე დაიდო ჩემი კვერცხები, დიდი ხნით, მერე კი ნელა-ნელა ალოკვა და წოწვნა დაუწ-ყო ჩემს ასოს, ძალიან ნელა, დიდი სიფრთხილით. ცოტა ხნის მერე შემომხედა და მითხრა.

"შეიძლება პირველად ისე მოვიქცეთ, როგორც მე მინდა? მომცემ უფლებას?"

"რატომ ვიქნები წინააღმდეგი? მოიქეც ისე, როგორც გსურს." ვუთხარი პასუხად. მერე ღიმილით დავამატე: "ოღონდ ნურაფერს მომაჭამ, ამის უფლებას არ გაძლევ."

"მე საკმაოდ მრცხვენია და გთხოვ, ნუ მიყურებ და ნურც მეტყვი რამეს."

“მეტს არაფერს გეტყვი".

მე ისევ იატაკზე მუხლებზე ვიდექი, მან მარცხენა ხელი ტანზე შემომხვია და იგივე ხელით კაბა დაიმაგრა, მეორე ხელით კი ჩულქები და ტრუსები გაიხადა. მერე მარჯვენა ხელში ჩემი ასო დაიჭირა და ენით შეეხო. მეორე ხელი კი კაბის ქვეშ შეიცურა. ჩემს ასოს წუწვნიდა და მარცხენა ხელს ნელა, რიტმულად ამოძრავებდა.

არაფერი მითქვამს. მივხდი, რომ მას ეს მოსწონდა. ვადარებდი ერთის მხრივ, მისი ტუჩებისა და ენის მოძრაობას, და მეორე მხრივ, ქვედაბოლოს ქვეშ, მისი ხელის მოძრაობას. უცბად გამახსენდა, მიტოვებული კეგელბანის ავტოსადგომზე, მდუმარე და ქაღალდივით ფერდაკარგული შიმამოტო. კვლავ ნათლად დამიდგა თვალწინ ის, რაც მაშინ მის თვალთა სიღრმეში დავინახე. ბნელით მოცუ-ლი, გამყინავი სივრცე, თითქოს ჯურღმულის საყინულეაო. ტოტალური სიჩუმე, რომელიც მყისი-ერად ნთქავდა, ხმის ყოველ გამოვლინებას.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სიკვდილს თვალებში ვუყურებდი. მანამდე წარმოდგენა არ მქონდა, თუ რას ნიშნავდა სიკვდილი რეალურად. იმ წუთას კი სიკვდილი, სულ ახლოს იყო. ჩემი თვალების პირდაპირ და ჩემი სახიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრში. აი, სიკვდილის სახე, გავი-ფიქრე მაშინ. მაშინ სიკვდილმა მითხრა, რომ ერთ დღეს ჩემი წუთიც დადგებოდა და მომაკით-ხავდა. ბოლოს და ბოლოს ყველა მარტო მოხვდება, იმ უძირო სიღრმეში, რაც ყოველგვარი სიბ-ნელის წყაროა, რეზონანს მოკლებულ სიჩუმეში. ვიგრძენი, როგორ ვიხუთებოდი, ვცდილობდი რა, იმ შიშის დათრგუნვას, რასაც უძირო უფსკრული აღმიძრავდა. ამ გამყინავ და ბნელ უფ-სკრულის პირას მყოფი ხმამაღლა ვუხმობდი მას სახელით: *შიმამოტო სან!* დაუსრულებლად ვიმიეორებდი მის სახელს, მაგრამ ჩემი ხმა იკარგებოდა, უსასრულო არაფრობაში. მთელი ძალით ვყვიროდი, მაგრამ ჩემს ხმას არ შეეძლო, მის თვალთა სიღრმეში, რაიმის შეცვლა. კვლავ უცნაურად სუნთქავდა, თითქოს ჭუჭრუტანიდან გამოხწეული ქარის ხმააო. ეს სუნქვა მეუბნებოდა, რომ ის ჯერ კიდე სააქაოს იყო, მაგრამ მისი თვალები მარწმუნებდნენ, რომ ის სიკ-ვდილს ნებდებოდა. როცა ღრმად ჩავხედე თვალებში და ვყვიროდი მის სახელს, ვგრძნობდი, რომ ის უფსკრული, ჩემს სხეულსაც ითრევდა, ჩემს გარშემო თითქოს ჰაერი გამოწოვესო და ვაკუუმი მერტყა ირგვლივ. ასე განუხრელად მიახლოვდებოდა მიღმა სამყარო. ეხლაც კი ვგრძნობ მათ ძალას. მე მათ ვსურდი. თვალები დავხუჭე და განვდევნე იმ წუთთა მოგონებანი.

ხელი გავიწოდე და თმებზე გადავუსვი. მის ყურებს შევეხე, მერე მის შუბლს. მისი თბილი და ნაზი სხეული მიზიდავდა. ის კი, კვლავ წუწნიდა ჩემს ასოს, ისე თითქოს ჩემი სხეულიდან, თვით სიცოცხლის გამოწოვა სურსო. მისი ხელი, თითქოს საიდუმლო ენის ნიშნებს გამოსახავსო, კვლავ ბოლოკაბის ქვეშ, ლაჯებშუა მოძრაობდა. სულ მალე თავის შეკავება შეუძლებელი გახდა და პირში

გავუთავე. ბოლოკაბის ქვეშ მისმა ხელმა შეწყვიტა მოძრაობა, თვალები დახუჭა და ჩემი თესლი ბოლო წვეთამდე ჩაყლაპა.

"მაპატიე." მომესმა მისი ხმა.

"რა გაქვს საბოდიშო?" გამიკვირდა მე.

"პირველ ჯერზე, ასე მინდოდა რომ მომხდარიყო. ცოტა არ იყოს მრცხვენია, მაგრამ ამის გარეშე ვერაფრით დავმშვიდდებოდი. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის შეერთების რიტუალივითაა, გესმის რას ვგულისხობ?"

მივიზიდე და ლოყა ლოყაზე მივადე. თბილი სახე ჰქონდა. თმები ავუწიე, ყურებთან ვაკოცე, თვალებში ჩავხედე და საკუთარი ანარეკლი დავინახე. მის თვალებში ჩავიძირე, მის უძირო სიღმეში, წყარო დავლანდე და კიდევ მოციმციმე შუქი, შუქი სიცოცხლისა. ერთი დღეც იქნება, ესეც ჩაქრება, მაგრამ ჯერ ხომ ანთია, გავიფიქრე მაშინ. შიმამოტო მიღიმოდა და როგორც ყოველთვის, მის თვალთა კუთხეში ხაზები იკვეთებოდა. ამ ხაზებს კოცნა დავუწყე.

"ეხლა კი შენი ჯერია. შეგიძლია ტანთ გამხადო" მითხრა მან "და გამიკეთო ის, რაც მოგესურვება."

"შეიძლება ფანტაზია გამოცლილად ჩამთვალო, მაგრამ მე ჩვეულებრივი კავშირი მიყვარს." ვთქვი მე.

"ესეც კარგია" მითხრა მან. "მეც მომწონს ასე".

კაბა გავხადე, და აზღუდიც მივაყოლე. საწოლზე დავაწვინე და მთელი სხეული დავუკოცნე. მისი სხეულის ყოველ სანტიმეტრს ვათვალიერებდი, ყველაფერს ხელებით ვეალერსებოდი და ვკოცნიდი. ვცდილობდი ყველაფერი დამემახსოვრებინა. აუჩქარებლად ვირჯებოდი. ჩვენ იმდენი ხანი დაგვჭირდა ამ მდგომარეობამდე მისაღწევად, რომ მისი არ იყოს, ეხლა აჩქარება ყველაზე ნაკლებად მსურდა ამ ქვეყნად. ვეხვეოდი და ვეალერსებოდი მანამდე, სანამდისაც შემეძლო, სანამ ნდომამ თვალთ არ დამიბნელა და აი, მაშინ წყნარად შევედი მასში.

თენდებოდა, როცა ჩაგვეძინა. აზრზე არა ვარ, რამდენჯერ გავათავე. ჩვენ ხან ნაზად ვეალერსებოდით ერთმანეთს, ხანაც კი გიჟური რიტმით ვჟიმაობდით. ერთხელ, შუა ჟიმაობისას, როცა შიგნით ვიყავი, თითქოს დაეპატრონენო, ტირილი აუვარდა და მხრებზე მუშტები დამცხო. ამ დროს მჭიდროდ მეჭირა. ისეთი შეგრძნება მქონდა, ოდნავ მაინც ხელს თუ შევუშვებდი, მაშინვე ნაწილებად დაიშლებოდა. დასამშვიდებლად ზურგზე ხელებს ვუსვამდი, ყელს ვუკოცნიდი, თმებს თითებით ვუვარცხნიდი. ნამდვილად არ ჰგავდა, იმ თავშეკავებულ და ცივ შიმამოტოს, რომელსაც აქამდე ვიცნობდი. წლების მანძილზე შემუშავებული ყინულივით ცივი სიმტკიცე, ნელ ნელა იწყებდა დნობას და ზედაპირზე ამოსვლას. ვგრძნობდი მის სუნთქვას. მჭიდროთ მყავდა მიკრული და ველოდებოდი როდის შეერწყმებოდა ათრთროლებული მისი სხეული, ჩემსას და ასე ნელ-ნელა, მთლიანად ჩემი გახდებოდა.

"მსურს ყველაფერი ვიცოდე შენზე." დავიწყე მე. "აქამდე როგორი ცხოვრება გქონდა? სად ცხოვრობ? რას საქმიანობ? გათხოვილი ხარ თუ არა? ყველაფერი! ჩემთან არაფერი უნდა გქონდეს დაფარული. მეტად აღარ მსურს შე ნგან გავიგონო, ჯერ არ შემიძლიაო,."

"ხვალ" მითხრა მან. "ხვალე ყველაფერს მოგიყვები, ასე რომ მანამდე ნუ მომთხოვ. მოდი, ეს დღე დარჩეს ისე, როგორც არის. თუ კი ეხლა მოგიყვები, შენ აღარასოდეს შეგეძლება, დაიბრუნო საკუთარი ცხოვრების წესი."

"ძველ ცხოვრებასთან დაბრუნებას მაინც აღარ ვაპირებ და ვინ იცის, იქნებ ხვალ, არც არასდროს გათენდეს. თუ ასე მოხდება, მე შენზე, ვეღარასდროს ვერაფერს გავიგებ."

"მინდა ხვალე არასდროს დადგეს.'' მითხრა პასუხად ''და შენც ვერასდროს ვერაფერს გაიგებ.''

მე დავაპირე რაღაცის თქმა, მაგრამ მან კოცნით და ხვევნით შემაწყვეტინა.

"ძალიან მინდა, ხვალე ქოსა სვავებმა შესანსლონ." მითხრა მან "როგორ ფიქრობ ქოსა სვავებს ეგემრიელებად?

"ეს აზრიანია. საერთოდ ისინი ხელოვნებას ეტანებიან საჭმელად, მაგრამ ხვალეზეც არ იტყვიან უარს. "

"ჩვეულებრივი სვავებიც შეჭამენ?"

"არა, ისინი ხომ უპატრონო გვამებს კორტნიან." ვუთახარი პასუხად. "ძალინ განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან".

"მაშ ქოსა სვავები ხელოვნებასა და ხვალეს ჭამენ, არა?"

"ჰო, მასეა"

"რა კარგი კომბინაციაა."

"დესერტად კი დაბეჭდილ წიგნებს აყოლებენ."

შიმამოტოს გაეცინა და მითხრა

"როგორც არის. აბა ხვალამდე."

და აი ხვალეც დადგა. როცა გავიღვიძე მარტო ვიყავი. წვიმას გადაეღო. საძინებლის ფანჯრიდან შემოსული დილის, ნათელი სხივები მთელ ოთახს მსჭვალავდნენ. საათი ათის ნახევარს უჩვენებ-და. შიმამოტო ლოგინში არ იყო. თუმცა ჩემს გვერდით, ოდნავ ჩაზნექილი ბალიში, მიუთითებდა იმ ადგილს, სადაც წუხელის იწვა. ის კი ეხლა, აღარსად სჩანდა. ლოგინიდან ავდექი და ოთახები მოვათვალიერე, სამზარეულოშიც შევიხედე, ბავშთა ოთახშიც და აბაზანაშიც. უშედეგოდ. მისი ტანსაცმელიც გამქრალიყო და ფეხსაცმელიც. ღრმად ჩავისუნთქე, ვცდილობდი რეალობას დავბრუნებოდი, მაგრამ რეალობა ისეთი იყო, რომლის მსგავსი არასდროს მენახა. სინამდვილე, რომელიც არ ჯდებოდა ჩემს წარმოდგეცებში.

ჩავიცვი და გარეთ გავედი. BMW ისევ იქ იდგა, სადაც წუხელ გავაჩერე. იქნებ დილით ადრე გა-ეღვიძა და სასეირნოთ გასწია? სახლის ახლომახლოს დავუწყე ძებნა. მერე მანქანაში ჩავჯექი და მეზობელ ქალაქამდე, ყველა ადგილი მოვიარე, მაგრამ შიმამოტო ვერ ვიპოვე. კოტეჯში დავბრუნ-დი. შიმამოტო არ დაბრუნებულიყო, ვიფიქრე, იქნებ წარწერა მაინც დამიტოვაო. შევედი სახლში და ყველაფერი გადავსინჯე, მაგრამ ვერაფერი ვნახე. მისი აქ ყოფნის კვალიც კი გამქრალიყო.

უიმისოდ სახლი დაცარიელებული და დახუთულიყო. ჰაერი თითქოს სავსე ყოფილიყოს სილის მტვრით და თითქოს ყოველ ჩასუნქვისას, მტვერი ყელში მეჩხირებოდა. გამახსენდა ნათ კინგ კოულის ძველი გრამფირფიტა, რომელიც მაჩუქა, მაგრამ ვერც მისი მოძებნა შევძელი. ეტყობა ფირფიტაც თან გაეყოლა.

შიმამოტო კიდევ ერთხელ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. ოღონდ ამჯერად ისე, რომ იმედიც კი არ დამიტოვა, რომ როდისმე კვლავ მნახავდა. აღარც *ალბათ უთქვამს* და აღარც *ერთხანს*.

თავი 15

ოთხი სრულდებოდა როცა ტოკიოში დავბრუნდი. პირველის ნახევრამდე კოტეჯში უიმედოდ ველოდებოდი შიმამოტოს დაბრუნებას. ლოდინი მტანჯველი იყო და დროის მოსაკლავად, ჯერ სამზარეულო დავალაგე, ხოლო შემდეგ სახლში, რაც კი ტანსაცმელი იყო, ყველა გადავახარისხე. დუმილი დამთრუნგველად მოქმედებდა. იშვიათად ფრინველთა ხმა და ჩავლილ მანქანათა გუგუნი თუ არღვევდა სიჩუმეს, მეჩვენებოდა, რომ მათ არაბუნებრივი ხმები ჰქონდათ. თითქოს მუდმივი და უხილავი ძალა ხმებზე მოქმედებდა, უცვლიდა მათ ჟღერადობას და გუდავდა. ამ მოვლენათა გულში კი ლოდინად ვიყავ გადაქცეული. ველოდებოდი, რომ *რაღაც* მოხდებოდა. რაღაც აუცილებლად უნდა მომხადრიყო, ამას მთელი არსებით ვგრძნობდი. შეუძლებელია, რომ ყველაფერი ასე დასრულდეს!

არადა, არაფერი ხდებოდა. შიმამოტო არ მიეკუთვნებოდა ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლნიც მიღებულ გადაწყვეტილებას უცბად იცვლიან. ტოკიოს უნდა დავბრუნებოდი. თუ გადაწყვეტდა ჩემთან დაკავშირებას, ამას ტოკიოში, ჩემს ბარების დახმარებით ადვილად მოახერხებდა. ყოველ-შემთხვევაში კოტეჯში ლოდინს არანაირი აზრი არ ჰქონდა.

უკანაგზობას თავს ვაიძულებდი ტრასაზე ყურადღებით ვყოფილიყავი. მიუხედავად ამისა ხშირად გადასახვევებს ვერ ვამჩნევდი, წითელზე არ ვჩერდებოდი და მცდარ ნაკადებს ვირჩევდი. კლუბში მისვლისთანავე მანქანა დავაყენე და სახლში დავრეკე. იუკიკოს ვუთხარი, რომ უკვე დავბრუნდი და პირდაპირ სამსახურში მივედი.

"შევწუხდი ძალიან, განა არ შეგეძლო უფრო ადრე დაგერეკა?" მისი ხმა მძიმედ და მშრალად ისმოდა.

"კარგად ვარ, ნურაფერზე ინერვიულებ." ვუთხარი პასუხად. წარმოდგენა არ მქონდა, თუ როგორ ჟღერდა ჩემი ხმა. "დრო არ მაქვს, ოფისში საქმეები მაქვს, უნდა ანგარიშები შევამოწმო, მერე კი პირდაპირ ბარში წავალ."

ოფისში მაგიდასთან ვიჯექი და ვცდილობდი დრო გამეყვანა. როგორც იყო მოსაღამოვდა. თვალწინ განვლილი ღამის სცენები მედგა. შიმამოტო ეტყობა ჩემს ჩაძინებას დაელოდა და სანამ გათენდებოდა მანამდე მიმატოვა, ისე რომ თვითონ არც კი დაუძინია. აზრზე არა ვარ, ქალაქში რანაირად დაბრუნდა. გზატკეცილი კოტეჯიდან საკმაოდ დიდ მანძილზეა და გინდაც იქამდე მიეღწია, ჰაკონეს მთიანეთში, უთენიისას შეუძლებელია ავტობუსი ან ტაქსი შეხვედროდა. ამის ისიც ემატებოდა, რომ მაღალქუსლებზე იყო.

რატომ უნდა წასულიყო შიმამოტო ასე უცნაურად? ეს კითხვა არ მშორდებოდა ტოკიოსაკენ მიმავალს. მე ხომ ვუთხარი, რომ მთლიანად მისი ვიყავი და პასუხად მომიგო, რომ ისიც ჩემი იყო.

უკან დასახევი გზა მოვიჭერი და მთელი ღამე მას ვეალერსე. ამის მიუხედავად, ყოველგვარი ახსნის გარეშე მიმატოვა და თან გრამფირფიტაც გაიყოლა, რაც თითქოს საჩუქრად მომიტანა. მის საქციელს ჩემთვის გაუგებარი მიზეზი უნდა ჰქონოდა. ლოგიკური აზროვნება უკვე აღარ შემეძლო, რის გამოც ამ მიზეზს ვერაფრით ვერ ვხვდებოდი. ფიქრის ყველა ძაფი ჩიხში ექცეოდა. თავს ვაიძულებდი, ფიქრი გამეგრძელებინა, ამას კი თავის ტკივილემდე მივყავდი. ძლიერმა გადაღლამ თავი იჩინა. ჩემს ოფისში სავარძელში ჩავჯექი და თვალები დავხუჭე. იმის ძალაც აღარ მქონდა თვალები როგორმე გამეხილა. ერთადერთი, რაც კიდევ შემეძლო, იყო გახსენებანი. უსასრულო კასეტასავით, თავში მუდმივად მიტრიალებდა წინა ღამის მოგონებანი. შიმამოტოს სხეული. ღუმლის გვერდით გაწოლილი მისი შიშველი სხეული და ამ სხეულის ყოველი დეტალი: ყელი, მკერდი. მხრები, ნეკნები, თმები ლამაზ ადგილზე, რაც ყველაზე ინტიმურს მალავდა, მისი ზურგი, წვივები. მათ ისე მკაფიოდ ვხედავდი, თითქოს აქვე ყოფილიყვნენ. რეალურზე უფრო მკაფიოდ და უფრო ახლოც.

პატარა ოთახში მარტო მყოფს აღარ შემეძლო ამ ხილვების ტყვეობაში ყოფნა. დავსტოვე შენობა და უმიზნოთ დავიწყე ხეტიალი, როგორც იყო კლუბამდე მივაღწიე და მამაკაცთა ტუალეტში პირი გავიპარსე. პირი მთელი დღე არ დამეზანა და ისევ ის ტანსაცმელი მეცვა, რაც გუშინ. არავის არაფერი უკითხავს, მაგრამ აშკარად გაოცებულნი მიყურებდნენ. თუ სახლში მივიდოდი და იუკიოს დავინახავდი, ვიცოდი ყველაფერს ვაღიარებდი, თუ რა ძლიერ მიყვარდა შიმამოტო, ღამე მასთან რომ გავათენე და მზად რომ ვიყავი ყველაფერი მიმეტოვებინა: სახლიც, ბავშვებიც და სამსახურიც.

ვგრძნობდი იუკიკოსთვის ყველაფერი უნდა მეამბნა, მაგრამ ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. ყოველშემთხვევაში ამჯერად მაინც, მე ხომ იმასაც კი ვერ ვამჩნევდი, სად იწყებოდა სიმართლე და სად სიცრუე და ვერც იმაში გავრკვეულიყავი, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, ამიტომ სახლში არ ვბრუნდებოდი. კლუბში შევედი და შიმამოტოს ველოდებოდი, თუმც ამის არანაირი იმედი არ მქონდა. ჯერ ბარში შევიხედე და დავრწმუნდი, რომ ის იქ არ იყო, შემდეგ კი გულწითელას ბუდეს მივაშურე და კლუბის დაკეტვამდის დახლთან ვიჯექი. რამდენიმე მუდმივ მუშტარს გამოველაპარაკე, მაგრამ მხოლოდ გაზეპირებული ფრაზებით. ირგვლივ ყველაფერი გუგუნივით ჩამესმოდა, ჩემი არსება კი მხოლოდ შიმამოტოს შიშველ სხეულს გრძნობდა, რა სიხარულით მელოდებოდა მისი საშო და როგორი სიამოვნებით შევედი შიგნით, ყურებში მესმოდა როგორ მომმართავდა სახელით. ტელეფონის ყოველ დარეკვაზე გული ამოსავარდნელად მზად იყო.

ბარის დაკეტვის შემდეგ, როცა ყველა სახლებისკენ გაემართნენ, მე ისევ დახლთან ვიჯექი და ვსვამდი. რამდენს დავლევდი, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც ვერ ვითვრებოდი. უფრო მეტიც, რაც უფრო ვსვამდი, გონება უფრო მინათდებოდა. ღამის ორი საათი იქნებოდა როცა სახლში დავბრუნდი. იუკიკო არ დაწოლილიყო და მელოდებოდა. არ მეძინებოდა, სამზარეულოში გავედი, მაგიდას მივუჯექი და ვისკს ვსვამდი. იუკიკომაც მოიტანა ჭიქა და გვერდით მომიჯდა.

"რამე მუსიკა ჩართე" მითხრა მან. მე უახლოესი კასეტა ავიღე, ჩავდე და ხმა დავუწიე, ბავშვები რომ არ გამეღვიძებინა. დიდხანს ჩუმად ვისხედით და ვისკს ვსვამდით. იუკიკომ თვალებში შემომხედა მკითხა:

"სხვა ვინმე გყავს, ვინც მოგწონს, არა?" .

მე თავი დავუქნიე. ეს სიტყვები დიდი ხნის ნაფიქრის გახმოვანება იყო და მძიმედ ჟღერდა. არავინ უწყოდა რამდენჯერ იმეორებდა და სწონიდა მათ, სანამ ხმამაღლა წარმოსთქვამდა.

"ეტყობა ის შენ მართლა მოგწონს და არ ერთობი."

"მართალი ხარ" ვუთხარი პასუხად. "ეს ნამდვილად არაა შემთხვევითი კავშირი, მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც შენ შეიძლება ფიქრობდე."

"საიდან იცი მე რას ვფიქრობ?" მკითხა მან. "შენ რა გჯერა, რომ იცი რასაც მე ვფიქრობ?"

ვერაფერი ვუპასუხე. იუკიკოც გაჩუმდა. მუსიკა ჩუმად ისმოდა, ან ვივალდი იყო, ანდა ტელემანი. ერთ-ერთი ამ ორიდან. მელოდიას ვერ ვიხსენებდი.

"ვფიქრობ შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს, თუ რაზე ვფიქრობ." მითხრა მან. ის ნელა ლაპარაკობდა და ყოველ სიტყვას მკაფიოდ გამოსთქვამდა, თითქოს ბავშვებს რაიმეს უხსნისო. "ვფიქრობ შენ ვერც კი წარმოიდგენ თუ რას ვფიქრობ მე".

მიხვდა რომ პასუხის გაცემას არ ვაპირებდი, ჭიქა ასწია და მოსვა. მერე ნელა თავი გააქნია "არც ისეთი სულელი ვარ. იმედია ეს მაინც იცი. ვცხოვრობ და ვწევარ შენთან და ვიცი რომ უკვე კარგა ხანია სხვა მოგწონს."

ის გაჩუმდა და მე შევხედე მას.

"არ გადანაშაულებ." გააგრძელა ცოტა ხნის მერე. "თუ სხვა გიყვარს, არაფრის გაკეთება არ შეიძლება. გიყვარს ის, ვინც გიყვარს. ეტყობა მე არ ვიყავი შენთვის საკმარისი. ვიცი მხოლოდ, რომ ერთმანეთს კარგად შევეწყეთ და ჩემზე მუდამ ზრუნავდი. მე ბედნიერი ვიყავი შენთან ცხოვრებით. მგონია, ცოტათი კვლავაც გიყვარვარ, მაგრამ იმ ფაქტს, რომ შენთვის არ აღმოვჩნდი საკმარისი, ვერსად გაექცევი. ვიცოდი ასე რომ მოხდებოდა, ამიტომ შენ არ გადანაშაულებ, სხვა თუ შეგიყვრდა. არც გაბრაზებული ვარ შენზე. წესით უნდა ვიყო, მაგრამ არ ვარ. უბრალოდ ყველაფერი მტკივა შიგნით, ძალიან მტკივა. ვფიქრობდი, რომ წარმოდგენა მქონდა, თუ რა სიღრმის ჭრილობას მომაყენებდა ეს ამბავი, მაგრამ შევცდი."

"ვწუხვარ." ვუთხარი პასუხად.

"ბოდიშის მოხდა არაა საჭირო," დაამატა მან. "თუ გსურს რომ მიმატოვო, მიმატოვე! არაფერს ვიტყვი. გსურს რომ წახვიდე?"

"არ ვიცი." ვუთხარი პასუხად. "შეიძლება აგისხნა თუ რა მოხდა"?

“შენ და იმ ქალს შორის?”

"ჰო." ვთქვი მე.

მან თავი გაიქნია. ეტყობოდა მოთმინების ძაფი გაუწყდა.

"მასზე არფრის გაგონება არ მსურს! არ მსურს იმაზე მეტი ტკივილი მივიღო, რაც უკვე მომაყენე. არ მაინტერესებს, თუ რა ურთიერთობა გაქვს მასთან, ანდა რა გეგმები გაქვთ დასახული. არ მსურს მასზე კრინტიც რომ დასძრა! ერთადერთი რაც მინდა, ისაა, რომ ვიცოდე, წახვალ თუ არა. მე არც სახლი მჭირდება და არც ფული. არც სხვა რამ. თუ გსურს ბავშვებსაც დაგითმობ. ამას მე მთელი სერიოზულობით ვამბობ. თუ გსურს რომ მიმატოვო, უბრალოდ სთქვი. ესაა სულ რაც მსურს ვიცოდე. სხვა რამეს ნუ გამაგონებ. ან ჰო ან არა."

"არ ვიცი." იყო ჩემი პასუხი.

“ეს ისე უნდა გავიგო, რომ ჯერ არ იცი მიმატოვებ თუ არა?"

“არა. მე ისიც კი არ ვიცი, როდისმე თუ შემეძლება პასუხი გავცე ამ კითხვას.”

“რა დრო დაგჭირდება პასუხის მოსაფიქრებლად?”

თავი გავაქნიე.

"კარგი. დრო საკმარისია. იფიქრე ამაზე." მითხრა მან. "მე ლოდინი შემიძლია. შეგიძლია იფიქრო იმდენხანს, რამდენსაც საჭიროდ ჩასთვლი".

იმ ღამის მერე, საცხოვრებელ ოთახში, სავარძელში მარტო ვიძინებდი. ხანდახან ბავშვებს ეღვიძებოდათ შუაღამისას და მეკითხებონენ, თუ რატომ ვიწექი აქ მარტო. ვუხსნიდი, რომ ბოლო დროს, ღამ-ღამობოთ ხმამაღლა ვხრინავდი, დედას ვაწუხებდი, რის გამოც, მე და დედამ გადავწყვიტეთ, რომ ცალ-ცალკე ოთახებში დაგვეძინა. სხვანაირად დედა საერთოდ ვერ დაიძინებს. ერთ-ერთი ბავშვი ლოგინში შემომიძვრებოდა ხოლმე და მას მჭიდროდ ვიკრავდი გულში. ხანდახან მესმოდა, საძინებელში როგორ ტიროდა იუკიკო.

შემდეგი ორი კვირა განუწყველივ, თვალახელილს მეზმანებოდა შიმამოტოსთან გატარებული ღამის წვრილმანები. ვიხსენებდი ყველაფერს და ვცდილობდი მივმხვდარიყავი თუ რა მოხდა. მახსენდებოდა მისი თბილი სხეული ჩემს მკლავებში. ვიხსენებდი მის ხელებს, თეთრ პერანგში, ნათ კინგ კოულის სიმღერებს, ღუმელში ცეცხლს. იმ ღამეს ჩვენს მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა მახსოვდა.

განსაკუთრებულად ჟღერდა მისი სიტყვები: *საშუალო და შუა ჩემთვის არ არსებობს. იქ, სადაც არაა შუალედური ობიექტები, არც საშუალო იქნება.*

ჩემი სიტყვებიც მეცნაურა: *შიმამოტო-სან, მე უკვე ყველაფერი გადავწყვიტე. ბევრი ვიფიქრე შენს არყოფნაში და გადაწყვეტილებაც მივიღე.*

არ მავიწყდებოდა, თუ როგორ მიყურებდა, როცა მანქანით მივდიოდით. მისი ინტენსიური თვალთვალი ჩემს ლოყას სწვავდა. ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალო მზერა. სიკვდილის აჩრდილი თან ახლდა მას. ნამდვილად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე. აი, რატომ წამომყვა ჰაკონეში! ჩემთან ერთად უნდოდა მომკვდარიყო.

"მე კი მთლიანად მინდიხარ. გესმის ეს? *გესმის კი რას ნიშნავს ეს*? "

როცა ამას მეუბნებოდა შიმამოტოს ჩემი სიცოცხლე სურდა. ეს კი მხოლოდ ეხლა გავაცნობიერე. მე ხომ მაშინ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე, ეტყობა შიმამოტომაც. ასე რამ დამაბრმავა? სიყვარულით სავსე ღამის მეორე დღეს, უკანა გზობას BMW-ს საჭის წართმევას აპირებდა, რათა ორივე გადავჩეხილიყავით. მას სხვა შესაძლებლობა აღარ რჩებოდა, მაგრამ რაღაც ძალამ შეაჩერა, წამოავლო თავის ნივთებს ხელი და გაუჩინარდა.

რატომ ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, რამაც თვითმკვლელობის გადაწყვეტილება მიაღებინა? რატომ? ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდე თუ ვისი წყალობით ჩავარდა სასოწარკევეთილობაში და რატომ იყო სიკვდილი ერთადერთი გამოსავალი. რამდენიმე

მინიშნებას ჩავეჭიდე და დეტექტივივით დავიწყე გაანალიზება, მაგრამ უშედეგოდ. ის უბრლოდ გაქრა და საიდუმლოებანიც თან გაიყოლა. *აღარც შეიძლებაო და აღარც ერთხანსო,* ამჯერად უხმოდ მიმატოვა, ისე რომ იმედის ნიშანწყალიც არ დამიტოვა. მართალია ჩვენი სხეულები შეერთდნენ და ერთხორცნი გავხდით, მაგრამ ერთსულნი ვერა და მისი გული ჩემთვის კვლავ გამოცანად დარჩა.

არიან საგნები, თუ ისინი შეიცვლებიან, მათ უკან ვეღარასოდეს დაიბრუნებ, ჰაჯიმე. ალბათ ამ სიტვებს მეტყოდა შიმამოტო. შუაღამისას სავარძელში მწოლს, მკაფიოდ მესმოდა მისი სიტყვები, *რა შესანიშნავი იქნებოდა, შენი თქმის არ იყოს, მართლაც რომ შეგვძლებოდა სადმე ერთად წავსულიყავით, ჩვენ ორნი და ცხოვრება ხელახლა დაგვეწყო. სამწუხაროდ, არ შემიძლია იმ ადგილიდან გამოვაღწიო სადაც ეხლა ვარ. ეს ფიზიკურადაა შეუძლებელი.*

თვალწინ დამიდგა ბაღში, მზესუმზირის გვერდით, მორცხვად მომღიმარე, თექვსმეტი წლის შიმამოტო. *არ უნდა მოვსულიყავი შენს სანახავად. ეს თავიდანვე ვიცოდი. მაშინვე შემეძლო მეწინასწარმეტყველა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. მაგრამ ვერ შევძელი, არ მოვსულიყავი. როგორც კი დაგინახე, მომინდა გამოგლაპარაკებოდი. ჰაჯიმე, ეს ხომ მე ვარ! ასეთ ბოლოს არ ვგეგმავდი, მაგრამ როგორც ყოველთვის, რაც კი ჩემს გარშემო მომხდარა, აქედანაც მხოლოდ ნანგრევები დარჩა.*

მე შიმამოტოს ვეღარასოდეს ვნახავ და მხოლოდ მოგონებებში თუღა გამოველაპარაკები. ის აქ იყო და გაქრა. საშუალო ადგილი მისთვის ხომ არ არსებობს. ალბათ მოსძებნა ადგილი სამხრეთით, საზღვრის მიღმა, ოღონდ არაფრის დიდებით მზის დასავლეთით.

ყოველღიურად გაზეთებს თავიდან ბოლომდე გულმოდგინედ ვათვალიერებდი, ქალთა თვითმკვლელობების ამბებს ვეძებდი. აღმოვაჩენე რომ ძალინ ბევრნი ამთავრებდნენ ცხოვრებას ამ გზით, თუმც არც ერთი მათგანი, ოდნავადაც არ ჰგავდა შიმამოტოს. რამდენადაც შემეძლო მევარაუდა, ულამაზესი, ოცდაჩვიდმეტი წლის ქალბატონი, უმშვენიერესი ღიმილით, კვლავ ცოცხალი უნდა ყოფილიყო, ოღონდ ეგაა, მან მე სამუდამოდ მიმატოვა.

ზედაპირულად თუ შევხედავდით, ეს დღეებიც სხვათა მსგავსი იყო. ბავშვები მიმყავ-მომყავდა საბავშვო ბაღში, მანქანაში სამივე ვმღეროდით. ხანდახან საბავშვო ბაღის წინ ვაჩერებდი მანქანას და მერსედეს 260E-ს მფლობელ ახალგაზრდა ქალბატონთან ვსაუბრობდი. ეს საუბრები დროებით მაინც მავიწყებდა ყველაფერს. როგორც ყოველთვის სასაუბრო თემები ძალიან შეზღუდული იყო. ერთმანეთს მხოლოდ აოიამას უბნის სიახლეებს ვუზიარებდით, ვსაუბრობდით ასევე ბიოსაკვებსა და ტანსაცმელზე.

სამსახურშიც ყველაფერი ძველებურად იყო. შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი ყოველ საღამოს ჩემს ბარებს დავხედავდი ხოლმე, ვესაუბრებოდი მუდმივ მუშტარს, მოსამსახურე პერსონლის საჩივრებსა და აზრს ვუსმენდი, არ ვივიწყებდი პატარა მოვლენებსაც კი და მცირედი საჩუქრები მქონდა იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც დაბადების დღე ჰქონდათ. ვუმასპინძლებოდი მუსიკოსებს ვახშმით, ვსინჯავდი კოქტეილთა ხარისხს, აწყობილი იყო თუ არა პიანონო, თვალი მეჭირა ვინმე ხომ არ გალეშილა. თუ რამე პრობლემა იქმნებოდა მე ის მყისიერად უნდა გადამეჭრა. საქმე საათივით მქონდა აწყობილი, მაგრამ სამსახურზე აღარ ვფეთდებოდი. ეს ჯერ ეჭვათაც არავის ჰქონდა. ზედაპირულად თუ შეხედავდით, მე თითქოს არ შევცვლილვარ. ვიყავი მეგობრული, თავაზიანი და უფრო მეტს ვსაუბრობდი ვიდრე ადრე. ოღონდ, როცა დახლის წინ, მაღალ საკმზე შემოვჯდებოდი და იქაურობას თვალს შევავლებდი, ჩემს მიერ შექმნილი გარემო

ერთობ მონოტონური და უხალისო მეჩვენებოდა. ის უკვე აღარ მაგონებდა, საგანგებოდ მოფიქრებულ, ფერებით სავსე საჰაერო კოშკს. ახალი თვალით დანახული, ის გამოიყურებოდა როგორც ხმაურიანი, ხელოვნური ბარი, ერთობ ზედაპირული და გვარიანად ბინძური, სპეცილურად შექმნილი ადგილი, რომლის მიზანი იყო ხალხის გამოთრობა, რათა რაც შეიძლება მეტი ფული დაეტოვებინად. თამბაქოს კვამლის ქვეშ ყველა სხვა ილუზია გაქრა და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ შიმამოტო აქ აღარ გამოჩნდება, მაგიდას აღარასოდეს მიუჯდება, აღარასოდეს შეუკვეთს კოქტეილს და მის ღიმილსაც ვეღარასოდეს დავინახავ.

ყოველდღიური ცხოვრება არც სახლში შეცვლილა. ოჯახურ წრეში ვსადილობდი, ხოლო კვირაობით ბავშვები მიმყავდა, ან სასეირნოდ ანდა ზოოპარკში. იუკიკოც, გარეგნულად მაინც, ისე მექცეოდა როგორ ადრე. ბევრს ვსაუბრობდით, და ისე ვიქცეოდით, თითქოს ბავშვობის დროინდელი მეგობრები ვყოფილიყავით, რომელთაც ერთ ჭერქვეშ მოუწიათ ერთხანს ცხოვრება. რა თქმა უნდა იყო სიტყვები, რომელთაც საუბრისას აღარ ვხმარობდით, იყო ფაქტები რომლებზეც არ ვსაუბრობდით, მაგრამ დაუფარივი მტრული განწყობილება ნამდვილად არ იგრძნობოდა. ჩვენ უბრალოდ არ ვეხებოდით ერთმანეთს და ღამ-ღამობით ცალკ-ცალკე გვეძინა, მე სავარძელში, ხოლო იუკიკოს კი საძინებელში. ეს იყო ერთადერთი რაც შეიცვალა ჩვენს ოჯახში.

ზოგჯერ აღარ შემეძლო იმის იტანა, თუ უემოციოდ როგორ ვაგრძელებდით ჩვენი როლების თამაშს. ორივესთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაგვეკარგა და ამის მიუხედავად მაინც ვახერხებდით ისე გვეთამაშა, თითქოს ძველი დროაო. თავს საშინელად ვგრძნობდი. ასეთმა ცარიელმა, უმიზნო ცხოვრებამ იოკიკო დაადარდიანა და ძალიან გამოცვალა. მსურდა მისი კითხვისთვის პასუხი გამეცა, მაგრამ ეს არაფრით არ შემეძლო. რა თქმა უნდა მისი მიტოვება არ მსურდა, მაგრამ შემეძლო კი ამის ასე თქმა? მე ხომ ეხლახანს ვაპირებდი ოჯახის მიტოვებას და მხოლოდ იმის გამო, რომ შიმამოტომ მიმატოვა და აღარ დამიბრუნდება, მქონდა კი უფლება მივბრუნებულიყავ და ისე გამეგრძელებინა ცხოვრება, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს? ცხოვრება ასე მარტივი არაა და მე ვთვლი, რომ არც უნდა ყოფილიყოს ასე მარტივი . ამის გარდა შიმამოტოს სახება ჩემში კვლავ ცხოვლად შენახულიყო, თითქოს აქვე გვერდითააო. თვალის დახუჭვისთანვე, მისი ტანის ყველა დეტალი მიცოცხლდებოდა. ხელისგულები კვლავ გრძნობდნენ მის კანს, ხოლო მისი ხმა ყურებში ჩამესმოდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ასეთი ხილვებით და შეგრძნებებით სავსეს ნამდვილად არ შემეძლო იუკიკოს მოვსიყვარულებოდი.

მარტოობას არაფერი მერჩია და რადგან სხვა არაფერი ვიცოდი, მივდიოდი აუზში საცურაოდ. იქიდან კი ოფისში, სადაც ჭერს შევჩეროდი, და შიმამოტოზე ვოცნებობდი. იუკიკოს კითხვა კი კვლავ ჰაერში გამოკერებული რჩებოდა. სიცარიელეში ვცხოვრობდი. ეს კი უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. ეს უბრალოდ არასწორი იყო. მე როგორც ადამიანი, ვიყავი ქმარი და მამა და ამის გამო, პასუხიმგებელიც ბევრ რამეზე. მას მერე, რაც ხილვები არ მშორდებოდნენ, ფაქტიურად ვეღარაფერს ვაკეთებდი. წვიმიან ამინდში კი საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო. ამ დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შიმამოტო გამოჩნდებაო. აი, გაიხსნება კარები, შემოვა მომღიმარი, მშვიდი და წვიმის სუნს შემოიტანსო. მისი მომღიმარი სახე მუდამ თანმდევდა. თუ რაიმეს არასწორედ ვიტყოდი, ის ჩუმად გადაიქნევდა თავს და ფართოდ იღიმებოდა. ჩემს სიტყვებს კი ძალა ეკარგებად და როგორც ფანჯრის მინაზე, შერჩენილი წვიმის წვეთები, სინამდვილეს შორდებიან. წვიამიან ღამეს სუნთქაც კი მიჭირდა, წვიმა თითქოს გრეხდა დროსაც და სივრცესაც.

როცა ასეთი ხილვებით უზომოდ ვიღლებოდი, გარემოს ვათვალიერებდი. თითქოს მიტოვებული აღმოვჩნდი უსიცოცხლო და გამომშრალ ქვეყანაში. ჩემს ხედვებს ამა სოფლის ფერები მთლიანად

შეეწოვად. ყველაფერი, რაც კი ჩემს წინ იყო, გამოიყურებოდა, როგორც დროებითი და ბრყელი. თითოეული ობიექტი თითქოს ქვიშით ყოფილიყოს სავსე და სილისფერი დაჰრავდა. ჩემი თანაკლასელის დამოძღვრა ყველგან წინ მხვდებოდა. *ბევრნაირი სიცოცხლეა ამ ქვეყნად და სიკვდილიც უამრავნაირი არესებობს, მაგრამ ყველაფერს ერთი ბოლო აქვს. ჩვენს მერე მხოლოდ უდაბნო დარჩება.*

შემდეგ კვირას, თითქოს მელოდებოდნენო, რამდენიმე უცნაური შემთხვევა დამატყდა თავს. ორშაბათ დილას, ყოველგვარი წინასწარი მიზეზის გარეშე, გამახსენდა კონვერტი, რომელშიც ასი ათასი იენი იდო და გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ შემეხედა მისთვის. წლების წინ, ის ჩავდე ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში, და მერე უჯრა ჩავკეტე. მახსოვდა, რომ უჯრა ზემოდან მეორე იყო. როცა ოფისში გადმოვედი, სხვა რამდენიმე ფასიან ნივთთან ერთად, ისიც ამ უჯრაში ჩავკეტე. დრო და დრო ვამოწმებდი ხოლმე, იყვნენ თუ არა ისინი ადგილზე. კონვერტი უჯრიდან არც ერთხელ არ ამომიღია. ეხლა კი აღმოვაჩინე, რომ კონვერტი გამქრალიყო. ეს ძალიან უცნაური და მე ვიტყოდი ზებუნებრივიც კი იყო. ნამდვილად არ მახსოვდა, მისთვის ადგილი შემეცვალოს. ამაში სრულიად დარწმუნებული გახლდით, მაგრამ დასარწმუნებლად გულმოდგინეთ დავათვალიერე სხვა უჯრებიც. კონვერტი არსად აღმოჩნდა.

დავიწყე თავის მტვრევა, თუ ბოლოს როდის ვნახე. ზუსტი თარიღის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს თითქოს არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყოდი ეხლახანს იყოო. ალბათ ერთი თვის წინ, ანდა ორის, ყოველ შემთხვევაში არაუმეტეს სამი თვისა.

სკამზე გაოგნებული ვიჯექი და ჭერს შევცქეროდი. იქნებ ვინმემ შემოაღწია ოფისში, უჯრას გასაღები მოარგო და კონვერტო მოიპარა? მაგრამ ეს სინამდველეს არ უნდა ჰგავდეს, რადგან იმ უჯრაში მასზე ბევრად უფრო ძვირად ღირებული ნივთებიც იყო და ისინი ხელუხლებელნი იყვნენ, თუმცა ეს შესაძლებლობა გამოსარიცხი არ იყო. ანდა იქნებ, მექანიკურად კონვერტი სხვა რამეს მივაყოლე და ეს ამბავი მთლინად წაიშალალა ჩემი მახსოვრობიდან? კარგი, თავს ვიმშვიდებდი, რა მნიშვნელობა აქვს, ამას? მე ხომ მაინც იმ ფულისა და კონვერტის მოშორებას ვაპირებდი, ეხლა კი ეს თავისთავად მოხდა.

მას მერე, რაც აღმოვაჩინე რომ კონვერტი გაქრა, მოუსვენრობამ შემიპყრო. მისმა არსებობა არარ-სებობამ ადგილები გაცვალეს ჩემს ცნობიერებაში. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავბრუ მეხვევაო. ერთი ხმა მეუბნებოდა, თითქოს კონვერტი არც არასოდეს არსებულაო და ვგრძნობდი, რომ ჩემი პიროვნების დიდი ნაწილი, ამ ვარაუდს სულაც არ უარყოფდა და გააფრთრებით ებრძოდა ჩემს რწმენას, რომ კონვერტი *მართალაც* არსებობდა.

იმის გამო, რომ მეხსიერება და შეგრძნებები საკმაოდ არადამაჯერებელნი არიან და ხშირად მიკერძოებულნიც, ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ ისეთ სინამდვილეს, მოდი მას ალტერნატიული სინამდვილე დავუძახოთ, რომელსაც ვეყრდნობით, რათა მოვლენათა სინამდვილე დავამტკიცოდ. რამდენად არიან ის ფაქტები მართლა ნამდვილი, რომელთაც ჩვენ ნამდვილ ფაქტებად მივიჩნევთ? და რამდენად არიან ისენი ფაქტები, მხოლოდ იმის გამო რომ მათ ჩვენ ასე ვარქმევთ? შეიძლება კი ისინი ერთმანეთისგან განვასხვავოთ? ამის გამოა, სინამდვილე რომ აღვიქვათ როგორც სინამდვილე, გვჭირდება სხვა სინამდვილე, რომელიც ერგვარად ფარდობითია პირველის მიმართ. ეს ნათქვამი კი შეგვიძლია გავიმეორედ ამ ახალი სინამდვილის მიმართაც და ამიტომ მისთვისაც გვჭირდება ახალი, დამხმარე მესამე სინამდვილე. როგორც ხედავთ ამ გზით უსასრულო ჯაჭვი

აიგება ჩვენს ცნობიერებაში, რომლის მთავარი დანიშნულებაა გვაგრძნობინოს, რომ ჩვენ ნამდვილად აქ ვართ და რომ მართლა ვარსებობთ. არადა, ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჭაჯვი გაწყდეს? მაშინ ვკარგავთ დარწმუნების მეთოდს, თუ რა არის სინამდვილე. ეს ისაა, რაც გაწყვეტილი ჯაჭვის ერთ მხარესაა, თუ ის რაც მეორე მხარესაა, ან იქნებ სინამდვილე ორივეზე მაღლაა?

ჩემი შეგრძნებანი, შეიძლებოდა გაწყვეტილი ჯაჭვით გამოწვეული გაორებისთვის შეგვედარებინა. უჯრა დავხურე და გადავწყვიტე დამევიწყებინა ეს ამბავი. მე ფული, მიღებისთანავე უნდა მომესრიალა და მათი შენახვა დიდი შეცდომა იყო.

იმავე კვირის ოთხშაბათს, ნაშუადღევს, მანქანით გაიენ ჰიგაშიდორზე მივდიოდი, როცა ერთ ქალს მოვკარი თვალი, რომელიც შიმამოტოს მივამსგავსე. მას ლურჯი კოტონის შარვალი და კრემისფერი საწვიმარი, ფეხთ კი დახურული თეთრი ფეხსაცმელი ეცვა. სიარულისას ერთი ფეხით კოჭლობდა. მის დანახვაზე, ჩემს გარშემო ყველაფერი გაიყინა, ჰაერის ნაკადი ჯერ მკერდს მოაწვა და შემდეგ ყელში მეცა. *შიმამოტოა*, მაშინვე გავიფიქრე და ვცდილობდი უკან მიმავალი მანქანის სარკიდან შემთვალიერებინა, მაგრამ ხალხმრავლობის გამო სახეს ვერ ვარჩევდი. მანქანა მყისიერად გავაჩერე, რითაც ძლიერ გავაბრაზე ჩემს უკან მომავალი მანქანის მძღოლი. იმ ქალის გარეგნობა და თმები მაფიქრებინებდა, რომ ის აუცილებლად შიმამოტო უნდა ყოფილიყო. მანქანას იქვე ვერ გავაჩერებდი, და დავიწყე ისეთი ადგილის ძებნა, სადაც მისი დაყენება შესაძლებელი იქნებოდა. ეს კი არც ისე ადვილი იყო, რადგან გასაჩერებელი ადგილები, მთლიანად დაკავებულნი იყვნენ. ორასი მეტრის იქით, როგორც იყო მანქანა სადღაც შევჭყუნე და უკან გამოვიქეცი, მის მოსაძებნად. ის კი არსად ჩანდა. მთვარეულივით დავრბოდი აქეთ-იქით. თავს ვიმშვიდებდი, რომ დაზიანებული ფეხის გამო შორს ვერ წავიდოდა. ხალხის ნაკადი ძლივს გავარღვიე, ესკალატორის კიბეები ავირბინე, რათა ზემოდან ხალხის ნაკადი უკეთ დამენახა. პერანგი ოფლისგან გასაწური გამხდარიყო. უცბად ვიაზრე, რომ ის ქალი შიმამოტო ვერ იქნებოდა, რადგან ის მეორე ფეხით კოჭლობდა, თანაც *შიმამოტო ხომ აღარ კოჭლობდა*.

თავი გავიქნიე და ღრმად ამოვისუნთქე. მივხდი რომ რაღაც მჭირდა. თავბრუ დამეხვა, ვგრძნობდი როგორ ვსუსტდებოდი და ძალებს ვკარგავდი. შუქნიშანს მივეყუდე და ძირს ფეხებთან ვიყურებოდი. შუქნიშნის მწვანე ფერი წითლით შეიცვალა, მერე ისევ მწვანით. ხალხი ჩერდებოდა გადასასვლელთან, ელოდებდნენ მწვანის ანთებას და ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. მე კი გაუნძრევლად ვიდექი, ოფლი მასხამდა და ძლივსღა ვსუნთქავდი.

უცბად თავი ავწიე და იძუმის სახე დავინახე. ის იმ ტაქსში იჯდა, რომელიც ეხლა პირადირ ჩემს წინ გაჩერებულიყო და უკანა სავრძელში მჯდომარე, სარკმლიდან მიყურებდა. ტაქსი შუქნიშნის წითელი ფერის გამო გაჩერებულიყო, იძუმის სახე ჩემიდან ხელის გასაწვდენ მანძილზე იყო. ის უკვე აღარ იყო, ის ჩვიდმეტი წლის გოგონა, რომელსაც ვიცნობდი, მაგრამ მე ის მაშინვე ვიცანი. გოგონა, რომელიც ოცი წლის წინ მკლავებში მეწვინა და პირველი კოცნის სიტკბოს მაზიარა. გოგონას, რომელსაც დიდი ხნის წინ, შუადღისას შიშველს ვეფერებოდი და რომელმაც მაშინ წვივსაკრავი დაკარგა. მას მერე ოცი წელი გასულიყო, ხალხი ძალიან იცვლება ამ დროის მანძილზე, მაგრამ ის სხვაში არ ამერეოდა. *მისი ბავშვებს ეშინიათ*, გამახსენდა თანაკლასელის ნათქვამი. მაშინ ვერ მივხდი თუ რას გულისხმობდა მისი სიტყვები, რა იმალებოდა ამ სიტყვებს უკან. ეხლა კი, როცა იძუმის წინ პირდაპირ ვიდექი ყველაფერი გასაგები გახდა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა, სრულიად არაფერს. არა, ეს მთლად სწორედ ვერ გადმოსცემს საკითხის არსს. მე ასე ვიტყოდი: როგორც ოთახს, რომელიც დააცარიელეს და ბოლო ნივთიც კი გაიტანეს, ასევე მის

სახესაც, ყოველივე, რასაც კი სახის გამომეტყველება შეიძლება ერქვას, გამოცლილი ჰქონდა, და მათ არაფერი ცვლიდა. მის სახეს არცერთი გრძნობის, არანაირი ნაკვალევი არ აჩნდა. ის ოკიანის ფსკერს ჰგავდა, მკვდარსა და უხმოს. აი, ეს უემოციო სახე, პირდაპირ მიყურებდა. ყოველ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ მე მიყურებდა, რადგან მისი თვალების მიმართულება ჩემკენ იყო მომართული და მაინც, მისი სახე არაფერს გამოხატავდა, ან თუ უფრო ზუსტ გამოთქმას ვიხმართ, ის უსასრულობაში მყოფ სიშავეს მიუთითებდა.

გაშეშებული და კრიჭაშეკრული ადგილიდან ვერ ვიძროდი, თავს ძლივს ვიმაგრებდი და ოდნავღა ვსუნთქვადი. რამდენიმე წამით სინამდვილის შეგრძნების უნარი მთლიანად დავკარგე. ქვეცნობიერად ხელი გავიწოდე და მანქანის ფანჯარას შევახე. თითებს მინაზე ვუსმავდი. წარმოდგენა არ მაქვს რატომ. გამვლელები გაოცებისაგან გაჩერდნენ და ყურება დამიწყეს. საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. თითები ნელ-ნელა მოძრაობდნენ მინაზე, მისი უსახო სახის გასწვრივ. იძუმის არც ნაკვთი შერხევია და არც მზერა შეუცვლია. იქბებ მკვდარი იყო? არა, მკვდარი არ უნდა ყოფილიყო. ის კვლავ ცოცხალი იყო და ცხოვრობდა მდუმარების მხარეში. მისი უმოძრაო ტუჩები მხოლოდ უსასრულო არარაზე მეტყველებდა.

როგორც იყო შუქნიშნის ფერი შეიცვალა და ტაქსი დაიძრა. ამ ხნის მანძილზე იძუმის გაყინული სახე არ შეცვლილა. გაშეშებულივით ვიდექი და გავყურებდი, სანამ ტაქსი მანქანათა ნაკადმა არ დაფარა.

ჩემს მანქანამდე როგორც იყო მივაღწიე და სავარძელში დავეხეთქე. იქიდან უნდა დავძრულიყავი. როგორც კი ხელით ძრავას მივწვდი, უეცრად საშინელი გულისრევის გრძნობა ვიგრძენი. მზად ვიყავი ამომერწყია, მაგრამ ყელიდან არაფერი ამომდიოდა. საჭეს ორივე ხელით ჩაბღუჯული, ალბათ თხუთმეტი წუთი მაინც ვიყავი ასეთ მდგომარეობაში. ვგრძნობდი ოფლისგან საცვლები აქოთდნენ და ტანი აუტანლად მიყარდა. ეს აღარ იყო, ის სხეული, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ, შიმამოტო ბაგეთი ჰკოცნიდა და ენით ეალერსებოდა. ეს გახლდათ შუახნის მამაკაცის სხეული, რომელიც უასიამოვნო სუნს გამოსცემდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პატრული მომიახლოვდა და ფანჯარაზე დამიკაკუნა. მე მინა ჩამოვუშვი. "აქ არ შეგიძლიათ მანქანის დაყენება!" თქვა მან "მანქანა გაიყვანეთ!". მე თავი დავუქნიე და ძრავა ჩავრთე.

"მოიცადეთ, ადამიანის სახე არა გაქვთ. ავად ხომ არ ხართ?" შემეკითხა პოლიციელი.

თავი უსიტყვოთ გადავაქნიე და მანქანა დავძარი.

გამოსაკეთებლად რამდენიმე საათი დამჭირდა. თავს სრულიად გამოფიტულად ვგრძნობდი, თითქოს ცარიელ გარსად ვქცეულიყავი. ჩემი სხეული ყრუ ხმებს გამოსცემდა. მანქანა აოიამას სასაფლაოსთან გავაჩერე და მანქანის სარკმლიდან, დიდხანს და უნიათოდ გავცქეროდი ცას. იქ იძუმი მელოდებოდა. ის ყოველთვის სადღაც იყო და მელოდებოდა, რომელიმე ქუჩის კუთხეში, ანდა რომელიმე მინის მიღმა. ელოდება ჩემს გამოჩენას. მარტო მე მელოდება. ამას მხოლოდ ეხლა მივხდი.

რამდენიმე დღე დამუნჯებულივით ვიყავი, სიტყვის წარმოთქმა არ შემეძლო. სალაპარაკოდ პირს თუ გავაღებდი სიტყვები სადღაც ქრებოდნენ, თითქოს იძუმის სახეზე აღბეჭდილმა სრულმა არარამ სადღაც ჩანთქაო.

ამ უცნაური შეხვედრის შემდეგ, ჩემს ირგვლივ შიმამოტოს ყოველმყოფობამ, გვარიანად იკლო. ამა სოფელსაც ფერები დაუბრუნდა, აღარც ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს მთვარის ზედაპირზე დავდივარო. ბუნდოვნად, თითქოს ფანჯრის მინის მიღმა, ვუყურებდი სხვაში მიმდინარე ცვლილებებს, შევძელი იმ წამის დაჭერა, როცა მიზიდულობაში ძვრა მოხდა და ნელ-ნელა დავიწყე განთავისუფლება რაღაცისგან, რაც მებღაუჭებოდა.

რაღაც ჩაწყდა ჩემს შიგნით და გაქრა, უხმოდ და სამუდამოდ.

როცა ტრიომ შესვენება გამოაცხადა, პიანისტთან მივედი და ვუთხარი, რომ ამის შემდეგ საჭიროება აღარ იყო Star-Crossed Lover-ის შესრულება და რაც შემეძლო მეგობრულად გავუღიმე. "ჩემს სასიამოვნოდ იმდენჯერ შეასრულეთ ეს მელოდია, რომ სრულიად საკმარისია". პიანისტმა ისე შემომხედა, თითქოს გონებაში რაღაცას წონისო. ჩვენ ორნი ვმეგობრობდით, ხანდახან ერთად ვსვამდით და გულიანადაც გვისაუბრია.

"რაღაც ვერ გავიგე!" მითხრა მან. "აღარ გსურთ, რომ ეს მუსიკა ჩემებურად შევასრულო, თუ გსურთ რომ ის საერთოდ აღარ შესრულდეს. ამათ შორის დიდი სხვაობაა და მსურს გავერკვე".

"მსურს რომ ის აღარ შესრულდეს".

"ალბათ არ მოგწონთ შესრულების ჩემებური მანერა."

"არანაირი პრობლემა არ მაქვს, თუ როგორ უკრავთ. ვთვლი რომ დიდებულად ასრულებთ და არც ისე ბევრი მუსიკოსია, რომელთაც შეუძლიათ ამ ნაწარმოების ასე კარგად შესრულება."

"პრობლემა ეტყობა თვით ნაწარმოებშია და აღარ გსურთ მისი მოსმენა."

"ასეც შეიძლება ითქვას." ვუპასუხე.

"ჩემთვის ეს ისევე ჟღერს როგორც *კასაბლანკა*." მითხრა მან.

"სწორედ მიხვდით." ვუთხარი მე.

ამის შემდეგ, ზოგჯერ ჩემი დანახვისას, პიანისტი უკრავდა რამდენიმე აკორდს მელოდიიდან "As Time Goes By".

"Star-Crossed Lovers'" მოსმენა ნამდვილად აღარ მინდოდა და არა იმიტომ, რომ ის შიმამოტოს მახსენებდა. *არა, უბრალოდ მელოდია გულს ისე აღარ ხვდებოდა, როგორც ადრე.* რატომ? ვერა-ფერს გეტყვით. მასში აღარ იყო ის განსაკუთრებული, რაც რამდენიმე წლის მანძილზე მხიბლავდა. მას კვლავ მშვენიერ მელოდიად მივიჩნევდი, მაგრამ ჩემთვის აღარ იყო, რაიმეთი განსაკუთ-რებული. სულაც არ ვაპირებდი დამეტირა, ამ მშვენიერი სიმღერის ცხედარი.

"რაზე ფიქრობ?" იუკიკომ მკითხა ოთახში შემოსვლისთანვე. ღამის სამის ნახევარი იყო. მე დივნზე ვიწექი და ჭერს მივჩერებოდი.

"უდაბნოზე ვფიქრობ." მივუგე პასუხად.

"უდაბნოზე?" კვლავ შემეკითხვა და ფეხთით მომიჯდა, პირდაპირ მიყურებდა.

"როგორ უდაბნოზე?"

“ჩვეულებრივ უდაბნოზე. ქვიშიან დიუნებზე და აქა იქ კაკტუსებზე. სინამდვილეში იქ საკმაოდ ბევრი ცოცხალი არსებაა."

"მეც ვითვლები მაგ უდაბნოს მკვიდრად?" ისევ შემეკითხა იუკიკო.

"რა თქმა უნდა შენც." მივუგე პასუხად. "ჩვენ ყველა იქ ვცხოვრობთ. სინამდვილეში კი ერთადერთი რამ, რაც ნამდვილად ცხოვრობს ეს თვით უდაბნოა. ისე როგორც ეს ფილმშია."

"რომელ ფილმში?"

"დისნეის ფილმია. *ცოცხალი უდაბნო.* დოკუმენტური ფილმია უდაბნოზე, განა ბავშვობაში არ გინახავს?"

"არა." მითხრა მან. ეს მე უცნაურად მეჩვენა. დაწყებითი სკოლაში ყველა ჩვენთაგანი მიჰყავდათ კინოთეატრში ამ ფილმის სანახავად. მაგრამ იუკიკო ხუთი წლით ჩემზე უმცროსი იყო, იმ დროს ძალზე პატარა იქნებოდა ამ ფილმისთვის.

"მოდი კვირას ვიქირაოთ ეს კასეტა და ერთად ვუყუროთ. ეს ძალიან კარგი ფილმია, მშვენიერი სცენარით და ნაირგვარი ცხოველებითა და მცენარეებით. ბავშვებს აუცილებლად მოეწონებათ."

იუკიკომ გამიღიმა. ძალიან დიდი დრო გასულიყო, რაც მისი ღიმილი აღარ მენახა.

"ჩემს მიტოვებას აპირებ თუ არა?"

"იუკიკო, მე შენ მიყვარხარ." ვთქვი მე.

"შეიძლება ასეც არის, მაგრამ მე სულ სხვა რამეს გეკითხები. აპირებ თუ არა ჩემს მიტოვებას? სთქვი ჰო ან არა, სხვა პასუხი არ მაკმაყოფილებს '.'

"არ მინდა შენი მიტოვება." ვთქვი მე და თავი გავიქნიე. "შეიძლება ამის უფლება არ მაქვს, რომ ვსთქვა, მაგრამ ნამდვილად არ მსურს რომ მიგატოვო. თუ მიგატოვებ, არ ვიცი რა დამემართება. აღარ მსურს მარტოობა, ამას სიკვდილი მირჩევია".

მან ხელი მკერდზე დამადო და თვალებში დიდხანს მიყურა. "უფლებანი დაივიწყე. არა მგონია ვინმეს ასეთი უფლება ჰქონდეს." მითხრა მან.

ვგრძნობდი მკერდზე მისი ხელის სითბოს და სიკვდილზე დავიწყე ფიქრი. თავისუფლად შეიძლებოდა, რომ მაშინ ტრასაზე შიმამოტოსთან ერთად დავღუპილიყავი და ჩემს სხეულს აღარ ეარსება და მეც გავქრებოდი, როგორც ბევრნი ამ ქვეყნად. არადა აქ ვარ და აქაა იუკიკოს თბილი ხელიც.

"იუკიკო" დავიწყე მე. "ძალიან მიყვარხარ. ჩვენი შეხვედრის პირველივე დღიდან მიყვარხარ და ეხლაც იგევეს ვგრძნობ, რასაც მაშინ. შენ რომ არ შეგხვედრილიყავ, ჩემი ცხოვრება აუტანელი იქნებოდა. სიტყვები არ მყოფნის ისეთი მადლობელი ვარ შენი, ამის მიუხედავად გული ძლიერ გატკინე, იმიტომ რომ ეგოისტი, გაუტანელი და გამოუსადეგი ადამიანი ვარ. ყოვლად უმიზეზოდ ჩემს ირგვლივ მყოფთ გულს ვტკენ, რითაც საბოლოო ჯამში საკუთარ თავსაც ვტკენ. ამით კი ვანგრევ სხვათა და ჩემს ცხოვრებასაც. არა იმიტომ რომ ასე მსურდა, მაგრამ ასე კი გამომდის."

”არ გეკამათები." იუკიკომ წყნარად თქვა. მის ტუჩებზე აღბეჭდილი ღიმილის კვალი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. "შენ მართლაც ეგოისტი, გაუტანელი და გამოუსადეგი ადამიანი ხარ და მართლა ძალიან მატკინე გული."

ერთხანს ვუყურე დაკვირვებით. მის სიტყვებში არც გაბრაზების და არც სევდის კვალიც კი არ იყო, ვერც ვერაფერი ვნახე ისეთი, რაც მადანაშაულებდა. ის უბრალოდ აშკარა ფაქტებს აკონკრეტებდა.

საპასუხო სიტყვებს ფრთხილად ვარჩევდი. "ყოველთვის მსურდა სხვანაირი გავმხდარიყავი, ახალ ადგილას მოვხვედრილიყავ, ახლებურად მეცხოვრა, ახალი პიროვნებად ვქცეულიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ზრდის პროცესის შედეგი იყო, ოღონდ საკუთარი მეს აღმოჩენის დაუოკებელი სურვილიც თავის როლს თამაშობდა. განსხვავებული მეს პოვნის შემდეგ, ბევრი რამისგან ვთავისუფლდებოდი. დარწმუნებული ვიყავი, თუკი შევეცდებოდი, საკუთარ თავსაც გადავახტებოდი. არადა ყოველთვის ჩიხში აღმოვჩნდებოდი ხოლმე. საითკენაც არ უნდა წავსულიყავი, საკუთარ თავს ვერ ვერეოდი. რაც არ არის, მას ვერ შეცვლი. გარემო შეიძლება შეცვლილიყო, მაგრამ მე ისევ არასრულყოფილი ვრჩებოდი. ერთი და იგივე ნაკლი მაწვალებდა და ისეთ სულიერ შიმშილს აღმიძრავდა, რასაც ვერაფრის დიდებით ვერ ვიკმაყოფილებდი. საკუთარი თავის დასახასიათებლად, მეს უქონლობაა, ალბათ ყველაზე ახლო სიმართლესთან. შენი გულისთვის მზად ვარ, რომ გამოვიცვალო. ეს სულაც არაა ადვილი, მაგრამ თუ ძალიან შევეცდები ეგება გამომივიდეს. ოღონდ გულდასაწყვეტი სიმართლე ისაა, რომ თუ კვლავ ისეთივე სიტუაციაში ჩავვარდი, არაა გამორიცხული, კვლავ ძველებურად მოვიქცე და კიდევ გატკინო გული. ამიტომ ვერაფერს შეგპირდები. აი რა მქონდა მხედველობაში, როცა ვთქვი უფლება არ მაქვსო. არა მაქვს შინაგანი რწმენა, რომ ჩემში ჩაბუდებულ ამ ძალას დავძლევ."

"და შენ ყოველთვის ცდილობდი მაგ ძალას გაქცეოდი?"

"რაც თავი მახსოვს სულ ამას ვცდილობდი." მისი ხელი კვლავ ჩემს მკერდს ეხებოდა.

"საბრალოვ." მითხრა მან, თითქოს კედელზე ვიღაცის მიერ დიდი ასოებით დაწერილს ხმამაღლა კითხულობსო. იქნებ კედელზე მართლაც წერია ეს, გამიელვა თავში.

"არ ვიცი როგორ ვუპასუხო შენ კითხვას." გავაგრძელე მე. "ვიცი, რომ შენი მიტოვება არ მსურს, მაგრამ არ ვიცი, არის თუ არა ეს, სწორი პასუხი. ისიც კი არ ვიცი, არის თუ არა ეს, ის რაც შემიძლია ავირჩიო. იუკიკო, ვიცი რომ იტანჯები. ვხედავ და ვგრძნობ შენს ხელს აქ, ჩემს მკერდზე. მაგრამ არსებობს ისეთი რამეც, რასაც ვერც ვხედავ და ვერც შევიგრძნობ. მოდი დავუძახოთ მათ გრძნობები ანდა შესაძლებლობანი. ისინი სადღაციდან მოდიან და ერთმანეთს ერწყმიან ჩემს შიგნით. მათ მე არ ვირჩევ და მათზე პასუხს ვერ ვაგებ."

იუკიკო დიდხანს სდუმდა. გარედან ხანდახან თუღა აღწევდა სატვირთო მანქანების ხმები. ფანჯარაში გადავიხედე, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე, მხოლოდ უსახელო დრო, ღამისა და აისის დამაკავშირებელი სივრცე.

"ბოლო კვირეების მანძილზე ვფიქრობდი, რომ ნამდვილად მოვკვდებოდი." იოკიკომ მითხრა. "ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ შენზე ვიმოქმედო. უბრალოდ ასე იყო. ისე მარტოსული და სევდიანი ვიყავი, სიკვდილი ძნელი სულაც არ მეჩვენებოდა. როგორც ოთახიდან ნელ-ნელა ჰაერი რომ გამოტუმბო, ასევე მტოვებდა სურვილი სიცოცხლისა. როცა ასეთი შეგრძნებანი გაქვს, სიკვდილი სულაც არ გეჩვენება დიდ ამბად. შვილებზე არც კი ვფიქრობდი. რა დაემართებოდათ

მათ ჩემი სიკვდილის მერე? ასეთი კითხვა არც კი დამდგარა ჩემს წინ. აი, როგორ მარტოსულად ვთვლიდი თავს. ეს შენ არ იცოდი, არა? შენ ხომ სეროზულად არასდროს გიფიქრია, თუ რას ვგრძნობდი, რას ვფიქრობდი და რა შეიძლება მომემოქმედა."

მე არაფერი მითქვამს. მან ჩემი მკერდიდან ხელი აიღო და მუხლზე დაიდო.

"მიზეზი, თუ რატომ არ მოვკვდი, მიზეზი რატომაც ჯერ ვარ კიდევ ცოცხალი, ისაა რომ არ მინდოდა ის შესაძლებლობა გამომერიცხა, რომ კვლავ დამიბრუნდებოდი, მე კი მიგიღებდი. პრობლემა არც უფლებათა ქონა-არქონაშია, არც მტყუან-მართალში. შეიძლება შენ მართლაც გაუტანელი და გამოუსადეკი პიროვნება ხარ და ხვალ იქნებ კვლავ მატკინო გული, მაგრამ ეს ამ წუთას არაა მნიშვნელოვანი. შენ საერთოდ არ გესმის არაფერი."

"ეტყობა მართლაც არაფერი მესმის". ვუთხარი მე.

"არც არაფერს მეკითხები" მითხრა მან. მე პირი გავაღე საპასუხოდ, მაგრამ ვერაფერი ვთქვი. მართლაც მას არაფერს ვეკითხებოდი. რატომ? აზრზე არა ვარ.

"უფლება კი ის არის, რასაც ამ სიტუაციში მოიმოქმედებ." იუკიკომ მითხრა. "ან იქნებ ჩვენ მოვიმოქმედებთ. ჩვენ ხომ ვფიქრობდით, რომ ერთად ბევრი რამ გავაკეთეთ, და დიდი წარმატებითაც. სინამდვილეში კი, არც არაფრისთვის მიგვიღწევია. ცხოვრება ზედმეტად ადვილად გამოგვდიოდა და ჩვენც ძალიან ბედნიერნი ვიყავით, განა მართალს არ ვამბობ?"

თავი დავუქნიე.

იუკიკომ ხელები მკერდთან მიიტანა და დაიწყო. "იცი, იყო დრო, როცა მეც მქონდა ოცნებანი, მაგრამ ერთხელაც ისინი გაქრნენ. ეს მოხდა სანამ შენ შეგხვდებოდი. მე მოვიკალი ისინი. გავანადგურე და გადავყარე, თითქოს დაზიანებული და გამოუსადეგი შინაგანი ორგანო ყოფილიყოს, რომელიც სხეულიდან უნდა ამოჭრილიყო. არ ვიცი, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მაშინ სხვა რამის გაკეთება არ შემეძლო. ხშირად მესიზმრება ხოლმე ერთი და იგივე, ვიღაცას ორივე ხელით რაღაც უჭირავს, მოდის ჩემთან და მეუბნება "ესაა ის რაც შენ დავიწყებული გაქვს" და სულ მგონია, რომ მოაქვს ის, რაც მე მაშინ გადავყარე. მე შენთან ძალიან ბედნიერი ვიყავი. არაფერი მქონია სასაყვედურო და არც არაფერი დამკლებია. ხშირად შუაღამისას მეღვიძება, თითქოს რაღაცა თუ ვიღაცა მომდევს, ოფლში ვცურავ, თითქოს მომდევს ის, რაც მაშინ მოვიშორე. ასე, რომ მარტო შენ არ ხარ, ის ვინც უარი თქვა რამეზე. უარყოფილი სურველები მუდამ დასდევენ მას, ვინც იცის დანაკარგის ფასი. გესმის რისი თქმა მინდა?"

"ვგონებ, კი." ვუთხარი პასუხად.

"შეიძლება გული კიდევ მატკინო. არ ვიცი როგორ მოვიქცევი ასეთ შემთხვევაში, არც ისაა გამორიცხული, რომ პირიქით მოხდეს და გული მე მოგიკლა. მე და შენ ერთმანეთს ვერაფერს აღვუთქვავთ. ეგაა, ეხლა ისევ ისე ძლიერ მიყვარხარ."

ხელი მოვხვიე და თმაზე ხელი გადავუსვი.

"იუკიკო." ვთქვი მე, "ხვალე ხელახლა დავიწყოთ. ეხლა ძლიერ გვიანია. ახალი დღე მსურს სწორი გადაწყვეტილებით დავიწყო." იუკიკომ ერთხანს მიყურა "ვფიქრობ, ჯერაც არაფერს შემკითხიხარ, არა?"

”მსურს ახალი ცხოვრება ხვალიდან დავიწყო. რას ფიქრობ ამაზე?" იქით შევეკითხე.

"ვფიქრობ საუცხოო იდეაა." თქვა მან და მის ტუჩებს ღიმილმა გადაუარა.

იუკიკო საძინებელ ოთახში დაბრუნდა, მე ერთხანს კვლავ სავარძელში ვიწექი და ჭერს მივჩერებოდი. ის იყო ჩვეულებრივი ჭერი, ყველა ბინას რომ აქვს, არაფრით გამორჩეული, მიუხედავად ამისა, მე მას დაჟინებით ვათვალიერებდი. ხანდისხან მანქანების შუქურათა ანარეკლი აღწევდა ოთახს. აღარანაირი ილუზია აღარ შემრჩა. შიმამოტოს ძუძუთა შეგრძნება, მისი ხმა, თუ მისი კანის სურნელი, ჩემში უკვე ჩამქრალიყო. იძუმის გამომეტყველება წართმეული სახე წამომიტივტივდა, თუ როგორ გვყოფდა ტაქსის ფანჯრის მინა ერთმანეთს. თვალები დავხუჭე და იუკიკოზე დავიწყე ფიქრი. კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდი მის ნათქვამს. თვალები დავხუჭე და ყური ვუგდე ჩემს სხეულში მიმდინარე ძვრებს. არაა გამორიცხული, რომ იცვლებოდეს და მეც უნდა შევცვლილიყავი.

არ ვიცი, მეყოფა თუ არა ძალა იუკიკოსა და შვილების შესანახად, გავიფიქრე მე. ხედვანი, რაც ოცნებათა წყარო იყო, ვეღარ დამეხმარება. რამდენადაც თვალთ შეუძლიათ ხედვა, სიცარიელე ყველგან სიცარიელეა. სიცარიელეში ადრეც ვყოფილვარ და თავს ვაიძულებდი, რომ შევგუებოდი, ჰოდა იმით დავამთავრე, რითაც დავიწყე და სჯობს ამას შევეგუო. არავინ იქნება ჩემი ოცნებათა წყარო და ალბათ დროა, მე გავხდე სხვათა ოცნებათა წყარო. ესაა, რაც უნდა გავაკეთო. ასეთ ოცნებას შეიძლება ძალა არ ჰქონდეს, მაგრამ თუ მინდა, რომ ჩემს სიცოცხლეს, კვლავ რაიმე აზრი მიეცეს, ესაა ის, რაც უნდა გავაკეთო.

შეიძლება.

აისის მოახლოებასთან ერთად იმედი დავკარგე, რომ დაძინებას მოვახერხებდი. პიჟამაზე კარდიგარი შემოვიცვი, სამზარეულოში გავედი და ყავა მოვიმზადე. სამზარეულოს სკამზე ვიჯექი და ცას გავყურებდი, რომელიც უფრო და უფრო ნათდებოდა. დიდი ხანი გასულიყო, რაც აისის დადგომა აღარ მენახა. ცის კიდეზე ლურჯი ხაზი გამოჩნდა და ნელ-ნელა გაიტოტა ჰორიზონტზე, თითქოს ლურჯი მელანიაო ქაღალდის ფურცელზე. სილურჯის ეტალონის ამოსარჩევად, ამ ქვეყნად ყველა სახეობის სილურჯე რომ მოგეგროვებინათ, ეს იყო ის ფერი, რომელსაც აირჩევდით. იდაყვით მაგიდზე დაყრდნობილი, სანახაობით ვტკბებოდი. ცაზე მზის გამოჩენისთანავე, სილურჯე დღის ჩვეულებრივმა ნათელმა შესცვალა. განცალკევებული ღრუბელი ჩამოწვა სასაფლაოს თავზე, სუფთა თეთრი ღრუბელი, გამორჩეული მოხაზულობით. ღრუბელი ისე მკაფიოდ მოსჩანდა, მასზე დაწერა მოგინდებოდათ. ახალი დღე იწყებოდა. თუმცა რას მოიტანდა ეს დღე არ ვუწყოდი.

ალბათ ჩვეულებისამებრ ბავშვებს საბავშვო ბაღში წავიყვანდი და მერე აუზს მივაშურებდი საცურაოდ. გამახსენდა ის აუზი, სკოლის წლებში რომ დავდიოდი, პატარა ფართის იყო და ხმები ჭერიდან ექოთი გვიბრუნდებოდნენ. ეს ის დრო იყო, როცა სწაფად ვიცვლებოდი, როცა სარკის წინ დიდხანს ვიდექი და საკუთარ სხეულში მიმდინარე ცვლილებებს ვაკვირდებოდი. შემეძლო დამეფიცა, რომ ღამღამობით, სრულ სიწყნარეში, მესმოდა ხორცი როგორ მეზრდებოდა. მზად ვიყავ ახალი მეთი შემოვსილიყავი და განვითარების ახალ საფეხურზე ავსულიყავი, იქ სადაც ადრე არასდროს ვყოფილვარ.

სამზარეულოში მაგიდასთან მჯდომი ვუყურებდი სასაფლაოს თავზე დამდგარ ერთადერთ, თეთრ ღრუბელს, რომელიც ოდნავადაც არ იძვროდა, თითქოს ცაზე ლურსმნებით მიეჭედათო. დრო

ბავშვები გავაღვიძო. უკვე კარგად გათენებულიყო და მათი ადგომის დრო დამდგარიყო. ახალი დღე, თუ კი ვინმეს სჭირდებათ, ჩემი შვილებია, ბევრად მეტად ვიდრე მე როდისმე დამჭირდება. ეხლა შევალ მათ ოთახში, საბანს გადავხდი, ხელს შევახებ მათ თბილ სხეულს და ახალი დღის დადგომას ვაუწყებ. ესა ის, რაც ეხლა უნდა გავაკეთო, მაგრამ ვერაფრით ვდგები სამზარეულოს მაგიდიდან. ყველა ძალამ დასტოვა ჩემი სხეული, თითქოს ზურგსუკან ვიღაც მომეპარა და ჩუმად გამომრთო ძაბვიდან. ორივე იდაყვი მაგიდაზე მეწყო, სახე ხელისგულებით დავიფარე.

ჩამოწოლილ სიბნელეში ვხედავდი, როგორ აწვიმდა ზღვას. წვიმა ნელა ეშვებოდა უკიდეგანო ზღვაზე და არავინ იყო, ეს რომ შეემჩნია. წვიმას ეგებებოდა ზღვის ზედაპირი, ისე, რომ თევზებმაც კი არ იცოდნენ რომ აწვიმდათ.

სანამ ვიღაცა არ მოვიდა და მხრებზე მსუბუქად არ შემახო ხელი, ჩემი ფიქრები ზღვასთან იყვნენ.